

ტ. გუდავა

ბოთლისური ენა

გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი

ნაშრომი წარმოადგენს დაღესტნის ერთ-ერთი უმწერლობო ენის — ბოთლიხურის — სისტემატური აღწერის პირველ ცდას. დაწვრილებითაა განხილული ფონეტიკისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (ბგერითი შედგენილობა, ფონეტიკური პროცესები, გრამატიკული კლასისა და რიცხვის კატეგორიები, სახელთა ბრუნება, ზმნის უღვლილება, სიტყვაწარმოების პროცესები . . .). გამოკვლევას თან ერთვის გაბმული ნეტყველების ნიმუშები და ლექსიკური მასალა. ტექსტების ერთ ნაწილს ახლავს სიტყვა-სიტყვითი თარგმანიც.

ტექსტები, რასაც გამოკვლევა ემყარება ჩაწერილია ავტორის მიერ დაღესტანში სამეცნიერო მივლინების დროს.

რედაქტორის წინასიტყვაობა

ტ. გუდავას შრომა „ბოთლიხური ენა“ იძლევა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენა-კილოთა ანდიური წრის ერთ-ერთი მიკრო-ენის მთლიან მიმოხილვას.

1. ფონემური შედგენილობის, ფონეტიკური პროცესებისა და მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზის გარდა შრომაში მოცემულია ბოთლიხური მეტყველების ნიმუშები (ტექსტები). დაინტერესებულ სპეციალისტს საშუალება აქვს ამ ტექსტების მიხედვით იქონიოს დამოუკიდებელი მსჯელობა ბოთლიხურ მეტყველებაზე.

2. ბოთლიხურს მწერლობა არა აქვს. ბოთლიხელები ხუნძურსაც ფლობენ: სხვა თემთან ურთიერთობაში ხუნძურს ხმარობენ. ამ ვითარებაში ბოთლიხური მეტყველების ფიქსაცია გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს: ბოთლიხური შეიძლება გაითქვიფოს და ბოთლიხურის ჩვენება მეცნიერებისათვის დაიკარგოს.

3. უმწერლო ენის შესწავლისას ჩვეულებრივ სჯერდებიან ერთ-ერთი, ნებისმიერი პუნქტის მეტყველების შესწავლას (ასეა ად. დირისა და პ. უსლარის მონოგრაფიებში).

ტ. გუდავას გათვალისწინებული აქვს ორივე პუნქტის (ბოთლიხი, მიარსუ) მეტყველება, სადაც ბოთლიხურად ლაპარაკობენ. ამის შედეგი ის იყო, რომ მიარსუს მეტყველება აღმოჩნდა გარდამავალი საფეხური ბოთლიხურსა და ლოდობერიულს შორის: უმწერლო ენის ყველა კილო-თქმა უნდა იყოს შესწავლილი. ამ საენათმეცნიერო წესს ბოთლიხურის მაგალითიც ადასტურებს.

4. ანდიურ ენა-კილოთა ქვეჯგუფში შედის: ანდიური, ბოთლიხური, ლოდობერიული, ჰამალალური, ტინდიური, ბაკვალალური, კარატაული, ახვახური.

ყველა ეს ერთეული თანაბრად განსხვავებულ ოდენობას არ გულისხმობს: ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა (ილ. ცერცვაძის, ტ. გუდავას, ზ. მაჰომედბეგოვას) მიერ ჩატარებული მუშაობიდან ჩანს, რომ ანდიურ ენა-კილოთა ქვეჯგუფში ყველაზე დიდი სხვაობა გვაქვს ანდიურსა და ახვახურს შორის; სხვა წევრები მეტ-ნაკლებად განსხვავებულ გარდამავალ საფეხურებს წარმოგვიდგენს.

ასე, მაგალითად, მიარსუს მეტყველება აკავშირებს, როგორც გარდამავალი საფეხური, საკუთრივ ბოთლიხურს ლოდობერიულთან (იხ. აქვე ტექსტში). ბუნებრივი იქნებოდა ლოდობერიულიც აქ შემოგვეტანა. მაგრამ ეს არ მოხერხდა შრომაში.

5. როცა მცირედენ მიწა-წყალზე ბევრი ენა-კილო იყრის თავს, მათი ურთიერთ გავლენის საკითხი მწვავედ დგება: უეჭველია კონვერგენციის (ინტეგრაციის) პროცესებს არც თუ მცირე წილი უდევთ ანდიურ-დიდოურ ენა-კილოთა დღევანდელი სახით ჩამოყალიბებაში.

ხსენებულ ენა-კილოთა შესწავლას ამისდა კვალად ზოგად-ენათ-მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც კონვერგენციის პროცესები მეტად რთულია და ნაკლებ შესწავლილი.

არნ. ჩიქობავა

ПРЕДИСЛОВИЕ РЕДАКТОРА

В работе ст. н. сотр. Гудава Т. Е. «Ботлихский язык» дан цельный обзор одного из микроязыков андийской зоны авар.-анд.-дидойской группы (в Дагестан. АССР).

1. Помимо анализа фонемного состава, фонетических процессов и морфологической структуры, работа включает тексты, записанные автором и дающие наглядное представление о речи ботлихцев в обоих населенных пунктах. Заинтересованному специалисту представляется возможность по этим текстам иметь самостоятельное суждение об исследуемом языке.

2. Ботлихский язык бесписьменный. Население фактически двуязычно: аварским языком владеют все ботлихцы.

В этих условиях фиксация фактов ботлихского языка становится настоятельно необходимой: язык ботлихцев из поколения в поколение пивелируется, и современем данные ботлихского языка могут оказаться навсегда утерянными для историко-сравнительного, типологического и иного анализа.

3. Для анализа бесписьменного языка обычно считается достаточным, если изучена речь какого-либо одного пункта (так обстоит дело, например, в работах А. Дирра по дагестанским языкам; так же было в монографиях Ш. Услара по языкам, тогда не имевшим письменности).

В работе Гудава Т. Е. исследованы оба населенных пункта (Ботлих, Миарсу), где говорят на ботлихском языке.

В результате такого изучения выявилось, что годоберийский «язык» трудно отграничить от ботлихского: речь аула Миарсу представляет переходную ступень.

Необходимость фронтального обследования всех диалектов бесписьменного языка, а priori бесспорная, здесь демонстрируется на конкретном фактическом материале.

4. Андийская подгруппа включает в свой состав: андийский, ботлихский, годоберийский, чамалальский, тиндийский, багвалальский, каратайский, ахвахский языки (и наречия).

Лингвистически это не равнозначные по особенностям единицы: как показывают исследования сотрудников Института языкознания АН ГССР (Церивадзе П. И., Гудава Т. Е., Магомедбековой З. М.) в андийской подгруппе максимум расхождений наблюдается между языками андийским и ахвахским; другие члены образуют более или менее обособленные переходные ступени.

Так, напр., речь аула Миарсу, как сказано в данном исследовании, образует переходную ступень между собств. ботлихским и годоберийским, привлечение материалов которого было бы целесообразно; но это не удалось в данном труде.

5. Скопление ряда языков и наречий на незначительном пространстве выдвигает вопрос об их взаимовлиянии: нет сомнения, что процессы конвергенции (интеграции) сыграли немалую роль в становлении (формировании) языков (и наречий) андийско-динойской группы в их настоящем виде.

Показания означенных языков представляют несомненный общелингвистический интерес, поскольку процессы конвергенции исключительно сложны и далеко не изучены: историко-сравнительное языкознание сформировалось на основе анализа процессов дифференциации и, естественно, процессам интеграции не уделялось того внимания, какого они заслуживают соответственно их удельному весу в процессе исторического развития языков (лингвистическая география и теория субстрата лишь частично восполняют наличный в историческом языкознании в этой части существенный пробел).

Арн. Чикобава

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ბოთლიხური ენა (ადგილობრივი გამოთქმით ბუჯხალ¹ ი მიწაი, სიტყვა-სიტყვით „ბოთლიხის ენა“, იხმარება აგრეთვე ბუჯხადალ¹ ი მიწაი „ბოთლიხელების ენა“) დაღესტნის ერთ-ერთი პატარა უმწერლობო ენაა. იგი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ანდიურ ქვეჯგუფში შედის (ამ ქვეჯგუფის სხვა წევრებია: ანდიური, ლოდობერიული, ჭამალალური, ტინდიური, ბაგვალალური, კარატული და ახვახური). ბოთლიხურ ენასე მეტყველებს ორი აული: ბოთლიხი (რაიონის ცენტრი) და მიარსუ (ხუთიოდე კილომეტრზე ბოთლიხის დასავლეთით). ბოთლიხის ადგილობრივი სახელწოდებაა ბუჯხე, ხოლო მიარსუსი — ქილუ. ამ აულების ოფიციალური სახელწოდება ხუნძურიდან მოდის (ხუნძ. ბოლ¹იჯ, მიარსუ). ბოთლიხელთა საერთო რიცხვი 3 ათასს არ აღემატება¹. ბოთლიხელები სამწერლო ენად ხუნძურს ხმარობენ: ბოთლიხის ყველა მცხოვრებმა — დიდმა და პატარამ — იცის ხუნძური ენა, ბოთლიხელები ორენოვანი ხალხია.

ანდიური ენები ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგას როგორც გრამატიკული წყობით, ისე ლექსიკური შედგენილობითაც. შენობელ ანდიურ ენათა შორის ხშირად ჩანს გარდამავალი, შუალედი რგოლი, რაც ორ ენას ერთმანეთთან აკავშირებს. ასეთი შუალედი რგოლი ჩანს ბოთლიხურსა და ლოდობერიულს შორის აულ მიარსუს მეტყველება, რომელიც კილოკავია ბოთლიხური ენისა.

ბოთლიხური ენა დღემდე სპეციალურად შესწავლილი არ ყოფილა. ბოთლიხური ენის ნიმუშები მოჰყავს რ. ერკერთს², წარმოდგენილია სულ 50-მდე ფრაზა (უკეთ—შესიტყვება). სიზუსტე

¹ И. Козубский, Памятная книжка Дагестанской области, თბილისი-შუბა, 1885, გვ. 204. Н. Я. Марр, Племенной состав населения Кавказа, პეტროგრადი, 1920, გვ. 45, Е. А. Бокарев, Краткие сведения о языках Дагестана, მაჰაჩყალა, 1949 წ., БСЭ, სტატია „Ботлихы“.

² R. Erckert, Die Sprachen des Kaukasischen Stammes, ვენა, 1895.

აკლია ჩანაწერსაც და ჩანაწერის ანალიზსაც¹. გაცილებით უფრო სანდოა ა. ღირის მიერ შეკრებილი მასალები². ჩაწერილია 90-მდე ფრაზა და მოცემულია გრამატიკული მიმოხილვის ცდა (გვ. 1—6). მართალია, ა. ღირის ჩანაწერები ფრაგმენტულია, მას რიგი არსებითი ხასიათის მორფოლოგიური მოვლენაც კი გამოჩნენია, მაგრამ საშავიეროდ, რაც აქვს — მეტწილად სწორადაა გადმოცემული. ა. ღირის მეორე ნაშრომი³ ფაქტობრივ ნაწილში ბოთლიხური ენის შესახებ ახალს არაფერს იძლევა (აქ მოყვანილი მასალა ზოგიერთი ცვლილებებით სიტყვა-სიტყვითაა თარგმნილი მისივე პირველი შრომიდან). დასასრულ, ნ. იაკოვლევის ცნობით⁴ მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ჩრდილოეთ-კავკასიის ენათა შემსწავლელ ქვეჯგუფს ამ ოცდაათიოდე წლის წინათ ყურადღება მიუქცევია ბოთლიხური ენისათვისაც, მაგრამ როგორც შეკრებილი მასალა, ისე გამოკვლევის შედეგები არ გამოქვეყნებულა და ჩვენთვის უცნობია.

წინამდებარე ნაშრომი ემყარება საკუთარ ჩანაწერებს, რაც მოპოვებულ იქნა ადგილობრივ ბოთლიხურ ენაზე სამუშაოდ მივლინების დროს 1946 — 47 წლებში (მივლინება მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ). მასალის შევსება ხდებოდა მომდევნო წლებშიც, როცა სხვა ანდიურ ენებზე მუშაობის დროს საშუალება მქონდა ბოთლიხურის შესახებ დამატებითი მასალა შემეკრიბა. ბოთლიხურზე მუშაობის დროს ჩემი ინფორმატორები იყვნენ ჰაჯი-მაჰნად, ფატიმათ, ზუქეში და ომარ აზაევები, ახმედ-ნაბი ომაროვი, ჰასან აბაქაროვი, საადუ ისაკოვი, ასლუდინ და ლაზირათ ოსმანოვები და სხვ.

წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი ნაწილი ავტორმა 1948 წელს დაამუშავა როგორც საკანდიდატო დისერტაცია („ბოთლიხური ენის მორფოლოგიის ძირითადი კატეგორიები“. დაბეჭდილია თეზისები, თბილისი, 1948).

¹ ერკერტის მასალებში ერთმანეთისაგან გარჩეული არაა ლატერალური ბგერები, ძლიერები და სუსტები, აბრუპტივები და ფშვინიერები. მცდარადაა გაზოყოფილი რიგი აფიქსი, არეულია გრამატიკული კლასები (მაგ. დოა ბენე-ლ'ო ვუიკო „ის მდიდარი იქნება“ და სხვ).

² А. Дирр, Материалы для изучения языков и наречий андо-дидойской группы. თბილისი, 1939.

³ А. Дирр, Einführung in das Studium der Kaukasischen Sprachen, ლაიფციგი, 1928, გვ. 196 — 199.

⁴ Н. Ф. Яковлев, Институт востоковедения в Москве — Подразряд исследования северо-кавказских языков... (Краткий отчет). сб. Л. И. Жирков-ის წიგნი Грамматика аварского языка, მოსკოვი, 1924.

ფ ო ნ ე ტ ი კ ა

ბგერითი შედგენილობა

ხმოვნები. ბოთლიხურს 10 ხმოვანი აქვს: ხუთი ზარტივი პირისმიერი (ორალური) და ხუთი ცხვირისმიერი (ნაზალური). დაპირისპირებას ორალურ და ნაზალურ ხმოვნებს შორის ფონოლოგიური ღირებულება აქვს.

მარტივი ხმოვნებია ა, ე, ი, ო, უ (მაგ. იპა! „გააკეთე!“, იპე „აკეთებს ხოლმე“, იპი „კეთება“, იპო „გააკეთებინა“, იპუ „გააკეთა“...). ა ბოთლიხურ ხმოვნებში ყველაზე ღიაა და შედარებით უკანა წარმოებისა, ე და ო საწულო აწეულობის ხმოვნებია (ე — წინა წარმოების არალაბიალური, ო — უკანა წარმოების ლაბიალური), ი და უ კი მაღალი აწეულობის ხმოვნებია (ი — წინა წარმოების არალაბიალურია, უ — უკანა წარმოების ლაბიალური). სიტყვის ბოლოში უმახვილო ი ზოგჯერ ისნის როგორც მოკლე ი (მაგ. ტუჩიბალ'ი || ტუჩიბალ'ი „წიგნები“, ილაბალ'ი || ილაბალ'ი „დედები“ და მისთ.). ი ფონემას არ წარმოადგენს.

წარმოების ადგილის მიხედვით ორალურ ხმოვნებს უპირისპირდება ნაზალური ხმოვნები. ყოველ ორალურ ხმოვანს მოცოვება ნაზალური კორელატი: აფ, ეფ, იფ, ოფ, უფ. ოფ იშვიათად გვხვდება¹. მაგალითები: აჰა „გაიგონა“, ვაეჰა „წავიდა“, ეეჰეჰუ

¹ საკმაოდ იშვიათია ორალური ო-ც (შეიმჩნევა მონაცვლეობა ო || უ), ამასთან ო ხშირად წარმოადგენს ე-სა და ხმოვნის შერწყმის შედეგს. ნაზალური ხმოვნები მიღებულია ნაზალური თანხმოვნის (ჩვეულებრივად ნ-ს); დასუსტებით, რაც წინამავალი ხმოვნის ნაზალიზებას იწვევს (როგორც ირკვევა, განსაკუთრებით კამალურისა და ბაგვალურის მონაცემებით, ნ სუსტდებოდა თანხმოვნის წინ და სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში). ხმოვანი ე (და აგრეთვე ეფ) ასევე აბაადიდად გავრცელებული. ხოგი მბრძოლ მიხი ბეღი ო-ს ბედს ჰგავს (შეიმჩნევა მონაცვლეობა ე || ი უმახვილო პოზიციაში, მეტწილად აუსლაუტში). საშუალო აწეულობის ხმოვანთა ისტორია (მათი მიძარტება მაღალი აწეულობის ხმოვნებთან) ცალკე შესწავლას მოითხოვს.

„ქათამი“, ჰილდი „მოსვლა“, მიჰი „მზე“, ეოლ'ილა „ვინ“, ჰიჰჟუ „მსხალი“, ჩიჟჰა „გაიქცა“, წიჟუ „ახალი“, შიჟუ „რძე“....

ბოთლიხური გაურბის ნაზალიზებულ ხმოვანს ორ-და მეტ-მარცვლიანი სიტყვის აუსლაუტში¹. ასეთ პოზიციაში ნაზალიზებული ხმოვანი მაშინ გვაქვს, როდესაც წინამავალი მარცვალის ნაზალიზებულ ხმოვანს შეიცავს (და, ამრიგად, სიტყვას მთლიანად ნაზალური ელფერი აქვს), მაგ. ჰიჰჟუ „მსხალი“.

ნახევარხმოვნები და სონორები. ნახევარხმოვნებია შუაენისმიერი **ჰ** და ბილაბიალური **ვ**² (კბილბაგისმიერი მტლერი სპირანტი ფონემა ბოთლიხურს არა აქვს). **ჰ** გვხვდება ანლაუტში (ხმოვნის წინ), აუსლაუტში (ხმოვნის მომდევნოდ) და ინლაუტში (ხმოვანთა შორის). თანხმოვნის მეზობლად **ჰ** მეტად იშვიათია (არსებითად ნასესხებ სიტყვებში)³. ანალოგიურია **ვ**-ს პოზიციური განაწილება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ **ვ** ხშირია თანხმოვნის (განსაკუთრებით უკანა წარმოების თანხმოვანთა) მომდევნოდ ხმოვნის წინ, რაც წინამავალ თანხმოვანს ლაბიალიზებულის ელფერს ანიჭებს. მაგ., მაქვა „საქმელი“, კჟვანდი „ქვლა“, გვანზი „ქარგი, ძალიანი“, რაკვა „გული“, ჰეკვა „კაცი“, ქვანარ „სინათლე“, ხვაჰ „ძალი“, ხვაბუ „წისკილი“, ხვეცაბ „ქარგი“, ბელვა „საბძელი“, გვანგვა „ზარი“, რიქვო „აანთო“, რიქვე „ანთებს“, ყვაყვა „ყვაყვი“, ყვჩარა „ყველი“, ჰაქვადა „ცხრა“, წავაქადაბ „ბრწყინვალე“... როგორც ჩანს, ამგვარ ბგერათკომპლექსს (თანხმ. +ვ) ჩვეულებრივად ა მოსდევს (იშვიათია ვ, სპორადული — ო. თანხმ. +ვ+ი-ს შესახებ იხ. ქვემოთ).

აუსლაუტში თანხმოვნის მომდევნოდ **ვ** არ გვხვდება. ბოთლიხურში ოთხი სონორი თანხმოვანია: ორი ცხვირისმიერი — ბაგისმიერი **მ** და ნუნისმიერი **ნ**, ორი ნარნარა — მთრთოლი **რ** და გვერდითი **ლ**.

¹ ნაზალობის ელემენტი, რომელიც აუსლაუტისეულ ხმოვანს უნდა ჰქონოდა, წინა მარცვლის ხმოვანზე გადაინაცლებს.

² აქა და ქვევით ტექნიკური მიზეზების გამო წყვილბაგისმიერ უ-ს ალენიშნავთ ვ ნიშნით.

³ გვაქვს მეორეული **ჰ** და **ვ**-ც: **ჰ** მიღებულია ი-ს დავიწროვებით ხმოვნის მეზობლად, ასევე **ვ** მიღებულია უ-საგან მსგავს პირობებში. აქა-იქ **ვ** და **ჰ** პოზიციურადაა განვითარებული ხმოვანთა შორის. ნახევარხმოვანთა მიმართება სათანადო ხმოვნებთან (**ჰ**-სი ი-სთან, **ვ**-სი უ-სთან) გვაპარაუდებინებს, რომ წარსულში **მ/ი**, **ვ/უ** სონანტები იყვნენ, რომლებიც პოზიციის მიხედვით რეალიზდებოდნენ როგორც მარცვლიანები ან უმარცვლოები.

ჩქამიერი თანხმონები. ჩქამიერ თანხმონთანა სისტემა სქემატურად ასე წარმოდგინება (ტაბულაში არ შემოდის ნახევარხმონები ა, ვ და სონორები რ, ლ, შ, ნ).

		ხშულ- მსკდომი			აფრიკატი				სპირანტი			
		ყრუ			ყრუ				ყრუ-ფშვ.			
		მკლ.	ფშინვ.	აბრუპტ.	მკლერი	ფშინვ.		აბრუპტ.		მკლერი	ძლიერი	სუსტი
						ძლიერი	სუსტი	ძლიერი	სუსტი			
ბაგისმიერი		ბ	ფ									
წინაენისმ.	კბილისმ.	ღ	თ	ტ								
	სისინა				ცა	ც	წა	წ	ხ	სა	ს	
	შიშინა			ჯ	ჩა	ჩ	ჭა	ჭ	შ	შა	შ	
უკანაენისმ.	წინა რიგი	ზ	ქ	კ	ჭა		კა				ხ	
	უკანა რიგი								ღ	ხა	ხ	
ფარინგალური					ქ		ყ		ჭ	ჭა		
ლარინგალური				ც							კ	
ლატერალური					ლ'		ტა			ლ'ა	ლ'	

ჩქამიერ თანხმონებს წარმოების ცხრა ადგილი აქვს: 1. ბაგეები (ბოთლიხურს წყვილბაგისმიერი არტიკულაცია აქვს. კბილბაგისმიერი არტიკულაცია უცხობა). ამ რიგში მხოლოდ ხშულმსკდომებია: ბ, ფ. 2. კბილები. ამ რიგშიც ხშულმსკდომებია: ღ, თ, ტ. 3. ენა-კბილები (წინა რიგი): ამ რიგში გვაქვს სისინა ზფრიკატები და სპირანტები: ცა, ც, ზ, ს და მისთ. 4. ენა-კბილები (უკანა რიგი). აქაც აფრიკატები და სპირანტებია წარმოდგენილი (შიშინები): ჩა, ჩ, ჭ, შ და მისთ. 5. უკანა ენა (resp. წინა რბილი სასა, პრეპალატალური რიგი). ამ რიგში გვაქვს ხშულმსკდომები (გ, ქ, კ), აფრიკატები (ჭა, კა) და ერთი სპირანტი (ხ). 6. უკანა ენა (resp. უკანა რბილი სასა ანუ პოსტველარული რიგი.

ზოგჯერ ამ რიგს უვეულარულს ეძახიან). ამ რიგში სპირანტებო იწარმოება: ლ, ხე, ხ. 7. ფარინგსი. ამ რიგში გვაქვს აფრიკატები და სპირანტები: ჯ, ყ, ჭ, ჰე. 8 ლარინგსი. ამ რიგისაა ერთი ხშულმსკდომი (ჟ) და ერთი სპირანტი (ჰ). 9. ლატერალური რიგი ოთხ თანხმოვანს მოიცავს (აფრიკატები ლ' და ტჲ, სპირანტები ლ' და ლ'ჲ).

ჩქამიერი თანხმოვანი შეიძლება იყოს მკლერი ან ყრუ. მკლერი შეიძლება იყოს ხშულმსკდომი ან სპირანტი (ჯ-ს შესახებ იხ. ქვემოთ). ყრუ თანხმოვნებში გამოიყოფა ფშვინვიერები და აბრუპტივები. დაპირისპირება აბრუპტივებსა და ფშვინვიერებს შორის გვაქვს ხშულმსკდომებსა და აფრიკატებში, არა გვაქვს სპირანტებში (ე. ი. აბრუპტივი არ შეიძლება იყოს სპირანტული შემართვის მქონე ჩქამიერი).

ხშულმსკდომები ჰომორგანულ თანხმოვანთა სამეულებს ქმნის (დ, თ, ტ; ზ, ქ, კ). ბაგისმიერი რიგი ნაკლულია (ბ, ფ. აკლია აბრუპტივი მ).

აფრიკატებისათვის დამახასიათებელია ოთხეულები: ცჲ, ც; წჲ, წ; ჩჲ, ჩ; ჰჲ, ჰ. ნაკლულია უკანაენისმიერ, ფარინგალურ და ლატერალურ აფრიკატთა რიგები: ქჲ, კჲ; ჯ, ყ; ლ', ტჲ (აკლია სუსტი კორელატები). ყველა აფრიკატი ყრუა (გამონაკლისს ქმნის ჯ, რომლის ფონემატური ღირებულება ექვს იწვევს).

სპირანტები სამეულებს ქმნის: ზ, ხე, ხ; ყ, შჲ, შ; ლ, ხე, ხ. ნაკლულია ფარინგალური (ჭ, ჰჲ) და ლატერალური (ლ'ჲ, ლ') რიგები. ცალეულითაა წარმოდგენილი უკანაენისმიერი რიგი (ხ'), აგრეთვე ლარინგალური რიგი (მ).

ყრუ აფრიკატებსა და სპირანტებს აქვს კორელაცია ძლიერი — სუსტი: ცჲ — ც. წჲ — წ, ჩჲ — ჩ, ჰჲ — ჰ, ხე — ხ, შჲ — შ, ხე — ხ, ლ'ჲ — ლ'. მაგალითები: ვაცეი „ძმა“, ციციი „ია“ ... ცებ „ერთი“; წა „ცეხლი“, ვაწა „მილწია“ ... წაჲ „წვინა“, მიწა „ტკბილი“; ჩაქჲ „ყვითელი“, აჩჲ „ჩრდილი“ ... მუჩი „ბანება, რეცხვა“, ზარჩე „იყინება“; ჰჲარდი „გაქცევა“, ჰარქჲ „ხმა“ ... ქიქვარ „ლაშაზი“, ლ'იქი „არ არის“; ხარდე „ტრიალებს“, ხაუდაბასი! „არ დალიო“! ... სიჲ „დათვი“, არსი „ვერცხლი, ფული“; შაიჲ „რძე“, მიშჲ „ჩაქრა“ შანშათა „თესავს“, ვაშა „ვაფი“; ბეხაჲ „დარჩა“, ეხა „შემდეგ“ ... ხური „ყანა“, ესუნ „მჭედელი“; ლ'აედი „ვინ“ (ერგატ.), ლ'აენი „წყალი“ ... ლ'იქი „არ არის“, ილულ'ი „რძელის“ (ნათ. ბრ.).

ამგვარი კორელაცია, რომელსაც ფონოლოგიური მნიშვნელობა აქვს, დაწახასიათებელია სპირანტულდმართვისანი ყრუ ჩქამიერებისათვის¹.

ის ყრუ აფრიკატი ან სპირანტი, რომელსაც საპირისპირო კორელატი (სუსტი ან ძლიერი) არა აქვს, ტაბულაში პირობითაა მიკუთვნებული ამა თუ იმ ჯგუფს, რამდენადაც ასეთი თანხმოვნები ნეიტრალურებს წარმოადგენენ (მაგ. ჯ, ყ, ხ', ტფ...), უკორელაციო ქჷ, კჷ, ჯ, ყ, ლ', ტფ, ხ' თანხმოვანთა კვალიფიკაცია როგორც ძლიერებისა ფონეტიკურ საფუძველს ეძყარება: ყველა ეს თანხმოვანი ფონეტიკურად ძლიერია².

თემინწევა ტენდენცია ფარინგალური და ლარინგალური რიგების გაერთიანებისა სპირანტებში. ასეთ შემთხვევაში ჰჷ ძლიერის, ხოლო ჰჷ მისი სუსტი კორელატის როლს კისრულობს.

ქჷ და კჷ ძლიერი აფრიკატებია, მათ არა აქვთ სუსტი აფრიკატი კორელატები (და არც წინათ ჰქონიათ. ისინი აფრიკატებს წარმოადგენენ რეალიზაციის მიხედვით³, ისტორიულად კი ხშულმსკდომ ქ-სა და კ-სთან — სათანადოდ — ქწნიდნენ კორელაციას როგორც ძლიერები).

ძლიერი და სუსტი თანხმოვნები განიცდიან პოზიციურ ნეიტრალიზაციას თანხმოვნის წინ, სხვაგვარად: თანხმოვნის წინ ძლიერთა და სუსტთა შორის ფონოლოგიური დაპირისპირება წოხსნილია, მაგ. იშვე „შინ“, ბესვე „უქან“...

ცალკეულ ბგერათა შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი:

¹ ძლიერ და სუსტ თანხმოვანთა ფონეტიკური და ფონოლოგიური რაობის შესახებ იხ. ნ. ტრებეცკოის გამოკვლევა: Studien auf dem Gebiete der vergleichenden Lautlehre der nordkaukasischen Sprachen. I. Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten der awarandischen Sprachen. Caucasica, 3, ლაიფციგი, 1926, გვ. 7 — 36.

² ამასვე უქერა თაარს ბოთლიბთოი კონსონანტიზმის ისტორია: ბოთლიბურმა დაკარგა სუსტი ფარინგალური და ლარინგალური აფრიკატები, რთა გამოც კორელაცია დაირღვა (მაგრამ კორელაციის დათენილ ძლიერ წვერებს ფონეტიკური ცედილება არ განუცდია): ქ — *ქჷ (დაიკარგა სუსტი კორელატი *ქ'), ყ — *ყჷ (დაიკარგა *ყ'), ლ' — ლ'ჷ (დაიკარგა სუსტი *ლ'). ბოთლიბურის თანხმოვანთა სისტემან ოიგი სხვა ცვლილებაც განიცადა. დაწვრილებით ცალკე.

³ ამჟამად ძლიერი ჩქამიერი შვიძლება რეალიზებულ იწნეს წოლოდ როგორც სპირანტულდმართვისანი, აჷან გამოიწვია წარმოშობით ძლიერ ხშულმსკდომ კჷ-სა და ქჷ-ს გააფრიკატება. ძლიერ თანხმოვანთა ფონეტიკური რეალიზაციის ხსენებული კანონზოიიერება ხოჷს ანდიუო ენაში (მაგ. ტინდაურში, ლოობერიულში) არ მოქმედებს.

გვხვდება მელერი შიშინა აფრიკატი ჯ: ჯავაბ „პასუხი“, ჯუჭუტავ „ებრაელი“; ჯე! „ეჰე!“ (შორისდ.), ჯუჯაპა „ჯოჯოხეთი“, ანჯი „მაჰაჩ-ყალა“, ხანჯარ „ხანჯალი“... ჯ ჩვეულებრივად ნასესხებ (მაგ. არაბულიდან) სიტყვებში გვაქვს, საკუთრივ ბოთლიხურ სიტყვებში მისი დადასტურება კირს. საყურადღებოა, რომ ჯ-ს თითქმის მუდამ ანლაუტში ვხვდებით, სხვა პოზიცია კი ფონეტიკურადაა აგრეთვე შეპირობებული (სონორის მომდევნოდ, მაგ. ხანჯარ, ან ისეთ სიტყვაში, რომელსაც ანლაუტში ჯ გვაქვს: ჯუჯაპა). ყველა შემთხვევაში (აქ ჩამოთვლილ მაგალითებშიც) ჯ შეიძლება შეიცვალოს უ-თი, ამდენად ჯ-ს ფონეტიკობა ბოთლიხურში საეჭვოა.

მეტად საეჭვოა ფარინგალური მელერი სპირანტის ჳ-ს ფონოლოგიური ღირებულება. ბოთლიხურში ჳ საერთოდ იშვიათია და სადაც დასტურდება, თითქმის მუდამ ნასესხებ სიტყვებთან გვაქვს საქმე: ჳამალ „ხასიათი“, ჳაყლო „ქქუა“, ჳამაჳათ „ჯამაათი, კრება“, აქაც მისი პოზიცია მტკიცე ვერაა: მას უცვლის. ორსამ შემთხვევაში ჳ საკუთრივ ბოთლიხურ სიტყვებშიც ჩანს (მაგ. ჳინდი „ძლომა“, ინდაჳალა „მუდამ“)...

იშვიათია ბოთლიხურში ჳ-ს ყრუ კორელატი ჳჰ-ც. მასაც ჩვეულებრივად ნასესხებ სიტყვებში (არაბულიდან, ხუნდურიდან) ვხვდებით¹, აქაც იგი ხშირად შეცვლილია ჳ-თი (მაგალითები: ჳაუქ-მუ „სჯა“, ჳგადაწყვეტილება“, რუჳჳედი „ძალიან“; „ბევრი“).

ბოთლიხურისათვის უცხოა ბაგისმიერი აბრუპტივი ჳ. პოზიციურად ის შეიძლება შეგვხვდეს ჳ-ს ნაცვლად აბრუპტივთან შეზობლობაში როგორც ფაკულტატური (და მეტად იშვიათი ხმარების) ვარიანტი მელერი ჳ-სი (მაგ. ტაიბტა←ტაიბტა „ჩანგალი“).

ც (ძლიერი ცჰ-ს კორელატი) გვხვდება ცებ „ერთი“ და მისგან ნაწარმოებ სიტყვებში. სხვაგან (თუ ხუნდურიდან უკანასკნელ ხანებში ნასესხებ სიტყვებს არ მივიღებთ მხედველობაში) ც-ს დადასტურება კირს².

ხ მოვანთა მაგარი შემართვა. ხმოვნით დაწყებულ ყოველ სიტყვას მაგარი შეძართვა აქვს: ყაჳჳა „გაიგონა“, ყახარა „ხვალ“, ყახი „ბალი“, ყეაღილა „ვინ“, ყერშინა „წელს“, ყეფილა „რისთვის“, ყიმა „მამა“, ყილა „ღედა“, ყიქაუ „მისცა“, ყიშტე

¹ ჳ-სა და ჳჰ-ს საკითხი ანალოგიურად დგას ანდიურ ენებში საერთოდ.

² ისტორიულად სავარაუდებელი ც ბოთლიხურში (და ანდიურ ენებში საერთოდ, გარდა ახვახურისა) გადავიდა სპირანტ ს-ში.

„შინ“, ცორსაა „გარეთ“, ცობოდი „კოცნა“, ცუდუ „იქ“, ცუნსა „ხარი“, ცუნში „მიწა, ნიადაგი“. რაკი ხსენებული მოვლენა უგამონაკლისაა, ჭვემით მისი სპეციალურად აღნიშვნა ზედმეტად ვცანით, მით უმეტეს, რომ სიტყვის თავში ხმოვნის წინ ყ ფონემატური ღირებულებას მოკლებულია¹.

ყ გვხვდება სხვა პოზიციამიც (ინლაუტში ხმოვანთა შორის): ვახცა „წავიდა“, ბაყი „ჩაღმა“, „წაკითხვა“, „ძახილი“, ბეყრა „წვრილი“... აქ მას აღენიშნავთ².

მახვილის საკითხი ხუნბურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენებში ჯერჯერობით შეუსწავლელია, ამიტომ იტყუებული ვართ რამდენიმე მომენტზე მითითებით დაგვმაყოფილდეთ.

თავისი ბუნებით ბოთლიხური მახვილი სუსტი დინამიკური ჩანს (თუმცა მაინც უფრო ძლიერია, ვიდრე ქართული მახვილი), იგი მოძრავია და მისი ადგილი ხშირად შეპირობებულია სათანადო სიტყვის მორფოლოგიური კატეგორიით. მაგალითად, მრავლობით რიცხვში დასმულ სახელგანში, როცა მრავლობითობას -დე სუფიქსი აწარმოებს. მახვილი ამ ფორმანტს ხვდება: ამბურდჷ „სახურავები“ ტიმიშიორდჷ „წარსები“... ასევე ნახვლიანია მრავლობითის ყ სუფიქსი: ხაგჷ „ქვაბები“, გედჷ „კატები“... როცა სახელს მრავლობითი რიცხვის -ბალჷ ფორმანტი ერთვის, მახვილი მოუდის იმ ხმოვანს, რომელიც ამ ფორმანტს უძღვის წინ: იმაბალჷ „მამები“, ჯუჩრბალჷ „წიგნები“, ჯაბაჯაბალჷ „გოგარები“. მრავლობითი რიცხვის ირიბ ბრუნებებში დასმული სახელები მახვილს იმავე მარცვალზე ინარჩუნებენ: გედდჷ „კატებმა“, ჯუჩრბალჷლი „წიგნების“ ამბურდჷრჷ „სახურავებიდან“.

სახელთა მხოლოობით რიცხვში ბრუნებისას მახვილი ხშირად იცეცის ადგილს: იმა „მამა“, იმუდი „მამამ“, იმუბ „მამის“. ასევე: ილა „დედა“, ილჷდი „დედამ“, ილჷლი „დედის“, ჭეკვა „კაცი“, ჭეკვაშაუდი „კაცმა“, ჭეკვაშაუბ „კაცის“.

¹ ის ამ ღირებულებას მოკლებულია ნიუხედავად იმისა, თუ რა წარმოშობისაა იგი ცალკეულ შემთხვევაში. მაგ. ცურშიელ „ხორბალი“ — ტურშიელ, ცუბუ „განიერი“ — ყუბუ, მაგრამ წარმოადგენს აქ ყ სხვა ბგერის (ტ. ყ) რეფლექსს თუ არა, ენაში ის გათანაბრებულია ციმა „მამა“. ციქჷუ „მისცა“, და მისთ. სიტყვათა ც-სთან, სადაც ყ ამჟამადაც და წარმოშობითაც ხმოვნის მაგარი შემართვაა და სხვა არაფერი.

² ასეთს პოზიციამი ც-ს ჩვეულებრივად დაკარგული თანხმოვნის ადგილი უჭირავს, მაგრამ ჩვენთვის ამჯერად ამას მნიშვნელობა არა აქვს.

პარალელურად გვხვდება ჰეკვაშოქდი, ჰეკვაშოქ — ამგვარი რყევა საერთოდაა დამახასიათებელი ბოთლიხურისათვის. ერთი რაშ მაინც ფაქტია — ბრუნენძისას მახვილი სუფიქსებისაკენ ინაცვლებს ადგილს.

შინაგანი კავშირი მახვილის ადგილსა და სიტყვის მორფოლოგიურ ფორმას შორის დასტურდება ზმნაშიც: ნამყო დროის ფორმაში მახვილი ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალს ეცემა (პრტჷ „თქვა“), ხოლო ამავე დროის აბსოლუტივის ფორმაში უკანასკნელ (ფორმანტიხულ) ხმოვანს (პიტჷ „თქვა რა“). ბრძანებითში მახვილი ბოლო მარცვალზეა (პიტჷ! „თქვი!“ ჯვარდ! „დაწერე!“), უკუთქმით ბრძანებითში ბოლოდან მესამეზე (პიტჷ-ბასიი! „არ თქვა!“, ჯვარდბასიი! „არ დაწერო!“). პირობით კილოში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდის (ჯვარდლა „თუ დაწერს“, ჯვარდუხვალა „რომ დაეწერა“, ჯვარდიჰალა „თუ არ დაწერს“).

როცა სიტყვას -მა კითხვითი ნაწილაკი დაერთვის, მახვილი ამ ნაწილაკის წინა მარცვალს ეცემა: ბუქამა? „იყო?“, ჯვარდიჰამა? „არ დაწერა?“. იმ შემთხვევაში, როცა -მა გამოყენებულია „ყოფნა“ ზმნის აწმყოს ფორმებში (ილა ლ'იმა? ილა ხუმა?) მახვილიანი ხმოვანია o (რდა ლ'იმა? რდა ხუმა? „არის?“). ბოთლიხურში გვხვდება -ში ნაწილაკიც, იგი ჩაკითხვისას (შებრუნებული კითხვისას) იხმარება. ეს ნაწილაკი მუდამ მახვილიანია (არუმრ? „აქა? განა აქა?“ ფატიმათიმრ? „ფატიმათი? ფატიმათიო ამბობ?“).

გვხვდება შემთხვევები, როცა ორი სიტყვა ერთმანეთისაგან მხოლოდ მახვილით განირჩევა:

ბეტჷრ	„ხვნა“	ბეტჷი	„გომური“
ჰატჷჷ	„სავარცხელი“	ჰატჷჷ	„კვირე“
მასა!	„უთხარი!“	მასა	„უთხრა“

ორმარცვლიან არსებით სახელებში ბოთლიხური გაურბის მახვილს ბოლო მარცვალზე:

ბოთლ.		შდრ. ხუნძ.
დადი!	„მამიკო!“	დადა!
ბაბუ!	„დედიკო!“	ბაბა!
რაჷრ	„ნიორი“	რაჷრ
გაგა	„კურკა“	გაგა
ყანწი	„ცმარი“	ყანწა
ლაგა	„სხეული“	ლაგა

ფონეტიკური ჰროცესები

ფუნქში ნაზალური ხმოვნის არსებობა იწვევს თავკიდური ბ-სა და რ-ს ასიმილაციას: ბ→მ, რ→ნ. ასიმილაციის შემდეგ ხმოვნის ნაზალურობა ქრება (ნაზალურობის ელემენტი იკარგება). ეს პროცესი განსაკუთრებით ნათლად ჩანს გრამატიკული კლასის ნიშნებში. ბოთლიხურიც ბ მესამე გრამატიკული კლასის ნიშანია მხოლოებით რიცხვში, აგრეთვე არაცოცხალთა კლასის ნიშანი მრავლობითში, რ კი მრავლობით რიცხვში გვაქვს ცოცხალთა კლასის ნიშნად. მაგ.:

მხოლოდითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

I კლ. ვ - ეთა „დატოვა“ (მამაკაცი)

რ-ეთა „დატოვა“ (ცოცხლები)

II კლ. ა - ეთა „დატოვა“ (ქალი)

III კლ. ბ - ეთა „დატოვა“ (ნივთი, ცხოველი)

ბ-ეთა „დატოვა“ (არაცოცხლები)

ნაზალურხმოვნიან ფუნქებში მოსალოდნელი ბ-ს ნაცვლად ჰომორგანული ნაზალური მ გვაქვს, რ-ს ნაცვლად კი ნ. ასეთი ზმნებია, მაგალითად, ვისი „ნაბვა, პოვნა“, ვახი „დაბადება“, ეული „ზრდა“, ვილი „წაგება“, ვახი „წასვლა“, ვიში „გამარჯვება“, ვიხაა „სიძულელი; აკრძალვა“; ვახი „შეკვრა“, ვიჟაჟა „გადაყლაპვა“ და სხვ. (მოყვანილია ინფინიტევები I გრამატ. კლასის ფორმით).

საილუსტრაციო მაგალითები

- | | | |
|--------|---|--|
| მხ. რ. | { | I კლ. ვისა „ნახა“ (მამაკაცი)
II კლ. ვისა „ნახა“ (ქალი)
III კლ. მისა (←*ვისა) „ნახა“ (ნივთი, ცხოველი...) |
| მრ. რ. | { | ცოცხ. ნისა (←*რისა) „ნახა“ (ცოცხალი)
არაცოცხ. მისა (←*ვისა) „ნახა“ (არაცოცხალი) |
| მხ. რ. | { | I კლ. ვახა „წავიდა“ (მამაკაცი)
II კლ. ვახა „წავიდა“ (ქალი)
III კლ. ვახა (←*ვახა) „წავიდა“ (ცხოველი, ნივთი) |

მრ. რ. { ცოცხ. ნაცა (←*რაცა) „წავიდნენ“ (ცოცხლები)
 { არაცოცხ. მაცა (←*ბაცა) „წავიდნენ“ (არაცოცხლები)

მხ. რ. { I კლ. ჭიკოუ „გადაულაპა“ (მამაკაცი)
 { II კლ. ღიკოუ „გადაულაპა“ (ქალი)
 { III კლ. მიკოუ (←*ბიკოუ) „გადაულაპა“ (ცხოველი, ნიეთი)

მრ. რ. { ცოცხ. ნიკოუ (←*რიკოუ) „გადაულაპა“ (ცოცხლები)
 { არაცოცხ. მიკოუ (←*ბიკოუ) „გადაულაპა“ (არაცოცხლები)

მღრ. გამოთქნებსა და წინადადებებში: გოშოუ ვისა ეხუნ „მან ნახა მქედელი“, გოშოუ ღისა ფატიმათი „მან ნახა ფატიმათი“ (ფატიმათი ქალის სახელია), გოშოუ მისა გედუ (ჭუჩა) „მან ნახა კატა (წიგნი)“, გოშოუ ნისა ეხუნდე (გეშილ, გედე) „მან ნახა მქედლები (ქალები, კატები)“, გოშოუ მისა ჭუჩიბალ'ი „მან ნახა წიგნები“.

როგორც ჩანს, ასიმილაცია ნაწილობრივია და კონტაქტური. ვ და ჯ (კლასის ნიშნები) ცვლილებას არ განიცდის, რადგან მათ არ მოეპოვება ჰომორგანული ნაზალური თანხმოვანი.

ამრიგად, ბოთლიხურში გვაქვს გრამატიკული კლასის ნიშნებად მ და ნ, რომლებიც გრამატიკული კლასის ნიშნების ბ-სა და რ-ს ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენენ¹.

ნაზალური ხმოვანი იმსგავსებს მომდევნო ბ-საც (აგრეთვე რ-ს). მაგ.:

მხ. რ. { I კლ. ვამა! „წადი!“ (←*ჟაე-ბა!)²
 { II კლ. ღამა! „წადი!“ (←*ჯაე-ბა!)
 { III კლ. მამა! „წადი!“ (←*ბაე-ბა!)

მრ. რ. { ცოცხ. ნამა! „წადით“ (←*რაე-ბა!)
 { არაცოცხ. მამა! „წადით“ (←*ბაე-ბა!)

ასევე: ვამასი! „არ წახვიდე!“ (←*ვაბეასი!) ღამასი! „არ წახვიდე!“ (←*ჯაბეასი), მამასი! „არ წახვიდე!“ (←*ბაბეასი), ნამასი! „არ წახვიდე!“ (←*რაბეასი...).

¹ შედარებითი ანალიზი რიგ სხვა შემთხვევაშიაც აქვს ანალოგიური წარმოშობის მ-სა და ნ-ს (ხშირად გაქვეყნებულს) როგორც ბოთლიხურში ისე სხვა ენაშიც.

² -ბა ბრძანებითის ნიშანია: ვუკუ-ბა! „იყავ!“ ლო-ბა! „მოდო!“.

აჟ→აი: აიკა „იყო“←აჟკა (შდრ. III კლ. ბუკა)
აითაჟ „გადენა“, „გარეკვა“←აჟთაჟ (შდრ. III კლ. ბუთაჟ).
აიხლი „წაგება“, „კმარება“←აჟელი (შდრ. II კლ. მული).

ჩამოთვლილ მაგალითებში ა II გრამატიკული კლასის ნიშანია, ყველა სხვა კლასში უ დაცულია. პროცესი აჟ→აი სისტემატური არ არის¹.

დასტურდება ხმოვანთა ასიმილაციის ცალკეული ფაქტები: რუჭული←რიჭული² „დროს“ (ზმნისართი, ერგატ. ფორმა სიტყვისაგან რიჭუ „დრო“), ქომოქ←ქომაქ „დახნარება“.

-აჟ → -ო (ასიმილაცია-შერწყმა) აბსოლუტურ ბოლოში გ (I გრამატ. კლასის ნიშანი) ერწყმის წინამავალ ა-ს და ვიღებთ ო-ს აჟ→ო ხშირია (მაგრამ არა სისტემატური).

ხუჯო „კარგი“←ხუჯავ (შდრ. II გრამატ. კლ. ხუჯავ).

ვიჯო „მკვდარი“←ვიჯავ (შდრ. II კლ. აიჯავ).

ვეშთო „გაშვებული“←ვეშთავ (შდრ. II კლ. აეშთავ).

კეჟლო „შეორე“←კეჟლოავ (შდრ. II კლ. კეჟლოავ).

ანალოგიური ცვლილება ხდება კაუზატიური ზმნის ნამყოს ფორმებში: კაუზატივის ა და ნამყო დროის უ იძლევა ო-ს (-აჟ→ო):

ბეტეო „მოახვევინა“ ← *ბეტე-ა-უ (შდრ. ბეტე-უ „მოხნა“, ბეტე-ა ა „მოხვევინება“).

იპო „გააკეთებინა“ ← *იპ-ა-უ (შდრ. იპ-უ „გააკეთა“, იპ-ა-ა „გაკეთებინება“).

ხაუდ-ო „ასვა, დააღვივნა“ ← *ხაუდ-ა-უ (შდრ. ხაუდ-უ „დაღვია“, ხაუდ-ა-ა „დაღვივნება“).

ჰალ-ო „აჩვენა“, „დაანახვა“ ← *ჰალ-ა-უ.

ინქე-ო „აჭამა“ ← *ინქე-ა-უ.

ორი ხმოვნის შეხვედრამ (ჩვეულებრივად სიტყვათა შესაყარზე) შეიძლება გამოიწვიოს ფაკულტატური ცვლილება. ეს უპირატესად შეიმჩნევა იდა „არის“ მეშველი ზმნის დართვისას ხმოვნით დაბოლოებულ წინამავალ სიტყვაზე: ბუკი იდა || ბუკი და || ბუკი-და „იქნება“, ჰალი იდა → || ჰალიდა → || ჰალიდა „ნახავს“ (ი+ი→ი || ი)... ბუკა იდა → || ბუკიდა „იყო“; ჰალა იდა → || ჰალიდა „ნა-

¹ ალბათ ა-ს გაღვნითა ა შეცვლილი ე-დ სიტყვაში აჟში (— *აჟი) „ქალიშვილი“ (შდრ. ვაშა „აჟი“).

² ზ-ს დაკარგვით: რუული || რული.

ბა“ (ა + ი → || ი)... ჰიტესუ ილა → || ჰიტესუდა „თქვა“, იქესუ ილა → || იქესუდა „მისცა“ (უ + ი → || უ, დაკარგულია ი)... ჰალო ილა → || ჰალოდა „აჩვენა“, ინქეო ილა → || ინქეოდა „აკამა“ (ო + ი → || ო). როგორც ჩანს, იკარგება ხმოვნის მომდევნო ი.

ე + ა (უკეთ: -ეცა-) სწორად მეტყველებებაში ე | ე-ს იძლევა: ჰეცა → || ჰე, ჰეც „ზევით“, სეცა → || სე | სეც „წინ“, რეცალა → || რელა „ხელიც“.

ა + ა → || ა: იპათ(ა) ილა ← იპა - ათა ილა „აკეთებინებს“.

მაღალი აწეულობის ხმოვნები ი და უ ვიწროვდებიან ა - დ და გ - დ (სათანადოდ) ხმოვნებთან მეზობლობაში: ჯვარდაა „დაწერიანება“ ← ჯვარდ - ა - ი (შდრ. ჯვარდ - ი „წერა“)... სურაბიე „ცუდად“ ← სურაბი - უ (შდრ. უ ნამყოს აბსოლუტივებში), კათვაბი „ცხენები“ ← კათუ - ა - ბი (შდრ. მხ. კათუ), ბელვე „საბძლები“ ბელუ - ე; შდრ. მხ. ბელუ)¹.

თანხმოვანი + გ კომპლექსზე დაბოლოებული ზმნური ფუძეები ი ხმოვნის დართვისას (მაგ. ინფინიტივში, ბრძანებითში)... ვი კომპლექსს ცვლიან უ ა კომპლექსით (ასეთი ა გამოითქმის როგორც უმარცვლო მოკლე ა: უნ), მაგ. ინქუა „კამა“, „კამე!“ (ზმნის ფუძეა ინქე-) ნიკჟუა „ყლაპვა“ (ზმნის ფუძეა ნიკჟე-), მაკჟუა „კერვა“ (ფუძეა მაკჟე-), ბეყუა „ხმობა“, „შრობა“ (ფუძეა ბეყე-)².

ლ'ი — ლ' → ლ' — ლ' (დისტანციური რეგრესული ასიმილაცია) სისტემატურია ნათესაობითისა და ადგილობრივი ბრუნვის ფორმებში, როცა სათანადო სიტყვის ირიბ ბრუნვათა ფუძე ნაწარმოებია ლ'ი- ელემენტით: ეფილილი „ქალიშვილის“ (← ეფი- ლ'ი- ლ'ი, შდრ. ეში- ლ'ი- დი „ქალიშვილმა“...)... ბეჭერლილი „შავის“, „შავში“ (← ბეჭერ- ლ'ი- ლ'ი, შდრ. ბეჭერ- ლ'ი- დი „შავმა“...)... ჰალ'ილი „ამის“, „ამისი“, „ამაში“ (← ჰალ'ი- ლ'ი, შდრ. ჰა- ლ'ი- დი „ამან“).

¹ აღბათ. ასეთი გზა აქვს გავლილი (აუ — აე) კაუზატივთა ნამყო დროის ფორმება: ჯვარდა „დაწერინა“ — ჯუარდაუ (ჯვარდა - ე - ის გავლით). შდრ. ზემოთ აე — ო პროცესის შესახებ.

² ამ პროცესის ორგვარი სავარაუდოდ ახსნა შეიძლება წარმოვადგინოთ 1. ვი — უნ — ხდება ე-ს ვოკალიზაცია ი-ს გაუმარცვლოვანების ხარჯზე. 2. ვი — უ (ე. ი. მიკჟეი — მიკჟე, როგორც ეს გვაქვს, მაგ., ლოდობერიულში ინფინიტივის ფორმაში. საერთოდ ვი — უ ანდიურ ენებში გავრცელებულია), შემდგომ ხელახლა დაერთო ი უკვე ა-ს სახით (რადგან ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს მოსალოდნელი ი-ს ნაცვლად ა მოუდით ხოლმე. მაგ., იპ-ი „კეთება“: მაგრამ იპა-ა — იპ-ა - ი „გაკეთებინება“), ე. ი. მიკჟე - ი — მიკჟე — მიკჟე-ა.

ბმ → ზმ (სრული რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია). სისტემა-
ტური ხასიათისაა. ლიკამმა? „მოვა?“ ← ლიკაბ - მა (შდრ. ლი-
კაბ „მოვა“ III კლ., შდრ. ლიკომა? „მოვა?“ I კლ.).

ნბ → მ (ასიმილაცია და შერწყმა). ჩვეულებრივია, როდესაც ნ (ან
ნაზალიზებული ხმოვნით) დაბოლოებულ ფუძეს დაერთვის ბ
თანხმოვნით დაწყებული აფიქსი: ყუჭემალ'ი „ტომრები“ (←ყუ-
ჭენ - ბალ'ი: ყუჭენ „ტომარა“, - ბალ'ი მრ. რ. სუფიქსი, მაგ.
ჭუჩა „წიგნი“, მრ. ჭუჩი - ბალ'ი „წიგნები“), რეგემალ'ი „ჯო-
გები“ (← რეგენ - ბალ'ი).

რლ → ლლ (სრული კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია):
ვუკილ - ლა ← ვუკირ - ლა „ყოღნაც“ (ვუკირ — მასღარი, - ლა
ნაწილაკი „ც“).

ბგერთკომალექსები შხ და სხ ბოთლხურონი ხნირად შჟ და
სჟ-ში (სათანადოდ) გადადის: იწჟე „შინ“ ← იშ ხე (შდრ. იშინხე
„ჩვენთან“); მასჯარა „ხუმრობა“ (← მასხარა).

შეინიშნება თანხმოვანთა დაკარგვის ცალკეული შემთხვევები:
ბეედუ ← ბებედუ „დაუძახა“, „დაიყვირა“; ღვანეკვა ← ღუანეჰეკვა
„პატრონი“, „ქმარი“ (კომპოზიტ: ღვანი „თავი“, ჰეკვა - „კაცი“,
„მამაკაცი“). ეფიკვა (← ეში + ჰეკვა) „ქალიშვილი“ (კომპოზ.:
„ქალიშვილი“ + „კაცი“, „ადამიანი“). მი ← || შინ „შენ“, ინდუდა
← ინდუდი - და „თეთრონვე“ (ერგატ. მრ. რ.). ჰუროდი „იმ დროს“
← ჰუბ რიჰუდი. მასაჭათი „ამ საათში“, „ახლავე“ ← მამ საჭათი.

ხმოვანთა რედუქცია ინლაუტში სპორადულად - ლა გვსდება,
მაგ. ერშინა „წელს“ (← ე - რეშინა). შდრ. რეშინ „წელი“. ჩვეუ-
ლებრივად იკარგება ა პირებით კილოში, როცა მას ლა ნაწილა-
კი დაერთვის: ბუკიჰალა „რომც არ იყო“ ← ბუკიჰალა-ლა (ბუკი-
ჰალა „თუ არ იყო“, ლა - ნაწილაკი „ც“), ბუკალა „თუკი იყო“ ←
ბუკალა - ლა და მისთ.

ი ან ჰი მარცვლებით დაწყებული ზოგიერთი ზმნა ფაქულტა-
ტურად იხმარება ამ მარცვლების გარეშეც: იქაი „მიცემა“: იქაი-
თა ილა || ქათა ილა „აძღვეს“, იქაიუქი || ქაიუქი „არ მისცემს“,
იქაი! || ქაი! „მომეცი“... იბხი „აღება“, „ყიდვა“: „იბხი || ხი (ინფი-
ნიტ.) იბხვა || ხუა „აიღე!“ იბჩი „აყვანა“, „წაყვანა“: იბჩი || ჩი (ინ-
ფინიტ.) იბჩა! || ჩა „წაიყვანე!“... ჰინლუჟ „მოსვლა“: ლობა! ← ლუა-
ბა! „მოდის!“ (*ჰინლუბა!) ჰინლვა || ღვა „მოვიდა“, ჰინლუქი || ღე-
უქი „არ მოვა“, ღვალ'ა ილა „მოდის“ (ჰინლუალ'ა ილა ხელოვ-
ნურ ფორმად ითვლება)... ჰიტაი „თქმა“: ჰიტათა ილა || ტა-
თა ილა „ამბობს“... ჰიბწი „ავსება“: წათა ილა „ავსებს“... ამგვარი

პარალელური ფორმა იხმარება არა ყველა ნაკვთში (მაგ., ნამყოს ფორმებში დადასტურებული არაა)¹... იბსი, იბჩი და ჰიბწი ზმნებში ბ გრამატიკული კლასის ნიშანია.

იშვიათად იპი „კეთება“ ზმნაც გვხვდება ანლაუტის 0-ს გარეშე (სწრაფ მეტყველებაში): იაეუჭი || პეუჭი „არ აკეთებს“².

თანხმოვანთკომპლექსები ბოთლიხურში იშვიათია. ინლაუტში ხმოვანთა შორის შეიძლება შეგვხვდეს თანხმოვანთკომპლექსი, ოღონდ ჩვეულებრივად კომპლექსის ერთ-ერთი წევრი სონორია (ან ბ)³: ინჩუ „ვაშლი“, ლანდი „ყვავი“, ტურდი „ცეკვა“, ყანწი „ძმარი“, არსი „ვერცხლი“, ბერქა „გველი“, ფურცაუ „გუთანი“, ყარყა „კვერი“, ტიბტა „ჩანგალი“.

ნასესხებ სიტყვებში ანლაუტისეული კომპლექსი გაიხლიჩება ან ინლაუტისეულად გადაიქცევა წინ ხმოვნის დართვით: ბირგადირ ← რუს. бургалир „ბრიგადირი“, ფერსედათელ ← რუს. председатель „თავმჯდომარე“, ისქილად ← რუს. скляк „საწყობი“, ისფიშქა ← რუს. смички „ასანთი“, უსთურ ← რუს. стоа „მაგიდა“, უშქულ ← რუს. школа „სკოლა“⁴.

საკმაოდ ხშირია (განსაკუთრებით ახალი თაობის მეტყველებებში) რ-ს განვითარება ჩქამიერი თანხმოვნის წინ ინლაუტში: ჰებერსიი „ტყუილი“ ← ჰებესიი (შდრ. ხუნდ. ჰერესიი)... ფარხნი „სპილენძი“ ← ფახნი (შდრ. ხუნდ. ფახნი)... ფირწი „კევი“ ← ფიწი (შდრ. ხუნდ. ფიწი)... ლურწუ „მაშა“, „გაზი“ (შდრ. ხუნდ. ლეწ).

თანხმოვნის (განსაკუთრებით ჩქამიერის) წინ მ და ნ ცხვირისმიერი სონორები ერთმანეთთან მონაცვლეობენ. ეს მონაცვლეობა ფაკულტატურია (მაგრამ ცალკეული მოქმედები ან მ-ს ხმარობენ, ან კიდევ ნ-ს). სანდუ || სამდუ „ერთად“, „თან“, ლანდი || ლამდი „ჭამა“ (ინფ.), განდუ || გამდუ „მოსწია“, კანწილა || კამწილა „მეორედ“, თანწა || თამწა „ჭიანჭველა“, ინჩუ || იმჩუ „ვაშლი“.

¹ კვეცილი ფორმები შესაძლებელია ექსპარესიულ ნიადაგზე იყოს წარმოშობილი.

² მონათესავე ენებთან შედარება ბოთლიხურში ხშირად ავლენს ანლაუტში „ზედმეტ“ ბ-ს, ან ბ-|-ხმოვანს სხვადასხვა გზით წარმოშობილს (მეტწილად განვითარებულს).

³ როგორც წესი, ეს წევრი წინ უსწრებს კომპლექსის მეორე წევრს, ჩქამიერს. ასეთი მდგომარეობაა აუსლაუტშიც.

⁴ იხ. აგრეთვე (ლ+თანხმ., სხ, შხ კომპლექსების შესახებ). სხვა კომპლექსთაგან საკუთრივ ბოთლიხურ სიტყვებში შედარებით გავრცელებულია შთ: (ბიშთი „ოქვენ“, ბეშთი „გაშვება“, იშთედა „ხუთი“, იშთა — „როგორ“).

თანხმოვნის წინ ლ → რ (თანხმოვანთა ასეთი შეხვედრა ინ-
ლაუტშია შესაძლებელი):

ტორგუ, ტორგუ-და „ყველა“, „სულ“ (← ხუნდ. ტოლგო, ტოლგუ), კარტა „ზღურბლი“ (← ხუნდ. კალტა), ჰაარტი, პარტი „მუშაობა“, „შრომა“ (← ხუნდ. ჰაალტი), არხულ „გარეული“, „ველური“ (← ხუნდ. ჭალხულ).

მიარსული კილოკავის ფონეტიკურ თავისებურებათა შესახებ

მიარსუს მეტყველებას აულ ბოთლიხის მეტყველებისაგან გან-
სხვავებით რიგი თავისებურება აქვს. ეს განსხვავებაც მეტწი-
ლად ფონეტიკურია, მაგრამ სხვა ხასიათის თავისებურებებიც არაა
იშვიათი. ხაზგასასმელია, რომ ის, რაც მიარსულს ბოთლიხურისა-
გან განასხვავებს, უმეტეს შემთხვევაში ლოდობერიულთან პოუ-
ლობს საერთოს (ეს ასეა ფონეტიკაშიც, მორფოლოგიაშიც, ლექ-
სიკაშიც).

პირველი გრამატიკული კლასის ვ ნიშნის მომდევნოდ მოსა-
ლოდნელი ი-ს ნაცვლად უ გვაქვს, ე-ს ნაცვლად კი ო (resp. ვ-ს
მომდევნოდ არალაბიალური ხმოვნები იცვლება შესაბამისი ლაბი-
ალურით): ვუკა „მოკვდა“ (I კლ.). შდრ. დიკა (II კლ.), ბიკა (III
კლ.), რიკა (მრ. რ.); ვული „გაჩერდა“ (I კლ.) შდრ. დილი (II
კლ.), ბილი (III კლ.), რილი (მრ. რ.); ვუნსა „ნახა“ (I კლ.) შდრ.
დინსა (II კლ.), მისა (III კლ.), ნისა (მრ. რ.)... ვოცაიხი „გაუ-
ხარდა“, შდრ. დეცაიხი (II კლ.), ბეცაიხი (III კლ.). რეცაიხი
(მრ. რ.); ვოსტა „უკან“ (I კლ.), შდრ. დესტა (II კლ.), ბესტა (III
კლ.), რესტა (მრ. რ.); ვოლ'ა „წავიდა“ (I კლ.), შდრ. დელ'ა (II
კლ.), ბელ'ა (III კლ.), რელ'ა (მრ. რ.); ვოშთა! (I კლ.) „გამიშვი!“
შდრ. დეშთა! (II კლ.), ბეშთა! (III კლ.), რეშთა! (მრ. რ.); ვოთა
„დატოვა“ (I კლ.), შდრ. დეთა (II კლ.), ბეთა (III კლ.), რეთა
(მრ. რ.)¹.

ხმოვანთა შეხვედრა სიტყვათა შესაყარზე მიარსულში ისეთ-
სავე შედეგებს იძლევა, როგორც ბოთლიხურში. განსხვავებას ქმნის
ა + ი, რომელიც ბოთლიხურში ი-ს იძლევა (იხ. ზემოთ), მიარსულ-
ში კი ა-ს: ბუკა იდა → ბუკადა „იყო“, ვუნსა იდა → ვუნსადა „ნა-
ხა“. ამრიგად, მიარსული ყველა შემთხვევაში მომდევნო ი-ს კარ-

¹ შესაძლებელია ვი- → ვუ-, ვე- → ვო-.

გაგს (შდრ. საკ. ბი.ალინური: ა + ი → ი, მარგამ უ + ი → უ...
მიარსული: ა + ი → ა, უ + ი → უ...).

ზ + ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ირიბ ბრუნვებში ფუ-
ძის მაწარმოებელ შიუ და ლ'იი ელემენტების წინ კარგავენ ბოლო-
კიდურ ხმოვანს, რის გამოც იქმნება თანხმოვანთა კომპლექსი შშ
და შლ'ი (ეს უკანასკნელი იძლევა შშ-ს, თ ფონემა არ არის).
ხმოვნის ამგვარი რედუქცია ფაქულტატურია:

სახ. ვაშა „ვაეი“

ერგ. ვაშა - შიუ - დი → || ვაშ - შიუ - დი

ნათ. ვაშა - შიუ - ბ → || ვაშ - შიუ - ბ

მიც. ვაშა - შიუ - ღ → || ვაშ - შიუ - ღ

სახ. აეში „ქალი“

ერგ. აეში - ლ'იი - დი → || აეშ - ლ'იი - დი → აეშ - თი - დი

ნათ. აეში - ლ'იი - ლ'ი → || აეშ - ლ'იი - ლ'ი → აეშ - თი - ლ'ი

მიც. აეში - ლ'იი - ღ → || აეშ - ლ'იი - ღ → აეშ - თი - ღ

ხმოვნის რედუქცია მიარსულში უფრო ძლიერია, ვიდრე საკ-
ბოთლიხურში. მოყვანილ მაგალითებს მიარსულში სხვაც ემატება,
მაგ., რთულ რიცხვით სახელებში ელემენტი -წალიდა (საკ. ბოთლ.)
მიარსულში წარმოდგენილია როგორც -წალდა: ჰაბუწალდა „30“
(საკ. ბოთლ. ჰაბუწალიდა), ბუწალდა „40“ (საკ. ბოთლ. ბუღუ-
წალიდა)...

ზმნისართი რიჰული → რიუდი, რიჰული → რუჰული → რუუდი →
რუდი „ღროს“ (საკ. ბოთლიხურში ყველა ფორმა გვაქვს), მიარ-
სულში იძლევა რდი-ს: ბულ'არდი „როცა გათაედა“ (შდრ. საკ.
ბოთლ. ბულ'არიუდი).

ბაგისმიერი მკლერები ზ და მ ინტერვოკალურ პოზიციაში
ხშირად კარგავენ ხშვის მომენტს, რის შედეგად ზ → ვ, უფრო
იშვიათად (სწრაფ ზეტყველებაში) აგრეთვე მ → ვ, აქა - იქ ზ უკვა-
ლოდაც იკარგება. ზ - ს ამგვარი ცვლილებები დამახასიათებელია
მრავლობითი რიცხვის - ბალ'ი სუფიქსისათვის.

თაჰივალ'ი (← თაჰიბალ'ი) „კვიცები“, წეკვალ'ი (← წეკა-
ვალ'ი ← წეკაბალ'ი)¹ „ფეხები“, ცუნივალ'ი (← ცუნიბალ'ი) „თაფე-
ბი“, რატჰივალ'ი (← რატჰიბალ'ი) „ძვლები“, რეცვალ'ი (← რეცა-
ვალ'ი ← რეცაბალ'ი) „ხელები“, ჰანყვალ'ი (← ჰანყვა ვალ'ი ← ჰან-

¹ ჯერ ზ → ვ, შემდეგ კი მეტათეზისის გზით ვ წინა თანხმოვანს მიყ-
კვლა.

ყვაბალ'ი) „სახლები“, ნალ'ი (← ნაელ'ი ← ნაბალ'ი) „ნივთები“, ჰეკეუშო (← ჰეკეუშაშო [უ] ← ჰეწუშაშო) „ბეჭედი“, ადავალ || ადუვალ (← ადამალ) „ადამიანები“.

თანხმოვნის მომდევნო ვ ხშირად უკვალოდ იკარგება (დელაბილიზაცია):

ნაკი „შეჯღომა (ცხენზე)“, ნაკაკა „შესხდნენ (ცხენებზე)“. შდრ. საქ. ბოთლ. ნაკუე „შეჯღომა (ცხენზე)“, ნაკვაკვა „შესხდნენ“... ინქი „კამა“, შდრ. საქ. ბოთლ. ინქე — (ინჟინ. ინქუე), ბექი „დაკვლა“, შდრ. საქ. ბოთლ. ბექე — (ინფ. ბექუე), კიანდი „პარსეა“, შდრ. საქ. ბოთლ. კივანდი, ხაბუ „წისქვილი“, შდრ. საქ. ბოთლ. ხვანბუ, ქუნტეკა „მამაკაცი“, შდრ. საქ. ბოთლ. ქუნტეკვა-საყურადღებოა, რომ ზოგჯერ მოსალოდნელი თანხმოვანი + ვ წარმოდგენილია როგორც ჯ + თანხმოვანი:

ბეყვი „ხმობა“, „შრობა“ (შდრ. ბოთლ. ბეყვ-), ბეჟი „დავიწყება“ (შდრ. ბოთლ. ბეჟ-)¹.

მაგრამ პარალელურად დასტურდება უბრალოდ დელაბილიზებული ფორმები: ბეყი „გახმა“, ბეყა „გაახმო“.

ცალკეულ შემთხვევებში დასტურდება ვ-ს შერწყმა ნომდევნო ა ხმოვანთან: ყუნი „თავი“ (← ყვანი, შდრ. საქ. ბოთლ. ღვანი), ყუნდი „ანი“ (აულია) ← ყვანდი (შდრ. საქ. ბოთლ. ღვანდი), — ხოლა ნაწილაკი (← -ხეალა, შდრ. ბოთლ. -ხვალა; შდრ. მიარს. ბასახოლა „თუნდაც თმა“, „თმა მაინც“, საქ. ბოთლ. ბასახვალა იმავე მნიშვნ.).

სხვა მაგალითების მიხედვით ასეთი მოვლენა სავსებით უცხო არც საქ. ბოთლიზურისათვისაა (მაგ. ლობა! „მოდი!“ ← ღვანა!).

ბღ → ღ (ღ გამოითქმის მცირე დაყოვნებით, ღ-საგან განსხვავებულ ცალკე ფონემას არ წარმოადგენს)²: ხადუ იდა „ლია“ (შდრ. საქ. ბოთლ. ხუბადუ იდა), ქადუდა „დაარტყა“ (შდრ. საქ. ბოთლ. ქაბდუ იდა), ჰიდი „შიში“ (შდრ. საქ. ბოთლ. ჰიბდი), ჯადი — „გახლეჩა“, „გაპობა“ (შდრ. საქ. ბოთლ. ჯაბდი), ხვადი „ძაღვები“ (← ხუბადი).

თანხმოვნის წინ ბ-ს საერთოდ აქვს დაკარგვის ტენდენცია (შდრ. ქვემოთ. მიარს. იხი — ბოთლ. იბხი „აღება“ და სხვ.); ამით-

¹ ლოდობერიულში დასტურდება თანხმ. + ვ — ვ + თანხმ.: ბეყვ — „გახმობა“; ბეჟი — „დავიწყება“.

² ლოდობერიულში ბღ — ბ (საქ. ბოთლ. ჯაბდი, მიარს. ჯადი, ლოდ. ჯაბი „პობა, ხლეჩა“, საქ. ბოთლ. ხვადი, მიარს. ხვადი, ლოდ. ხვაბი „გაღება“)...

ვე აიხსნება მიარს. ეხულა „რა“ (მღრ. ბოთლ. ებ-ხულა „რა“),
 ჯაბადი „დაგლეჯა“, „გახევა“ (მღრ. ბოთლ. ჯაბადი. იხ. აქვე ზე-
 მოთ ჯადი ← ჯაბდი).

კითხვითი ნაწილაკი ბა (რომელიც საკ. ბოთლ. მა ნაწილაკის
 ფარდია) იწვევს უარყოფითობის ჰ ელემენტის გამეღერებას (ჰ→ჯ
 მომდევნო ბა-ს გავლენით): ხუჰი „არ არის“ — ხუჯუბა? „არ არის?“
 (მღრ. საკ. ბოთლ. ხუჰი, ხუჰიმა?), ბუყიჰი „არ მოჭრა“ — ბუყი-
 ჯუბა: „არ მოჭრა?“ (მღრ. საკ. ბოთლ. ბუყიჰა, ბუყიჰამა?).

ი-, ჰი- მარცვლებით დაწყებულ ზმნებში ამ მარცვლების ფა-
 კულტატური მოკვეცა, რაც საკ. ბოთლიხურს ახასიათებს, მიარსუ-
 ლისათვის არ არის ჩვეულებრივი. სამაგიეროდ მიარსულისათვის
 ნიშანდობლივია „მეტათეზური წყობის“ (იხ. გრამატიკული კლასე-
 ბის საკითხი) კლასის ნიშანთა დაქარგვა:

მიარსული

იხი	„აღება, ყიდვა“
იჩი	„წაყვანა“ (მხ. რ.)
იჩი	„წაყვანა“ (მრ. რ.)
ჰიწი	„ავსება“

საკ. ბოთლიხური

იხი	
იბჩი (მხ. რ.)	
ირჩი (მრ. რ.)	
ჰიბწი	

ზოგჯერ საკუთრივ ბოთლიხურის ღ - ს ნაცვლად მიარსულში
 .ჟ გვაქვს (განურჩევლად პოზიციისა)¹:

მიარსული

ჰაჟი	
ნაო (← ნაჟარ)	
მუჟი	
ჰუნჟი	
ჟუნი (← ჟვანი)	
ბო (← ბუჟა)	
ბუ(ჟ)ულა	
ბეჟი	
შოჟ (შოჟი)	
- ოლა	

საკ. ბოთლიხური

„დანახვა“	ჰალი
„ნივთი“	ნალარ
„ზრდა“; „კმარება“	მული
„მოსვლა“	ჰინლუჟ
„თავი“	ლვანი
„ბერი“	ბულა
„ოთხი“	ბულულა
„კოდნა“	ბელი
„ქოთნეული“	შოლ -
„თვის“ (თანდებ.)	- ლალუ

¹ ღ :ჟ მარტივად აიხსნება: ამოსავალია *ჟ, რომელმაც ბოთლიხურში
 მოგვცა ღ (და დაემთხვა თავდაპირველად ღ - ს, როგორცაა, მაგ., სიტყვებში
 ბოთლ. ბილი, მიარს. ბილი „დგომა“, ბოთლ. ლაჟი, მიარს. ლაჟი „მხარი“...), ხო-
 ლო მიარსულში (ასევე ანდიურ ენათა უმეტესობაში) მოგვცა ჟ. ჟ¹ ზოგჯერ და-
 ცულია (ახვახურში, ანდიურში).

ყანდი	„ჭამა“	ლანდი
ყელი	„პირი“	ფელი
ყაბ-	„განიერი“	ლაბ-
მიყი	„დამარცხება“	მილი
ყუნდი (← ყვანდი)	„ანდი“ (აღვ. სახ.)	ლვანდი

ქ ო რ ე ო ლ ო გ ი ა

გრამატიკული კლასი

1. წინასწარი შენიშვნები. გრამატიკული კლასის კატეგორია მეტად მნიშვნელოვანი კატეგორიაა ბოთლიხური ენის გრამატიკულ აგებულებაში; მორფოლოგიისა და სინტაქსის საკვანძო საკითხები მასთანაა დაკავშირებული. მნიშვნელოვან როლს ასრულებს იგი გრამატიკის სხვა სფეროებშიც (ლექსიკა, სტილისტიკა და სხვ.).

გრამატიკული კლასი წარმოადგენს არსებით სახელთა სემასიოლოგიურ დაყოფას, რასაც თავისი მორფოლოგიური ნიშანი (აფიქსი) აქვს. პრინციპი, რასაც ბოთლიხურში კლასების მიხედვით არსებით სახელთა დანაწილება ემყარება, ასეთია: 1. ადამიანთა კლასი გამიჯნულია ყველა დანარჩენისაგან და 2. ადამიანთა კლასის შიგნით დანაწილება ხდება რეალური სქესის მიხედვით. ასეთია მდგომარეობა მხოლოდობით რიცხვში. შედეგად ვიღებთ სამკლასოვან მარტივ სისტემას: I კლასი — მამაკაცები, II კლასი — დედაკაცები, III კლასი — ყველა დანარჩენი (ნივთები, ცხოველები, მოვლენები...).

პირველ გრამატიკულ კლასში შედის მამრობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვები, მაგ., იმა „მამა“, ვაშა „ვაჟი“, ვაცოი „ძმა“, ქუნრა „ქმარი“, ჰეკვა „კაცი“, ჰუდულ „მეგობარი“, ჯალაფურ „ყარაული“, ეხუნ „მჭედელი“, ხან „ხანი“, დიბირ „მოლა“, გურჟიავ „ქართველი“, ასლუდინ „ასლუდინი“ (კაცის სახელია) და სხვ. მრ. ამვე კლასს მიეკუთვნება: ალლაპ „ღმერთი“, მალაჟქ „ანგელოზი“, ნართავ „მღევი“... რომლებიც მამრობითი სქესის არსებებად გაიაზრებიან.

ნეორე გრამატიკულ კლასში მდებარეობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვები ერთიანდება: ილა „დედა“, აეში „ქალიშვილი“, აცაი „და“, ჰარკაი „(ცოლი“, ნუსა „რძალი“, გურყიაა „ქართველი ქალი“, ფატიმათი „ფატიმათი (ქალის სახელია)“... ამავე კლასში შემოდის ზღაპრულ არსებათა სახელები, თუ ისინი მდებარეობითი სქესისად გაიაზრებიან (მაგ., ნართაა „მდევი ქალი“, ჯართ „როკაპი“...).

ერთი და იგივე სახელი შეიძლება პირველი კლასისა ც იყოს და მეორე კლასისა ც. ეს მაშინ ხდება, როცა თვითონ სიტყვას კლასის ნიშანი არა აქვს, ხოლო რეალური კონტექსტის მიხედვით ის შეიძლება მამრობითი სქესის არსებასა ც აღნიშნავდეს და მდებარეობითისა ც. მაგ. მაკი „ბავშვი“ იმის მიხედვით, ვაჩია ნაგულის-ხმევი თუ ქალიშვილი, პირველი კლასისა ც შეიძლება იყოს და მეორე კლასისა ც. ეგევე მაკი მესამე კლასისა ც შეიძლება იყოს, თუ ლაპარაკია საერთოდ რომელიღაც ბავშვზე, რომლის სქესი მოსაუბრობსათვის უცნობია.

მესამე გრამატიკულ კლასში ერთიანდება ყველა სხვა სახელი, ე. ი. სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ცხოველებს (განურჩევლად რეალური სქესისა)², ნივთებს, მოვლენებს და სხვა. მაგ., უნსა „ხარი“, ზინი „ძროხა“, ჰედირ „ხბო“, ხვაა „ძალი“, რიტაჟუ „ირეში“, ჰაიქარა „მერცხალი“, გედუ „კატა“, ჰანყუ „სახლი“, ჰინგურ „ფანჯარა“, ხვაბუ „წისკვილი“, ბესუნ „დანა“, წაა „ცეცხლი“, დანი „პური“, ინჩუ „ვამლი“, რეში „წელიწადი“, ზიუ „დღე“, რეჰა „ღამე“, წაა „წვიმა“, ანზი „თოვლი“, ჰანი „სოფელი“, ჰქანარ „სინათლე“, კუჰალირ „ავადმყოფობა“, ბუჟირ „ორწმენა“, წაერო „სახელი“, ღვანი „თავი“

² მესამე გრამატიკული კლასის შიგნით რეალური სქესის გასარჩევად, თუ ენას ანისათვის შემთხვევით სხვადასხვა ლექსიკური ერთეული არ აღმოაჩნდა (მაგ. უნაა „ხარი“ — ზინი „ძროხა“) აღწერითი ფორმები გამოიყენება: მდებარეობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვებს ჰარკაი („ცოლი“ — „ძუ“) დაერთვის, მამრობითი სქესისას კი ჰქარა („მამალი“) მაგ., ჰარკაი ეყეგურუ „დედალი“, ჰქუნტა ეყეგურუ „მამალი“ (შდრ. ეყეგურუ „ქათამი“ საერთოდ განურჩევლად სქესისა), ასევე ჰქუნტა განუშა, ჰარკაი განუშა („ხარ-კამერი“. „ფუი-კამერი“. სიტყვასიტყვით „მამალი კამერი“, „დედალი კამერი“). შდრ. განუშა „კამერი“. ასეთი გარჩევა ჩვეულებრივია გრამატიკული კლასისა და სქესის არმქონე ენებში.

ყოველ გრამატიკულ კლასს აქვს თავისი აფიქსი, რომლითაც ამა თუ იმ კლასში შემავალი სახელი წარმოდგენილია სხვა სიტყვაში მასთან მიწართების დამყარებისას.

I კლასის ნიშანია ვ, II კლასის ნიშანია ჰ, III კლასის ნიშანია ზ.

ეს ნიშნები პრეფიქსადაც გვხვდება და სუფიქსადაც, აქა - იქ (თითქმის მუდამ ზმნებში) ინფიქსადაც დასტურდება.

საორიენტაციო მაგალითები

- I კლ. ხ^ნუყო (← ხ^ნუყავ) ჰქვეა „ქარგი კაცი“
- II კლ. ხ^ნუყა-ჲ აფიქსი „ქარგი გოგო“
- III კლ. ხ^ნუყა-ზ ხეა „ქარგი ძალი“
ხ^ნუყა-ზ რუშა „ქარგი ხე“
- I კლ. ვაციი ვ - უქოუ || ვ - უქა „მმა დაეცა“ || „იყო“
- II კლ. ხაციი ჰ - იქოუ || ჰ - იქა „და დაეცა“ || „იყო“
- III კლ. ხეა ზ - უქოუ || ზ - უქა „ძალი დაეცა“ || „იყო“
რუშა ზ - უქოუ || ზ - უქა „ხე დაეცა“ || „იყო“

ანალოგიურია მდგომარეობა ყველა სხვა შემთხვევაშიც, დამოუკიდებლად იმისა, თუ მეტყველების რა ნაწილს უკავშირდება არსებითი სახელი.

სიტყვაში, როგორც წესი, აღინიშნება ერთი გრამატიკული კლასი, ისიც სახელობით ბრუნვაში დასაწერი სახელისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში (მაგ., მიმღეობებში) ორი სხვადასხვა გრამატიკული კლასიც შეიძლება აღინიშნოს. ამასთან, თუ კლას-ნიშანი სუფიქსია, სახელი შეიძლება იდგეს ირიბ ბრუნვაში, მაგრამ აქ სხვა ვითარებაა და ამის შესახებ ცალკე კვებოთ.

მაგალითები:

სალიმ ვეჭუხა ადამიჭუ სანდუ ბუჯა ვაყა „სალიმი მოხუც („დიდ“) კაცთან ერთად ბოთლიზში წავიდა“... ჰუვ ჰეკუაწიუვ ვუქიდახო ჰაბუდა ვაშა „იმ კაცს ჰყოლია სამი ვაჟი“... მალა რუცენ ვიყა - თალუ „მოლა ნასრედინი მოკვდაო“... ჰააჯი - მურად ვუქიდახო ჰივდა ვეჩეკი, კედალა რელილა რეყუ ვეჭერ ადამ „ჰააჯი - მურადი ყოფილა (+ თვითონ) დაბალი („მოკლე“) ორივე ფეხით კოჭლი შავი კაცი“... ახარა დიე ჰარკი გროხნილია ააყი ილა

ყვარაბ ნა იბხი „ხვალ ჩემი ცოლი გროზნოში მიდის საჭირო რამეების საყიდლად“... ჰეკვალა ბერქალა რელ'აკო რიუდი დანდაბახა ცებ ჰამახი „კაცი და გველი რომ მიდიოდნენ, შემოხვდათ ერთი ვირი“... ჰიბლვებ ჰუნქა ლამილა ხანია ჟეში კუჰალ დილო „მოტანილი ბალახი რომ შექამა, ხანის ქალიშვილი ავად გახდა (დააყენა)“...

კლასიფიკაციის განხილული სისტემა მხოლოდობით რიცხვში არსებულ ვითარებას ასახავს. სულ სხვა მდგომარეობაა მრავლობით რიცხვში. აქ სახელები იყოფა ორ დიდ სემასიოლოგიურ ჯგუფად: ცოცხლებად და არაცოცხლებად. ამრიგად, მრავლობით რიცხვში ორი გრამატიკული კლასი გვაქვს: ცოცხალთა და არაცოცხალთა კლასი.

I და II კლასის ყველა სიტყვა, რამდენადაც ხსენებულ კლასებში აღანიანის აღმნიშვნელი სახელები შემოდის, მრავლობით რიცხვში ცოცხალთა კლასს განეკუთვნება. მაგრამ ცოცხალთა კლასის მოცულობა მეტია ვიდრე მხოლოდობითი რიცხვის I და II კლასებისა ერთად. აქ ჰეროდის III გრამატიკული კლასის ის სიტყვებიც, რომლებიც ცოცხალ არსებებს აღნიშნავენ (ყოველგვარი ცხოველი — შინაური თუ გარეული, ფრინველი, მწერები, ქვეწარმავალი და სხვ. და სხვ.). მრავლობითი რიცხვის არაცოცხალთა კლასში შედის მხოლოდობითი რიცხვის III კლასში შემავალ სიტყვათა მხოლოდ ერთი ნაწილი (ნივთები, მოვლენები...).

ამრიგად, მრავლობით რიცხვში ცოცხალთა ჯგუფში („კლასში“) იყრის თავს, მაგ., იმა „მამა“ (მხ. რ. I კლ.), ილა „დედა“ (მხ. რ. II კლ.), გედუ „კატა“ (მხ. რ. III კლ.), ზინი „ძროხა“ (მხ. რ. III კლ.), ლანდი „ყვავი“ (მხ. რ. III კლ.), ჭუაფი „თევზი“ (მხ. რ. III კლ.) და ა. შ.

არაცოცხალთა ჯგუფშია, მაგ., ჰინწა „ქვა“ (მხ. რ. III კლ.), გუჩა „წიგნი“ (მხ. რ. III კლ.), წაა „წვიწა“ (მხ. რ. III კლ.) ბეტაირ „ხენა“ (მხ. რ. III კლ.)¹.

მრავლობით რიცხვში ცოცხალთა ჯგუფის ნიშანია რ || ლ (რ პრეფიქსია ან ინფიქსი, ლ — სუფიქსი), არაცოცხალთა ჯგუფის

¹ ბოთლიხურის ახლო მონათესავე ენებში ცოცხალთა და არაცოცხალთა კლასების გარჩევა არაა ცნობილი. არა გვაქვს ის, სხვათა შორის, არც ლოდო-ბერიულში, რომელიც ბოთლიხურთან საერთოდ ახლოსაა (ხოგი ნიშნის მიხედვით ცოცხალთა და არაცოცხალთა კლასის რადიკანური გარჩევა — ნაწილაკების საშუალებით — თითქოს კამალალურში უნდა გვეკონდეს).

ნიშანი ბ, ე. ემთხვევა მხოლოდითი რიცხვის III კლასის ნიშანს).

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კლასნიშნის ნათესაობითი ბრუნვის ურთიერთობას საზღვრულთან (ნათესაობითის ასეთ სახეობას სულექსად ცვლადი გრამატიკული კლასის ნიშანი აქვს, რომელიც ასახავს საზღვრულის კლასს).

მხოლოდითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

I კლ. იმუ-ე ვაცი	„მამის ძმა“	} იმუ - ლ	} ვაცილ „მამის ძმები“
II კლ. იმუ-ა ძაცი	„მამის და“		
	იმუ - ბ კათუ „მამის ცხენი“		} კათუ „მამის ცხენები“
III კლ. {	იმუ - ბ ჭუჩა „მამის წიგნი“	} იმუ - ბ	} ჭუჩიბალ'ი „მამის წიგნები“
	იმუ - ბ ქურტა „მამის ნაჯახი“		

შდრ. ნიშნები:

იმუდი	{	ვ - ეთა ვაცი	„მამამ დატოვა ძმა“
	{	ა - ეთა ძაცი	„ და
	{	ბ - ეთა კათუ	ცხენი
	{	ბ - ეთა ჭუჩა	წიგნი
	{	ბ - ეთა ქურტა	ნაჯახი

იმუდი	{	რ - ეთა ვაცილ	„მამამ დატოვა ძმები“
	{	რ - ეთა ძაცილ	„ დები
	{	რ - ეთა კათუ	ცხენები
	{	ბ - ეთა ჭუჩიბალ'ი	წიგნები
	{	ბ - ეთა ქურტიბალ'ი	ნაჯახები

ასევე: ვაცი ვ - უკა „ძმა იყო“, ძაცი ა - იკა „და იყო“, ხეა (|| რუშა || ჭუშა) ბ - უკა „ძალი (|| ხე || ბოძი) იყო“. მრ. რ.: ვაცილ (|| ძაცილ || ხუარდი) რ - უკა „ძმები (|| დები || ძალები) იყვნენ“, რუშიბალ'ი (|| ჭუშე) ბ - უკა „ხეები (|| ბოძები) იყო“.

ბუყაბ რაყალ'ილა ბაყა, ველ'უ იდახო გავ ხანიხა, ამმა კარტესაულ გარაულზაბალ'იდი ჰინა ვეშთი ვალუ გავ „კარგი ტანსაცმელი ჩაიცვა-რა, წასულა ის ხანთან, მაგრამ კარის („ზღუდობის“) მკველებს შიგნით არ შეუშვიათ იგი“.

ინაიძე პალა ბექუ-ბეკუხა ტყუდე, სურაბ ყუბატელა „ჩვენ ვნახეთ დიდ-დიდი კლდეები და ცუდი (= საშიში) ხეები“... რიტაჭუჭიჭარ, კამბალ'ი ბეხაილა, რელიზალ'ი ბეყერაბ ჰააფან ილა „ირემი ლაზახი, რქა („რქებ“) გრძელი და ფეხებწვრილი ცხოველი“... რქვალ'აა პინუ რულ'ალუბ ლ'აკე ტონიხი ილა, აჰმა ორსაა პირღალუბ ცებდალა ხუჭი „ბუნაგში (გამოქვებულში) შიგ შემსვლელთა კვალი ბევრია, მაგრამ გარეთ გამომსვლელთა კი ერთიც არ არის“... ცებ თაფუა მაქეასალ ყვაყვაბალ'ილ'ი ალახალდა საარდა რუკა „ერთი გუნდი მშიერი ყვაყვებისა ველზე ტრიალებდა“.

ამრიგად, ბოთლიხურში გრამატიკული კლასის ნიშნების სქემა ასე წარმოიდგინება:

მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I კლ. ვ	} რ (- ლ) ბ
II კლ. ა	
III კლ. ბ { ცოცხალი არაცოცხალი	

როცა კლასნიშნიანი სიტყვის ფუძე ნახალურ ხმოვანს შეიცავს, ბ-ს ნაცვლად მ გვექნება, ხოლო რ-ს ნაცვლად ნ (ასიმილაციის შედეგად იხ. ფონეტიკური ნაწილი)¹.

ამის გათვალისწინებით ზემომოყვანილი ტაბულა ასეთ სახეს მიიღებს:

მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I კლ. ვ	} რ (ნ), (-ლ) ბ (მ)
II კლ. ა	
III კლ. ბ(მ) { ცოცხალი არაცოცხალი	

ცოცხალთა და არაცოცხალთა გარჩევის მეორე საშუალებაა ლ' და ხ ელემენტების გამოყენება. ეს ელემენტები გვხვდება სხვადასხვა ხმოვნით, მეტწილად როგორც ლ'ი და ხუ. ლ'ი იხმარება ცოცხალთა ჯგუფისათვის, ხუ კი არაცოცხალთა ჯგუფისათვის² მათ შეიძლება დაერთოს კითხვითი ნაწილაკი მა, ან უარყოფისა ჭი.

¹ როგორც გრამატიკული კლასის ნიშანი მ ფონეტიკური ვარიანტია ბ-სი (აჰვეე ნ რ - სი) გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციაში.

² ან ელემენტთა რაობისა და საეარაუდებელი ნიშნენლობის შესახებ იხ. ქვემოთ („სატყუაჟომოჟა“, „ნაწილაკები“).

ლ' და ხ' ელემენტებით ცოცხალთა და არაცოცხალთა გარჩევა არსებითად მხოლოდობით რიცხვში ხდება. შეიძლება ეს ელემენტები მრავლობით რიცხვში დასმულ სიტყვასთანაც შეგვხვდეს, მაგრამ რიცხვს ის არ გადმოსცემს. ცხადია, გრამატიკულ კლასის ნიშნებს ლ' და ხ არ წარმოადგენს (იხ. „ნაწილაკები“).

ვაციი იდა ლ'იმა: „ცმა არის:“ ააციი იდა ლ'იმა: „და არის:“ გედუ იდა ლ'იმა: „კატა არის:“ რუშა იდა ხუმა? „ხე არის:“ ფარაყათ იდა ხუმა: „მშვიდობა არის:“

ასევე:

ვაციი ლ'იკი „ცმა არ არის“, ააციი ლ'იკი „და არ არის“, გედუ ლ'იკი „კატა არ არის“, რუში ხუკა „ხე არ არის“, ფარაყათ ხუკი „მშვიდობა არ არის“.

შდრ. აგრეთვე:

ვაციი ლ'იკიმა: „ცმა არ არის:“ ააციი ლ'იკიმა: „და არ არის:“ და ა. შ.

ეგვევ ელემენტები ფაკულტატურად გვხვდება კითხვით ნაცვალსახელებთან და ზნისართებთან. -ლა, რომელიც ლ'ი-სა და ხუ-ს მოსდევს, ნაწილაკია (ქართ. „ც“-ს ფარდი, შდრ. ხუნდ. გი): ებ-ლ'ილა „რა“ (ცოცხალი), ებ-ხულა „რა“ (არაცოცხალი), ე(ო)ლ'ილა „ვინ“, ეშთუბ-ხულა „როგორი“ (მხ. და მრ. არაცოცხ.), ეშთუვ-ლ'ილა (I კლ.), ეშთუჟ-ლ'ილა (II კლ.), ეშთუბ-ლ'ილა (III კლ.), ეშთულ-ლ'ილა (მრ.) „როგორი“ (ცოცხ.)... ინუ-ლ'ილა (ცოცხ.). ინუ-ხულა (არაცოცხ.) „სად“. ინდა-ლ'ილა (ცოცხ.). ინდა-ხულა (არაცოცხ.) „როდის“, ეფი-ლ'ილა (ცოცხ.), ეფი-ხულა (არაცოცხ.) „რისთვის“¹.

ლე, ჰალმალ, ვილი! ელ'ილა მინ: „ეი, ამხანაგო, შეჩერდი! ვინ ხარ შენ?“... ებხულა მინ იჰათახობ: „რას აკეთებ შენ?“ იმა ინალ'ილა ვაჟა, ბელეუქიმა: „მაშა სად წავიდა, არ იცი?“ ეფილ'ილა დუჟ ჰარკაი: „რად გინდა შენ ცოლი?“... ეფიხულა დუჟ არსი „რად გინდა შენ ფული“... გოშუჟ ეშთუბლ'ილა კათუ იდე „მას როგორი ცხენი მოსწონს (ამ გროვიდან)?“ ინდახულა ზუკე ქინო: „როდის იქნება კინო?“

2. გრამატიკული კლასის კატეგორია არსებით სააქტებში. გრამატიკული კლასის რაობასა და მის ნიშნებზე უკვე გვქონდა

¹ ეფი — ებ იჰი („რა კენა“)? შდრ. ხუნდ. წიბიხე — წიბ ჰაბიხე (ბოთლი-ხელები მარწმუნებუნენ).

საუბარი. მოკლედ შევხებით მას მეტყველების სხვადასხვა ნაწილთან დაკავშირებით.

არსებითი სახელი შინაარსეულად მუდამ რომელსამე კლასს განეკუთვნება, მაგრამ მიკუთვნების ფორმალური ნიშანი (რესპ. კლასის ნიშანი) თვითონ მას არ გააჩნია. კლასის ნიშანი აქვს არსებით სახელთან დაკავშირებულ სიტყვებს — ზმნებს და განსაკუთრებით ზოგადად აღებულ მსაზღვრელ სახელებს. აქ კლასის ნიშანი ასახავს სათანადო სიტყვასთან დაკავშირებულ არსებითი სახელის კლასს, სხვაგვარად — კლასის ნიშანი „გარეთ იყურება“, ის ამა თუ იმ სიტყვის შემადგენლობაში შედის. მაგრამ ამ სიტყვისა კი არაა, არამედ მასთან დაკავშირებული არსებითი სახელისა (მაგ. იმა ვიღუ „მაშა გაჩერდა“ აქ ე ზმნის შემადგენლობაშია, მაგრამ იმა „მაშა“ სიტყვის კლასს ასახავს).

წინათ კლასის ნიშნები არსებით სახელებსაც ჰქონდა. უკეთ: კლასის ნიშანი აქაც ისევე ჩვეულებრივი იყო, როგორც ის დღეს ჩვეულებრივია ზნებში, ზედსართავეებში... რას აღნიშნავდა კლასის ნიშანი არსებით სახელში? ის აქ „შეგნით იყურებოდა“ — აღნიშნავდა სათანადო არსებითი სახელის ფუძის მიხედვით სავარაუდებელ სემანტიკის კლასს, აკონკრეტებდა მის კლასს (მაგ., რაკვა „გული“, რ აღნიშნავდა, რომ „გულ“ რ კლასისაა). რადგანაც არსებითი სახელის კლასი მისი სემანტიკითაა განსაზღვრული, არსებით სახელებში გრამატიკული კლასების „ზედმეტობა“ ძალიან ადრე უნდა გამხდარიყო საგრძნობი, რამაც გამოიწვია კლასის ნიშანთა სისტემის მოშლა ამ კატეგორიის სიტყვებში. სისტემის მოშლის გამოხატულებებია კლასის ნიშანთა გაქვევება და დაკარგვა¹.

ბოთლიხურში არსებით სახელს შეიძლება კლასის ნიშანი ჰქონდეს, თუ ეს სახელი წარმოშობით არაარსებითია (მაგ., ზედსართავია ან მიმღეობა). ასეთი კლასის ნიშანი სუფიქსურია.

არის ორიოდ სიტყვა, სადაც კლასის ნიშანი თითქოს ცოცხალია:

ვაცაი „ცმა“²
ააცი „და“

ვაშა „ვაეი“
აეში „ქალი“

¹ ბოთლიხურში (და სავრთოდ ხუნძურ-ანდიურ ენებში, ისევე როგორც კლასის ნიშნების მქონე ყველა ენაში) მრავალი შემთხვევაა კლასის ნიშნების გაქვევებისა, დაკარგვისა (შეინიშნება დაკარგვის თანდათანობითობის კვალიც კი).

² იშვიათად (ექსპრესიული სიტყვახმარების დროს?) იხმაოება ბაცი - ც, რაც ნიშნავს ციოველის ან ნივთის „ძმას“, „დას“: ჰაბ ყალამლა ჰულილი ბაცი იდა „ეს ფანქარიც მისი (მეორე ფანქრის) ძმაა (დაა)“, ე. ი. ჰავს მეორე ფანქარს, იმისთანავეა.

ფაქტობრივ კლასის ნიშანი აქაც გაქვევებულია (მრ. რ. - ში არა გვაქვს რაცია, რაშა)¹.

ბოთლიხურ არსებით სახელებში გაქვევებული სახით ბევრია რ (ოღინდელი IV კლასის ნიშანი) და ზ (III კლასის ნიშანი). მაგ., რეში „წელიწადი“, „წელი“, რეშინ „ცა“, რაკვა „გული“. რიტაი „ხორცი“, ბატნი „მიგნული“, ბაპა „წიწილა“, „ნაშიერი“... მაქვა „საქმელი“, მაქვა „ადგილი“, „მხარე“ და სხვ. მრ.²

გაქვევებული სახით არც სხვა კლასის ნიშანთა გამოვლინებაა მოულოდნელი, მაგ. რამ მათი ხვედრი წონა (მაგ. ვ ან ა - სი) შეუდარებლად უფრო მცირეა.

არის ერთი წყება არსებითი სახელებისა, სახელდობრ, წარმომავლობის სახელები, რომელთაც სუფიქსური კლასის ნიშანი აქვთ:

ღვანდილუ - ვ „ანდიელი“, ინდირა - ვ - ტინდიელი“, ჭურუსა - ვ „რუსი“, გურჯია - ვ „ქართველი“, მაჭარულა - ვ „ხუნი“.

მაგრამ ეს წარმოება არაა ბოთლიხურისათვის დამახასიათებელი. ის ხუნძურიდანაა შეთვისებული (მეტწილად მწა ფორმით), ხუნძურში კი ასეთი სახელები წარმოშობით ზედსართავებია და, როგორც ზედსართავეებს, სუფიქსად კლასის ნიშანი მოუდის.

წარმომავლობის სახელის საწარმოებლად ბოთლიხურისათვის სხვა ტიპია ნიწეული: გეოგრაფიული სახელის ნათესაობით ბრუნვაში დასმა:

ბუხზე „ბოთლიხი“, ბუხხალი „ბოთლიხელი“, წაუფე „დიდოეთი“, წაუფელი „დიდოელი“, კაირუ „კარატა“, კაირლი „კარატელი“.

ამ ტიპის წარმოებას გრამატიკული კლასების გარჩევა არ ძალუძს (ბრუნების დროს კი ჩანართი ელემენტებით ამის გარჩევა ხერხდება). თავისებურად აქვს ნაწარმოები ამ ტიპის სახელებს მრავლობითი რიცხვიც (იხ. ქვემოთ).

3. გრამატიკული კლასის კატეგორია ზედსართავ სახელებში. ზედსართავ სახელებს ხშირად გრამატიკული კლასის ნიშანი არ გააჩნია:

¹ ზოგს ანდიურ ენაში შესაძლებელი ჩანს მრ. რ. - ში ამ სიტყვებს („ძმა“ „ვაჟი“) პრეფიქსული რ აღმოჩენდეს!

² გაქვევებული კლასის ნიშნები მრავლადაა ხმნებშიც, ზედსართავებშიც და სხვ., თავიანთი ეს ბოთლიხურისა და მის მონათესავე ენათა ისტორიის საკითხია და აქ არ ვეხებით.

³ მოყვანილია I კლასის ფორმით.

ზუკაუ „პატარა“, ჰაწახა „თეთრი“, ჰირწი „მალალი“, ირხა „წითელი“, კაბტი „დაბალი“, ჩაქხუ „ყვითელი“.

მცირე როდია გრამატიკული კლასის მიხედვით ცვალებად ზედსართავთა რაოდენობაც. მათ გრამატიკული კლასის ნიშანი მოუღის პრეფიქსად, სუფიქსად, ან პრეფიქს-სუფიქსად (შედარებით იშვიათად).

გრამატიკული კლასის ნიშანი პრეფიქსია:

მხოლოდობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი	
I კლ.	II კლ.	III კლ.	ცოცხალი	არაცოცხალი
ვ -	ჟ -	ბ -	რ -	ბ - ექუხა „დიდი“
ვ -	ჟ -	ბ -	რ -	ბ - ექერ „შავი“
ვ -	ჟ -	ბ -	რ -	ბ - ეჩეკი „მოკლე“
ვ -	ჟ -	ბ -	რ -	ბ - იში „სქელი“
ვ -	ჟ -	ბ -	რ -	ბ - ახარა „ძველი“, „მოხუცი“
ვ -	ჟ -	ბ -	რ -	ბ - ეხილა „გრძელი“
ვ -	ჟ -	ბ -	რ -	ბ - ეგერა „წერილი“

ჰუე ვაშალა აექუხა ილუხე ვეთა, ნახა ჰალ გურჯილა „ის ბიჭი დიდდასთან დატოვეს რა, წავედნენ ისინი საქართველოში“... გოვ ვეჩეკი ჰეკვა ეოლე'ილა? „ის დაბალი კაცი ვინაა?“... ასლუდინიდი ბექუხა ბერთინ იჰუ ვაშა ვაგუარიული „ასლუდინმა დიდი ქორწილი ქნა, შვილი რომ ჩამოვიდა“... ახარა ადამ ჰადათა ააჰათა იდა „დედაბერი (მოხუცი ქალი, ადამიანი) ტირის“... ჰალ რექერ კათე დილ ლ'იჰი „ეს შავი ცხენები ჩემი არაა“.

გრამატიკული კლასის ნიშანი სუფიქსია:

მხოლოდობითი რ.			მრავლობითი რ.		
I კლ.	II კლ.	III კლ.	ცოცხ.	არაცოცხ.	
ხუცო ¹	ხუცა - ა	ხუცა - ბ	„ქარგი“	ხუცა - ლ	ხუცა - ბ
სურო	სურა - ა	სურა - ბ	„ცუდი“	სურა - ლ	სურა - ბ
მაქვასო	მაქვასა - ა	მაქვასა - ბ	„შვიერი“	მაქვასა - ლ	მაქვასა - ბ

ასეთივე მდგომარეობაა ხუნძურთან ქსაერთო ხმარების სიტყვებში:

¹ ო ყველგან ა - სა და გრამატიკული კლასის ნიშან ვ - ს შერწყმითაა მიღებული.

მხოლოდობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი	
I კლ.	II კლ.	III კლ.	ოცხალი	არაცოცხალი
ქუთაქა - ვ ¹	- ა	- ბ	- ლ	- ბ „წლიერი“
ტოქა - ვ	- ა	- ბ	- ლ	- ბ „დანარჩენი“
ჩოროქა - ვ	- ა	- ბ	- ლ	- ბ „ჭუჭყიანი“

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ზოგი უკლასნიშნო ზედსართავი, რომელიც მრავლობით რიცხვში გრამატიკული კლასის ნიშანს იღებს. ასეთი მოვლენა ძალზე იშვიათია:

მხ. რ. ირხა „წითელი“	მრ. რ. ირხა - რ, - ბ
ჩაქაუ „ყვითელი“	ჩაქაუ - რ, - ბ

- საუ - ბ ფორმანტით ნაწარმოები ზედსართავეები აგრეთვე ამ წყებაში მოსვდნა. - საუ - ბ ნიშანს სიტყვაში „მყოფი“, „ნაქონი“ - „ეული“ - ს შინაარსი შეაქვს (მაგ. „მამისეული“, „მამის ნაქონი“, „მამასთან მყოფი“). იგი დაერთვის ზნისსართებს და არსებით სახელთა ლოკატიურ ბრუნვებს.

მხოლოდობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი	
I კლ.	II კლ.	III კლ.	ოცხ.	არაცოცხ.
პიტაი „ქვევით“	პიტაისაუ - ვ	- ა - ბ	- ლ - ბ	„ქვედა“
საეცა „წინ“	საეცასაუ - ვ	- ა - ბ	- ლ - ბ	„წინა“
ბესვე „უკან“	ბესვესაუ - ვ	- ა - ბ	- ლ - ბ	„უკანა“
არუ „აქ“	არუსაუ - ვ	- ა - ბ	- ლ - ბ	„აქაური“
ინუ „სად“	ინუსაუ - ვ	- ა - ბ	- ლ - ბ	„სადაური“ ²
იმუჭუ „მამას“	იმუჭუსაუ - ვ	- ა - ბ	- ლ - ბ	„მამისეული“
ბეებახი „მთებში“	ბეებახისაუ - ვ	- ა - ბ	- ლ - ბ	„მთიელი“

დივ იმა რუჰაედი ქუთაქავ ჰეკვა ვუქა „მამაჩემი ძალიან ლონიერი კაცი იყო“... ცებ ჰანლი ვუქა ცევ ხუჯო ჰეკვა „ერთ სოფელში იყო ერთი კეთილი (კარგი) კაცი“... ჰაბ ხუჯაბ ხაბარ ხუქი „ეს კარგი ამბავი არაა“... საეცასაუბ ჰამანა სურაბ ბუქა „ძველი (წინანდელი) დრო ცუდი იყო“... გალასაუბ პუნწი ბურალაბაბალილა ჰინალა ტინდუ, იშვა იბხუ „იქაური თაფლი თუნგებში ჩაასხა და შინ წაიღო“.

¹ ხუნჭურთან საერთო სიტყვებში - ა - ვ - ო თითქმის არასდროს არ ხდება.

² კითხვითი ზნისსართებისაგან ნაწარმოებ ასეთ ფორმებს - ლილა || ხუ - ლა დაერთვის.

პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება არაა ხშირი. აქ გვხვდება იგივე პრეფიქსიანი ზედსართავები, რომელთაც წინ ნირთული გრამატიკული კლასის ნიშანი ბოლოშიც უმეორდება:

მხოლოდობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი
I კლ.	II კლ.	III კლ.	ცოცხ. არაცოცხ.
ვეჭუხო	ეეჭუხა	ბეეჭუხაბ „დიდი“	რეეჭუხალ ბეეჭუხაბ
ვახარო	ეახარა	ბახარაბ „ძველი, მოხუცი“	რახარალ ბახარაბ
ვეხილო	ეეხილა	ბეეხილაბ „გრძელი“	რეეხილალ ბეეხილაბ

გოლ რუკა რეეჭუხალ ყაჩაღზაბალ'ი „იხინი დიდი ყაჩაღები იყვნენ“... ცებ რეაა-ბააღლი რუკა იდა კედა როკეხხალ, რახარალ ქუნტალა პარკილა „ერთი ზღვის ნაპირას ცხოვრობდა (იყვნენ) ორი (დიდი) მოხუცი ცოლ-ქნარი“... ჰაბ რუაილი'ი ჰალი ბეეყრაბ ბუკე ამ მის შტოები (შტო) წვრილი არის ხოლმე (= ამ ხეს წვრილი შტოები აქვს ხოლმე).

4. გრამატიკული კლასის კატეგორია რიცხვით სახელებში. როდენობით რიცხვით სახელთაგან მხოლოდ ც ე - ბ „ერთი“ განარჩევს გრამატიკულ კლასებს:

მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
	ცოცხალი არაცოცხალი
I კლ. ც ე - ვ	ც ე - ლ ც ე - ბ ც ე - რ
II კლ. ც ე - ა	
III კლ. ც ე - ბ ც ე - რ (!) ¹	

ვალლაჰ, ცებ სიხ ღიხაბ ბუკა არა ჰუნწაი ხადი „ღმერთმანი, ერთი დათვი დადიოდა აქ თაფლის სათხოვნელად“ ცეც დიე ვაშა არმილ'ია ვაყა „ერთი ჩემი ვაჟი ჯარში წავიდა“... ცერ ზიუდი ორსა ვულ'უ იდა გოვ ჰუბ დარუ ბაწაა „ერთ დღეს გარეთ გასულა იგი ამ წამლის საშოვნელად“... ცელ დილ მადუხალზაბალ'ი შაპარა-ლა ნაყა, ცელ ჰენალა ჰალ'ია იდა „ზოგი (ერთნი) ჩემი მეზობელი ქალაქში წავიდა, ზოგი (ერთნი) ახლაც აქაა“.

რამდენიმეგან გრამატიკული კლასის ნიშანი გაქვევებულია: ჰაბუდა „3“, ბულუდა „4“, ბეშუნუდა „100“.

რიგობითი რიცხვითი სახელი გრამატიკულ კლასს მუდამ ასახავს.

¹ ოდინდელი IV გრამატიკული კლასიდანაა შემორჩენილი. ამჟამად გაქვევებულ გამოთქმებში შემოგვრჩა.

I კლ.	II კლ.	III კლ.
ჰეკისაფეუსაუე	ჰეკისაფეუსაუე	ჰეკისაფეუსაუე „პირველი“
კეაღ'ო	კეაღ'ა - ა	კეაღ'ა - ბ „მეორე“
ჰაბუაღ'ო	ჰაბუაღ'ა - ა	ჰაბუაღ'ა - ბ „მესამე“

მრავლობითი რიცხვი არ მოგვეყავს, რადგან საერთო წესის თანახმადაა ნაწარმოები (ცოცხლებს - ლ წოუდის, არაცოცხლებს - ბ).
 აი პარალელური ფორმები:

I კლ.	II კლ.	III კლ.
კეახო	კეახო - ა	კეახო - ბ „მეორე“
ჰაბუახო	ჰაბუახო - ა	ჰაბუახო - ბ „მესამე“
ბულუახო	ბულუახო - ა	ბულუახო - ბ „მეოთხე“

ჰულ ჰეკისაფეუსაუე ქალასალ'ი რაჟა ილა „ისინი პირველ კლასში სწავლობენ“ ბულუაღ'აბ აფეუსთალ'ი იზეი რუჟა შააბტანე „ოთხ აგვისტოს ჩვენ შაიტანეში (ადგილის სახელია) ვიყავით“... დოე კეაღ'ო ჰეკეა დიჟლა ველეუჰი „იმ მეორე კაცს მეც არ ვიცნობ“... კეახობ რეჰადი გოვლა ვიჯა „მეორე დღეს ისიც მოკვდა“.

წ. გრამატიკული კლასის კატეგორია ნაცვალსახელებში. პირის ნაცვალსახელთაგან მხოლოდ III პირის (მბ. და მრ. რ.) ნაცვალსახელებს შეუძლია გრამატიკული კლასი აღნიშნოს.

III პირის ნაცვალსახელებად ჩვენებითი ნაცვალსახელებია გამოყენებული, ამიტომ ამ უკანასკნელთა შესახებ სათქმელი არაფერი რჩება.

მხოლოდობითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

I კლ.	II კლ.	III კლ.	ცოცხალი	არაცოცხალი
ჰა - ვ	ჰა - ა	ჰა - ბ „ეს“	ჰა - ლ	ჰა - ბ „ესენი“
ჰუ - ვ	ჰუ - ა	ჰუ - ბ „ის“	ჰუ - ლ	ჰუ - ბ „ისინი“
და - ვ	და - ა	და - ბ	და - ლ	და - ბ
დო - ვ	დო - ა	დო - ბ	დო - ლ	დო - ბ
გა - ვ	გა - ა	გა - ბ	გა - ლ	გა - ბ
გო - ვ	გო - ა	გო - ბ	გო - ლ	გო - ბ

ჰუ -, და -, დო -, გა -, გო - ძირებს შორის შინარსეული განსხვავების დამყარება ქირს¹. რთული ჰა-და-ვ, ჰო-გო-ვ და მისთ.

¹ ხუნძურასა და ხოვ ანდიურ ენაში ანალოგიური ფუძეები მიუთითებს, თუ მთქმელთან შედარებით რა დონეზეა აღსანიშნი საგანი („თანაბარ დონეზე“, „მაღლა“, „დაბლა“).

ფორმები, ფართოდ გავრცელებული ანდიურ ენებში, საკუთრივ ბოთლიხურისათვის უცხოა (მაგრამ ჩვეულებრივია მთარსულ კილო-კავშირში).

გობ ჯვანიდი ხადუ გოვ ჰეკვაშოუხი, კჷვანდაბასი დენ-თალუ „იმ თევზმა სთხოვა იმ კაცს, არ მომკლა მეო“... გოვ აქეში აიკა იდახო ნართალუჲ აცეი „ის ქალი ნართების და ყოფილა“... ჰაბ რეჰა ფურწაულაი რეჰა იდა „ეს ლამე მთვარიანი ლამეა“... გალ ჩანა ნაყარიუდი აზნაჲ - ბაჰადურიხილა ბეედუ „ესენი სანადიროდ რომ მიდიოდნენ, აზნაი-ბაჰადურსაც დაუძახეს“... ჰულ ბაზარა ღალ-ალ'ალ ბარზიკაბალი რუჰა „ისინი ბაზარში მიმავალი ვაჭრები იყენენ“... დუჲ აელეჰქიბა ჰაჲ აქეში: „შენ არ იცნობ ამ გოგონას?“

კუთვნილებითი ნაცვალსახელები სათანადო პირის ნაცვალსახელთა ნათესაობით ბრუნვას წარმოადგენენ. რაკი ნათესაობითი ბრუნვა ორია (I და II), რომელთაგან ნათ. I კლასნიშნანია, ხოლო ნათ. II უკლასნიშნო, ცხადია, გრამატიკული კლასის აღნიშვნა მხოლოდ ნათ. I-ით ნაწარმოებ კუთვნილებით ნაცვალსახელებს შეუძლია. ეს ბრუნვა მოეპოვება ყველა პირის ნაცვალსახელს (განურჩევლად რიცხვისა) გარდა მხოლოდობით რიცხვის შესამე პირის II და III გრამატიკული კლასის ნაცვალსახელებისა (ჰა-ჲ, ჰა-ბ, ჰუ-ჲ, ჰუ-ბ, და-ჲ, და-ბ და მისთ.), რომლებიც კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუნქციით ნათ. II-ს იყენებენ (ჰალ'ილ'ი „ამისი“, ჰულ'ილ'ი „იმისი“ და ა. შ.).

ნათ. I-ით ნაწარმოები კუთვნილებითი ნაცვალსახელები:

მხოლოდობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი ¹		
I კლ.	II კლ.	III კლ.	ცოცხალი	არაცოცხალი	
დი-ვ	დი-ჲ	დი-ბ	დი-ლ	დი-ბ	„ჩემი“
დუ-ვ	დუ-ჲ	დუ-ბ	დუ-ლ	დუ-ბ	„შენი“
ჰაშაუ-ვ	ჰაშაუ-ჲ	ჰაშაუ-ბ	ჰაშაუ-ლ	ჰაშაუ-ბ	„იმისი“
ჰუშაუ-ვ	ჰუშაუ-ჲ	ჰუშაუ-ბ	ჰუშაუ-ლ	ჰუშაუ-ბ	
დაშაუ-ვ	დაშაუ-ჲ	დაშაუ-ბ	დაშაუ-ლ	დაშაუ-ბ	
დოშაუ-ვ	დოშაუ-ჲ	დოშაუ-ბ	დოშაუ-ლ	დოშაუ-ბ	„
გაშაუ-ვ	გაშაუ-ჲ	გაშაუ-ბ	გაშაუ-ლ	გაშაუ-ბ	„
გოშაუ-ვ	გოშაუ-ჲ	გოშაუ-ბ	გოშაუ-ლ	გოშაუ-ბ	„
იშაი-ვ	იშაი-ჲ	იშაი-ბ	იშაი-ლ	იშაი-ბ	„ჩვენი“ (ექსკლ.)
ილ'ი-ვ	ილ'ი-ჲ	ილ'ი-ბ	ილ'ი-ლ	ილ'ი-ბ	„ჩვენი“ (ინკლ.)

¹ რიცხვი და კლასი ყველგან იმისია, რაც ან ვინც კუთვნილებას შეადგენს.

მხოლოდობითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

I კლ.	II კლ.	III კლ.	ცოცხალი	არაცოცხალი
ბიშთი - ვ	ბიშთი - ა	ბიშთი - ბ	ბიშთი - ლ	ბიშთი - ბ „თქვენნი“
ჰალუ - ვ	ჰალუ - ა	ჰალუ - ბ	ჰალუ - ლ	ჰალუ - ბ „ამათი“
ჰულუ - ვ	ჰულუ - ა	ჰულუ - ბ	ჰულუ - ლ	ჰულუ - ბ „იმათი“
დალუ - ვ	დალუ - ა	დალუ - ბ	დალუ - ლ	დალუ - ბ
გოლუ - ვ	გოლუ - ა	გოლუ - ბ	გოლუ - ლ	გოლუ - ბ

კითხვითი ნაცვალსახელები „ვინ“ და „რა“ გრამატიკულ კლასებს განარჩევს: ევ^ე || ევ^ე „ვინ“ (I კლ. მხ. რ.), ევ^ე „ვინ“ (II კლ. მხ. რ.)¹, ებ^ე „რა“ (III კლ. მხ. რ.), ეოლ^ე „ვინ“ (ცოცხალთა კლ. მრ. რ.)², ებ^ე „რანი“ (არაცოცხალთა კლ. მრ. რ.).

ყველა ამ ფორმას დაერთვის - ლ^ილა და - ხულა ნაწილაკები წესის თანახმად: ეულ^ე ლ^ილა, ეოლ^ე ლ^ილა, ებხულა და მისთ.

გაშუადი ჰარკაუხი მასა იდა ინშაუბდა ბულ^ა ბულაბ ნალარ, ევ ჰეკვა ვუკიდერა „მან ცოლს უამბო თავისი თავგადასავალი, რა (ვინ) კაციც იყო თვითონ“ ებხულახი გოლუდი იპათახობ ვა ეოლ^ე ლ^ილახი გოლ ბალა-თალუ „რას აკეთებენ ისინი და ვინ არიან ის კაცებიო“ გოა აგეშეკვა ადამ ეოლ^ე ლ^ილა, დუა ჰარკაი ლ^იკიმა? „ის ქალი ვინაა, შენი ცოლი არ არის?“... „რომელი“ ემთუ-ბ სიტყვით გადმოიცემა. კლასის ნიშანი იცვლება წესისამებრ და ფაქულტატურად - ხულა, ლ^ილა - საც დაირთავს.

მხ. რ. ემთუელ^ე (ლ^ილა), ემთუა^ე (ლ^ილა), ემთუბ^ე (ხულა) მრ. რ. ემთულ^ე (ლ^ილა), ემთუბ^ე (ხულა)... ემთუბ ხანჯარ იბხუ მინ ეჰელ: „რომელი ხანჯალი იყიდე შენ დღეს?“ ემთუე იდა ჰალ^ა რასულ: „რომელია აქ რასული?“.

მეორე სიტყვატაა „რომელის“ გადმოსაცემად — ეცალო (← *ეცალავ), ეცალაა, ეცალაბ; ეცალალ. ეცალო ორიდან (ან რამდენიმედან) ერთ-ერთს ნიშნავს, ე. ი. დაახლოებით უდრის „რომელი მათგანი“.

¹ მეორე კლასის ნიშანი (ა) არა ჩანს, არ დასტურდება ევ - იაჯან ნაწარმოებ ფორმებშიც.

² აუხსნელია, საიდანაა ო. არის პარალელური (უფრო იშვიათი ფორმა) ევოლ. იქნებ, ეს გვევარაუდებინებს იმას, რომ ევ - ალ — ევ - ოლ — ე - ოლ — ე - ოლ. მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ცოცხალთა ჯგუფს I კლასის ფორმა გამოუყენებია და მრავლობითში ნიშნად - ლ კი არა, - ალ დაერთვია ამ ნაცვალსახელს.

ჰალუქუ ჰატჷურუ ეცალაჲლია ჟეში ყორო დუჲ ჩი? „ამ ქალთა შორის რომელი გოგო გინდა შენ ცოლად შეირთო?“...

„რამდენი“ ორნაირადაა გადმოცემული ჩამუ და იშთა, მათგან ჩამუ მაშინ იხმარება, როცა საგანი შეიძლება დაითვალოს (მაგ., რამდენი კაცი, ცხენი, დღე, წელი, წიგნი...), ხოლო იშთა მაშინ, როცა ასეთი ერთეულებით აღრიცხვა არ ხერხდება (მაგ., რამდენი ქონება, ფქვილი, წყალი...)

ჩამუ და იშთა განარჩევს სულიერთა და უსულოთა ჯგუფს ხულა, ლ'ილა ნაწილაკებით: ჩამუსულა, ჩამუ-ლ'ილა და მისთ. ჩამუსულა დუბ რეში: „რამდენი წლისა ხარ? (რამდენი წელი გაქვს შენ?)“... ჩამულ'ილა ჰაკილ (იდა) დულ: „რამდენი შვილი (შვილები) გყავს შენ?“... იშთახულა ვინო საუდე გურჯიალჷდი: „რამდენ ღვინოს სვამენ ქართველები?“

უარყოფითი ნაცვალსახელები კითხვითი ნაცვალსახელებისაგან იწარმოება -კვალა სუფიქსით¹:

ევკვალა „არავინ“ (I კლ. მხ. რ.); ეკვალა „არავინ“ (II კლ. მხ. რ.); ებკვალა „არაფერი“ (III კლ. მხ. რ.); ეკვალა „არავინ“ (მრ. რ. ცოცხალი), ებკვალა „არაფერი“ (მრ. რ. აოაცოცხალი).

დოშაჷ ებკვალა ბელეუჭი „მან არაფერი იცის“. პალ'ა ეკვალა ლ'იქი „აქ არავინაა“... ჰუბ მუსა რაწარიუდი ებკვალა მიცი მისიქა „იმ ადგილას რომ მივედით, ვერაფერი გზა ვერ ვიპოვეთ“.

განუსაზღვრელი ნაცვალსახელებიც კითხვითისაგან იწარმოებიან -ლ'ალა (ცოცხალთა) და ხვალა (არაცოცხალთათვის) სუფიქსების დართვით: ევლ'ალა, ებხვალა, ეოლ'ალა („ვილაცა“, „რალაცა“, „ვილაცეები“) და მისთ¹.

დენ გუჰადა დიბ იშე ევლ'ალა ვუკა „უჩემოდ ჩემს სახლში ვილაცა იყო“... ჰიდი, ჰიდი! ელ'ალა ღვალ'ა იდა, მაკიქუ ვაჰე „შეხე, შეხე! ვილაცა მოდის, ბავშვი უნდა იყოს“... დიჲ ებხვალა მისა, ამა მასიუჰაბ „შე რალაცა ვნახე, მაგრამ არ გეტყვი“.

¹ „ყველაფერი“ და „არაფერი“, ხუნძურში ერთნაირად გადმოიცემა, მისი შინაარსი ხინის დადებითი ან უარყოფითი ფორმით ირკვევა. ბოთლიხურში ჩვეულებრივად სხვადასხვა ფორმებია მათს გადმოსაცემად. სისრულისათვის შევნიშნავთ, რომ ადგილისა და დროის ხმნისართებიც ასეთ ვითარებას გვიჩვენებს: ინუ „საუ“, ინუკვალა „არსად“, ინუჲვალა „სადღაც“, ინუჰალა „ყველგან“; ინდა „როდის“, ინდაკვალა „არასდროს“, ინდახვალა „როდესაღაც“, ინდაჰალა „მუდამ“.

კლასს აღნიშნავს, ხოლო გარდამავალი — დამატებისას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზმნაში აღნიშნულია სახელობით ბრუნვაში დასრული სიტყვის კლასი.

არის ზმნათა ერთი რიგი, რომელიც კლასის ნიშანს მუდამ ფონეტიკურად ცვლილი სახით დაირთავს. ესაა ფუძეში ნაზალური ხმოვნის შემცველი ზმნები: ვ-იენი „გამარჯვება“, „მოგება“, ვ-ახი „დაბადება“, ვ-უფი „ზრდა“, ვ-ილი „წაგება“, ვ-აში „შეკერა“, ვ-იხაა „აკრძალვა“; „ძულება“, ვ-იისი „ბოვნა“, „ნახვა“, ვ-აფი „წასვლა“, ვ-იკაუა „ყლაპვა“...

ცვლილება შემდეგში მდგომარეობს: იქ, სადაც გრამატიკული კლასის ნიშნად ბ არის მოსალოდნელი. მ გვევლინება, ხოლო რ-ს ნაცვლად — ნ (I გრამატიკული კლასის ვ და II გრამატიკული კლასის ჯ უცვლელია). მ ან ნ-ს გამოჩენისას ნაზალური ხმოვანი ნაზალობას ჰკარგავს (იხ. ზემოთ „ფონეტიკა“).

7. გრამატიკული კლასის ნიშანი ინფიქსად. არის რამდენიმე ზმნა, რომლებსაც გრამატიკული კლასების მიხედვით ცვლისას თავისებურებები ახასიათებს. ესაა ინფიქსური კლასის ნიშნის მქონე ზმნები.

გრამატიკული კლასის ნიშანი ბოთლიხურში (ასეა ეს თითქმის ყველა სხვა მონათესავე ენაშიც) ფუძეს ხმოვნის მეშვეობით მიერთვის. თუ კლასის ნიშანი პრეფიქსია, კლასის ნიშნის მოწოდებულად ხმოვანი გვექნება, შემდეგ კი — ძირი (მარტივი ფუძე). მაგ., ბ-ი-ყა „მოკვდა“, ბ-ე-ჭუხა „დიდი“... როდესაც კლასის ნიშანი სუფიქსია, ხმოვანი წინ უძღვის მას: ხეუღ-ა-ბ „შესმული“, ხ-ვაყ-ა-ბ „კარგი“... ასეთია გაბატონებული წესი.

რამდენსამე ზმნას პრეფიქსული გრამატიკული კლასის ნიშანი „შექცეული“ აქვს: ჯერ ხმოვანია, შემდეგ გრამატიკული კლასის ცვლადი ნიშანი, რომელსაც უშუალოდ მოსდევს თანხმოვნით დაწყებული ძირი (თუ მარტივი ფუძე)¹.

მაგ., ჰი-ბ-წი „ავსება“, ი-ბ-ჩი „ნოყვანა“, „აყვანა“², ი-ბ-ხი „მოტანა“, „აღება“, „ყიდვა“, ჰი-ნ-ღ-უ ა „მოსვლა“... როგორც აღვნიშნეთ, ეს ზმნები კლასის ნიშნების (ჰიბ-, იბ-, ჰინ- მარცვალთა) გარეშეც იხმარება (იხ. ზემოთ „ფონეტიკა“).

¹ კლასის ნიშნის ანგვარ სახეს „მეტათეზისური წყობის კლასის ნიშანი“ შეიძლება ვეწოდოთ. ჩვეულებრივს კი „პირდაპილი წყობის კლასის ნიშანი“.

ამგვარი დასაბუღება ისტორიულ თვალსაზრისსაც ეფუძნება.

² იბჩი „ყიდვასაც“ ნიშნავს ცყიღუა ცხოველია, ცოცხალი რამისა).

პიბწი რეალურად კლასების მიხედვით არ იცვლება, რადგანაც მხოლოდობითსა თუ მრავლობითში პირდაპირ დანატებად მუდამ ნივთი (არაცოცხალი კლასისა) არის საგულვებელი.

სრულებით ანალოგიურ მდგომარეობაშია ი ბ ბ ი ზ მნაც.

მიარსულ კილოკავშს ორივე ზმნა ბ-ს გარეშე იბმარება.

თავისებურია იბჩი- ზმნა („წაყვანა“, „აყვანა“, „მოყვანა“... „ყიდვა“). I და II კლასში საზიარო ფორმა გვაქვს: იჩი, მესამე კლასში — იბჩი. მრავლობით რიცხვში — ირჩი (ცოცხალთა კლასისათვის. არაცოცხალთა კლასი ამ ზმნის სემანტიკითაა გამორიცხული).

მხოლოდობითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

I კლ. იჩი || ჩი

II კლ. იჩი || ჩი

ი რ ჩ ი || ჩი

III კლ. იბჩი || ჩი

მიარსულ კილოკავში განსხვავებული სურათია:

მხოლოდობითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

I კლ. ეუჩი

II კლ. იჩი

ი ჩ ი

III კლ. იჩი

მიარსული ეუჩი ← ვიჩი (ვი → ეუ იბ. ფ ო ნ ე ტ ი კ ა). იჩი ← იბჩი (მბ. რ.), იჩი ← ირჩი (მრ. რ.). მიარსულს დაუტავს კლასის ნიშნები I და II კლასში¹.

ასევე თავისებურია პინლუა „ნოსვლა“ ზმნაც.

მხოლოდობითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

I კლ. პინლუა

II კლ. პინლი

პირლი²

III კლ. პიბლი

ნდრ. მიარსულში: I კლ. პუყი... II კლ. პიყი... III კლ. პიბი...

¹ ისტორიულად ამ ზმნის სტრუქტურა ააყ წარწოიღგინება: კლასის ნიშანი + ხმოვანი ი + ბარი ჩ + თემის ნიშანი ნ (შეადგომში დასუსტებული, წინ გადმოსული და კვლავ ნ-დ კცეული).

² სემანტიკული თავისებურებების განო მრ. რიცხვში არაცოცხალთა ჯგუფის ფორმა ამ ზმნას აკლია.

მიარსულ და ბოთლიხურ ფორმათა ურთიერთობა იხსნება ფონეტიკურად: ბოთლიხურის ლ შეესატყვისება მიარსულ ც-ს (იხ. ფონეტიკური ნაწილი) და ამოსავლად *ყ'-ს გულისხმობს. პუყვი მიღებულია ჰიესვი-საგან (← *აიყვი), პიესვი (ასევე პიესვი) ← *პინყვი, პიბი ← *პიბყვი (← *პიბყვი, აქედანვეა ბოთლიხურის პიბი), პირი ← *პირყვი (← *პირყვი. აქედანვეა ბოთლიხურის პირი).

ამ ზნნას რიგი თავისებურება აქვს. ჯერ ერთი, ბოთლიხურში როგორც ვთქვით, უკლასნიანოდაც იხმარება (ლი ყველა კლასსა და რიცხვში). ამას გარდა, I და II კლასში 5 გვაქვს, რაც სხვა კლასებში არა ჩანს (შდრ. ზემოთ განხილული ზნნა იჩი).

თავისებურია ამ ზნნაში გრანტიკული კლასის ნიშნის საკითხი. I კლასში კლასის ნიშნისეული 3 გვაქვს (ინფინიტივის ა ს წინ უ-დ ქცეული, შდრ. ნაძყო პინღვა „მოვიდა“). ეგვევ 3 ივარაუდება მიარსულშიც (პუყვი ← პიყვი). აქ კლასის ნიშანი ფუძის ბოლოშია მოქცეული თანხმობის მომდევნოდ (!). ეს ფონეტიკურ ნიადაგზე ჩანს მომხდარი: მოსალოდნელი უჩვეულოა ნვლ კომპლექსი შეიცვალა ბუნებრივი ნვლ კომპლექსით, ოღონდ, რომ ის მაინც კლასის ნიშანია, ამის შეგნება მთლად გამჭრალი არაა (სხვა კლასების ფორმებს ვ არ გადაპყვება)!. ეს ვ იწვევს ასიმილაციას პინღვი-ზნნის რიგს ფორმაში (მაგ., ბრძანებითი I კლ. ლობა! ← ღვ-აბა „მოდი!“ შდრ. II კლ. და ყველა კლასი ღ-აბა! „მოდი!“ მიარსულში გვაქვს I კლ. პუმმა! ← პუყვა ← პიყვაბა! „მოდი!“ აქ ი უ-დ იქცა ვ-ს გავლენით, ხოლო ხმოვნის ნაზალობამ და ბრძანებითის ბ-მ შერწყმით მშ მოგვცა).

II კლასში დაკარგულია ა ნიშანი (პინღვი ნაცვლად მოსალოდნელი პიანღვი-სა).

ბ. გრამატიკული კლასის კატეგორია თანდებულსა და ზმნის საბრუნველში. თანდებულები ბოთლიხურში ძლიერ ცოტაა. მის მაგივრობას ლოკატიური ბრუნვები ასრულებს. რაც შეეხება ზმნისართებს, ჩვენ აქ მხოლოდ ადგილის ზმნისართებით შემოვიფარგლებით, რადგანაც სწორედ მათშია კლასის ნიშანი მოქმედი სახით წარმოდგენილი.

მხოლოდ ერთი თანდებული ჩანს კლასის ნიშნიანი. ესაა ცუბ - „ვით“, - „თანა“, „მსგავსი“. იგი სახელობით ბრუნვას დაერ-

¹ პროცესი ამ შეგნების დაჩრდილებისა დაწყებულია: ახლა პინღვა უფრო გავრცელებული ფორმაა, ვიდრე „კანონიერი“ პიბლა.

თვის. კლასის ნიშანი შედარების ობიექტს უთანხმდება, ე. ი. იმ სიტყვას, რომელსაც უდარებენ ამ თანდებულებას სახელს:

სარი ბიყაბ ნალარცოვებ ანზიქუ ჰეცა ლუნდუ ბაჰუ ბილუ „მელია მკედარივით (მკედარ რამესავით) თოვლზე დაწვა (ძილ-ცვენით დადგა)“... იმაიე ყორო იდა ცეე მინცოჰუე ბაჰადურ იშვიდა ვაცილუნ ვეთი „ჩენ გვინდა ერთი შენისთანა ვაჟაკი დავიცმო-ბილოთ (ძმად დავიტოვოთ)“... ჰვაიდი ბადიხუ იჰუ ადამცეჰუ გულათალ'ი „თეეზა დაიწყო ადამიანივით ლაპარაკი“.

კლასის ნიშანს იღებენ ადგილის ზმნისართები:

ბ-ეტარუ - „თან“, „გვერდით“, „ახლოს“, ბ-ეხუტუ „უკან“, „შემდეგ“, ბ-ესტე „უკან“¹; ბ-ატუ „შორის“, „შუაში“, ბ-ეჰუტუ „ირგვლივ“.

კლასის ნიშანი ყველგან იმას უთანხმდება, ვინც (ან რაც) რისამე (ან ვისამე) გვერდითაა, უკანაა, შუაშია... სახელი ასეთ შემთხვევებში -ჰუ თანდებულებას ბრუნვაშია დასმული.

მსგავსი ვითარებაა სხვა ზმნისართებთანაც.

არსი-მისიდილა იბხუ, ვესაუხა ვიშა ჰაე „ოქრო-ვერცხლი წაილო-რა, უკან გაბრუნდა იგი“... ჰენა დენ ლ'ენიქუ ჯეხუტუ ინლალა ააიყე? „ახლა მე წყალზე როგორ წავიდე?“ („წყლის უკან როგორ წავიდე?“)... ჰულუჰუ ატუე დიკაე ცეე ბეჰერ ტეინსიორ-ჰაელ'ი ქიქეარ დეიი ჰალა იდა გოშოჰე „მათ შორის (მყოფი) ერთი შეეთვალწარბა გოგო ნახა მან“... ნართალუე ააციი ინლ'ი-ლ'იდა ვაციუჰუ ეტარუ მარახაუ „ნართების და თავისი ძმის გვერდით დაწვა“... ჰულ'არუ ბესტა გოლუდი გოვ ინაკვალა ჩიქა, იშტე ვეთა იდა „ამის შემდეგ მათ იგი არსად დაჰყავდათ, მუდამ შინ ტოვებდნენ“... გოლ ბალა ჰაბ საათი რიქუ, დიქუ რეტარა რაწაე ამალ ჰა! „ის ხალხი ახლავე (ამ საათში) დაიქირე და მე მომიყვანე (ჩემს გვერდით მოიყვანე)“.

გრამატიკული კლასის ნიშანს მუდამ ვხვდებით მიმღობებში, ვხვდებით რიგი აფიქსის შემადგენლობაში (ნათესაობითის, მყოფადის, სიტყვაწარმოების ელემენტებში), ნაწილაკებში და შორისდებულებშიაც კი.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ბოთლიხურში გრამატიკულ კლასის ნიშანთა პრეფიქსული ხმარებაა გავრცელებული. სუფიქსად მას შედარებით ნაკლები გამოყენება აქვს.

¹ ამის პარალელურად უნიშნო ლოკატივის მიმართულებით ბრუნვაში ბესაუხა გვხვდება.

1. რიცხვი კლასნიშნიან სიტყვებში. ბოთლიხურში ორი რიცხვია — მსოლოობითი და მრავლობითი. იგი სახელისა და ზმნის სახიარო კატეგორიაა. რიცხვი მოეპოვება მეტყველების სხვა ნაწილსაც (მაგ., თანდებულს, ზმნისართს).

რიცხვის წარმოების მიხედვით ბოთლიხურ ენაში სიტყვათა ორი არათანაბარი ჯგუფი გამოიყოფა: პირველ ჯგუფში შედის არსებითი სახელები, მეორეში — ყველა დანარჩენი. ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს იმით უპირისპირდება, რომ არსებით სახელებში მრავლობა სპეციალური სუფიქსებით გადმოიცემა მაშინ, როცა სხვაგან ამ ფუნქციით გრამატიკული კლასის ნიშანია გამოყენებული (რ- პრეფიქსი, ან -ლ და -ბ სუფიქსი). ამ ჯგუფს ქმნის ის სიტყვები, რომელთაც მხოლოობით რიცხვში ცვლადი გრამატიკული კლასის ნიშანი აქვთ (ესენია გრამატიკული კლასის ნიშნის მქონე ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელები, ზმნები, მიმღეობები, ზმნისართები, თანდებულები)¹. ამრიგად, სიტყვათა ჩამოთვლილი ჯგუფისათვის მრავლობითი რიცხვის გამოხატვის შესაძლებლობას მათში გრამატიკული კლასის ნიშნის არსებობა განსაზღვრავს.

რადგან მეორე ჯგუფის უკლასნიშნო სიტყვებს სწორედ იმიტომ, რომ მათ კლასის ნიშანი არა აქვთ, მრავლობითი რიცხვის წარმოება არ შეუძლიათ, ცხადია, ისეთ ზედსართავებს, როგორცაა ირხა „წითელი“, ჭიქვარ „ლამაზი“, წიხუ „ახალი“ და მისთ. ზმნებს — ხული „სმა“, ჯაბდი „გახევა“, იპი „კეთება“ და მისთ. ზმნისართებს — საეცა „წინ“, ჰიტხი „ქვეშ“, ჰეცა „მაღლა“ და მისთ. მრავლობითი რიცხვი არა აქვთ.

ხანიჲ ჭიქვარ ეფში დიკა „ხანს ლამაზი ასული ჰყავდა“.. ხანილ ჭიქვარ ეფშილ რჷკა „ხანს ლამაზი ასულები ჰყავდა“... მაკილდი ჭუჩა ჯაბდო „ბავშვმა წიგნი გახია“... მაკილუდი ჭუჩიბალ'ი ჯაბდო „ბავშვებმა წიგნები დახიეს“... დოვ ამბურაჷჷ ჰეცა ვილუ ილა „ის სახურავზე დგას“... მაკილლა ეფშიკვა -ადამლა ამბურდჷჷჷ ჰეცა რილუ შამილიბ ასქარდები ტილუ რუკა „ბავშვები და ქალები სახურავებზე იდგნენ და შამილის ჯარებს უყურებდნენ“.

¹ აქვე შემოვა ზედსართავისებურად გაფორმებული წარმომავლობის ადმ-ნიშნული არსებითი სახელები, როგორცაა: ინდირავ „ტინდიელი“, გურჯიავ „ქართელი“ და მისთ.

როცა ვამბობთ, სიტყვათა მეორე ჯგუფის მრავლობითს გრამატიკული კლასის ნიშანი აწარმოებსო, ეს დაზუსტებას მოითხოვს. სახელდობრ, რ, ლ და ბ (ეს უკანასკნელი იქ, სადაც იგი მრავლობას გადმოსცემს), ძნელია კაცმა გრამატიკული კლასის ნიშნად მიიჩნიოს, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ წარმოშობით ისინი (მათგან რ და ბ სრულიად უდავოდ) კლასის ნიშნებს წარმოადგენენ. ბ III გრამატიკული კლასის ნიშანია და მრავლობითში იგი მხოლოდ არაცოცხალთა სიმრავლეს აღნიშნავს, რაც შეეხება რ-ს, იგი წარმომავლობით აწ გამქრალი IV გრამატიკული კლასის ნიშანია, ხოლო ლ მისი ბგერინაცვალის უნდა იყოს აუსლაუტში.

ლ სუფიქსად მოდის. მხოლოდობითში სუფიქსად მოსული გრამატიკული კლასის ნიშანი მრავლობითში ბ-თი იცვლება (არაცოცხალთათვის) ან ლ-თი (ცოცხალთათვის). თუ სიტყვა ცოცხალსა და არაცოცხალს არ ასხვავებს, ორივეგან ლ იხმარება. რ მაშინ გვხვდება, როცა სიტყვას მხოლოდობითში კლასის ნიშანი პრეფიქსად ან ინფიქსად აქვს, ე. ი. რ მუდამ მხოლოდობითის პრეფიქსულ ან ინფიქსურ კლასნიშნებს ცვლის.

რადგან მრავლობითის ბ, ლ და რ აფიქსებს გრამატიკული კლასის ნიშანთა განხილვისას გავეცანით, აქ მაგალითებს არ დავსახელებთ.

2. არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება. მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად არსებით სახელებს რამდენიმე სუფიქსი მოეპოვება: -ბალ'ი, -ბდალ'ი, -დალ'ი, -დილ'ი, -დე, -ე და სხვ. არა ჩანს გარკვეული პრინციპი, თუ როდის რომელი მათგანი უნდა იქნეს გამოყენებული, რის გამოც ერთი და იმავე სიტყვის მრავლობითი რამდენიმენაირად შეიძლება გაფორმდეს.

ა) ჩამოთვლილ ფორმანტთა შორის ყველაზე გავრცელებულია -ბალ'ი. როცა ის სიტყვას დაერთებს, ჩვეულებრივ წინ რაიმე ხმოვანი უძღვის (ყველაზე ხშირად ა ან ი), ან კიდევ სიტყვის დაბოლოებაში ფონეტიკურ ცვლილებებს იწვევს. ყველა ამ მოვლენას ცალცალკე განვიხილავთ.

-ბალ'ი სუფიქსის დართვისას მახვილი მუდამ მის წინამავალ მარცვალს ეცემა.

¹ ძალზე იშვიათად რ სუფიქსშიაც გვაქვს ც ე რ „ერთნი“, ირავთ „წითელნი“. ჩაქებურ „ყვითელნი“. რ სუფიქსად იძენად უჩვეულოა დღეა ბოსთიხურისათვის, რომ ძიპი ამაზეა ყველაზე წაქთენის შთაბეჭდილებას სტოვებს, მით უმეტეს, რომ ჩვეულებრივია ცელ „ერთნი“, ხოლო იოხა-აა და ჩაქებურ-მრავლობითის წარმოება არც კი შეუძლიათ.

მხოლოდითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

ილა	ილა-ბალ'ი	„დედა“
იმა	იმა-ბალ'ი	„მამა“
გიგინა	გიგინა-ბალ'ი	„ყვავილი“
რეცა	რეცა-ბალ'ი	„ხელი“
ნა	ნა-ბალ'ი	„ნივთი“, „რამ“
ჰანკვა	ჰანკვა-ბალ'ი	„ლურსმანი“
ლამარსა	ლამარსა-ბალ'ი	„ზანდუკი“
მუწიე	მუწიე-ბალ'ი	„საწყლე ჰურქელი“
თაჰი	თაჰი-ბალ'ი	„კვიცი“
ტირი	ტირი-ბალ'ი	„წვეთი“
ჰოქო	ჰოქო-ბალ'ი	„ურემი“
ლაბლუ	ლაბლუ-ბალ'ი	„სალამური“

ლ-ზე დაბოლოებული სახელები ჰკარგავენ ამ ბგერას:

მხოლოდითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

რედელ	რედე-ბალ'ი	„ფეხი“
რეკულ	რეკუ-ბალ'ი	„გასაღები“
ბეელ	ბეე-ბალ'ი	„მთა“

აქვე შემოდის ტაბტალუ — ტაბტა-ბალ'ი „კიტრი“ და რ-ზე დაბოლოებული ჰედირ—ჰედი-ბალ'ი „ხბო“.

ბოლო თანხმოვნის დაკარგვა ნ-ზე დაბოლოებულ სახელებსაც ეხება:

შაატან	შაატა-ბალ'ი	„ეწმაკი“
ჰანულ'ან	ჰანულ'ა-ბალ'ი	„ცხვარი“

ნაზალურ თანხმოვნებზე (მ, ნ) ან ნაზალურ ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელთათვის უფრო ჩვეულებრივია -ბალ'ი-ს დართვისას სუფიქსისეული ბ → მ (ასიმილაციით). ამასთან სიტყვის ბოლოკიდური მ, ნ იკარგება; ასევე იკარგება ხმოვნის ნაზალობაც (შდრ. ვგვევ მოვლენა ზმნებში)

ბაგან	ბაგა-მალ'ი	„ხვრელი“, „ჟუნწი“
ბეგუნ	ბეგუ-მალ'ი	„ნაწილი“
ბოლ'ონ	ბოლ'ო-მალ'ი	„ლორი“
თუქან	თუქა-მალ'ი	„დუქანი“
ყეჰენ	ყეჰე-მალ'ი	„ტომარა“

რეგენ რეგე-მალ'ი „ჯოგვი“

ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ბურთინა—ბურთი-მალ'ი „ნა-ბალი“, კარკანუ—კარკა-მალ'ი „კვერცი“.

რომ აქ ჯერ ასიმილაცია და მერე რედუქციაა მომხდარი, დი არა ამოსავლად სავარაუდებელი შ აღდგენილი, ამტყიცებს სპორა-დულად დადასტურებული პარალელური ფორმებიც:

ბეეუნ—ბეეუბალ'ი და ბეეუ-მალ'ი „ცოცი“, „ნემსი“... რექუნ—რექუბალ'ი და რექუ-მალ'ი „ჩაფი“... ბესუნ—ბესუბალ'ი და ბესუ-მალ'ი „დანა“...

ხშირია შემთხვევა, როცა სიტყვის ბოლოკიდური ხმოვანი ა ბალ'ი-ს წინ იცვლება ი-თ ან ი—ა-თი, ხოლო უ—ა-თი (resp. ბალ'ი-ს წინ გამოვლენილი ხმოვანი კვეცს ფუძისეულ ხმოვანს).

ა-ს ენაცვლება ი:

მხოლოდითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

ჯუჩა	ჯუჩი-ბალ'ი	„წიგნი“; „ცხვრის ტყავი“
ანჩა	ანჩი-ბალ'ი	„ლოდი“
რაშა	რაში-ბალ'ი	„სიტყვა“
ქურტა	ქურტი-ბალ'ი	„ნაჯახი“
ჰალა	ჰალი-ბალ'ი	„შტო“
ტიბტა	ტიბტი-ბალ'ი	„ჩანგალი“; „ისარი“
ანლ'ა	ანლი-ბალ'ი	„ჭრილობა“

ი-ს ენაცვლება ა:

ჯაბაჯი	ჯაბაჯ-ა-ბალ'ი	„გოგრა“
მისიდი	მისიდი-ა-ბალ'ი	„ოქრო“
ბურალ'ი	ბურალ'-ა ბალ'ი	„თუნგი (დიდი)“...

უ-ს ენაცვლება ა:

ჰარქიუ	ჰარქი-ა-ბალ'ი	„ხმა“...
ჰუმუ	ჰუმი-ა-ბალ'ი	„ფრჩხილი“
ჰინწიუ	ჰინწი-ა-ბალ'ი	„ქარი“
სალუ	სალი-ა-ბალ'ი	„კბილი“
ლადარუ	ლადარი-ა-ბალ'ი	„თეფში“
კილუ	კილი-ა-ბალ'ი	„ლოყა“
ეყეჩიუ	ეყეჩი-ა-ბალ'ი	„ქათამი“
გარუ	გარი-ა-ბალ'ი	„ყელი“

ზიუ	ზი-ბ-ა-ბალ'ი	„დღე“ ¹
კამუ	კამ-ა-ბალ'ი	„რქა“

არაიშვიათად დაბოლოებასა და -ბალ'ი ფორმანტს შორის ელინდება ა ხმოვანი (ჩანს უფრო თანხმოვანსა და უ ხმოვნით დაბოლოებულ სიტყვებში):

ალახ	ალახ-ა-ბალ'ი	„ველი“
ბაჰრაჯ	ბაჰრაჯ-ა-ბალ'ი	„დროშა“
ღალბაწ	ღალბაწ-ა-ბალ'ი	„ლომი“
ჩირაჯ	ჩირაჯ-ა-ბალ'ი	„ლამუა“
ჰანყუ	ჰანყუ-ა-ბალ'ი	„სახლი“
რახაუ	რახაუ-ა-ბალ'ი	„საწყაო (30 გირვ.)...“

ბ) გავრცელებულია მრავლობითის წარმოება -ე სუფიქსითაც. იგი უპირატესად ხმოვანზე დაბოლოებულ ორმარცვლიან სიტყვებს ერთვის (ამასთან სიტყვის ბოლოკიდური ხმოვანი იკვეცება), ან კიდევ თანხმოვანზე დაბოლოებულ ერთმარცვლიან სახელებს. -ე სუფიქსი მუდამ მახვილიანია.

ა-ზე დაბოლოებული სახელები:

მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	
ბაჰა	ბაჰ-ე	„ბარტყი“, „წიწილი“...
ბელვა	ბელვ-ე	„საბძელი“
ბაწა	ბაწ-ე	„მგელი“
ბერქა	ბერქ-ე	„გველი“
ბასა	ბას ე	„თმა“
მუხა	მუხ-ე	„ზღაპარი“

ი-ზე დაბოლოებული სახელები:

დონგი — დონგ-ე „ორმო“... ახი — ახ-ე „ბალი“... ზინი — ზინ-ე „ძროხა“... ინციი — ინცა-ე „წყარო“... მიყი — მიყ-ე „გზა“... რეწი — რეშ-ე „წელიწადი“... ხაგი — ხაგ-ე „ქვაბი“.

უ-ზე დაბოლოებული სახელები:

გედუ — გედ-ე „კატა“... კათუ — კათ-ე „ცხენი“... ტუნტუ — ტუნტ-ე „ბუზი“... ფურწაუ — ფურწა-ე „თვე“; „მთვარე“... ყურყუ

¹ ზიბაბალ'ი ფორმაში აღდგენილია ფუძისეული ზიბ- (ზიბუ).

— ყურყ-ე „ბაყაყი“... ხ^რუმუ — ხ^რუმ-ე „სამარე“... ხვაბუ — ხვაბ-ე „წისქვილი“.

სპორადულად უ შეიძლება არ მოეკვეცოს¹ (მაგრამ პარადულურად მისი მოკვეცილი ვარიანტიც არსებობს):

კაკუ — კაკვ-ე „ბურთი“... მატუ — მატვ-ე „სარკე“... ნიქუ — ნიქვ-ე „ნამწვერალი, ბზე“ სექუ — სექვ-ე „გულა“.

თანხმოვანზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი არსებებით სახელები:

ხან — ხან-ე „ხანი“... ბის — ბის-ე „ჯიხვი“... ლა^ჩ — ლაჩ-ე „გრდემლი“... რუჰა — რუჰ-ე „სული“... რალ — რალ-ე „ომი“... საჰა — საჰა-ე „საწყაო“ (7 გირე...)... ჯართ — ჯართ-ე „როკაპი“.

გ) მრავლობითის საკმაოდ გავრცელებული მაწარმოებელია -დე სუფიქსიც. იგი თითქმის მხოლოდ სონორ ბგერებზე (რ, ლ, მ, ნ) დაბოლოებულ სიტყვებთან იხმარება (განსაკუთრებით რ-სთან მუდამ ეს მაწარმოებელი ჩანს), გამონაკლისის სახით იგი ზ-ზე დაბოლოებულ სახელებთანაც გვხვდება. -დე სუფიქსი მახვილიანია. მაგალითები:

რ-ზე დაბოლოებული სახელები:

აზბარ — აზბარ-დე „ეზო“... ამბურ — ამბურ-დე „ბანი“. „სახურავეი“... ბაჰადურ — ბაჰადურ-დე „გმირი“, „რაინდი“... მიყარ — მიყარ-დე „ცხვირი“... შიჰურ — მიჰურ-დე „კიბე“... ნაშარ — ნაშარ-დე „თოკი“... ფანდურ — ფანდურ-დე „ფანდური“... ჰაბარ — ჰაბარ-დე „იატაკი“... ტეეტერ — ტეეტერ-დე „უნაგირი“... ტემსაირ — ტემსაირ-დე „წარბი“... ტანკარ — ტანკარ-დე „კურდ-ღელი“ ლალდიბარ — ლალდიბარ-დე „კეხი“.

ნ-სა და მ-ზე დაბოლოებული სახელები:

ეხუნ — ეხუნ-დე „ოსტატი“... ბერთინ — ბერთინ-დე „ქორწილი“... კურკუნ — კურკუნ-დე „ატამი“... ქვარყინ — ქვარყინ-დე „სამაჯური“... წიქვან — წიქვან-დე „იდაყვი“... ჯალიჯან — ჯალიჯან-დე „ყალიონი“... ყალამ — ყალამ-დე „ფანქარი“, „კალამი“.

ლ-ზე დაბოლოებული სახელები:

არყულ — არყულ-დე „თვალის უბე“; „სახურავეი“... მარღალ — მარღალ-დე „ლილი“... რატაჩალ — რატაჩალ-დე „სარტყე-“

¹ ოღონდ უ — ვ (მომდევნო ხმოვნის გავლენით).

ლი"... პინლულ — პინლულ-დე „ფსკერი“... რატალ — რატალ-დე
საწყაოა (7 გირვანქა).

ბ-ზე დაბოლოებული სახელები:

შიქიბ — შიქიბ-დე „ჩიტი“... პიტეიბ — პიტეიბ-დე „ფესვი“,
„ძირი“... ისიბ — ისიბ-დე „გვერდი“, ნაყიბ — ნაყიბ-დე „ნაიბი“.

განხილული -ბალ'ი, -ე და -დე სუფიქსები მრავლობითის
ყველაზე გავრცელებული ნიშნებია ბოთლიხურში, მაგრამ სხვა ნიშ-
ნებიც ბევრია. მათგან პირველად -დალ'ი, -ბდალ'ი, -ბდილ'ი,
-რდი სუფიქსებს დავასახელებთ, რადგან მასალობრივ წინამავალ
მაწარმოებელთან (-დე-სთან) აქვთ კავშირი და ანალოგიურ პი-
რობებში იხმარებიან.

დ) -დალ'ი:

თაპარ — თაპარ-დალ'ი „ბალიში“... იპურ — იპურ-დალ'ი
„ტბა“... მიპურ — მიპურ დალ'ი „კიბე“... ნაშარ — ნაშარ-დალ'ი
„თოკი“... სიფ — სიფ-დალ'ი „დათვი“.

ბოლოკიდური ხმოვანი იკვეცება:

ყვაჩარა — ყვაჩარ-დალ'ი „ყველი“... რეტამუ — რეტამ-და-
ლ'ი „რტკაველი“... ხური — ხურ-დალ'ი „ყანა“... ქუეი — ქუე-დალ'ი
„მამალი ცხვარი“... ხვაფ — ხვა-დალ'ი¹ „ძალი“.

ე) -ბდალ'ი. ეს სუფიქსი იშვიათია. ქვემოთ მოცემულ მაგა-
ლითებში მისი დართვა ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვასა და ა-ს
დართვას იწვევს:

ყერუ	ყერ-ა-ბდალ'ი	„ხორბალი“
ღერუ	ღერ-ა-ბდალ'ი	„კოვზი“

ვ) ასევე იშვიათია -დილ'ი:

კვაფი	კვაფ-დილ'ი	„თევზი“
წაუფი	წაუფ-დილ'ი	„არწივი“

ზ) ორიოდგ მაგალითი ჩანს -ბდილ'ი-სთვისაც:

ჰაფ	ჰა-ბდილ'ი	„თვალი“ (წიღრ.-ბდალ'ი-სთან)
ქაფ	ქაფ-ბდილ'ი	„ფიცარი“
ზაფ	ზა-ბდილ'ი	„მუშტი“

¹ ა-ზე დაბოლოებულ სიტყვასთან დალ'ი არ უნდა გვექნოდა, მაგრამ,
რაკი ის არის, ამოსავალ ფორმად უნდა *აეარ, *ხვარი ვივარაუდოთ.

თ) ერთი მაგალითი-ლა გვხვდება - რღი სუჟიქსისათვის:

ხარაშუ — ხარაშუ-რღი „მწყემსი“.

აქაც იქნება ხეაჲ—ხეადალ'ი-სეზური ვითარება გვექონდეს.

ი) გეოგრაფიული სახელებისაგან ნაწარმოები წარმომავლობის (გვარტომობის) აღმნიშვნელი სახელები მრავლობით რიცხვში ლ'ი-ს იკვეცენ და -ღი სუფიქსს ღებულობენ:

ბუეხაღი — ბუეხა-ღი „ბოთღიხელი“... წიუფიღი — წიუფი-ღი „ღიდღოელი“... კიღრღი — კიღრ-ღი „კიღრატელი“.

ქ) I და II კლასის რამდენიმე სიტყვა მრავლობითს -ღ ფორმანტით აწ. რმოგბს¹:

ვაციი — ვაციი-ღ „ცმა“... ჯაციი — ჯაციი-ღ „ღა“... ვაშა — ვაშა-ღ „ვაჟი“... ღეში — ღეში-ღ „ქალი“... მაკი — მაკი-ღ „ბავშვი“... ქუნტა — ქუნტა-ღ „ქმარი“².

ღ) აქა-იქ დასტურდება -აღ სუფიქსიც. იგი ხუნძურთან საერთო ხმარების სიტყვებში გვხვდება და იქიდანვე ჩანს შეთვისებუღი.

თუნსაქ — თუნსაქ-აღ „ტუსაღი“... აღამ — აღამ-აღ „აღამიანი“... ყაჩაღ — ყაჩაღ-აღ „ყაჩაღი“.

მ) ანალოგიურ ვითარებაშია -ჴაბაღი, ისიც ხუნძურიდან ჩანს ნასესხები (შღრ. ხუნძ. -ზაბი), იხმარება I გრამატიკული კლასის სიტყვებთან:

ჯაროღ — ჯაროღ-ზაბაღი „ყარაუღი“... ჴალიმ — ჴალიმ-ზაბაღი „ნასწავღი“... მალაჟქ — მალაჟქ-ზაბაღი „ანგელოზი“... წოოჴოღ — წოოჴოღ-ზაბაღი „ქურღი“.

ნ) ორიოღე სიტყვაში მრავლობითის ნიშნად -ბაღა ჩანს:

წაე	წაე-ბაღა	„სტუმარი“
მისქინ	მისქინ-ბაღა	„ღარიბი“

-ბაღა არაა მრავლობითის ნიშანი, იგი დამოუკიდებელი სიტყვაა და ჴეკვა „კაცი“ სიტყვის მრავლობითს წარმოაღგენს (ამ სიტყვას მრავლობითი უწესოღ ეწარმოება. ერთაღერთი სიტყვაა

¹ აღბათ, იგივე ლ-ა, მეორე ჴგუფის სახელებში რომ გვხვდება მრავლობითის წარმოებისას.

² ჴოგი ინფორმატორი ასხვაუებს: ქუნტა-ღ „მამაკაცები“, ქუნტ-ი-ბაღი „ქმრგები“.

ამ მხრივ). ბალა ნიშნავს „ხალხს“ (უფრო ზუსტია მეგრ. კათა, რუს. народ).

ამრიგად, ბოთლიხურ ენას მრავლობითი რიცხვის საწარმო-ებლად ცამეტამდე სუფიქსი აღმოაჩნდა, ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში ნათლად არა ჩანს, როდის რომელი მათგანი უნდა იქნეს ხმარებული. ორივე ეს გარემოება იწვევს ერთი და იმავე სიტყვისათვის მრავლობითი რიცხვის პარალელურ წარმოებას. მაგ.:

მხოლოობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
რუშა	რუშიბალ'ი რუშე	„ხე“
ჭუჩა	ჭუჩიბალ'ი ჭუჩე	„წიგნი“
ქვარტა	ქვარტიბალ'ი ქვარტე	„ნაჯახი“
გაგა	გაგიბალ'ი გაგე	„კურკა“
პინწა	პინწაბალ'ი პინწე	„ქვა“
პანკვა	პანკვაბალ'ი პანკვე	„ლურსმანი“
ჟილა	ჟილაბალ'ი ჟილე	„ხალათი“
თომონგი	თომონგაბალ'ი თომონგე	„თოფი“
ჰერყი	ჰერყაბალ'ი ჰერყე	„წამოსასხამი“
ღვანი	ღვანიბალ'ი ღვანე	„თავი“
ხუნხაულ	ხუნხაუბალ'ი ხუნხაულდე	„სახე“
იპაბუ	იპაბალ'ი იპაბდ'ალი	„ღვედი“
ბეშენ	ბეშენბალ'ი ბეშენდე	„საწოლი“
რეხინ	რეხინბალ'ი რეხინდე	„ბარი“
თუშბან	თუშბანბალ'ი თუშბანდე	„მტერი“
ცედერ	ცედერბალ'ი ცედერდე	„ციდა“
პინგურ	პინგურბალ'ი პინგურდე	„ფანჯარა“
ნაშარ	ნაშარბალ'ი ნაშარდე	„თოკი“
ქუთი	ქუთბალ'ი ქუთე	„მამალი ცხვარი“
წიერი	წიერბალ'ი წიერე	„სახელი“
სიხ	სიხბალ'ი სიხე	„დათვი“
ყადარ	ყადარბალ'ი ყადარდე	„ბედი“
ჰაჲ	ჰაბბალ'ი ჰაბბილ'ი	„თვალი“

და მრავალი სხვა.

3. რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსთა შესახებ. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლად შემდეგი სუფიქსები დავადასტურეთ: -ბალ'ი, -ე, -დე, -დალ'ი, -ბდალ'ი, -დილ'ი, -ბდილ'ი, -რდი, -დი, -ლ, -ალ, -ზაბალ'ი.

ჩანოთელილ ნიშანთაგან -ბალ'ი, -დალ'ი, -ბდალ'ი, -დილ'ი, -ბდილ'ი, -ზაბალ'ი ფორმანტებში ლ'ი დაბოლოება უნდა გამოიყოს. ის არ შეიძლება ამ სუფიქსთა ორგანულ კუთვნილებად მივიჩნიოთ (შდრ. სხვა ანდიურ ენათა -ბე, -ბი, -ბა, -დე, -დი, -და ფორმანტები). ამასვე უპერს მხარს ლოკატიური ბრუნვები ბოთლიხურისა. მრავლობით რიცხვში ლოკატიური ბრუნვის ნიშანთა წინ -ლ'ი არა ჩანს. ზეებალ'ი „მთები“ — ზეება-ხი „მთებზე“, მიყარ-დალ'ი „ცხვირები“ — მიყარდა-ხი „ცხვირებზე“.

აქ ძველი სახე უნდა იყოს ამ სუფიქსებისა შემონახული¹.

-ბდალ'ი და -ბდილ'ი -დალ'ი-სა და -დილ'ი-საგან ზ ელემენტის დართვით განირჩევა. ამ ზ-ს ახსნა ორგვარად შეიძლება:

1. ზ შეიძლება ნაშთი იყოს მრავლობითის ბა სუფიქსისა (ე. ი. ბ-დალ'ი ← *ბა-დალ'ი, ბდილ'ი ← *ბა-დილ'ი) და, ამრიგად, აქ წარმოშობით მრავლობითის ორმაგ სუფიქსთან გვექნება საქმე (შდრ. ლოდობერიულში ვაცაი „ძმა“ — ვაცაი-ბედი „ძმები“, ნეორე მხრივ -ბე, -ბი, -დე, -დი მრავლობითის გაერტელებული სუფიქსებია ანდიურ ენებში²).

2. ზ შეიძლება ფუძის კუთვნილება ყოფილიყო, მხოლოობითში ზ დაკარგულია, მრავლობითში კი შემოგვრჩა -დალ'ი, -დილ'ი სუფიქსების წინ (მაგ. ჰაბდილ'ი „ფიცრები“, მხ. ჰაე ← *ჰეებ). ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საჭიროა სათანადო სიტყვის ისტორიის გათვალისწინება.

-ზაბალ'ი, როგორც აღენიშნეთ, ხუნურიდანაა შეთვისებული და ხუნურიდან ნასესხებ სიტყვებში გვხვდება, ესაა I გრამატიკული კლასის არსებითი სახელები უპირატესად უცხოური წარმოშობისა. ხუნურ -ზაბი სუფიქსს ბოთლიხურში ლ'ი დართვია (ისევე, როგორც ეს მოხდა საკუთრივ ბოთლიხურ -ბალ'ი და მისთ. სუფიქსებში). შდრ.:

ხუნური

ბოთლიხური

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
ჟაბდალ „სულელი“	ჟაბდალზაბი	აბდალ	აბდალზაბალ'ი
ლალ „მონა“	ლალზაბი	ლალ	ლალზაბალ'ი
შაიხ „შეიხი“	შაიხ-ზაბი	შაიხ	შაიხ-ზაბალ'ი

¹ წარმოშობით ლ'ი დაკავშირებული შეიძლება იყოს აბსტრაქტულობის მაწარმოებელ -ლ'ი სუფიქსთან (აბსტრაქტულობა — კრებითობა). იხ. სიტყვაწარმოება.

² ორმაგი სუფიქსაცია საკმაოდ ხშირია ანდიურ ენებში. შდრ. ბოთლიხურისავე ჰაბდილ'ი და აშკარად ორმაგი სუფიქსის მქონე ჰაბდიბალ'ი „თვალები“.

საინტერესოა, რომ ხუნძურის -ზაბი ბოთლიხურში -ზაბალ'ი სუფიქსმა შეცვალა და ამით ბოთლიხური ფორმა მიეცა მას (ზღრ. მაგ. ვუჩი-ბალ'ი „წიგნები“)¹.

-რ-დი სუფიქსი მეტად სპორადულია, რაც აცნელებს მის შესახებ მსჯელობას.

ორი იპეიათად ხმარებული სუფიქსი -ლ და -ალ ჩვენს ყურადღებას წარმართავს იმ ლ-საკენ, რომელიც კლასნიშნიან სიტყვათა მრავლობითი რიცხვის გადმოსაცემად იხმარება (იხ. ზემოთ). -ალ პირდაპირ ხუნძურიდანაა ნასესხები და ხუნძურთან საერთო ხმარების სიტყვებში გვაქვს (მატერიალურად ამ აფიქსის ლ, ცხადია, ბოთლიხური ლ-ს ტოლფარდია). -ალ ხუნძურში მრავლობითი რიცხვის ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელია (ეს გავრცელებულობა, სხვათა შორის, მეორეული შეიძლება იყოს, ამ მხრივ ბოთლიხური, სადაც ლ იშვიათად-ლა გვაქვს, არქაულ ვითარებას გვიჩვენებს. საყურადღებოა ლ-ს გამოყენების სფეროც — I და II გრამატიკული კლასის — მეტწილად კლასის ნიშნის მქონე — სიტყვები)².

4. მრავლობითი რიცხვის საწარმოებელი ფუძის შესახებ. არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად მხოლოდობითი რიცხვის სახელობით ბრუნვას, რომელიც სიტყვის ფუძეს უდრის, დაერთვის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ერთი სუფიქსი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიტყვის დაბოლოებისა და სუფიქსის შეხვედრისას ბგერათა ზოგ ცვლილებას, რაც, როგორც ვნახეთ, წმინდა ფონეტიკურ ნიადაგზე ხდება, ეს წარმოება მარტივია.

მაგრამ ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: რიგ შემთხვევაში -ბალ'ი (აგრეთვე -ბდალ'ი) სუფიქსის წინ (სიტყვის ფუძის მომდევნოდ) ვლინდება ხმოვანი.

ხშირად -ბალ'ი უშუალოდ მიერთვის ფუძეს, მაგ.: გიგინა „ყვაილი“ — გიგინა-ბალ'ი, ტირი „წვეთი“ — ტირი-ბალ'ი, ეარ-

¹ თვით ხუნძური -ზაბი რთული სუფიქსია: ბი ცალკეც იხმარება (ღუტ-ბი „ხეები“, ჩანაჯა-ბი „მონადირეები“).

² ამ სქემატური მიმოხილვიდანაც კი აშკარაა, რომ ბოთლიხურის მრავლობითის სუფიქსთა სიმრავლე თანხმონურ ნაწილში დაიყვანება — ბ, დ, ლ (რ) თანხმონებამდე.

ლუ „ტაფა“ — ქარლუ-ბალ'ი... უხმოვნოდაა დართული-ბალ'ი ასეთს შემთხვევებშიც: ჰეწილ „თითი“ — ჰეწი-ბალ'ი (← *ჰეწილ-ბალ'ი), ყეჰენ „ტომარა“ — ყეჰემალ'ი (← *ყეჰენ-ბალ'ი) და სხვ. მაგრამ გავ-რცელებულ წესს წარმოადგენს არა ასეთი შემთხვევა, არამედ ფუ-ძესა და სფუძიქს შორის ხმოვნის „ჩართვა“. ამგვარ ხმოვნად გვევ-ლინება ი ან ა. თუ სათანადო სიტყვის ფუძე დაბოლოებულია ხმოვ-ნით, ი-სა ან ა-ს დართვა იწვევს წინამდებელი ფუძისეული ხმოვნის ცვლილებას (ჩვეულებრივად მოკვეცას. შედარებით იწვიათად ბო-ლოკიდური უ მარცვლოვანობას კარგავს). მაგალითები ზემოთ ვნა-ხეთ (ჟუჩა „წიგნი“ — ჟუჩ-ი-ბალ'ი, ბურალ'ი „თუნგი“, — ბურალ'-ა-ბალ'ი, ჰინწაუ „კარი“ — ჰინწა-ა-ბალ'ი, ჰანყუ -სახლი“ — ჰანყ-ვა-ბალ'ი). ამრიგად, ბალ'ი დაერთვის არა პირდაპირ სახელობითის ფუძეს, არამედ სახელობითიდან ხმოვნის მეშვეობით გაფორმე-ბულ ფუძეს.

ამგვარივე ნაწარმოები ფუძე გვაქვს სახელთა ბრუნების დრო-საც, როგორც ირიბ ბრუნვათა ფუძე. ეს მსგავსება მრავლობითის ფუძესა და სახელთა ბრუნების დროს ირიბ ბრუნვათა ფუძეს შო-რის შემთხვევითი არ უნდა იყოს (ნდრ. მაგ. ჟუჩა „წიგნი“, ჟუჩ-ი-ბალ'ი „წიგნები“, ჟუჩ-ი-ლი „წიგნის“... ჩირაჟ „ლამფა“, ჩირაჟ-ა-ბალ'ი „ლამფების“, ჩირაჟ-ა-ლი „ლამფის“)¹.

ბ რ უ ნ ვ ა

1. ძირითადი და ლოკატიური ბრუნვები. ბოთლიხურში სა-ხელი მდიდარია ფორმებით, განსაკუთრებით სარელაციო ფორ-მებით.

ბრუნვები ორ ჯგუფად იყოფა: ძირითადი ბრუნვები და ლო-კატიური ბრუნვები. ძირითადი ბრუნვებია: სახელობითი, ერგატი-ვი, ნათესაობითი და მიცემითი. ლოკატიური ბრუნვები მრავალ-რიცხოვანია და რამდენსამე სერიას ქმნის (ამით ანაზღაურებულია

¹ მოვლენის ისტორიას აქ ვერ განვიხილავთ. საგულისხმოა, რომ მრ. რ.-ში გვაქვია „ჩანართი“ უ, რაც გარკვეული რიგის სახელებში ჩვეულებრივია მხოლოდობითში ირიბ ბრუნვათა ფუძის საწარმოებლად. ეს გარემოება (რიგ სხვა მოვლენასთან ერთად) შესაძლებელია აღძრული საკითხის გასარკვევად უმნიშვნელო არ იყოს.

თანდებულთა :სიმცირე). ლოკატიური ბრუნვები ზმნისართებსაც აქვს.

ძირითად ბრუნვებს აბსტრაქტული შინაარსი აქვს, ხოლო ლოკატიური ბრუნვები სივრცეში საგანთა შორის მიმართებას გამოხატავს. ასეთია აზრობლივი სხვაობა.

ბრუნვათა ორ ჯგუფს შორის ბოთლიხურში არსებობს ფორმალური სხვაობაც: ლ'ი-ზე დაბოლოებული მრავლობითის ნიშანი (-ბალ'ი, -ბდალ'ი, -დილ'ი) ლოკატიურ ბრუნვებში იხმარება ლ'ი-ს გარეშე¹. არის სტრუქტურული სხვაობაც: ძირითად ბრუნვათა ნიშანი აგებულიებით „მარტივია“, ლოკატიური ბრუნვები კი, როგორც წესი, ერთიანდება გარკვეულ სერიებად: ფუძეს ერთვის ჯერ სერიის ნიშანი, შემდეგ კი საკუთრივ ლოკატიური ბრუნვის ნიშანი.

სხვა მხრივ ძირითად და ლოკატიურ ბრუნვათა გარჩევა არ ხერხდება: ბრუნვათა ორივე ჯგუფი იწარმოება საერთო ფუძისაგან, რომელსაც „ირბ ბრუნვათა ფუძე“ შეიძლება ვუწოდოთ.↓

ძირითადი ბრუნვა, როგორც ვთქვით, ოთხია: სახელობითი, ერგატივი, ნათესაობითი და მიცემითი.

ლოკატიური ბრუნვები ექვს სერიას ქმნის იმის მიხედვით, თუ რა არის ლოკატიური სერიის ნიშანი:

I სერია — უნიშნო ლოკატივი; II სერია — კ-იანი ლოკატივი; III სერია — ხ-იანი ლოკატივი; IV სერია — ჯ-იანი ლოკატივი; V სერია — ლ'ა-იანი ლოკატივი; VI სერია — ტ-იანი ლოკატივი.

ყოველ სერიას აქვს სამი ან ოთხი ბრუნვა.

ბრუნვათა საერთო რიცხვი, ამრიგად, 23-მდე აღის. ძირითადად ასეთი სურათია მრავლობით რიცხვშიც, ოღონდ აქ ზოგ-ზოგი ფორმები გვაკლია. ამის შესახებ — ქვემოთ.

2. ძირითად ბრუნვათა ნიშნები. ბრუნვის ნიშნები მხოლოდობითსა და მრავლობითში ერთნაირია (მრავლობითში რიცხვის ნიშანი წინ უსწრებს ბრუნვისას).

სახელობით ბრუნვას ჭაიმე სპეციალური ნიშანი არ გამოეპყება, მხოლოდობითში ის სიტყვის ფუძეს უდრის, მრავლობითში კი სათანადო სუბიექსი დაერთვის რიცხვის გადმოსაცემად (რიცხვის ნიშანი გასდევს ყველა ბრუნვას).

მაგალითები: ჰებესი იდა დუბ ჰაბ რაშა, ჰუშთუბ ბეკუხა ნა მიწ(ი) ხურჯირალ'ა ჰინა ინლალა მიტყე: „ტყუილია შენი ეგ სიტ-

¹ აქ საქმე უნდა გვქაზდეს არქაიზთან (-ლ'ი შემდგომად დართული მრავლობითი ნიშნებზე. იხ. რიცხვი ა წარმოება).

ყვა, ასე დიდი შენ ხურჯინში როგორ ჩაეტყვი?“... აჰამად, ჰაბ იმ-ჩუ ხუკი, ჰურტა ილა. ჰურტალა ლამდი ბელალა—მიწა, ბელიქალა—ბურტა ბუკე-თალუ, ჰიტუ იშქურ. „აჰამად, ეს ვაშლი არაა, კაკალია. კაკალი საკმელად, თუ მწიფეა, ტბილია (გემრიელია), თუ მკვახეა (უმწიფარია), მწარე არის ხოლმე მეთქი, ვუთხარი მე“... დიე ვაცილა და ცვილა ჰალა ილა „ჩემი ძმა და და აქ არიან“.

ერგატივის ნიშანი - დი სუფიქსი. პირდაპირ სიტყვის ფუძეს - დი იშვიათად დაერთვის, მის წინ (resp. - დი ნიშანსა და სახელობითისეულ ფუძეს შორის) ა, ი, უ ხმოვანი ან შოუ და ლ'ი მარცვლი გამოჩნდება ხოლმე. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ბრუნების რა ტიპს განეკუთვნება სათანადო სიტყვა (ეს შეეხება ყველა სხვა ბრუნვასაც. იხ. ქვემოთ ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოებისა და ბრუნვათა ტიპების შესახებ).

მაგალითები: იმუდი (სახ. ბრ. იმა) ხურა ბეტუ „მამამ ყანა მოხნა“... ბერქუდი (სახ. ბრ. ბერქა) ჰიტუ ჰეკეაშუხი რელ'ი თალუ „გველმა უთხოა კაცს, წავიდეთო“... ზინადი (სახ. ბრ. ზინი) შიიუ ქე „ბროხა რძეს იძლევა“... ჰერმინა ჰაბ იმჩული რუშიდი (სახ. ბრ. რუშა) ტონიხი ბეტი იქუ „წარშან ამ ვაშლის ხემ ბევრი ხილი მოგვცა“... გაშუდი (სახ. ბრ. გაე) ჰარკუხი მასა ილა ინშუბდა ბულაბ ნალარ „მან ცოლს უამბო თავისი თავგადასავალი“... გალ'იდი (სახ. ბრ. გაე) ბეელუ ილა ვაცილუხი „მან დაუცხა ძმებს“.

მიცემით ბრუნვას აწარმოებს ი სუფიქსი. თუ ირიბ ბრუნვათა ფუძე, რომელსაც მიცემითის ნიშანი დაერთვის, ხმოვანზეა დაბოლოებული, ი-ს ნაცვლად მისი უმარცვლო ვარიანტი ა გვექნება¹.

ილუა (სახ. ბრ. ილა) იდე დენი „დედას ვუყვარვარ მე“... გოლუა (სახ. ბრ. გოლ) აჰა ჰაბ ხაბარ „მათ ესმათ ეს ამბავი“... ჰუბ ლამარსალ'იუ ჰინუ გოშუა (სახ. ბრ. გოე) ცებ ქალათ მისა „იმ ზანდუქში მან ერთი წერილი იპოვა“... ჰეკი ვეკუხალოშუა (სახ. ბრ. ვეკუხა) ჰალა ილა ხაარჩამუქუ ჰეცა ჰვარდუხობ ნალარ“ ყველაზე უმცროსმა ნახა ხმალზე წარწერილი (რამ)“... სალლ'ი წინდირი (სახ. ბრ. წინდირი) ჰეკისეებუსაუბ შარტ წაინკირ ილა „ჯანმრთელობის დაცვის პირველი პირობა სისუფთავეა“... დუა (სახ. ბრ. მინ) ბუეხადალ'ი მიწი ბელეუქიმა : „შენ ბოთლიხური ენა არ იცი?“

¹ თუ მიცემითის ნიშანს წინ ი ხმოვანი უძღვია, კომპლექსი — ია შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც მახვილიანი ი.

ჭუშუდი იქმე ხანიე (სახ. ბრ. ხან) ჰაბულა იმჩუ „მან მისცა ხანს სამი ვაშლი“.

ნათესაობით ბრუნვას ორი სხვადასხვა ნიშანი აქვს. გარკვეულ სიტყვებში მისი ნიშანია გრამატიკული კლასის ექსპონენტი, სიტყვათა სხვა ჯგუფში კი -ლ'ი აფიქსი. ამრიგად, ბოთლიხურში ფორმალურად ორი ნათესაობითი გვაქვს: ნათესაობითი I — კლასნიშნიანი და ნათესაობითი II — უკლასნიშნო, -ლ'ი სუფიქსით ნაწარმოები. სინამდვილეში ორ სხვადასხვა ბრუნვაზე საუბარი გამოორიცილებულია: ამ „ბრუნვათა“ (ნათ. I, ნათ. II) მნიშვნელობა ერთნაირია¹ და მათ შორის განსხვავებას გამოყენების სფერო (დისტრიბუცია) ქმნის: აქ საქმე გვაქვს ერთი ბრუნვის ორ სხვადასხვა სუფიქსთან, რომლებიც გარკვეულ შემთხვევაში გამოიყენებიან.

მხოლოდობით რიცხვში კლასნიშნიანი ნათესაობითი (ნათესაობითი I) აქვს I გრამატიკული კლასის ბრუნებად სიტყვებს (სულ ერთია, იქნება ეს არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი თუ ნაცვალსახელი). აქვე შემოვა მამაკაცთა საკუთარი სახელებიც. ამავე რიგში ხვდება საერთოდ „ადამიანთა კლასის სახელები“ — ისეთი სახელები, რომლებიც I და II გრამატიკულ კლასს ერთმანეთისაგან არ განარჩევენ (მაგ., I და II პირის ნაცვალსახელები ორსავე რიცხვში, კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ“, უკუქცევითი „თვისონ“...).

ყველა სხვა სახელს ნათესაობითის მეორე ფორმა აქვს (-ლ'ი სუფიქსიანი). ამრიგად, ნათესაობითის ორ ფორმას შორის ბრუნებად სიტყვათა სფერო ზოგადად ასეა განაწილებული: I გრამატიკული კლასის სახელები, აგრეთვე ნაცვალსახელები, რომელთაც I და II კლასს შორის დაპირისპირება არა აქვთ, ნათესაობითი I-ის ანუ კლასნიშნიანი ნათესაობითის ფორმას იღებენ. II და III გრამატიკული კლასის სახელები — II ნათესაობითის ანუ -ლ'ი სუფიქსიანი ნათესაობითის ფორმას იღებენ².

კლასნიშნიანი ნათესაობითი, როგორც ვთქვით, იწარმოება გრამატიკული კლასის ნიშნით, რომელიც უთანხმდება საზღვრული სიტყვის კლასს (მაგ. იმუბ კათუ „მამის ცხენი“, იმუფ ვაცოი „მამის ძმა“, იმუჲ აცოი „მამის და“, იწულ კათე „მამის ცხენები“, იმუბ

¹ მიუხედავად იმისა, თუ რა წარმოშობისაა თითოეული მათგანი და იყო თუ არა მათ შორის განსხვავება მნიშვნელობის მიხედვით.

² როგორც ჩანს, ისტორიულად ნათესაობითის ორი ფორმა ორი სხვადასხვა კლასის გარჩევას ემყარება (კლასნიშნიანი ნათესაობითი — ადამიანთა კლასისათვის, -ლ'ი სუფიქსიანი — ნივთთა კლასისათვის).

კუჩიბალ'ი „მამის წიგნები“). გრამატიკული კლასის ნიშანი დაერთვის ირიბ ბრუნვათა ფუძეს (ე. ი. იმ ფუძეს, რომელსაც დაერთვის საერთოდ ყველა სხვა ბრუნვის ნიშანიც). ამავე ფუძეს დაერთვის -ლ'ი სუფიქსიც (მაგ. ილა „ღეღა“, ირიბ ბრუნვათა ფუძე ილუ-, ნათ. ბრ. ილუ-ლ'ი „ღედის“).

მრავლობით რიცხვში ნათესაობითის ორივე ფორმა გამოყენებული. თითოეული მათგანის გამოყენების სფერო ანალოგიური მხოლოდობითი რიცხვისათვის მითითებული განაწილებისა, ოღონდ მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა სუფიქსითაა მრავლობითობა ნაწარმოები (იხ. ქვემოთ)¹.

ა) კლასნიშნის ნათესაობითი:

ღაბა-კულ ილ'ი გავიშებ (სახ. ბრ. გავ) ჰაალ ბიპი იპი გავ ჩანა ბეედი „მოდითო, ჩვენ მისი ძალის გამოსაცდელად მას სანადიროდ დავეძახოთ“... პარკეუდი ქუნტუბ (სახ. ქუნტა) რაქალილა ბაყა, კათეჟულა ნაკვა, ჩანა დაყა „ცოლმა ქმრის ტანსაცმელი ჩაიცვა (რა), ცხენზე შეჯდა (რა), სანადიროდ წავიდა“... პალ რუქაუ იდა თურქალუბ (სახ. ბრ. თურქალ) უნშიქუ ჰეყა „ესენი მოხედნენ თურქების მიწაზე (ქვეყანაში)“... ხანივ (სახ. ბრ. ხან) ვაშა ვულარიული ჰიტეუ ინუხი... „ხანის ვაჟი რომ გაიზარდა, უთხრა მამას“... ხეადი ღვანეკვაშაუბ (სახ. ბრ. ღვანეკვა) ყაა ბილო ბეთეუქი „ძალი პატრონის ფარას არ ტოვებს“... წაუღურლა ჭადალლა ვაციილუბ (სახ. ბრ. ვაციილ) ბულ'აბ ნა „ჭკვიანი და სულელი ძმების თავგადასავალი“... აზნაა-ბაჰადურობ (სახ. ბრ. აზნაა-ბაჰადურ) ცებ თაპი ბუკა „აზნაა-ბაჰადურს ერთი კვიცი ჰყავდა“.

ბ) -ლ'ი სუფიქსის ნათესაობითი:

ცებ ზიუდი ყვაყვაა ყვაჩარალ'ი (სახ. ბრ. ყვაჩარა) ბეგუნ მისა „ერთ დღეს ყვაემა ყველის ნაჭერი იპოვა“... პალ რაწა ბეჟერ რე-ჰალ'ი (სახ. ბრ. რეჰა) ბააღ'ა „მათ მიალწიეს შავი ზღვის ნაპირს“... გაშაუდი აზდაჰულ'ი (სახ. აზდაჰა) კედალა ჰანტუქალა ბიქაუ ჰურჰუდუ იდა „ამან ურჩხულის ორივე ყურს ჩაავლო ხელი და დაანჯღრია“... აზნაა-ბაჰადურ რალილ'ი (სახ. ბრ. რალი) ბააღანა ვაწა იდა „აზნაა-ბაჰადურმა ბრძოლის ველს მიალწია“.. ალლაჰ, ჰავ ხანიქუ ჰეყა ჭალხულ იჩულ'ი (სახ. ბრ. იჩუ) შიიჟუ ხაუდიქალა ჰეყარუ მაყიხიქაბ კვაჰალირ ტამა-ხაა! „ღმერთო, ამ ხანს გარე-

¹ საბოლოოდ მრავლობითი რიცხვის ამა თუ იმ სუფიქსის გამოყენებაც გარკვეულ ნაწილში გრამატიკული კლასით ჩანს შეპირობებული.

ული ქაკის რძის უსმელად მოურჩენელი ავადმყოფობა გამოუგზავნეო („ვარეული ქაკის რძე თუ არ დალია, ზევინდან არ წამსვლელი ავადმყოფობა გამოუგზავნე-რა“)... ჰაბ ჭუჩა დიხა დაცოულ'ი (სახ. ბრ. დაცოი) იღა, ჰაბ თეთრადაბალ'ილა ჰულ'ილ'ი (სახ. ბრ. ჰუხ) იღა -ეს წიგნი ჩემი დისაა, ეს რვეულებიც მისია“... დიქუ ჰაბ-დილ'ილ'ი (სახ. ბრ. ჰაბდილ'ი) კვაპალირ ბუქუ „მე თვალების ავადმყოფობა გამიჩნდა“... ჰაბ ზინი ფატიმათილ'ი (სახ. ბრ. ფატიმათი) იღა „ეს ძროხა ფატიმათისაა“.

ჰ. ძირითად ბრუნვათა ფუნქციების შესახებ. სახელობითი ბრუნვის ფუნქციაა გარდამავალი ზმნის ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტის გადმოცემა.

კათუდი ღამდე ჰუნქა „ცხენი ჰამს თივას“ (ზედმიწ. „ცხენმა ჰამს ხოლმე თივა“)... კათუ ბიყა „ცხენი მოკვდა“.

ერგატივი გარდამავალი ზმნის რეალური სუბიექტის ბრუნვაა:

ილუდი მაქვა იჰე „დედა საქმელს აკეთებს“ (ზედმიწ. „დედამ საქმელს აკეთებს ხოლმე“)... ჩანაჯანიდი (|| ჩანაჯამუდი) ბუქო ბაწა „მონადირემ მოკლა მგელი“.

ერგატიული ბრუნვა ბოთლიხურში თანაბრად იხმარება როგორც გარდამავალ ზმნათა ქვემდებარის ბრუნვად (იხ. ზემოთ), ასევე ინსტრუმენტალისის (მოქმედებითი ბრუნვის) ფუნქციითაც. ამასთანავე დაკავშირებული ერგატივის ფართო გამოყენება ზმნისართების საწარმოებლად: იმუდი (ერგ.) რუმა ბუყუ ქურტიდი (ერგ.=მოქმ.) „მამამ ხე მოჭრა ნაჯახით“... ვაბ შიფუ ხაუდიროლა გაშაუქუ პეყარუ კუპალირ ბესუნადი ბუყაბცუბ მყა იღა „როგორც კი ეს რძე დალია, მას ავადმყოფობა მყისვე მოშორდა“ (ზედმიწ. „ამ რძის დაღევა და მისგან ავადმყოფობა დანით მოჭრილივით წავიდა“)... გოვ ჰეკვაშაუდი (ერგ.) მიყარდახიქუ ფუღაბ ნუჩულადი (ერგ.=მოქმ.) ტორგულა გამე ბესაუხა სხარდო „იმ კაცმა ცხვირიდან დაბერილი ქართ ყველა გემი უკან გააბრუნა“...

ბოთლიხურში გავრცელებულია ზმნისართები ერგატივის ფორმით: ზიუდი „ღღეს“ (ზიუ „ღღე“), რეპადი „ღამით“ (რეპა „ღამე“), ზამანდი „ღროს“ (ზამან, ზამანა „ღრო“), რიუდი || რიპუდი „ღროს“ (რიპუ „ღრო“), ჰატჰიდი „კვირას“ (ჰატჰუ „კვირა“), ფურწიდი „თვეს“ (ფურწაუ „მთვარე“, „თვე“), რეშიდი „წელს“ (რეში „წელიწადი“), მიყიდი „გზის“ (მიყი „გზა“) -„ჯერ“, მან-ზილადი „მანძილით“, „მანძილზე“ (მანზილ „მანძილი“), რუპიდი || რუპჰედი „ძალიან“ (←რუპჰ „სული“)...

ცებ ზიუდი დენ ჩანა ვაჟა „ერთ ღლეს მე სანადიროდ წავე-
 დი“... ცერ (II ცებ) ზიუდი ახიჯა პილაჲ აქვი ნიკისილაჲ ჯეჰილ'აიჲ
 გავ ადამ ღუნღუ ვიესა ილა „ერთ ღლეს ბალში მიმავალ ყველაზე
 უმცროს ქალს ის კაცი მძინარე უნახავს“... სეჟა ზამანდი იშიბ
 ჰანი ბუჲა იდახო ასარ ბალალ'აი „ძველად ჩვენს სოფელში მოსაბ-
 ლეობა ცოტა ყოფილა“ (ზედმიწ. „წინა დროს ჩვენი სოფელი ყოფი-
 ლა ცოტა ხალხიანი“)... იშჲა ვაჟა-რიუდი მიყუ მისა ილა გოშაჲ
 ხანჯარ „შინ რომ მიდიოდა (ზედმიწ. „წავიდა დროს“), გზაზე უპო-
 ვია მას ხანჯალი“... ჰურიუდი, ცებ ფურწიდილა ვილუ, ხადუ ილა
 გაშეუდი ალლაჰაშეუხი „მაჰინ („იმ დროს“) ერთ თვესაც გაჩერდა
 რა, თხოვა მან ღმერთს“... ჰალ'აჲ ცებ ჰვაიი ღე, ბოჰუხა ჰვაიი,
 ცებ რეშიდი ცებ მიყიდი „აქ ერთი თვეზი მოდის, დიდი თვეზი
 (ერთ) წელიწადში ერთხელ“.

ერგატიული ბრუნვა რომ მოთხრობითისა და მოქმედებითი
 ბრუნვის დუნქციებს ათავსებს ერთმანეთთან, ეს შემთხვევითი არაა და
 მისი ახსნა ბოთლიხურისა და მისი მონათესავე ენების ისტორიის
 გათვალისწინებას მოითხოვს¹.

ერგატივის წარმოებაში ზოგ სიტყვას გარკვეული თავისებუ-
 რებები აქვს. ამის შესახებ იხ. ქვემოთ („თავისებურებანი“).

¹ აღნიშნავთ გავრით, რომ ერგატიკი იბერო-კავკასიური წლის არა
 ერთ ენაში აქვს აშკარად „უენაურობა“ (გარდაკავალი ხანის სუბიექტის აღნიშ-
 ვნასთან ერთად ერთ-ერთი ირიბი ბრუნვის უნქციააც ითავსებს). ეს გვიჩვენ-
 ნება, რომ შემთხვევითობაზე ლაპარაკი აქ ვაპირებულა. ეა „შეთავსება“ ერ-
 გატიული ბრუნვის შინაგანი ბუნებათა მკირობებულა. შეიძლება იგი იცო ითქ-
 ვას: მოთარობითისა და მოქმედებითის რაღაჲ ეუგატიკია გამოყენება წარმო-
 ადგენა ერთი ბრუნვის ორ სავადასაჲ მბარეა გოაბატკული კლასების მიხედ-
 ვით დაკონკრეტებულს: „აჲამინათა კლასის“ სიტყვებში (აწინდელი I და II
 კლასები) ეს ბრუნვა მოთხრობითის შინაარსიანა. „ნოეთა კლასის“ (აწინდელი
 III კლასის) სიტყვებში კი იატრობულად მოქმედებითის. იას ტრემენტალიას
 რაღა აარულებს. გაცილებით ადრეული პერიოდისათჲა იქნებ კითხვაც კი და-
 ისვას, იყო თუ არა ეუგატიკი გარდაკავალ ხანათა ოქალეუი აუბიექტია ბრუნ-
 ვა. იქნებ ეს იყო უბრალო დამატების ბრუნვა, რომელმაც ადამინათა კლასის
 სიტყვებში რეალური სუბიექტია მნიშვნელობა მიიღო. აიგვო გავება ე. წ.
 „ერგატიული კონსტრუქციის“ პრობლემა თავისებურ გადაწყვეტაჲჲ მიყვა-
 ვართ. ამის შესახებ სივა დროს. ზოგი აქ აღბრუნული საკითხის შეახებ იხ. Arn.
 Tschikobawa, Die iberokaukasische Gebirgssprachen und der heutige
 Stand ihrer Erforschung in Georgien. Acta orient. Hung., 1959, ტ. IX,
 2; მისივე, ერგატივის წარმოქმნის იატრობიკათის ბუნებულა, იკე, ტ. II,
 1948; მისივე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერ.-კავკას. ენებში,
 II, 1961; დ. იმნაიშვილი, ერგატივის წარმოების იატრობიკათის ნახერი
 ჯგუფის ენებში, იკე, ტ. XII, 1960...

მიცემითი ბრუნვა ირიბი ობიექტის ბრუნვაა. ეგვევ ბრუნვაა გამოყენებული გრინობა-აღქმის ზმნათა რეალური სუბიექტის გადმოსაცემად (ბელი „ცოდნა“, „ცნობა“, ილი „სიყვარული“, ჰალი „ნახვა“, ყორო „ნდობა“ მისი „ნახვა“, „პოვნა“, აჰი „სმენა“...)¹.

ირიბი ობიექტის გადმოსაცემად მიცემითის გამოყენება ბოთლიხურში საკმაოდ შეზღუდულია, რაც იმით აიხსნება, რომ ამ ფუნქციით ლოკატიური ბრუნვები (განსაკუთრებით -ხი, -ხა, -ჰუ) ხშირად გვხვდება იქ, სადაც სხვა ენათა (მაგ., ქართულის, რუსულის) მიხედვით მიცემითი ბრუნვა იყო თითქოს მოსალოდნელი², მაგ., გოშაული ჰიტჟუ იმუხი „მან უთხრა მამას“. იმუხი ლოკატიური ბრუნვაა, სახელდობრ III სერიის ადგილობითი ბრუნვა და არა მიცემითი. შდრ. აგრეთვე — მასა ჰუშუხი მუხა! „უამბე ღაზლაპარი!“ იშქურ აჰო ჰუშუხი რუხეღ „მე მას გავაგონე სიხარული“, ე. ი. სასიხარულო ამბავი მოვუტანე (-ხი-ს ნაცვლად მხ. რ. I და II პიროს ნაცვალსახელებში -ჰი გვაქვს: დიჰი, დუჰი, ასევეა „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელებთან). შდრ. -ჰუ „მიცემითის“ ფუნქციით: იშქურ ქალათ ჰეარდო ვაცაუჰუ „ნე წერილი დავაწერინე ძმას“... ილუდი ლაბდო მიკიჰუ „დედამ სცემა ბავშვს“.

ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციები სპეციალურ შენიშვნებს არ იწვევს. მისი ძირითადი ფუნქციაა კუთვნილების, ნაწილის ნასალის გადმოცემა: იმუბ კათუ „მამის ცხენი“, ილულ'ი ვაცაი „დედის ძმა“, ყვაჩარალ'ი ბეგუნ „ყველის ნაჭერი“, უნსულ'ი კამაბალ'ი „ხარის რქები“, ჰუდალ'ი უსთარ „ხის ოსტატი“, „დურგალი“, მისიდილ'ი საჭათ „ოქროს საათი“, არსილ'ი ხანტა „ვერცხლის ყოხი“.

¹ ხუნქურში, როგორც ცნობილია, ამგვარ ზმნათა რეალური სუბიექტი მიცემითში დგას ანდა ლოკატიურ ბრუნვაში. ბოთლიხურში ყველა ამნაირ ზმნას რეალურა სუბიექტი მუდამ მიცემითში აქვს. ასეთი ზნები გრამატიკულ კლასის ნიშანს ისევე, როგორც გარდამავალი ზნები, უთანხმებენ რეალურ ობიექტს (იბუე ველე ეზუნ „ნამა იცნობს პეგდელს“, იმუჟ აელე ფატიმათი „მამა იცნობს ფატიმას“, იმუჟ ბელე მურუსე მიწი „მამამ იცის რუსული ენა“, იმუჟ რელე ჰალ ვაშალ „მამა იცნობს ამ ბიჭებს“, იმუჟ ბელე ჰაბ ჰუჩიბალ'ი „ნამამ იცის ეს წიგნები“...).

² ამიტომაც, რომ ა. დირს, რომელიც საკმაოდ სწორად გამოყოფს ძირითად ბრუნვათა ნიშნებს ანდიურ ენებში, მიცემითის ნიშნის დადგენა ხშირად უჭირს (შდრ. მისი „Материалы для изучения“...) მაგ., ბოთლიხურში მიცემითის ნიშნად გამოყოფს -ს და -ხა-ს. ა სწორადაა გამოყოფილი (ოლონდ ვარიანტია ი-სა, იხ. ზემოთ), -ხა კი ლოკატიური ბრუნვაა (III სერიის მიმართულებით) და არა მიცემითი.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმა პირის ნაცვალსახელებსა გამოყენებულია როგორც კუთვნილებითი ნაცვალსახელები (დიბ „ჩემი“, დუბ „შენი“, გოლ'ილ'ი „მისი“...).

4. ფუძის საკითხი და ბრუნებათა ტიპები. ბრუნვის ნიშნები სიტყვის ფუძეს დაერთვის. ის ფუძე, რომელსაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის, ბოთლიხურში სხვადასხვანაირადაა ნაწარმოები.

სიტყვათა ერთი რიგი ბრუნების პროცესში ფუძეს არ იცვლია: ფუძეს, რომელიც სახელობითის ფორმადაა გამოყენებული, უშუალოდ დაერთვის ბრუნვათა ნიშნები. აქ საქმე გვაქვს ერთფუძიან ბრუნებასთან.

სიტყვათა დიდი უმეტესობა ბრუნვის ნიშნებს დაირთავს არა უშუალოდ სახელობითის ფორმაზე (resp. წმინდა ფუძეზე), არამედ ამ ფუძისაგან ამა თუ იმ სახით ნაწარმოებ ახალ ფუძეზე. ასეთ შემთხვევაში ორფუძიანი ბრუნება გვაქვს: ერთი — სახელობითის ფორმაში გამოყენებული, მეორე კი ყველა დანარჩენი ბრუნვის საწარმოებლად გამოყენებული ფუძე. ამ მეორე ფუძეს ირიბ ბრუნვათა ფუძეს ვეძახით.

ამრიგად, ბოთლიხურში გვაქვს ერთფუძიანი და ორფუძიანი ბრუნება.

როგორ იწარმოება ორფუძიან ბრუნებაში ირიბ ბრუნვათა ფუძე? გაირჩევა ფუძის წარმოების ორი ძირითადი ხერხი: 1. სახელობითის ფუძეს დაერთვის ხმოვანი ა, ი ან უ. ბრუნვის ყველა ნიშანი ამ ფუძეს მიერთვის. 2. სახელობითის ფუძეს დაერთვის მარცვალი შაჟ ან ლ'ჰი. ბრუნვის ყველა ნიშანი ამ ფუძეს მიერთვის¹.

რადგან ბრუნვის ნიშნები, მიუხედავად იმისა, თუ რაგვარად ნაწარმოებ ფუძეს დაერთვის იგი, ბოთლიხურში ერთია², შეიძლება ვთქვათ, რომ ბოთლიხურში ერთი ბრუნებაა, მაგრამ ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოების რაგვარობის მიხედვით რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

¹ როგორც ცნობილია, ამ ორფუძიანობისაგან უნდა გავარჩიოთ ფუძეთა მონაცვლეობა (სხვადასხვა ფუძის გამოყენება პარადიგმაში), რაც, მაგ., ზოგ ნაცვალსახელში გვაქვს (იხ. ქვემოთ „თავისებურებანი“).

² განსხვავებას არ ქმნის რიცხვიც: მხოლოდობითსა და მრავლობითში ბრუნვის ნიშნები ერთნაირია. ბოთლიხური აგლუტინაციური ენაა.

ერთფუძიანი ბრუნება
ორფუძიანი ბრუნება

- I ტიპი } 1. ქვეტიპი ა
 } 2. ქვეტიპი ი
 } 3. ქვეტიპი უ
- II ტიპი } 1. ქვეტიპი შიუ
 } 2. ქვეტიპი ლ'იი

I ტიპს პირობით „ხმოვანჩანართიანი ბრუნება“ შეიძლება ვუწოდოთ (რამდენადაც გარეგნულად პირველადს ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ხმოვანი ვლინდება, „ჩაერთვის“), II ტიპს ასევე პირობითად შიუ და ლიი ჩანართიანი ბრუნება შეიძლება ვუწოდოთ¹.

ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოებისას ზოგი ანომალიაც შეინიშნება, ამის შესახებ იხ. ქვემოთ („თავისებურებანი“).

ბ. ერთფუძიანი ბრუნება. ცოტაა ისეთი ბრუნებადი სიტყვა, რომელიც ბრუნების პროცესში ერთ ფუძეს იყენებდეს. ასეთებია მასდარები, ზოგი საზოგადო და საკუთარი სახელი, აგრეთვე „ჩვენ“ და „თქვენ“ პირის ნაცვალსახელები.

მასდარი

სახ. ბუყირ „ქრა“	ზვარდირ „წერა“	ქიქვარირ „სილამაზე“
ერგ. ბუყირ-დი	ზვარდირ-დი	ქიქვარირ-დი
ნათ. ბუყირ-ლ'ი	ზვარდირ-ლ'ი	ქიქვარირ-ლ'ი
მიც. ბუყირ-ი	ზვარდირ-ი	ქიქვარირ-ი

ქიქვარირდი ხური ბეტყეუქი „სილამაზე ყანას არ ხნავს“ (ანდაზა)... ბუშუხარდი საქვა დენ „თამაშობამ დამლალა მე“... ბაყირი იშქურ ტანნი ზამან ბეთე „კითხვას მე ბევრ დროს ვუთმობ“ („ვეტოვებ“).

არსებითი სახელი

სახ. მატუ „სარკე“	გიგინა „ყვავილი“
ერგ. მატუ-დი	გიგინა-დი

¹ ტერმინები პირობითია და „ჩანართთა“ ისტორიის გარკვევას არ გულისხმობს. შეიძლება გვეინარა მავრცობი და სხვ. ანალოგიური ტექნიკური გამოთქმა.

ნათ. მატუ-ლ'ი	გიგინა-ლ'ი
მიც. მატუ-ჲ	გიგინა-ჲ
სახ. ტირი „წვეთი“	სიხ „დათვი“
ერგ. ტირი-დი	სიხ-დი სინ-დი
ნათ. ტირი-ლ'ი	სიხ-ლ'ი სინ-ლ'ი ¹
მიც. ტირი-ჲ	სიხ-(ჲ)ი ²

საკუთარი სახელი

სახ. ფატიმათი „ფატიმათი“ (ქალის სახ.)	ჭუმბარი „ომარი“ (ვაჯის სახ.)
ერგ. ფატიმათი-დი	ჭუმბარი-დი
ნათ. ფატიმათი-ლ'ი	ჭუმბარი-ბ
მიც. ფატიმათი-ჲ	ჭუმბარი-ჲ

პირის ნაცვალსახელი³

სახ. ილ'ი „ჩვენ“ (ინკლ.) იზი „ჩვენ“ (ექსკლ.) ⁴	ბიშთი „თქვენ“
ერგ. ილ'ი	იზეი ბიშთი
ნათ. ილ'ი-ბ	იზეი-ბ ბიშთი-ბ
მიც. ილ'ი-ჲ	იზეი-ჲ ბიშთი-ჲ

ჰუმ ზამანდი ჰიბღვა იდა ბურღუ ლურღულ'ი (სახ. ბრ. ლურღუ) საურათე ცებ ნა „ამ დროს ფრენით მოვიდა მტრედის მაგვარი ერთი რალა... აზდაჰუდი (სახ. ბრ. აზდაჰუ) ჰიტყუ იდა გოშაუხი: იშქურ კეფანღუ ვილაჰჰადა ორსაა ვულ'ი-თალუ „ურჩხულმა უთხრა მას, სანამ არ მოგკალი („ჩემ მიერ მოუკვლელად“) გარეთ გადიო... გაბდა ზიუდი (სახ. ბრ. ზიუ) ჰუე ჩანაჯან ვესაუხა ვიშა იდა იშჰა „იმავე დღეს ის მონადირე უკან დაბრუნდა შინ“... ჰეკისეგბასაუბ რეჰადი (სახ. ბრ. რეჰა) ვეთა იდა იმუდი ჰეკი ვეკუხალო ვაშა ჯალავურულ'იჲალდა „პირველ ღამეს მაჰამ გაგზავნა ყველაზე უფროსი ვაჟი სადარაჯოდ... იშიჲ (სახ. ბრ. იში) მისა

¹ თანხმონის წინ ნახალიზებული ხმოვანი შეიძლება წარმოგვიდგეს (ფა-კულტატურად) როგორც ხმოვანი + ნ.

² ჲ ფონეტიკური ჩანართია (ხმოვანთა შორის, უკეთ — ორ ი-ს შორის).

³ მხ. რ.-ში პირის ნაცვალსახელები თავისებურად იბრუნვის. იხ. გვ. 84.

⁴ ბოთლიზური განარჩევს მრ. რ.-ის | პირში ინკლუზიურ და ექსკლუზიურ ფორმებს (ილ'ი=„ჩვენ“ იმის ჩათვლით, ვისაც ვესაუბრები, იში=„ჩვენ“ იმის გამორიცხვით, ვისაც ვესაუბრები).

ცემ პანყუ „ჩვენ ვნახეთ ერთი სახლი“... ილ'ივ (სახ. ბრ. ილ'ი) იმამ შანილ ვახარათა იდა, ნაგაპ ჰუე ვიყალა, ევლახი იმამლ'უნ ვუქიყო? ჩვენი იმამი შამილი ბერდება, ის თუ მოკვდა, ვინ უნდა ვახდეს იმადად? „... ფატიმათილ'ი (სახ. ბრ. ფატიმათი) ვილა ინუხულა იდა? „ფატიმათის კაბა სად არის?“... სიფდი (სახ. ბრ. სიფ) რიყალ ნაბალ'ი ლამედუეჭი „დათვი მკვდარს (მკვდარ რამეებს) არ ქაშს“... ჰიტაუ იდა ჰავ მალაჩიდი (სახ. ბრ. მალაჩი, კაცის სახელია) ჰუე ყოროლალიხიხი „უთარა ამ მალაჩიმ იმ ქვრივს“... პანილ'ი (სახ. ბრ. პანი) დიბირ! ჰავ ჰეკვა დივ ქუნტა ლ'იქი „სოფლის მოლაე! ეს კაცი ჩემი ქმარი არაა“... პაქიჯანი პალა ცეე ზოლონან ჰეკვა ვადა ვაპათა „მეურმემ ნახა, (რომ) ერთი ახალგაზრდა (კაცი) ტირის“.

6. **ორფუძიანი ბრუნება:** / ტიპი. როგორც აღვნიშნეთ, ირიბ ბრუნვათა ფუძე რამდენიმენაირად შეიძლება იყოს ნაწარმოები. გავრცელებულია მეორე ანუ ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოება უ, ა ან ი ხმოვანთა მეშვეობით. ყველაზე გავრცელებულია ფუძეზე -ა ხმოვნის დართვა. ყველაზე იშვიათია უ- ხმოვნით ფუძის წარმოება. ამგვარი წარმოება არსებითი სახელებისთვისაა ნიშანდობლივი თუ სიტყვის პირველი ფუძე (სახელობითში წარმოდგენილი) ხმოვანზეა დაბოლოებული, მეორე ფუძის მაწარმოებელი ხმოვნის დართვა იწვევს მის მოკვეცას.

1. ა ქვეტიპი. ძირითადად სონორ თანხმოვნებზე დაბოლოებულ არსებით სახელებში გვხვდება, შედარებით იშვიათად სხვა თანხმოვნებთანაც დასტურდება:

სახ.	ნაშარ „თოკი“	ტანკარ „კურდღელი“	ჰუდი „შეშა“, „ხე“
ერგ.	ნაშარ-ა-დი	ტანკარ-ა-დი	ჰუდ-ა-დი
ნათ.	ნაშარ-ა-ლ'ი	ტანკარ-ა-ლ'ი	ჰუდ-ა-ლ'ი
ნიც.	ნაშარ-ა-ე	ტანკარ-ა-ე	ჰუდ-ა-ე

სახ.	თუსნაჯ „ტუსალი“	ყალამ „კალამი“	ჰიტები „ფესვი“
ერგ.	თუსნაჯ-ა-დი	ყალამ-ა-დი	ჰიტები-ა-დი
ნათ.	თუსნაჯ-ა-ლ'ი	ყალამ-ა-ლ'ი	ჰიტები-ა-ლ'ი
ნიც.	თუსნაჯ-ა-ე	ყალამ-ა-ე	ჰიტები-ა-ე

დადი, ილ'იბ ჰედირადი (სახ. ჰედირ) ჰაჯი წაე ლამდუ იდა „მამი, ჩვენს ხბოს წუხანდელი სტუმარი შეუქამია“... ჰაბ მუსეე ჰუდალ'ი (სახ. ჰუდი) ანსი ლ'იქიმა „ამ მხარეში ხურო („ხის ოსტატი“) არ არის?“... მიყარატეიქუ ჰიტა ბუხაო ბუკა ვახანალ'ი

(სახ. ჯაზან) ბეჰერ ხაგი ბიში რახანასაღი ზაშილა მაჰა „ქერის ქვეშ ჩამოკიდებული იყო თუჯის შაეი ქვაბი მსხვილი ჯაჭვით (დაბ- მითაც დაბმული)“... ჰუბ ზამანადი თომონგალ'ი (სახ. თომონგ) ჰარქიულა ბუხუ, ცაურილა ბუხუ „იმ დროს თოუის ხმაც გაისმა (გამოვიდა), კვამლიც გამოჩნდა (გამოვიდა)“... იში ნაყა ქალხოზა (სახ. ქალხოზ) ქუმაქ იპი „ჩვენ წავედით კოლმეურნეობისათვის დახმარების გასაწევად“... დუჟ რეყულ'ილა ბერაშუ ფანდურალ'ი (სახ. ფანდურ) ჩირანალ'ი (სახ. ჩირან) ქარა ბიტაჲ ბილ'ეენა? „შენ ხელზე დახვევით ფანდურის ფოლადის სიმის გაწყვეტა შეგიძლია?“ (ე. ი. შეგიძლია თუ არა ხელზე ფანდურის ფოლადის სიმი დაიხ- ვიო და გაწყვიტო?)... დიბ მასყალა ტობაჲ (იპი) სანდუ ირჩა ჰაწა- და — ჰაწალ'ი იშთუდა ასქარალ'ი (სახ. ასქარ) ჰეკვა „ჩემი დავა- ლების შესასრულებლად თან წავეყვანე 10 — 15 ჯარისკაცი“.

2. ი ქვეტიპი. იგი უფრო ხშირად თანხმოვანზე დაბოლოებულ არსებით სახელებში გვაქვს.

სახ. რალ „ომი“, „ბროლა“	ლ'აქ „ქვალი“	ყეც „დავა“
ერგ. რალ-ი-დი	ლ'აქ-ი-დი	ყეც-ი-დი
ნათ. რალ-ი-ლ'ი	ლ'აქ-ი-ლ'ი	ყეც-ი-ლ'ი
მიც. რალ-ი-ჲ	ლ'აქ-ი-ჲ	ყეც-ი-ჲ

სახ. ხან „ხანი“, „ბატონი“	ადამ „ადამიანი“	რუშა „ხე“
ერგ. ხან-ი-დი	ადამ-ი-დი	რუშ-ი-დი
ნათ. ხან-ი-ბ	ადამ-ი-ლ'ი	რუშ-ი-ლ'ი
მიც. ხან-ი-ჲ	ადამ-ი-ჲ	რუშ-ი-ჲ

გავ ადამიდი (სახ. ადამ) გალუჟ მიყი მალ'აჟ ილა „ამ კაცმა მათ გზა ასწავლა“... კეწალილ'ი ჰაბუჟხობ ფეერალ ფურწიდი (სახ. ფურწი) იში ნაყა ფახოდაჲ ირხა არმილ'ი ზიუ ბექუხა იპი „23 თებერვალს (თებერვალ თვეს) ჩვენ წავედით ლაშქრობაში (= მოვაწყეთ ლაშქრობა) წითელი არმიის დღის სადიდებლად“... შინ ჰვარდა, იშქურ მასიკაბ შამილიბ (სახ. შამილ) ბულ'აბ ხაბარ „შენ წერე, მე გეტყვი შამილის თავგადასავალს (მომხდარ ამბავს)“... ჰაჯი-მურადიდი (სახ. ჰაჯი-მურად) ქალათ ბეშთა ილა შამილიხა „ჰაჯი-მურადს წერილი გაუგზავნია შამილისათვის“.

3. უ ქვეტიპი. უ ხმოვნით აწარმოებს ირიბ ბრუნვათა ფუძეს იმა „მამა“, ილა „დედა“, ვაცაი „ძმა“, ჯაცაი „და“, ქუნტა „ქმა- რი“, ჰარქაი „ცოლი“, უნსა „ხარი“, ფერა „ფუტკარი“, სარი „მე- ლა“, ბერქა „გველი“, ბაწა „მგელი“, ბაჰა „ბარტყი“, რაშა „სიტ-

ყვა“, რეჟა „მუცელი“, რეცა „ხელი“, წეკა „დეხი“, მუსა „მხარე“, „ადგილი“ და სხვ. როგორც ვხედავთ, აქ ხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვები გვაქვს. უ-ს წინ ხმოვანი იკვეცება.

სახ.	ვაცხი „ცმა“	ჯაცხი „და“	იმა „მამა“
ერგ.	ვაცხ-უ-დი	ჯაცხ-უ-დი	იმ-უ-დი
ნათ.	ვაცხ-უ-ბ	ჯაცხ-უ-ლ'ი	იმ-უ-ბ
მიც.	ვაცხ-უ-ჲ	ჯაცხ-უ-ჲ	იმ-უ-ჲ

სახ.	ილა „დედა“	ქუნტა „ქმარი“	სარი-„მელა“
ერგ.	ილ-უ-დი	ქუნტ-უ-დი	სარ-უ-დი
ნათ.	ილ-უ-ლ'ი	ქუნტ-უ-ბ	სარ-უ-ლ'ი
მიც.	ილ-უ-ჲ	ქუნტ-უ-ჲ	სარ-უ-ჲ

გაშუადი ჰიტუ ილა იჰუჰუ (სახ. იჰა) ჰეცა: დენ ვაფეი ილა ურუსალუბ (სახ. ურუსალ) რაჰიდა „მან უთხრა ჯარს: მე გადავდივარ რუსების მხარეს“... გოლუბ (სახ. გოლ) ჯავაბ ბუკა: იმეილა ღი ილა-თალუ „მათი პასუხი იყო: ჩვენც მოვდივართო“... ილუდი (სახ. ილა) მასა ვაშაშუხი ღვანი ჰავა ბუკირ „დედამ უთხრა ვაჟს, თავი მტკივაო (თავის ტკივილის ყოფნა)“... ჰარკაუდი (სახ. ჰარკაი) გვანზი მაჰეა იჰუ ჰუშუჲ „ცოლმა კარგი (ძალიანი) საქმელი გაუქეთა მას“... ჰულუდი (მაკილუდი) (სახ. მრ. ჰულ, მაკილ) ტჷონიხი ზამან იჰუ ჰუჩიბალ'ი ბაჟი „ისინი (ბავშვები) დიდ დროს უთმობენ (აძლევენ) წიგნების კითხვას“.

ხმოვანთა (ა, ი, უ) მეშვეობით ირიბი ფუძის წარმოება, როგორც ჩანს, ახასიათებს არსებით სახელებს განურჩევლად მრავალბოლო კლასისა. არ ხერხდება დადგენა იმისა, თუ რის მიხედვითაა სახელები განაწილებული ქვეტიპებში¹. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ სიტყვასთან (განსაკუთრებით I გრამატიკული კლასის სიტყვებთან) აქა-იქ რყევა შეიმჩნევა, მაგ., თუსნაჲ „ტუსალი“ შეიძლება ვაბრუნოთ როგორც I ტიპით („ჩანართი ხმოვნით“), ისე II ტიპითაც (შეუ ჩანართით). ეს უკანასკნელი ხუნტურის გავლენა ჩანს².

¹ ზოგიერთი ვარაუდის წარმოდგენა, მართალია, შესაძლებელი ჩანს, მაგრამ ეს უკვე ხუნტურ-ანდიურ ვნათა შორეული წარსულის გათვალისწინებას მოითხოვს და სხვა დროს იქნება განხილული.

² ორფუძიანი ბრუნების I ტიპი („ჩანართი ხმოვნები“) ისტორიულად და სტრუქტურულად ხუნტურის ე. წ. „არკაული ბრუნების“ ფარდია (შდრ. ხუნძ. ბაწ „მგელი“, ირიბ ბრუნვათა ფუძე ბაწ-ი-, აქედან, მაგ., ერატივი ბაწ-ი-ცხა... ასევე: ბეტერ „თავი“ — ბოტრ-ო-ცხა, შამილ „შამილი“ — შამილ-ი-ცხა და სხვ. ხმოვანთა ცვლილებები, ხუნტურისათვის დამახასიათებელი — ბეტერ — ბოტრ-ო-ცხა... ბოთლიხურისათვის უცხია).

II ტიპი. ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოების მეორე გზაა სახელობითის ფორმაზე (რომელიც „წმინდა ფუძეს“ უდრის)- შოუ ან -ლ'ი ელემენტის დართვა. შოუ შეიძლება დაერთოს მხოლოდ I გრამატიკული კლასის სახელს, ლ'ი კი II ან III გრამატიკული კლასის სახელს. ფუძეთა წარმოების ეს ტიპი მხოლოდით რიცხვში შეიძლება შეგვხვდეს, მრავლობითში არ იხმარება.

-შოუ და -ლ'ი მარცვლების დართვა სახელობითისეული ფუძის ცვლილებას არ იწვევს, ოღონდ სუფიქსური კლასნიშნის მქონე ისეთ სიტყვებში, რომლებიც ირიბ ბრუნვებში ხშირად იხმარება, გრამატიკული კლასის ნიშანი ჩვეულებრივ მოკვეცილია ხოლმე.

ბრუნების ამ ტიპის გამოყენების სფერო საკმაოდ ნათელია: შოუ და ლ'ი ელემენტებით აწარმოებენ ირიბ ბრუნვათა ფუძის ატრიბუტიული სახელები ფართო გაგებით, სახელდობრ — ყველა ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ჩვენებითი, კუთვნილებითი, უკუქცევითი ნაცვალსახელები¹. ცხადია, ასევე იბრუნვიან მიმღობები, ნანათესაობითარი სახელები... ის სიტყვები, რომელთაც გრამატიკული კლასის ნიშანი არა აქვთ, იბრუნვიან როგორც I ან II და III კლასის სიტყვები კონტექსტის მიხედვით (მაგ., ირხა „წითელი“, ჰაქახა „თეთრი“, ჩაქაუ „ყვითელი“, კედა „ორი“ და სხვ. მრ.). ატრიბუტიული სახელები, როცა ისინი მსახლვრელის ფუნქციით იხმარებიან, არ იბრუნვიან. იბრუნვიან ისინი მაშინ, როცა არსებითი სახელის როლს კისრულობენ (მაგ. წინადადებაში ქვემდებარის ან რაიზე სახის დამატების როლს ასრულებენ. იხ. აგრეთვე ქვემოთ, მრ. რიცხვში ბრუნვასთან დაკავშირებით). მსახლვრელი ბოთლიხურნი, როგორც წესი, წინ უსწრებს საზღერულს.

არსებით სახელთაგან ბრუნების ამ ტიპს თითო-ორჯოლა სიტყვა-ლა მიწყება (ქეცვა „კაცი“, „მანაკაცი“, ვაწა „ვაგი“, მეწი „ქალიშვილი“). ასევე იბრუნვიან -ოფ და -ოვა-ზე დაბოლოებული გვარები², აგრეთვე წარმომავლობის სახელები (გურჯიავ „ქართველი“, ურუსავ „რუსი“, გურჯიავ: „ქართველი ქალი“, ურუსავ „რუსი ქალი“..).

¹ პირის (I და II პირისა ორსავე რიცხვში) ნაცვალსახელები, როგორც ზემოთ ვთქვით, I ტიპით იბრუნვიან, რაც გასაგები ჩანს.

² რუსული გვარები სხვა დაბოლოებით (მაგ., ფუშკინი „პუშკინი“) I ტიპით იბრუნვის.

არსებითი სახელი

სახ.	ჰეკვა „კაცი“	ვაშა „ვაი“	აეში „ქალიშვილი“
ერგ.	ჰეკვა-შაუ-დი	ვაშა-შაუ-დი	აეში-ლ'ი-დი
ნათ.	ჰეკვა-შაუ-ბ	ვაშა-შაუ-ბ	აეში-ლ'ი-ლ'ი ¹
მიც.	ჰეკვა-შაუ-ა	ვაშა-შაუ-ა	აეში-ლ'ი-ა

ზედსართავი სახელი

	(I კლ.)	(II კლ.)	(III კლ.)
სახ.	ვეპერ „შავი“	აეპერ „შავი“	ბეპერ „შავი“
ერგ.	ვეპერ-შაუ-დი	აეპერ-ლ'ი-დი	ბეპერ-ლ'ი-დი
ნათ.	ვეპერ-შაუ-ბ	აეპერ-ლ'ი-ლ'ი	ბეპერ-ლ'ი-ლ'ი
მიც.	ვეპერ-შაუ-ა	აეპერ-ლ'ი-ა	ბეპერ-ლ'ი-ა

	(I კლ.) ²	(იგულისხმება I კლასი)
სახ.	ვეპუხალო „დრდთაგანი“	ირხაა „წითელი“
ერგ.	ვეპუხალო-შაუ-დი	ირხაა-შაუ-დი
ნათ.	ვეპუხალო-შაუ-ბ	ირხაა-შაუ-ბ
მიც.	ვეპუხალო-შაუ-ა	ირხაა-შაუ-ა

	(იგულისხმება II კლ.)	(იგულისხმება III კლ.)
სახ.	ირხაა „წითელი“	ირხაა „წითელი“
ერგ.	ირხაა-ლ'ი-დი	ირხაა-ლ'ი-დი
ნათ.	ირხაა-ლ'ი-ლ'ი	ირხაა-ლ'ი-ლ'ი
მიც.	ირხაა-ლ'ი-ა	ირხაა-ლ'ი-ა

	(II კლ.)	(III კლ.)
სახ.	აეპუხალა „დრდთაგანი“	ბეპუხალა-ბ „დრდთაგანი“
ერგ.	აეპუხალა-ლ'ი-დი	ბეპუხალა-ლ'ი-დი
ნათ.	აეპუხალა-ლ'ი-ლ'ი	ბეპუხალა-ლ'ი-ლ'ი
მიც.	აეპუხალა-ლ'ი-ა	ბეპუხალა-ლ'ი-ა

რიცხვითი სახელი

	(I კლ.)	(იგულისხმება I კლ.)
სახ.	ცე-ვ „ერთი“	ჰაბუდა „სამი“
ერგ.	ცე-შაუ-დი	ჰაბუდა-შაუ-დი

¹ როგორც აღვნიშნეთ (იხ. „ფონეტიკა“) ლ'ი-ლ'ი → ლ'ი-ლ'ი.

² ლა სუფიქსის შესახებ იხ. „სიტყვაწარმოება“.

ნათ. ცე-შეუ-ბ
მიც. ცე-შეუ-ა

ჰაბუდა-შეუ-ბ
ჰაბუდა-შეუ-ა

(II კლ.)

(III კლ.)

სახ. ცე-ა „ერთი“
ერგ. ცე-ლ'ი-დი
ნათ. ცე-ლ'ი-ლ'ი
მიც. ცე-ლ'ი-ა

ცე-ბ „ერთი“
ცე-ლ'ი-დი
ცე-ლ'ი-ლ'ი
ცე-ლ'ი-ა

ნაცვალსახელები

(I კლ.)

(I კლ.)

(I კლ.)

სახ. დო-ე „ის“
ერგ. დო-შეუ-დი
ნათ. დო-შეუ-ბ
მიც. დო-შეუ-ა

გო-ე „ის“
გო-შეუ-დი
გო-შეუ-ბ
გო-შეუ-ა

ჰა-ე „ეს“
ჰა-შეუ-დი
ჰა-შეუ-ბ
ჰა-შეუ-ა

სახ. დო-ა (II კლ.) დო-ბ (III კლ.)

გო-ა (II კლ.) გო-ბ (III კლ.)

ერგ. დო-ლ'ი-დი
ნათ. დო-ლ'ი-ლ'ი
მიც. დო-ლ'ი-ა

გო-ლ'ი-დი
გო-ლ'ი-ლ'ი
გო-ლ'ი-ა

სახ. ჰა-ა (II კლ.) ჰა-ბ (III კლ.)

ერგ. ჰა-ლ'ი-დი
ნათ. ჰა-ლ'ი-ლ'ი
მიც. ჰა-ლ'ი-ა

(I კლ.)

(II კლ.)

(III კლ.)

სახ. დი-ე „ჩემი“
ერგ. დი-ე-შეუ-დი
ნათ. დი-ე-შეუ-ბ
მიც. დი-ე-შეუ-ა

დი-ა „ჩემი“
დი-ა-ლ'ი-დი
დი-ა-ლ'ი-ლ'ი
დი-ა-ლ'ი-ა

დი-ბ „ჩემი“
დი-ბ-ლ'ი-დი
დი-ბ-ლ'ი-ლ'ი
დი-ბ-ლ'ი-ა

კითხვით და უკუკითხვით ნაცვალსახელთა ბრუნვაც ამავე ტიპისაა, მაგრამ ზოგი თავისებურებაც აქვს და ამიტომ ცალკე განვიხილავთ (იხ. ქვემოთ „თავისებურებანი“).

¹ ირიბ ბრუნვებში შეიძლება კლასის ნიშანი არ დაიკარგოს: ცეაღ'ი-დი. ცეაღ'ი-ლი... ცებელ'ი-ლი...

მიმღეობა

სახ. ჰვარდო „დამწერი“, „ვინც დაწერა“ (I კლ.)

ერგ. ჰვარდო-შაუ-დი

ნათ. ჰვარდო-შაუ-ბ

მიც. ჰვარდო-შაუ-ა

სახ. ჰვარდა-ა „დამწერი“, „ვინც დაწერა“ (II კლ.)

ერგ. ჰვარდა-ლ'ი-დი

ნათ. ჰვარდა-ლ'ი-ლ'ი

მიც. ჰვარდა-ლ'ი-ა

სახ. ჰვარდა-ბ „დაწერილი“ (III კლ.)

ერგ. ჰვარდა-ლ'ი-დი

ნათ. ჰვარდა-ლ'ი-ლ'ი

მიც. ჰვარდა-ლ'ი-ა

მაგალითები: ვაშაშაუდი (სახ. ბრ. ვაშა) ჰიტჟუ ნართალუხი: ჰაბ ბიჰა ნალარ ილა-თალუ „ბიჰმა უთხრა დევებს: ეს ადვილი საქმე არისო“... რაწა გოლ გურჯიაშაუბ (სახ. ბრ. გურჯიავ) რე-ლა „მიალწიეს მათ ქართველის სახლ-კარს“... ჯადალლო ვაცაუდი ლუნდუ ვაჰი ყასდ იჰა-რიუდი ვოჭუხალოშაუდი (სახ. ვოჭუხალო) ხადუ ცებ ბურთინა ქაა დიჰ-თალუ „სულელმა ძმამ ძილი რომ და-აპირა, უფროსმა (უფროსთაგანმა) სთხოვა, ერთი ნაბადი მომეცი მეო“... დენ ხახაბაყუ ლ'იჰი, ჯავაბ იქაუ ბოცაუშაუდი (სახ. ბო-ცაუ), ბიშთიბ არსილა ყორეუჰი „მე მათხოვარი არა ვარ, პასუხი მისცა ბრმამ, თქვენი ფულიც არ მინდა“... ცე-ცეშაუდი (სახ. ცე-ცე) ცებ-კედა ხინკალა ლამდუ, იშაი ჰულ'აარუ ბატა ნაყა „თითოეულმა ერთი-ორი ხინკალი შეეკამეთ (და ჩვენ) იქიდან წამო-ვედით“... ჰულ'აა ძისა ჰუშაუჰ (სახ. ჰუ) ნემცაალუდი კეანდაჰ ცეჰ მაკი „იქ ნახა მან გერმანელების მიერ მოკლული ერთი ბავ-შვი (გოგო)-... სულემან ინულა ვეთა-თალუ, მაწაუ დოშაუჰ დეშ-ილ'იდი (სახ. დეშ) ჰაშაუხი „სულეიმანი სად დავტოვეო, ჰკითხა მისმა ქალიშვილმა ამას“... ჰანი-ბაჰლ'ი მისიდახო ცეჰ ყოროლა-ლ'ილ'ი ჰანყებალ'ი „სოფლის განაპირას უნახავს ერთი ქვრივი (ქალის) სახლი“... გოლ'იდი (სახ. გო) ჰუჰ იშჰა ვეშთიჰა „მან იგი შინ არ შემოუშვა“.

ორფუძიანი ბრუნების II ტიპი რამდენიმე შენიშვნას იწვევს:

1. როცა ირიბ ბრუნვათა ფუძე ნაწარმოებია შაუ მარცვლით, სათანადო სიტყვას კლასნიშნიანი ნათესაობითი აქვს, ხოლო რო-

ცა ფუძეს ლ'ი-ი აწარმოებს — უკლასნიშნო ნათესაობითი. ეს გასაგებია, აკი კლასნიშნიანი ნათესაობითი I გრამატიკული კლასის სახელებს აქვს, ხოლო შუა აგრეთვე ამ კლასის სიტყვებში დასტურდება. ასეთივე ურთიერთობაა ლ'ი-სა და ამავე კლასის სიტყვებში გამოყენებულ ნათესაობითის ლ'ი-ნიშანს შორის.

2. ფუძის მაწარმოებელი ლ'ი ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში ლ'ი-ს სახით გვევლინება (ნათესაობითის ლ'ი ნიშანთან ასიმილაციით: გეშილ'ილი → გეშილილი. იხ. „ფონეტიკა“).

3. შუა და ლ'ი იგივე ელემენტებია მატერიალურად, რაც ხუნტურის ა-სა და ა-ლ'ი (ვას-ასა „ვაჟმა“, მას-ალ'ი „ქალიშვილმა“). ხუნტურში -ასა და -ალ'ი ერგატივის ნიშნად გამოდის გარკვეული რიგის სახელებთან, ბოთლიხურში კი შ'აუ და ლ'აი ფუძეს აწარმოებს და არა ბრუნვას. ბოთლიხურს აკლია ხუნტური ა-ს ფარდი ელემენტი (-ა-სა, -ა-ლ'ი), სამაგიეროდ მეტი აქვს მომდევნო ხმოვანი (შაუ, ლ'აი)¹.

7. ბრუნების თავისებურებანი. ზოგი სახელის ბრუნების დროს გარკვეული თავისებურებები იჩენს თავს. ამ თავისებურებათა დიდი ნაწილი ნაცვალსახელებზე მოდის. თავისებურება ძირითადად ორგვარია: თავისებურება ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოებაში, თავისებურება ბრუნვის ნიშანთა გამოყენებაში.

ფუძის წარმოებაში თავისებურება ფუძეთა მონაცვლეობაში მდგომარეობს: სახელობითის ფუძე ირიბ ბრუნვებში სულ სხვა ფუძითაა შეცვლილი.

ბრუნვის ნიშანთა გამოყენების მხრივ თავისებურება იშვიათია და შეპირობებულია ან ფონეტიკური მიზეზებით, ანდა (რაც უფრო არსებითია) სათანადო სიტყვის ისტორიით.

მეტწილად, ეს თავისებურებანი ერთმანეთს უკავშირდება. ამიტომ ამათ ერთად განვიხილავთ.

ნაცვალსახელები დენ || დენი „მე“, მინ || მინი „შენ“ ნათესაობითსა, მიცემითსა და ყველა ლოკატიურ ბრუნვაში ფუძეს იცვ-

¹ შუა და ლ'ი, ცხადია, იშლება, მაგრამ ეს, აგრეთვე მისი გენეზისის საკითხი, ისტორიული გრამატიკის საქმეა (უ და ი ისეთივე ფუძის მაწარმოებელი ხმოვნები ჩანს, როგორცაა I ტიპის ბრუნებაში უ, ი, ა ხმოვნები. ალბათ, უ და ი თავდაპირველად ადამიანთა და ნივთთა კლასების მიხედვით იყო დიფერენცირებული სათანადოდ. ხუნტურში მატერიალურად მისი ფარდია უ: ვასასაულ „ვაჟის“ მასალ'ულ „ქალის“, ოლონდ აქ სა-საც და ლ'ა-ააც უ მოსდევს, ბოთლიხურში კი შა-ს მომდევნოდ მუდამ უ-ა, ლ'ა-ს მომდევნოდ კი ა).

ლიან, ირიბ ბრუნვებში „მე“ ნაცვალსახელის ფურცა დი-, „შენ“ ნაცვალსახელისა დუ-.

საყურადღებოა ერგატივის წარმოება. „მე“ ნაცვალსახელს ერგატივისათვის აქვს სპეციალური ფორმა იშქურ (რომლის ფორმაცა და წარმომავლობაც ჯერჯერობით აუხსნელია). „შენ“ ნაცვალსახელი კი ერგატივისა და სახელობითის ფორმას ერთმანეთისაგან არ განასხვავებს: ორივეგან სახელობითის ფორმაა გამოყენებული.

მეწინააღმდეგეა, რომ ნაცვალსახელები „შენ“, „ჩვენ“ (ინკლ., ექსკლ.) ბოთლიხურში სახელობითსა და ერგატივს ერთმანეთისაგან არ განარჩევენ (ერგატივი იყენებს სახელობითის ფორმას). მოსალოდნელი იყო, რომ ამგვარივე ვითარება გვექნებოდა დენ „მე“ ნაცვალსახელთანაც¹, მაგრამ აქ, როგორც ვთქვით, გაურკვეველი წარმომავლობის იშქურ ფორმაა ერგატივში ნახმარი. ამრიგად გვაქვს:

	„მე“	„შენ“	„ჩვენ“ (ინკლ.)	„ჩვენ“ (ექსკლ.)	„თქვენ“
სახ.	დენ(ი)	მინ(ი)	ილ'ი	იშიი	ბიშითი
ერგ.	იშქურ	მინ(ი)	ილ'ი	იშიი	ბიჰთი
ნათ.	დი-ბ	დუ-ბ	ილ'ი-ბ	იშიი-ბ	ბიშითი-ბ
მიც.	დი-ჟ	დუ-ჟ	ილ'ი-ჟ	იშიი-ჟ	ბიშითი-ჟ

მიარსული კილოკავი განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს:

	დინ	მინ	ილ'ილ	იშიილ	ბიშითილ
სახ.	დინ	მინ	ილ'ილ	იშიილ	ბიშითილ
ერგ.	დინ-დი	მინ-დი	ილ'ი-დი	იშიი-დი	ბიშითი-დი
ნათ.	დი-ბ	დუ-ბ	ილ'ი-ბ	იშიი-ბ	ბიშითი-ბ
მიც.	დი-ჟ	დუ-ჟ	ილ'ი-ჟ	იშიი-ჟ	ბიშითი-ჟ

მიარსულში ერგატივი ყველგან სტანდარტულადაა ნაწარმოები (დინდი, მინდი, ილ'იდი, იშიიდი, ბიშითიდი). მრავლობით რიცხვში I და II პირის ნაცვალსახელებს ლ აქვთ: ილ'ი-ლ, იშიი-ლ, ბიშითი-ლ, რაც აულ ბოთლიხის მეტყველებისათვის უცხოა². ეს ლ მრავლობითის ნიშანი ჩანს (შდრ. ვაციი-ლ „ცმები“), არსებით

¹ როგორც ეს გვაქვს ლოდობერიულში I და II პირის ყველა ნაცვალსახელში (ორსავე რიცხვში).

² ისევე, როგორც ანდიური ენებისათვის საერთოდ, გარდა საკუთრივ ანდიური ენისა.

სახელებთან ანალოგიის გამო დართული¹. ლ ირიბ ბრუნვებს არ გადაჰყვება.

კითხვითი ნაცვალსახელები „ვინ“ და „რა“:

სახ. ევ (I კლ.), ე (II კლ.), ე-ბ „რა“ (ცოცხ.) „ვინ“

ერგ. ლ'ე-დი

ნათ. ლ'ე-ბ

ზიც. ლ'ე-ჟ

სახ. ე-ბ „რა“ (III კლ.), ეოლ (მრ.)

ერგ. ლ'ეუნ-დი

ნათ. ლ'ეუნ-ლ'ი

მიც. ლ'ეუ-ჟ

„ვინ“ ნაცვალსახელისა და „რა“ ნაცვალსახელის ფუძე არსებითად ერთია — ე ხმოვანი, ოლონდ II კლასში ბოლოკიდული ჯ (კლასის ნიშანი) არ ჩანს, ამასთან ადამიანთა კლასში ე ნაზალიზებულია (ევ). ირიბ ბრუნვებში ადამიანთა კლასში გვაქვს ლ'ე-², ხოლო ხივთა კლასში ლ'ეუნ-, როქელაც მიცემითში ნ-ს გარეშეა წარმოდგენილი.

კითხვითი ნაცვალსახელები ჩვეულებრივად ლ'ილა და ხულა ელემენტების დართვით გვხვდება (-ლ'ილა ცოცხალთა ჯგუფისათვის. იხ. ქვემოთ „ნაწილაკები“); ევ-ლ'ილა „ვინ“, ე-ლ'ილა „ვინ“, ებ-ლ'ილა „რა“ (ცოცხალი არაადამიანი, მაგ. ცხოველი), ებ-ხულა „რა“ (ნივთი, არაცოცხალი).

კითხვითი ნაცვალსახელებისაგან ნაწილაკების დართვით (-ჭალა, -კვალა, -ხვალა) იწარმოება განუსაზღვრელი ნაცვალსახელი.

უკუქცევითი ნაცვალსახელის ბრუნვა

	(I კლ.)	(II კლ.),	(III კლ.)
სახ.	ჰი-ე „თვით“	ჰი-ჟ „თვით“	ჰი-ბ „თვით“
ერგ.	ინ-შეუ-დი	ინ-ლ'ი-დი	
ნათ.	ინ-შეუ-ბ	ინ-ლ'ი-ლ'ი	
მიც.	ინ-შეუ-ჟ	ინ-ლ'ი-ჟ	

¹ ამრიგად, მთარსულის ორივე თავისებურება (ერგატივის ფორმა და ლ-ს დართვა) მეორეულია.

² შდრ. ხუნძ. ლ'იი- (ლ'იი-ლ „ვისი“).

უკუქცევითი ნაცვალსახელის ჰი - ფუძე ირიბ ბრუნვებში იცვლება -ინ-ფუძით¹, რომელსაც დაერთვის ფუძის მაწარმოებელი შიუ ან ლ'ი (გარკვეულ კლასებში).

უკუქცევითი ნაცვალსახელი ჩვეულებრივად -და ნაწილაკის დართვით იხზარება (ჰივდა, ინშაუბდა, ინლ'ილ'იდა -და სხვ.) მისი დართვა ერგატივისეული დ-ს ამოღებას იწვევს) ინშაუადა ← ინშაუდიდა).

არის სახელთა ერთი რიგი, რომელიც ირიბ ბრუნვათა ფუძეს ლა მარცვლის მეშვეობით აწარმოებს: სახელობითისეულ ფუძესა და ბრუნვის ნიშნებს შორის -ლა ელინდება². თითქმის ყველა ეს ფუძე ფაკულტატურად ლა-ს გარემეც შეიძლება შეგვხვდეს. ჩვენთვის ცნობილ სიტყვათა უდიდესი ნაწილი გარკვეულ სემასი-ოლოგიურ ჯგუფს განეკუთვნება (ცის სხეულები, მეტეოროლოგიური მოვლენები):

სახ. მიჰი „მზე“	ფურწაუ „მთვარე“ ³	ანზი „თოვლი“
ერგ. მიჰი-ლა-დი	ფურწაუ-ლა-დი	ანზი-ლა-დი
ნათ. მინჰი-ლა-ლ'ი	ფურწაუ-ლა-ლ'ი	ანზი-ლა-ლ'ი
მიც. მიჰი-ლა-ჲ	ფურწაუ-ლა-ჲ	ანზი-ლა-ჲ

ასევე იბრუნვის: მუჩუ „ქარი“, ფირი „ელვა“, წააჲ „წვიმა“, ჯარი „ყინული“, „სეტყვა“, ჰირა „ღრუბელი“, ჰირი „სინხლი“, ნიხი „მკერდი“.

ამგვარი ფორმები მთავრულში შედარებით უფრო ხშირია, ვიდრე აულ ბოთლიხის მეტყველებაში, თუმცა აქაც სრულებით ბუნებრივი მოვლენაა. ყველა ჩამოთვლილი სიტყვა ლა-ს გარემედაც იბრუნვის (ნიჰი „მზე“, ერგ. მიჰი-დი..., ფურწაუ „მთვარე“, ერგ. ფურწაუ-დი... და მისთ.).

8. ბრუნება მრავლობით რიცხვში. მრავლობით რიცხვში ბრუნება გაცილებით მარტივია, ვიდრე მხოლოობითში. აქაც გაირჩევა ერთფუძიანი და ორფუძიანი ბრუნება.

ირიბ ბრუნვათა ფუძე ორფუძიანობის შემთხვევაში ნაწარმოებია ხმოვნის საშუალებით. როდის გვექნება ერთფუძიანი და როდის ორფუძიანი ბრუნება, იმაზე დამოკიდებული, თუ რა სუფიქსითაა ნაწარმოები მრავლობითი რიცხვი.

¹ შდრ. ხუნძ. ეიი- (ერგატ. ეინ-ცა „თვითონ“; სახ. ეი-ბ).
² მრავლობით რიცხვში ლა არ გვხვდება.
³ წიგნი „ვარსკვლავი“ ლა-ს არ ჩაირთავს.

ერთფუძიანი ბრუნება. ყველა სიტყვა, რომელსაც მრავლობითი რიცხვი ნაწარმოები აქვს -ბაღ'ი, -ბდიღ'ი, -დიღ'ი, -დაღ'ი, -დე, -ფე- სუფიქსებით, ერთფუძიანი ბრუნებისაა: ბრუნვის ნიშანი პირდაპირ დაერთვის რიცხვის ნიშანს.

სახ. გიგინა-ბაღ'ი „ყვავილები“	რუშ-ი-ბაღ'ი „ხეები“
ერგ. გიგინა-ბაღ'ი-დი	რუშ-ი-ბაღ'ი-დი
ნათ. გიგინა-ბაღ'ი-ღ'ი	რუშ-ი-ბაღ'ი-ღ'ი
მიც. გიგინა-ბაღ'ი-ჟ	რუშ-ი-ბაღ'ი-ჟ
სახ. იმა-ბაღ'ი „მამები“	ილა-ბაღ'ი „დედები“
ერგ. იმა-ბაღ'ი-დი	ილა-ბაღ'ი-დი
ნათ. იმა-ბაღ'ი-ღ'ი	ილა-ბაღ'ი-ღ'ი
მიც. იმა-ბაღ'ი-ჟ	ილა-ბაღ'ი-ჟ
სახ. ნაშარ-დაღ'ი „თოქები“	საურათ-ა-ბაღ'ი „სურათები“
ერგ. ნაშარ-დაღ'ი-დი	საურათ-ა-ბაღ'ი-დი
ნათ. ნაშარ-დაღ'ი-ღ'ი	საურათ-ა-ბაღ'ი-ღ'ი
მიც. ნაშარ-დაღ'ი-ჟ	საურათ-ა-ბაღ'ი-ჟ
სახ. ტანკარ-დე „კურდღლები“	პიტეიბ-დე „ფესვები“
ერგ. ტანკარ-დე-დი	პიტეიბ-დე-დი
ნათ. ტანკარ-დე-ღ'ი	პიტეიბ-დე-ღ'ი
მიც. ტანკარ-დე-ჟ	პიტეიბ-დე-ჟ
სახ. კუჭალირ-დე „ავადყოფები“	მატე-ე „სარკეები“
ერგ. კუჭალირ-დე-დი	მატე-ე-დი
ნათ. კუჭალირ-დე-ღ'ი	მატე-ე-ღ'ი
მიც. კუჭალირ-დე-ჟ	მატე-ე-ჟ
სახ. გედ-ე „კატები“	სარ-ე „მელიები“
ერგ. გედ-ე-დი	სარ-ე-დი
ნათ. გედ-ე-ღ'ი	სარ-ე-ღ'ი
მიც. გედ-ე-ჟ	სარ-ე-ჟ

ორფუძიანი ბრუნება. ორფუძიანი ბრუნება აქვთ ისეთ სიტყვებს, რომლებიც მრავლობით რიცხვს აწარმოებენ -ღ (ან-აღ) სუფიქსით, ამავე ჯგუფში შემოდის წარმოავლობის ის სახელები, რომელთაც მრავლობითის ნიშნად -ღი მოუღიოთ.

როგორც ვნახეთ, -ღ სუფიქსით მრავლობით რიცხვს აწარმოებს რამდენიმე არსებითი სახელი (ვაშალ „ვაყები“, ძაციღ „დე-ბი“...), ყველა ზედსართავი და მასთან გათანაბრებული ატრიბუ-

ტყუი ხმარების ყველა სახელი, რომელსაც სუფიქსური კლასის ნიშანი აქვს (შირღობები, ჩვენებითი, კითხვითი, უკუქცევითი, კუთვნილებითი ნაცვალსახელები, სუფიქსური კლასის ნიშნის მქონე რიცხვითი სახელები — „ერთი“ და რიგობითი რიცხვითი სახელები)¹. ყველა ეს სახელი მრავლობითი რიცხვის -ლ სუფიქსის მომდევნოდ ირიბ ბრუნვებში უ ხმოვანს ავლენს, რაც მეორე ფუძეს ქმნის.

ისეთი ზედსართავი (და საერთოდ ატრიბუტიული) სახელები, რომელთაც სუფიქსური კლასის ნიშანი არა აქვთ და ამდენად მრავლობითის სახელობითში -ლ დაბოლოება არ მოეპოვებათ², ბრუნვის პროცესში ფუძის მომდევნოდ მაინც-ლ-ს ავლენენ, რომელსაც ირიბ ბრუნვათა ფუძის მაწარმოებელი უ მოსდევს (იხ. ქვემოთ რეკერ „შავები“ და სხვ.).

არსებითი სახელები

სახ.	ვაცი-ლ „ძმები“	ჯაცი-ლ „ღები“	ვაშა-ლ „ვაყები“
ერგ.	ვაცი-ლ-უ-დი	ჯაცი-ლ-უ-დი	ვაშა-ლ-უ-დი
ნათ.	ვაცი-ლ-უ-ბ	ჯაცი-ლ-უ-ბ	ვაშა-ლ-უ-ბ
მიც.	ვაცი-ლ-უ-ჯ	ჯაცი-ლ-უ-ჯ	ვაშა-ლ-უ-ჯ

სახ.	აეში-ლ „ქალიშვილები“	ადამ-ალ „ადამიანები“
ერგ.	აეში-ლ-უ-დი	ადამ-ალ-უ-დი
ნათ.	აეში-ლ-უ-ბ	ადამ-ალ-უ-ბ
მიც.	აეში-ლ-უ-ჯ	ადამ-ალ-უ-ჯ

სახ.	ბალა „ადამიანები“, „ხალხი“
ერგ.	ბალა-ლ-უ-დი
ნათ.	ბალა-ლ-უ-ბ
მიც.	ბალა-ლ-უ-ჯ

ზედსართავი სახელები

სახ.	ხუყა-ლ „კარგები“	რეკერ „შავები“	ირხაა „წითლები“
ერგ.	ხუყა-ლ-უ-დი	რეკერ-ლ-უ-დი	ირხაა-ლ-უ-დი
ნათ.	ხუყა-ლ-უ-ბ	რეკერ-ლ-უ-ბ	ირხაა-ლ-უ-ბ
მიც.	ხუყა-ლ-უ-ჯ	რეკერ-ლ-უ-ჯ	ირხაა-ლ-უ-ჯ

¹ სუფიქსებელია, რომ ლ ადამიანთა კლასის სიმრავლის გადმოსაცემად იყო ოდესღაც გამოყენებული.

² ფაქტობრივ მათ არ მოეპოვებათ მრავლობითი რიცხვის ფორმა. მხოლოდ შინაარსობლივად შეიძლება მრავლობითის ნიშვნელობით ვიხმაროთ.

აქ სამი სხვადასხვა შემთხვევაა. ხუცალ-ს აქვს მრავლობითის -ლ ნიშანი და ირიბ ბრუნვათა ფუძე (ხუცალ-უ-) კანონზომიერადაა ნაწარმოები; რეკერ „შაეები“ მრავლობითის ფორმად გაიგება პრეფიქსული კლასის ნიშნის (რ) გამო. მაგრამ სახელური მრავლობითის ნიშანი (სუფიქსი) მას არა აქვს. მაინც ირიბ ბრუნვებში ფუძის მომდევნოდ ლ გვაქვს (რეკერ-ლ-), რომელსაც ირიბ ბრუნვათა ფუძის მაწარმოებელი უ დაერთვის (რეკერ-ლ-უ-). კიდევ უფრო თავისებურია ირხა „წითელი“. ამ სიტყვაში არც რიცხვია აღნიშნული და არც გრამატიკული კლასი, ამიტომ ირხაა ყველა კლასისა და ყველა რიცხვისათვის გამოსადეგი ფორმაა. როგორც მხოლოდობით რიცხვში ბრუნების დროს ვნახეთ, ასეთი ტიპის ატრიბუტიული სახელები (ირხა „წითელი“, ჰაბუდა „სამი“...) იბრუნვიან როგორც შაუ ისე ლ'აი ელემენტების დართვით იმისდა მიხედვით, თუ რომელი კლასისადაა მიჩნეული სათანადო სიტყვა კონტექსტის თანახმად. მაგ., ირხა ჰეკვა „წითელი კაცი“; აქ ირხა I გრამატიკული კლასის სიტყვას უკავშირდება და თვითონაც I კლასისად ითვლება, რომ ვაბრუნოთ¹ ირხაშაუ-დი „წითელმა“ და ა. შ. გვექნება, ირხა ჰუჩა „წითელი წიგნი“ აქ ირხა III კლასისად გაიგება, რადგან ჰუჩა III კლასის სიტყვაა. აქ ირხა რომ ვაბრუნოთ, ირხალ'ა-იდი „წითელმა“ და ა. შ. გვექნება. კონტექსტში ირხა ადამალ „წითელი კაცები“ ირხა მრავლობით რიცხვში დასმულ სიტყვას (ადამალ) უკავშირდება და თვითონაც მრავლობითად გაიგება. რომ ვაბრუნოთ, გვექნება: ირხალუდი „წითელებმა“ და ა. შ.

რიცხვითი სახელები

სახ. ცელ „ერთნი“	კეახო-ლ „მეორენი“
ერგ. ცელ-უ-დი	კეახოლ-უ-დი
ნათ. ცელ-უ-ბ	კეახოლ-უ-ბ
მიც. ცელ-უ-ა	კეახოლ-უ-ა

ნაცვალსახელები

სახ. დო-ლ „ისინი“	გო-ლ „ისინი“	ჰა-ლ „ესენი“
ერგ. დოლ-უ-დი	გოლ-უ-დი	ჰალ-უ-დი

¹ ატრიბუტიული სახელი არ იბრუნვის, როცა ის მსახლდრელის ფუნქციას ასრულებს (ვეპერ ჰეკვა „შავი კაცი“, ვეპერ ჰეკვაშაუდი „შავმა კაცმა“ და ა. შ.), იბრუნვის ის მაშინ, როცა სუბსტანტივიზებულია, არსებითი სახელის როლში გვევლინება: ვეპერშაუდი ჰიტუჟ ჰაბ ნა „შავმა (იჯლისხმება კაცმა) თქვა ეს“... ჰაწახა კათულ'ი ღვანი იდა ბერტეანაბ, ბეკერლი'ილი — მილა „თეთრი ცხენისა თავია ლამაზი, შავისა — კუდი“.

ნათ. გოლ-უ-ბ
მიც. დოლ-უ-ა

გოლ-უ-ბ
გოლ-უ-ა

ჰალ-უ-ბ
ჰალ-უ-ა

ნაცვალსახელთაგან გამონაკლისს ქმნის ჰი-ბ „თვით“ ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვი. აქ ფუძის მონაცვლეობა გვაქვს (ამავე ნაცვალსახელის ბრუნება მხ. რ.-ში იხ. ზემოთ).

სახ. ჰი-ოლ
ერგ. ინდ-უ-დი
ნათ. ინდ-უ-ბ
მიც. ინდ-უ-ა

ჰი- ფუძე ირიბ ბრუნვებში შეცვლილია ინდ- ფუძით (მხ. რ.-ში ჰი- იცვლება ინ- ფუძით)¹. მრავლობითის -ლ ნიშანი ირიბ ბრუნვებს არ გადაჰყვება, მაგრამ ფუძის მაწარმოებელი უ კი მანც გვაქვს.

-და ნაწილაკის დართვისას ერგატივისეული ღ ამოვარდება (ინდუდიდა → ინდუდა).

ზედსართავ სახელთა მსგავსად იბრუნვის მიმღობაც:

სახ. ჰვარდალ „დამწერნი“	ჰვარდიქალ „არ დამწერნი“
ერგ. ჰვარდალ-უ-დი	ჰვარდიქალ-უ-დი
ნათ. ჰვარდალ-უ-ბ	ჰვარდიქალ-უ-ბ
მიც. ჰვარდალ-უ-ა	ჰვარდიქალ-უ-ა

თავისებურია წარმომავლობის იმ სახელთა ბრუნება, რომლებიც მრავლობით რიცხვს -დი სუფიქსით აწარმოებენ. აქ ირიბ ბრუნვათა ფუძეს აწარმოებს ა ხმოვანი, რომელიც კვეცს წინამავალ (-დო სუფიქსისეულ) ი ხმოვანს:

სახ. ბუახა-დი „ბოთლიხელები“
ერგ. ბუახა-დ-ა-დი
ნათ. ბუახა-დ-ა-ლ'ი
მიც. ბუახა-დ-ა-ა

შეენიშნაეთ, რომ მრავლობით რიცხვში დასტურდება ნათესაობითი ბრუნვის ორივე ნაირსახეობა: კლასნიწინიანიც (I ნათესა-

¹ ამრიგად, ინდ- იშლება: ინ-დ- (შდრ. ხუნძ. ჟალ „თვითონ“ შრ. რ. სახელობითი, მაგრამ ირიბ ბრუნვებში ჟოდ- შდრ. აგრეთვე მხ. რ. უი- სახ. ბრ., შინ-ჟ შინ-დ- ირიბ ბრუნვათა ფუძე).

ობითი) და უკლასნიშნოც (II ნათესაობითი, -ლ'ი სუფიქსიანი). იმ სიტყვებს, რომელთაც ირიბ ბრუნვათა ფუძე ნაწარმოები აქვთ უხმოვნით, ნათესაობითის კლასნიშნიანი სახეობა აქვთ, ყველა სხვა შემთხვევაში კი -ლ'ი სუფიქსიანი ნათესაობითია¹.

9. **ლოკატიური ბრუნვები.** ბოთლიხურში ლოკატივთა ექვსი სერია გვაქვს. სერიები გამოიყოფა „ლოკატიურ ბრუნვათა საყრდენი ნიშნის“ რაგვარობის მიხედვით: ყოველი სერია ხასიათდება ირიბ ბრუნვათა ფუძეზე ერთ-ერთი სერიული ნიშნის დართვით, რომელსაც თავის მხრივ ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნები ემატება. ერთ-ერთ სერიას ასეთი ნიშანი არა აქვს და მას „უნაწინო სერიას“ ვეძახით.

სერიის ნიშანი გვიჩვენებს, თუ სად ხდება მოქმედება („ზევით“, „ქვევით“, „გვერდით“, „შიგნით“ და ა. შ.), ლოკატიური ბრუნვის ნიშანი გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება მოქმედება, როგორია მოძრაობა („საითკენ“, „საიდან“, „რისავე გავლით“) ან უძრაობა.

სერიებია: I სერია (უნიშნო), II სერია (ჭიანი). III სერია (ხიანი), IV სერია (ჯიანი), V სერია (ლ'იანი). VI სერია (ტხიანი).

ლოკატიური ბრუნვა ოთხია: მიმართულებითი (allativus, კითხვა: საითკენ?), ადგილობითი (locativus, კითხვა: სად?), დაშორებითი (elativus, კითხვა: საიდან?), გავლითი (translativus, კითხვა: რაზე გავლით?).

ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნებია:

მიმართულებითი ბრუნვისა	-ა
ადგილობითი ბრუნვისა	-უ, -ი, -ე
დაშორებითი ბრუნვისა	-რუ
გავლითი ბრუნვისა	-ქუ

უნდა აღვნიშნოთ, რომ: 1. ყველა სერიას როდი აქვს ყველა ლოკატიური ბრუნვა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ); 2. დაშორებითი

¹ თავდაპირველად, ალბათ, უხმოვნით ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოება ადამიანთა კლასისათვის იყო დამახასიათებელი (შემდგომში ეს ვითარება I გოამატიკული კლასის სახელებში შემოგვენახა). ამისდა კვალად კლასნიშნიანი ნათესაობითი ადამიანთა კლასის ნათესაობითი შეიძლება ყოფილიყო, -ლ'ი ნიშნიანი კი — ნივთთა კლასისა.

და ადგილობრივი ბრუნვების ცალ-ცალკე გამოყოფა ყოველთვის არ ხერხდება: ინფორმატორთა უმეტესობა -რუ და -ჭუ ბრუნვებს თანაბარმნიშვნელობად თელის და ფაქულტატურად ცვლის ერთით მეორეს. ზოგის აზრით კი -რუ დაშორებითია, ხოლო -ჭუ გავლითი. ჩვენ ამ შენიშვნით დავკმაყოფილდებით და ქვემოთ -რუ და -ჭუ ბრუნვები ჩათვლილი გვაქვს ერთ ბრუნვად, რომელსაც ორი ფაქულტატიური ნიშანი აქვს (-რუ, -ჭუ). ამ ბრუნვას დაშორებითს ვეძახით¹. ამრიგად, ქვემოთ სამ ლოკატიურ ბრუნვაზე ვილაპარაკებთ.

ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნები სერიულ ნიშნებს დაერთვის. მიმართულებითი და ადგილობრივი ბრუნვის ნიშნები უშუალოდ დაერთვის სერიულ ნიშანს, ხოლო დაშორებითი ბრუნვის -ჭუ(' -რუ) ნიშანი კი ადგილობრივი ბრუნვის მხა ფორმას: დაშორებითი ბრუნვა ნაწარმოებია ადგილობრივი ბრუნვისაგან.


მიმართულებითი ბრუნვის ნიშანია ა. ადგილობრივ ბრუნვას სამი სხვადასხვა ნიშანი აქვს: უ, ი, ე. ამ ნიშანთა ხმარება არაა ფაქულტატიური, თუმცა აქა-იქ (ზოგ სიტყვასთან), მართალია, შეიძინევა ადგილობრივი ბრუნვის ნიშანთა ფაქულტატიური მონაცვლეობა ორ რომელსაზე ნიშანს შორის. დაშორებით ბრუნვას აგრეთვე ორი ნიშანი აქვს: რუ და ჭუ, მონაცვლეობა თითქმის ფაქულტატიურია (იხ. ზემოთ). აქა-იქ ორმაგი -ჭუ-რუ- შეიძლება შეგვხედეს, მაგრამ ამას ჩვეულებრივად გაურბიან (ჩანაწერის ძეგლში მისი ინფორმატორები ასწორებენ ხოლმე: ან მხოლოდ ჭუ-ს დატოვებენ, ან მხოლოდ რუ-ს).

საიდან იწარმოება ლოკატიური სერიები, რას დაერთვის სერიის ნიშანი? სერიის ნიშანი ირიბ ბრუნვათა ფუძეს დაერთვის², ე. ი. იმავე ფუძეს, რასაც ცირითადი ბრუნვის ნიშნები ერთვის ხოლმე. განონაკლისია I ანუ „უნიშნო სერია“, აქ ლოკატიურ ბრუნვათა ნიშანი თითქოს წინდა ფუძეს, სასელობითის ფორმას დაერთვის, ოღონდ თუ სიტყვა ხმოვანზეა დაბოლოებული, ეს ხმოვანი მოეკეცება.

¹ აქ მოხლილი ჩანა გავლითი ბრუნვა ისევე, როგორც ეს ბუნძურში მოხდა: გავლითი ბრუნვა მოიშალა, შეუერთდა დაშორებითს (სისი ნიშანი კი დაშორებითი ბრუნვის ფაქულტატიური ვარიანტი გახდა).

² როგორც ზევით ვნახეთ, ირიბ ბრუნვათა ფუძე რამდენიმენაირად იწარმოება: 1. ირიბი ბრუნვები საბელობითის ფუძეს ეყარება (ერთფუძიანი ბრუნვა), 2. ირიბი ბრუნვები იყენებს ახალ ფუძეს, რომელიც ნაწარმოებია ხმოვანი ან შიუ || ლ:ი მარცვლებით და სხე.

სქემატურად



თუ რამდენი და რა და რა სერია ექნება სახელს, ეს საბრუნვებელი სიტყვისა და ლოკატიური სერიის ნიშნის სემანტიკურ შესაბამისობაზეა დამოკიდებული.

I ანუ „უნიშნო სერია“ იმ სიტყვებს აქვს, რომლებიც ზედაპირს, ფართობს, გამოხატავენ (მინდორი, ყანა, გზა, სახურავი, მაგიდა, ჭანჭარა, ბაზარი და მისთ.). სერიის ძირითადი შინაარსია „ზედ ყოფნა“.

II სერია (ჰ-იანი) ყველა სახელს აქვს, მისი შინაარსი მიცემით-ლოკატიურია („ზე“).

III სერია (ზ-იანი) ყველგან გვხვდება. მნიშვნელობაა „თან ყოფნა“, „გვერდზე“, „ახლოს ყოფნა“.

IV სერია (ჭ-იანი) მეტად იშვიათია. მნიშვნელობით მისი გამოიჯნა III სერიისაგან ჰირს (თითქოს სავანის უშუალო კონტაქტს გულისხმობს). ეს სერია, როგორც ქვევით ვნახავთ, ბრუნვებითაც ნაკლებია. შიარსულში (ასევე ღოდობერიულში) V სერია უფრო ხშირია გარკვეულ ფონეტიკურ გარემოში.

V სერია (ლ'ზ-იანი) გვხვდება ისეთ სიტყვებთან, რომლებიც შინაგანი სივრცის (სიღრუის) მქონე საგნებს აღნიშნავენ (ყუთი, ზანდუკი, ცხვირი...) ან ნივთიერებებს (წყალი, ქვა...), ან კიდევ შემკრებლობით ერთიანობას (სოფელი, ტყე...). მნიშვნელობაა „შიგ ყოფნა“.

VI სერია (ტფ-იანი) „ქვეშ ყოფნას“ აღნიშნავს („ხის ქვეშ“, „ქვის ქვეშ“ და მისთ).

სერიათა ის შინაარსეული დახასიათება, რაც ზემოთ წარმოვადგინეთ, არაა სრული. ზოგ შემთხვევაში ესა თუ ის სერია დასტურდება (ან არ დასტურდება) ისეთ სიტყვებთან, რომელთაც შინაარსის მიხედვით ასეთი სერია თითქოს არ უნდა ჰქონოდა (ან უნდა ჰქონოდა).

ლოკატიურ სერიათა სისტემა ბოთლიხურში საკმაოდ მწყობრია (ოღონდ არა ისე მწყობრი, როგორც, მაგალითად, ხუნძურში).

გავრცელებულია ლოკატიურ სერიათა აღწერითი წარმოება (იხ. ქვემოთ).

I სერია (უნინზო)

სამივე ბრუნვა მოეპოვება. ადგილობითი ბრუნვის ნიშნების (-ჲ, -ი, -ე) ხმარება ფაქულტატიური არაა. იშვიათია ისეთი სიტყვა, რომელიც ორ ნიშანს იკუთვნებს. რადგან დაშორებითი და გავლითი ადგილობითისაგან იწარმოება, ცხადია, ადგილობითი ბრუნვის მაწარმოებელთა ნაირობა ამ უკანასკნელებშიაც დაჩნდება.

მიმართ.	ხურ-ა „ყანისაკენ“	ამბურ-ა „სახურავისაკენ“
	(სახ. ხური „ყანა“)	(სახ. ამბურ „სახურავე“, „ბანი“)
ადგილ.	ხურ-ჲ „ყანაში“, -ზე	ამბურ-ჲ „სახურავეზე“
დაშორ.	{ ხურ-ჲ-რჲ „ყანიდან“	ამბურ-ჲ-რჲ „სახურავედან“
	{ ხურ-ჲ-ქჲ	ამბურ-ჲ-ქჲ

მიმართ.	ჰინგურ-ა „ფანჯრისაკენ“	უსთურ-ა „მაგიდისაკენ“
	(სახ. ჰინგურ „ფანჯარა“)	(სახ. უსთურ „მაგიდა“)
ადგილ.	ჰინგურ-ე „ფანჯარაზე“	უსთურ-ე „მაგიდაზე“
დაშორ.	{ ჰინგურ-ე-რჲ „ფანჯრიდან“	უსთურ-ე-რჲ „მაგიდიდან“
	{ ჰინგურ-ე-ქჲ	უსთურ-ე-ქჲ

მიმართ.	მიყ-ა „გზისკენ“	(სახ. მიყ-ი „გზა“)
ადგილ.	მიყ-ჲ	მიყ-ე
დაშორ.	{ მიყ-ჲ-რჲ	მიყ-ე-რჲ
	{ მიყ-ჲ-ქჲ	მიყ-ე-ქჲ

„გზაში, -ზე“
„გზიდან“

მიმართ.	ბუჯ-ა „ბოთლიხისკენ“ ¹	
ადგილ.	ბუჯ-ე „ბოთლიხში“	(გამოყენებულია სახ. ბრუნვად ისევე, როგორც ლოკატ. ლუნი-ბ)
დაშორ.	{ ბუჯ-ე-რჲ	„ბოთლიხიდან“
	{ ბუჯ-ე-ქჲ	

ის სიტყვები, რომელთაც სემანტიკის მიხედვით არ შეიძლება I სერია ჰქონდეთ, დაშორებითი ბრუნვის წარმოებას ახერხებენ:

დაშორ. დი-ე-ქჲ „ჩემგან“, იმუ-ე-ქჲ „მამისაგან“.

¹ წარმოშობით ბუჯ-ხ-ა III სერიის ფორმაა.

I სერია აქვს ადგილის ზმნისართებაც:

მიმართ.	ჰიტა-ა	„ქვევითკენ“	ორსა-ა	„გარეთკენ“
ადგილ.	ჰიტა-ი	„ქვევით“	ორსა-უ	„გარეთ“
დაშორ.	ჰიტა-ი-რუ } ჰიტა-ი-ქუ }	„ქვევიდან“	ორსა-უ-რუ } ორსა-უ-ქუ }	„გარედან“
მიმართ.	ჰინ-ა	„შიგნითკენ“		
ადგილ.	ჰინ-უ	„შიგნით“		
დაშორ.	ჰინ-უ-რუ } ჰინ-უ-ქუ }	„შიგნიდან“		

მიმართ.	არ-ა	„აქეთკენ“	ბეტეარ-ა	„გვერდით“	ჰანდარ-ა	„ახლოს“
ადგილ.	არ-უ	„აქ“	ბეტეარ-უ		ჰანდარ-ე	
დაშორ.	{ არ-უ-რუ არ-უ-ქუ }	{ ბეტეარ-უ-რუ ბეტეარ-უ-ქუ }	{	{	{	{

ზოგ ადგილის ზმნისართს მიმართულებითი და ადგილობითი არა აქვს გარჩეული (ორივეგან მიმართულებითია გამოყენებული), მაგალითად:

მიმართ.	ჰეც-ა	„ზევითკენ“	საეც-ა	„წინ“
ადგილ.	ჰეც-ა	„ზევით“	საეც-ა	„წინ“
დაშორ.	{ ჰეც-ა-რუ ჰეც-ა-ქუ }	{ „ზევიდან“	{ საეც-ა-რუ საეც-ა-ქუ }	{ „წინიდან“

ილა ბაზარა დაეცა ლ'ირლ'ი იბხი „დედა ბაზარში წავიდა ერ-ბოს საყიდლად“... გალ'ნაკვაკვა კათელ'ი ბადანა რელ'უ ილა „ისინი ცხენებზე შეჯდნენ და მოედნისაკენ წავიდნენ“... იშეი ბე-ქუხა ხურა რაწა „ჩვენ დიდ ყანას მივალწიეთ“... მიყუ (|| ხურუ) მისა ჰუშაჟა ჰაბულა ლურუმ „გზაშია (|| ყანაში) იპოვა მან სამი ზანეთი“... ცებ მიყე იშეი დანდე ვახა ცეც ვახარა ადამ „ერთ გზაზე წინ შემოგვხვდა ერთი მოხუცი კაცი“... დენ ველ'ა ილა ბუ-ახა „მე ბოთლიხში მივდივარ“... დენ სუნი ჰინღვა ბუახერუ „მე გუშინ მოვედი ბოთლიხიდან“... ერხადალ ვოქუხა ნართილა ჰინღ-ვა ხურურუ „სალამოს უფროსი (დიდი) ნართიც მოვიდა ყანიდან“... ცებ მუსექუ ჰინღვა წაა „ერთი მხრიდან წამოვიდა წვიმა“... კუჰაალირ ჭუფირიექუ ბუქჟე „ავადმყოფობა უსუფთაობისაგან ჩნდება“... შიიუჟექუ ლ'ირლ'ი იჰე იშეი „რძისაგან ერბოს ვამზა-დებთ ჩვენ“... იშეი აჰა ცებ იშეიქუ გულათირ „ჩვენ ერთი სახლი-

დან ლაპარაკი გავიგონეთ“... გომეული ჯავაბ იქაუ: იშიი ჰაალუ-
რივ ილა, ბიშტი ლაბა არა! „მან პასუხი მისცა: ჩვენ მზად ვართ,
თქვენ მოდით აქ!“... ჰალუდი მაწაუ ილა ჰუშაუხი: მიყი ინქუხუ-
ლა-თალუ „ამათ ჰკითხეს მას: გზა საით არისო!“... იშიი რუხულა
ჰინა რულუ „ჩვენ ტყეში შევედით“... მუწაელაუ ჰინუ ლაენი ილა
ხუმა? „თუნგში წყალი არის“... მალა რუცენ იშვერუ ორსაა ვუ-
ლუ „მოლა ნასრედინი სახლიდან გარეთ გავიდა“... ლიდა არურუ
(ი არუქუ) ჰიიდუ ილა ხუმა? „ლოდობერი აქედან ძორსაა?“... არა
-ლობა, ვაია! „აქ მოდი, ბიჭო!“

II სერია (ჰ-იანი)

მიმართულებითი ბრუნვა აკლია¹. ადგილობითი ბრუნვა -უ-
თია ნაწარმოები. დაკორებითი ბრუნვა ამ სერიისა გამოყენებულია
შედარებითი ხარისხის საწარმოებლად (ბრუნვის ნიშანს დაირთავს
შედარების ობიექტი). ხმისსართების მეტი წილი სახელს ამ სერი-
ის ადგილობით ბრუნვაში მართავს.

ადგილ. გომეუ-ჰ-უ „მას“ (I კლ.) (სახ. გოვ, ირ. ბრ. ფუძე
გომეუ-)

დაშორ. { გომეუ-ჰ-უ-რუ „მისგან“
გომეუ-ჰ-უ-ქუ

ადგილ. გეშილ'ი-ჰ-უ- „დას“ (სახ. გეში, ირ. ბრ. ფუძე -გეაილ'ი-)

დაშორ. { გეშილ'ი-ჰ-უ- „ქალისგან“
გეშილ'ი-ჰ-უ-ქუ

ადგილ. იმუ-ჰ-უ „მამას“ (სახ. იმა, ირბ. ბრ. ფუძე იმუ-)

დაშორ. { იმუ-ჰ-უ-რუ „მამისგან“
იმუ-ჰ-უ-ქუ

ადგილ. რუში-ჰ-უ „ხეს“ (სახ. რუშა, ირ. ბრ. ფუძე რუში-)

დაშორ. { რუში-ჰ-უ-რუ „ხიდან“
რუში-ჰ-უ-ქუ

მალა ნასრუდინიდი ბუკო ილა არსი ბეჰენაქუ ჰიტიი „მო-
ლა ნასრედინმა ფულა საწოლის ქვეშ შედო“ მაშინაქულა ნაკვა,

¹ წინათ უნდა ყოფილაკო. -ჰ-ა რთული სუფიქსის -იან-ჰ-ას შემად-
გენელი ვლუჰენტი. -ხან-ჰ-ა ნიშნავა-კენ; უფრო ზუსტად -სას; აიშათი-იანჰა ვა-
ცა „აიშათისას წავიდა, აიშათიანთა წავიდა, წავიდა იქ, სადაც აიშათია, მისა-
ნებია ხოლმე“. ბრუნვები: -ხან-ჰ-უ, ხან-ჰ-უ-რუ, -ხან-ჰ-უ-ქუ.

პინღვა დენ იშჷა „ზანქანაზე (ავტომანქანაზე) დავჯექი რა. ზოვე-
 დი მე სახლში“... უსთურაქუ ჰეცა ბუკა დუნელე იდახოზ-გუჷკაბ
 ბატი-ბატებ ლამდისაბ ნალარ „მაგიდაზე იყო, რაც კი ქვეყანაზე
 მოიპოვება (ქვეყანაზე არსებულ-არარსებული) საქმელი (რამე)“...
 ჩანაჯან ქურტალა იბხუ პინწაუქუ ვესქე ვაყაშაუ იდა „მონადირემ
 (ხელში) ნაჯახი აილო [და] კარს უკან დაიმალა“... გალ ჰარკავაბალ'ი
 რუკა ინდუ-ინდუქუ ჰანყე -ეს ცოლები თავიანთ სახლებში იყვენენ“...
 დიე ვაცაი დიქურუ ჭიქვარ იდა „ჩემი ცმა ჩემზე (ჩემგან) ლამა-
 ზია“... დენ ალლაჰაშეჷჭურუ ჰიბდე „მე ალაჰია(გან) მეში-
 ნია“... გამუშელალ'ი ყიმმათლა, თადალა ზინაქურუ ბექუხა იდა
 „კამეჩის ფასიცა და სარგებლობაც ძროხაზე (ძროხისაგან) მგე-
 ტია“... ინშაუბდა კათუქურუ ცებ ბასა ბუშაუ ჩანთალ'აუ ბუკო
 „თავის ცხენს (ცხენიდან) ერთი ბალანი აჰგლიჯა და ჯიბეში ჩა-
 ილო“... აექუხალ'იიდი სიიძილა ყორა პიტაუ ქუნტუხი: გობ ჯვაფ-
 იქუქუ (|| -რუ) ცებ ჰერწა-ხეალა ელლა ხადიჷა-თალუ „დედა-
 ბერმა გაბრაზებით [უთხრა ქმარს: იმ თევზს (თევზისაგან) ერთი
 გობი მაინც რად არ სთხოვეო?“

III სერია (ხ-იანი)

სამსავე ბრუნვას აწარმოებს. ადგილობითის ნიშანია — ი ან
 ე (-ი ლოკატიური მიცემითისაკენ იხრება მნიშვნელობით). არა
 ჩანს -უ.

მიმართ. იმუ-ხ-ა „მამისკენ“ (სახ. იმა, ირ. ბრ. ფუძე იმუ-)

ადგილ. იმუ-ხ-ე იმუ-ხ-ი „მამას-თან“

დაშორ. { იმუ-ხ-ე-რუ იმუ-ხ-ი-რუ „მამისაგან“
 იმუ-ხ-ე-ქუ იმუ-ხ-ი-ქუ

მიმართ. რეყუ-ხ-ა „ხელისკენ“ (სახ. რეყა, ირ ბრ. ფუძე რეყუ-)

ადგილ. რეყუ-ხ-ე რეყუ-ხ-ი „ხელს-თან“

დაშორ. { რეყუ-ხ-ე-რუ რეყუ-ხ-ი-რუ „ხელიდან“
 რეყუ-ხ-ე-ქუ რეყუ-ხ-ი-ქუ

მიმართ. გოშაუ-ხ-ა „მისკენ“ (სახ. გოვ, ირ. ბრ. ფუძე გოშაუ-)

ადგილ. გოშაუ-ხ-ე გოშაუ-ხ-ი „მას-თან“

დაშორ. { გოშაუ-ხ-ე-რუ გოშაუ-ხ-ი-რუ „მისგან“¹
 { გოშაუ-ხ-ე-ქუ გოშაუ-ხ-ი-ქუ

მაკი იმუხა ჩუჰა „ბავშვი მამისკენ გაიქცა“... დიბ კათუ ვა-
 ცუხე ილა „ჩემი ცხენი ძმისთანაა (ძმას ჰყავს)“... გავ ჰქვევაშუხი
 ჰიტუ გოშაუდი; მინლა ველი' იშიიჲ სანდუ ჰალმალ'უნ „ამ კაცს
 უთხრა მან: შენც წამოდი ჩვენთან ამხანაგად“... ბარზიკანიდი არ-
 სილ'ი ჰიბწაბ დაბლუჯ ბილო ამბურალ'ი ბაგანალ'უქუ ჰიტა მალა
 რუცენიქუ საეცა „ვაჰარმა ფულით სავსე ფუთა (ცხვირსახოცი) ჩა-
 აგდო სახურავის ხერელიდან ძირს მოლა ნასრედინთან (ნასრედი-
 ნის წინ)“... მინ ჰალ'ა ვილი, იშქურ ქვარტა ვაცუხერუ იბხიკაბ
 „შენ აქ გაჩრდი, მე ნაჯახს ძმისაგან მოვიტან“... დიე ვეკუხა ვა-
 ვაშაშუხერუ ქალათ ბაწა დიხა „ჩემი უფროსი ვაჟიშვილისაგან
 წერილი მივიღე (ქალაღმა მოაღწია ჩემკენ)“.

IV სერია (ჯ-იანი)

იხმარება ძალზე იშვიათად. ადგილობით ბრუნვას ი აწარმო-
 ებს. მიმართულებითი ბრუნვის წარმოება ხშირად ძნელდება. „მე“
 და „შენ“ ნაცვალსახელები მუდამ ამ სერიით გვხვდება მოსალოდ-
 ნელი III სერიის ნაცვლად (მაგ. გოშაუხი „მასთან“, იშიიხი „ჩვენ-
 თან“, მაგრამ დიჯი „ჩემთან“, დუჯი „შენთან“). მიარსულ კილო-
 კაეში ჯ უფრო ხშირად გვხვდება, მაგრამ მისი გამოყენება განსაზ-
 ღვრულია მომდევნო ხმოვნით: თუ (ბოთლიხის მეტყველების მი-
 ხედვით) მოსალოდნელი იყო -ხი, მიარსულში გვექნება ჯი, მაგრამ,
 როგორც ბოთლიხის ისე მიარსუს მეტყველებაში ერთნაირად -ხა
 გვექნება მიმართულებით ბრუნვაში. მაგ.:

	მიარსუ	ბოთლიხი	
მიმართ.	იმუ-ხა	„მამისკენ“	იმ-უ ხ-ა
ადგილ.	იმუ-ჯ-ი		იმ-უ-ხ-ი
დაშორ.	იმუ-ჯ-ი-რუ (-ქუ)		იმ-უ-ხ-ი-რუ (-ქუ)

ამრიგად, აქ მიარსულის ჯ გამოდის ხ სერიალური ნიშნის
 ბგერინაცვლად.

¹ ლოკაჯივის თარგმნისას ზედმიწევნით სიხუსტეს თავი ავარდიდუ:
 თანაობა ყველგან გამოვტოვეთ. ხუსტი თარგმანი ასეთი იქნება: გოშაუხა „მას-
 თან“, „მისკენ“, „მისი მიმართულებით“, გოშაუხე „მასთან“, გოშაუხერუ „მის-
 თანიდან“, „სადაც ისაა იქიდან“, „მისი გვერდით არსებულიდან“.

ბოთლიბური მაგალითები

ადგილ. დი-ჭ-ი „ჩემთან“, „მე“ (яне) დუ-ჯი „შენთან“, „შენ“ (тебе)
 დაშორ. დი-ჭ-ი-რუ დუ-ჭ-ი-რუ
 დი-ჭ-ი-ქუ დუ-ჭ-ი-ქუ

ადგილ. გარ-ჭ-ი „ყელთან“
 დაშორ. { გარ-ჭ-ი-რუ
 გარ-ი-ქუ

მიმართ. იშ-ჭ-ა „შინისაკენ“ წა-ჭ-ა „ცეცხლისაკენ“
 ადგილ. იშ-ჭ-ე „შინ“ წა-ჭ-ი
 დაშორ. { იშ-ჭ-ე-რუ წა-ჭ-ი-რუ
 იშ-ჭ-ე-ქუ „შინიდან“ წა-ჭ-ი-ქუ

დიჭი, დუჯი და სხვ. მონაცვლეა *დიხი, *დუხი-სა. გარ-ჭ-ი... წა-ჭ-ა... იშ-ჭ-ა ნაწარმოებია არც თუ კანონიერად: პირველს აქლია უ (გარუ „ყელი“, ირიბ ბრუნვათა ფუძე გარუ-), მეორეს ჯ (წა „ცეცხლი“), მესამეს სახელობითის ფორმა არა აქვს (იშ-ოთახს, „სახლს“ ნიშნავს. I სერიის ფორმებია: მიმართ. იშ-ოთახში, „-კენ“. ადგილ. იშ-ი „ოთახში“. დაშორ. იშ-ი-რუ || იშ-ი-ქუ- „ოთახიდან“. მაგრამ შ თანხმოვანზე უშუალოდ აფიქსის დართვა ბოთლიბურისათვის არაა ბუნებრივი. შესაძლებელია აქ შტ კომპლექსი შხ-საგან მოდიოდეს, იშტე ← იშხე და ა. შ. და, ამრიგად, წარმოშობით III სერიის ფორმასთან გვეკონდეს საქმე — სხ, შხ კომპლექსში ხ → ჯ-ს შესახებ იხ. „ფონეტიკა“).

იშიილ იმალა ილალა იშტე ილა ! ჩვენი დედ-მამა შინაა“... დენ იშტერუ ჰილევა „მე შინიდან მოვედი“... დენ აჰამად-ნაბიბ იშ-ტექუ ვაწა ჰულ'ა „მე აჰმედ-ნაბის სახლზე გავლით მივედი იქ“... იშიიბ ხადირ ილა დუჯი, ჰალალა ჰირქაუ იშიიქუ სანდუ იშიიხა წაერხა ველ'ი „ჩვენი თხოვნაა 'შენდაძი, ადექი და ჩვენთან შინ სტუმრად წამოდი“... ბერქა ჰეცალა კანწუ გარქი ბარაშაუ ბილუ „გველი მალა ახტა და ყელზე მოეხვია“... ლე, შინ, ბერქა, გარ-ქირუ ბატალა ბულ'უ, დოლ'ა ხურჯარალ'ა ჰინა ბულ'ი — ჰიტაუ სარუდი „ეი, შენ გველო, მოშორდი ყელს (ყელიდან შორს წადი) და მანდ ხურჯინში ჩადი! — თქვა მელიამ“... ლაზრ-ბეგიდი წაგა-ლა კანწუ მაკი წათი ვეშთიქა „ლაირ-ბეგი ცეცხლისაკენ გადახტა და ბავშვი დაწვას გადაარჩინა (წვად არ გაუშვა)“.

V სერია (ლ'ზ-იანი)

ამ სერიას ყველა ბრუნვა აქვს. ადგილობით ბრუნვას აწარმოებს უ ან ზ ფორმანტი (ე არა ჩანს).

V სერიის ნიშანს, რომელსაც ჩვენ ლ'ზ-თი აღვნიშნავთ, ერთი თავისებურება ახასიათებს: ის ხან ლ'ზ-ს სახით გვევლინება, ხან კიდევ ლ'-ს და ლ'-ს სახით. ნაირსახეობა ამ ნიშნისა პოზიციურად ჩანს შეპირობებული. ამოსავალია ადგილობითი ბრუნვის ჩვენება: თუ ადგილობითი ბრუნვა ნაწარმოებია უ ნიშნით, სერიის ნიშანი იქნება ლ'ზ, ხოლო თუ ადგილობითი ბრუნვის სუფიქსია ზ, სერიის ნიშნად ლ' გამოდის¹. თანხმოვნის მომდევნოდ სერიის ნიშანია ლ'.

მიმართ. ჰან-ლ'-ა „სოფლისკენ“ (სახ. ჰანი, ირ. ბრ. ფუძე ჰანი-)

ადგილ. ჰან-ლ'-ი

დაშორ. { ჰან-ლ'-ი-რუ
 { ჰან-ლ'-ი-ქუ

მიმართ. ყეჰენ-ა-ლ'ზ-ა ² „ტომარაში“	რეკ-უ-ლ'ზ-ა ³ „მუცელში“	მუწაე-ლ'ზ-ა ⁴ „თუნგში“
--	---------------------------------------	--------------------------------------

ადგილ. ყეჰენ-ა-ლ'ზ-უ	რეკუ-ლ'ზ-უ	მუწაე-ლ'ზ-უ
----------------------	------------	-------------

დაშორ. { ყეჰენ-ა-ლ'ზ-უ-რე	რეკუ-ლ'ზ-უ-რუ	მუწაე-ლ'ზ-უ-რუ
{ ყეჰენ-ა-ლ'ზ-უ-ქუ	რეკუ-ლ'ზ-უ-ქუ	მუწაე-ლ'ზ-უ-ქუ

მიმართ. ღამარსა-ლ'ზ-ა ⁵ „ზანდუქში“	ისტაქან-ა-ლ'ზ-ა ⁶ „ჭიქაში“	ჩუგი-ლ'ზ-ა ⁷ „სადღეებელში“
--	--	--

ადგილ. ღამარსა-ლ'ზ-უ	ისტაქან-ლ'ზ-უ	ჩუგი-ლ'ზ-უ
----------------------	---------------	------------

დაშორ. { ღამარსა-ლ'ზ-უ-რუ	ისტაქან-ლ'ზ-უ-რუ	ჩუგი-ლ'ზ-უ-რუ
{ ღამარსა-ლ'ზ-უ-ქუ	ისტაქან-ლ'ზ-უ-ქუ	ჩუგი-ლ'ზ-უ-ქუ

¹ რაც გარეგნულად ემთხვევა ნათ. ბრუნვის -ლ'ზ ნიშანს. იქნებ წარმოშობით ნათესაობითის ეს ნიშანი V სერიის ადგილობით ბრუნვას წარმოადგენდეს (დაწერილებიო ცალკე).

² სახ. ყეჰენ, ირიბ ბრუნვათა ფუძე ყეჰენ-ა-.

³ სახ. რეკა, ირიბ ბრუნვათა ფუძე რეკ-უ-.

⁴ სახ. მუწაე, ირიბ ბრუნვათა ფუძე მუწაე-.

⁵ სახ. ღამარსა, ირიბ ბრუნვათა ფუძე ღამარსა-.

⁶ სახ. ისთაქან, ირიბ ბრუნვათა ფუძე ისთაქან-ა-.

⁷ სახ. ჩუგი, ირიბ ბრუნვათა ფუძე ჩუგი-.

მიმართ.	რუხ ¹ უ-ლ'-ა ¹ „ტყეში“	შიფუ-ლ'ა ² „რძეში“	რე-ლ'ა ³ „ეზოში“
ადგილ.	რუხ ¹ უ-ლ'-ი	შიფუ-ლ'-ი	რე-ლ'-ი
დაშორ.	{ რუხ ¹ უ-ლ'-ი-რუ რუხ ¹ უ-ლ'-ი-ქუ	{ შიფუ-ლ'-ი-რუ შიფუ-ლ'-ი-ქუ	{ რე-ლ'-ი-რუ რე-ლ'-ი-ქუ
მიმართ.	უშქულა-ლ'-ა ⁴ „სკოლაში“	ქინო-ლ'-ა ⁵ „ქინოში“	მილი-ლ'-ა ⁶ „ბაღში“
ადგილ.	უშქულა-ლ'-ი	ქინო-ლ'-ი	მილი-ლ'-ი
დაშორ.	{ უშქულა-ლ'-ი-რუ უშქულა-ლ'-ი-ქუ	{ ქინო-ლ'-ი-რუ ქინო-ლ'-ი-ქუ	{ მილი-ლ'-ი-რუ მილი-ლ'-ი-ქუ

მაგალითები:⁷ ჰენალა ვაყა იდა ადალ ვაცი რუხ¹უ-ლ'ა ჰუ-დახი „ახლაც წასულა სულელი ძმა ტყეში შეშახე“... ჰულ'ა რუხულ'ი ვისიდა ჰულუა ცეც ადამ „იქ ტყეში უნახავთ მათ ერთი კაცი“... იში რაწა უშქულალ'ა „ჩვენ სკოლას მივალწივთ“... ლ'ენილი ხვაი ინლილ'იდა სეურათ ჰალიხაბ ბუკა „წყალში ძალღეს თავისი სახე უნახავს“... იში ნაცი რუკა ღიდუ ჰანლირუ ჰიპალ'ა „ჩვენ მივდიოდით სოფელ ლოდობერიდან ჰიპათლში“... ჰუბ ხა-გილ'აუ ჰინუ ბუკა ხაუდიხაბ ლ'ენი „იქ კვებში იყო სასწელი წყალი“... ჰალ რელ'უ ჰუნქარიბ აზბარალ'ა ჰინა „ესენი შევიდნენ ხონტქარის ეზოში“... ჰალ გამიქუ ჰეგალა ნაკვა რეჰალ'აუქუ ნაყა „ესენი გემში (გემზე) ჩასხდნენ და ზღვაში გავიდნენ“... ლ'ენილ'-იქუ ორსა ბუხაუ გ.ბ მისიდილი ჰვაი „წყლიდან გარეთ გამოვიდა ის ოქროს თევზი“.

VI სერია (ტ-იანი)

ყველა ბრუნვა აქვს. ადგილობრივ ბრუნვას მუდამ -ო აწარმოებს.

¹ სახ. რუხ¹უ, ირიბ ბრუნვათა ფუძე რუხ¹უ-.

² სახ. შიფუ, ირიბ ბრუნვათა ფუძე შიფუ-.

³ სახ. რეჰა. ლოკატიურ ბრუნვებში დაკარგულია ჰ.

⁴ სახ. უშქულ, ირიბ ბრუნვათა ფუძე უშქულ-ა.

⁵ სახ. ქინო, ირიბ ბრუნვათა ფუძე ქინო-.

⁶ სახ. მილი, ირიბ ბრუნვათა ფუძე მილი-.

⁷ ამავე ლ'ხ სუფიქსით უნდა იყოს ნაწარმოები „აქ“ და „იქ“ ზნისართები „ეს“ და „ის“ ნაცვალსახელებისაგან: ჰალ'ა „აქ“, ჰულ'ა „იქ“. ან ზნისართებს მიმართულებითი და დაშორებითი გარჩეული არა აქვს. ახეა ბრუნვები: დაშორ. ჰალ'არუ, ჰულ'არუ. „გავლითი“ — ჰალ'აქუ, ჰულ'აქუ. იშვიათია ადგილობრივის ფორმები: ჰალ'ე, ჰულ'ე.

მიწართ.	ამბურა-ტა-ა	„სახურავის ქვეშ (-კენ)“ (სახ. ამბურ, ირიბ. ბრ. ფუძე ამბურა-)
ადგილ.	ამბურა-ტა-ი	„სახურავის ქვეშ“
დაშორ.	{ ამბურა-ტა-ი-რუ ამბურა-ტა-ი-ქუ	{ „სახურავის ქვეშიდან“
მიწართ.	რეცუ-ტა-ა	„ხელ ქვეშ (-კენ)“ (სახ. რეცა, ირ. ბრ. ფუძე რეცუ-)
ადგილ.	რეცუ-ტა-ი	„ხელქვეშ“
დაშორ.	{ რეცუ-ტა-ი-რუ რეცუ-ტა-ი-ქუ	{ „ხელის ქვეშიდან“
მიწართ.	რუში-ტა-ა	„ხის ქვეშ (-კენ)“ (სახ. რუშა, ირ. ბრ. ფუძე რუში-)
ადგილ.	რუში-ტა-ი	„ხის ქვეშ“
დაშორ.	{ რუში-ტა-ი-რუ რუში-ტა-ი-ქუ	{ „ხის ქვეშიდან“

გოვ ვეშთო ჰეკვა ჰიძულ'ი რუშიტაი ლუნდუ ვაჰუ ვილუ „იმ გაგზენილმა კაცმა მსხლის ხის ქვეშ დაიძინა“... ახარა რელ'ი ახიტა ბილაბ ნიჩე ღამდი „ხვალ წავიდეთ ბალში მწიფე (მოსული) ატმების საკმელად“... ჰუბ ჰამხილა იბხუ ჭაზაბატა ვუქაუ დივ ნადუხალ „ის ვირი რომ იყიდა, ტანჯვაში ჩავარდა (ტანჯვის ქვეშ მოხვდა) ჩემი მეზობელი“... ჰენა ხახაბაყუ ყვარილ'იტაირუ ვორ-ჰა „ახლა ჩათხოვარმა თავი დააღწია (გამოვიდა) გაჭირვებას (გაჭირვებიდან)“.

10. ლოკატივთა მრავლობითი რიცხვის შესახებ. აქ შედარებით მარტივი ზედგომარეობაა. ლოკატიურ ბრუნვებში -ლ'ი-ზე დაბოლოებული მრავლობითის აფიქსი ჰკარგავს -ლ'ი ელემენტს, თუმცა იშვიათად, როგორც პარალელური ფორმა, გვხვდება ლ'ი-იანი ფორმებიც. ღე-ზე დაბოლოებული მრავლობითის ფორმები ამ სუფიქსს და-ს სახით წარმოგვიდგენენ (-ღე-ც დასაშვებ ფორმად ითვლება). -ლ და -ალ-ით ნაწარმოებ მრავლობითებს „ჩანართი“ უ გამოაჩნდება, რადგან ცხადია, მრავლობითი რიცხვის ლოკატივებიც ამ რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეს იყენებს.

I სერია მრავლობითში არ იხმარება. მას აღწერილი ფორმა ენაცვლება: მრავლობით რიცხვში დასმული საბრუნებელი სიტყვის ჰუ-იანი ლოკატივი ჰჰეცა „ხევით“. ეს უკანასკნელი ზმნისართი (ჰე-ცა) I სერიის სათანადო ბრუნვის ნიშნებს იღებს:

მიმართ.	ამბურღეკუ ჰეც-ა	„სახურავებზე“, „სახურა- ვებისაკენ“
ადგილ.	ამბურღეკუ ჰეც-ა ჰეც	„სახურავებზე“
დაშორ.	{ ამბურღეკუ ჰეც-ა-რუ ამბურღეკუ ჰეც-ა-ქუ	„სახურავებიდან“

II სერია წესიერად იწარმოება: მრ. რიცხვში დასმულ სიტყ-
ვას (ზემოთ ნაჩვენები ცვლილებებით) ერთვის ლოკატიური ბრუნ-
ვის ნიშანი:

ადგილ.	გეშილუ-ჰუ	„ქალებს“, „ქალებზე“
დაშორ.	{ გეშილუ-ჰ-რუ გეშილუ-ჰ-უ-ქუ	„ქალებიდან“
ადგილ.	რუშიბა-ჰ-უ ¹	„ხეებს“, „ხეებზე“
დაშორ.	{ რუშიბა-ჰ-უ-რუ რუშიბა-ჰ-უ-ქუ	„ხეებიდან“

III სერიასაც ორგანული წარმოება აქვს მრავლობითში:

მიმართ.	იმბა-ხ-ა	„მამებისაკენ“
ადგილ.	იმბა-ხ-ი იმბა-ხ-ე	„მამებს“, „მამებთან“
დაშორ.	{ იმბა-ხ-ი-რუ იმბა-ხ-ე-რუ იმბა-ხ-ი-ქუ იმბა-ხ-ე-ქუ	„მამებისაგან“

IV სერია მრ. რ.-ში არ გვხვდება, ენაცვლება III სერია.

V სერიას მრავლობითში ორგანული წარმოება თუმცა აქვს, მაგრამ უფრო ჩვეულებრივია აღწერითი წარმოება.

ორგანული წარმოება

მიმართ.	ლამარსაბა-ლ'ა-ა ²	„ზანდუკებში“ („ზანდუკე- ბისაკენ“)
ადგილ.	ლამარსაბა-ლ'ა-უ	„ზანდუკებში“
დაშორ.	{ ლამარსაბა-ლ'ა-უ-რუ ლამარსაბა-ლ'ა-უ-ქუ	„ზანდუკებიდან“

აღწერითი წარმოება

მიმართ.	ლამარსაბა-ლ'ა-ა	ჰინა
ადგილ.	ლამარსაბა-ლ'ა-უ	ჰინუ

¹ პარალელურად: რუშიბალ'იქუ, რუშიბალ'იქურც...

² პარალელურად: ლამარსაბალ'ილ'ა და ა. შ.

დაშორ. { ღამარსაბა-ლ'ა-უ ჰინუ-რუ
 { ღამარსაბა-ლ'ა-უ ჰინ-უ-ქუ

V სერიას ორგანული წარმოება აქვს მრავლობითში. აღწერითი წარმოება იშვიათია.

ორგანული წარმოება

მიმართ. ამბურდა-ტა-ა „სახურავეების ქვეშ“
 ადგილ. ამბურდა-ტა-ი „სახურავეების ქვეშ“
 დაშორ. { ამბურდა-ტა-ი-რუ „სახურავეების ქვეშიდან“
 { ამბურდა-ტა-ი-ქუ

მიმართ. რუშიბა-ტა-ა „ხეების ქვეშ“
 ადგილ. რუშიბა-ტა-ი „ხეების ქვეშ“
 დაშორ. { რუშიბა-ტა-ი-რუ „ხეების ქვეშიდან“
 { რუშიბა-ტა-ი-ქუ

მიმართ. ტაირე-ტა-ა „ხიდების ქვეშ“
 ადგილ. ტაირე-ტა-ი „ხიდების ქვეშ“
 დაშორ. { ტაირე-ტა-ი-რუ „ხიდების ქვეშიდან“
 { ტაირე-ტა-ი-ქუ

აღწერითი წარმოება

მიმართ. ამბურდექუ ჰიტა-ა
 ადგილ. ამბურდექუ ჰიტა-ი
 დაშორ. { ამბურდექუ ჰიტა-ი-რუ
 { ამბურდექუ ჰიტა-ი-ქუ

მაგალითები მრავლობითი რიცხვის ლოკატივებზე: აზნაფ-ბა-ჰადურებ წვერი აჰა ტორგუ ულქაბახა „აზნაფ-ბაჰადურის სახელი ესმა ყველა მხარეს (ოლქს)“... ჰაბ ქალათლა იბხუ, გავ ფუთე რე-ლიბახი მაშო ჰეკვა ვაყა „ეს წერილი წაილო რა, ეს ფეხებზე სიმ-თიმეების მიმბმელი კაცი წაეიდა!“ ვალლაჰ, დენ დუქუ სანდუ ღი-კო, მინ ვაყაბ მუსიბახა „ღმერმანი, მე შენთან წამოვალ, სადაც შენ წახვალ (შენ-წასულ ადგილებსაკენ)“... დენ იდა მიყარდახიქუ ბეშთაბ მუჩილადი ხვაბე საარდაფხო ჰეკვა „მე ვარ ნესტოებიდან დაბერილი (გაგზავნილი) ქართ წისკვილების დამტრიალებელი კაცი“... მაქვასაბ ზამანადი ბაწე ადამალუქუ ჰეკვა კანწე „შიმშილო-ბის ღროს მგლები ადამიანს ესხმიან (თავს)“... სარი არხულ ჰაა-

დვანდეკუ ბატაუ რუჰედი ქიქვარ იდა „მელია გარეულ ცხოველებს შორის ძალიან ლამაზია“... გოლ ამბურდეკუ ჰეცა რილუ რუკა „ისინი სახურავებზე (ზედმიწ. ბანებზე) იდგნენ“... ტინდა არაყი ჰაბ ისთაქანდალ'ა (|| ისთაქანბახა) ჰინა (|| ისთაქანდალ'ა)! „ჩაასხი არაყი ამ ქიქებში!“

დასასრულ ორიოდე შენიშვნა. 1. ერთ მაგალითში შეგვხვდა -რა სუფიქსი: მუსა-რა „ადგილას“ (ეს სიტყვა I სერით იბრუნვის: მიმართ. მუს-ა, ადგილ. მუს-ე, დაშორ. მუს-ე-ქუ). მაგალითი: ხანი ვიყა-რიუდი ჰუშაუბ მუსარა ხანილ'ი იჰილა გავ აზნა-ბაჰადურ ვუქეუ „ხანი რომ მოკვდა, მის ადგილას ხანად (ზედმიწ. „ხანობა საქმენელად“) ის აზნაი-ბაჰადური მოხვდა“.

იქნებ, ეგევე რა გვაქვს ფორმაში რაკვა-რა (სიტყვისაგან რაკვა „გული“): რაკვარა მულუ „გულში მოუვიდა“, ე. ი. „მიხვდა. გაიფიქრა“. მეორე მხრივ, შესაძლებელია აქ „გული“ რაკვარ ფუძის სახით გვექონდეს წარმოდგენილი: ლოკატიურ ბრუნვებში ეს სიტყვა ამ ფუძით გვხვდება (მაშინ რაკვარა I სერის მიმართულე-ბითი იქნება).

2. ის სიტყვა, რომელსაც ესა თუ ის სერია არ ეწარმოება, აღწერით ფორმებს იშველიებს: საბრუნებელი სიტყვა დაისმის. ჰ-იანი ლოკატივის ადგილობით ბრუნვაში და ერთვის I სერის გადმოსაცემად ჰეცა „ზევით“, VI სერის გადმოსაცემად პიტაი „ქვეშ“. V სერის გადმოსაცემად ჰინუ „შიგ“ ზმნისართი იხმარება, მაგრამ ჰ-იან ლოკატივის კი არ დაერთვის, არამედ კვლავ V სერის(!) ან I სერის ფორმას. ლოკატიურ ბრუნვათა მიხედვით ცვლა ძდება ზმნისართის დაბოლოების ცვლით (ამასთან ჰეცა ადგილობითსა და მიმართულეებითს არ განარჩევს, ორივესათვის საზიარო ჰეცა ფორმა იხმარება). IV სერის აღწერითი წარმოებისას მიმართულეებით ბრუნვაში შეთანხმება გვაქვს საბრუნებელ სიტყვასა და ზმნისართს შორის (მაგ. მიმართ. ამბურალ'ა ჰინა „სახურავე-ში-კენ“, ადგილ. ამბურალ'აუ ჰინუ „სახურავეში“, დაშორ. ამბურალ'აუ ჰინურუ || ჰინუქუ „სახურავიდან“, „სახურავე-ში-ით“. პარალელურად: ამბურა ჰინა, ამბურუ ჰინუ, ამბურუ ჰინურუ || ჰინუქუ. (შდრ. აღწერითი წარმოება ლოკატივებისა შრ. რ.-ში).

3. გეოგრაფიული სახელები ჩვეულებრივად ამა თუ იმ ლოკატიური სერის ფორმას წარმოადგენს; მაგ. ბუჟ-ხ-ე „ბოთლიხი“ (უფრო ზუსტად „ბოთლიხი“... ადგილობითი ბრუნვაა, ალბათ III, ხ-იანი სერისა). შდრ. სხვა ბრუნვები: ბუჟ-ხ-ა „ბოთლიხისა-

კენ“, „ბოთლიხში“ ბუჲ-ხ-ე-რუ || ბუჲ-ხ-ე-ქუ „ბოთლიხიდან“¹. ასევე, აულ მიარსუს ადგილობრივი (ბოთლიხური) სახელი ქილუ წარმოადგენს I სერიის ადგილობით ბრუნვას, შდრ. მიმართ. ქილ-ა, დაშორ. ქილ-უ-რუ || ქილ-უ-ქუ. ასეთივე ლოკატიური აგებულები-საა ბოთლიხის უბნებისა და ახლო-მახლო ადგილების სახელები, მაგ., ჩირთ-ე (ადგ.), ჩირთ-ა (მიმართ.), ჩირთ-ე-რუ (დაშორ.) „ჩირთე“ (ბოთლიხის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანს ჰქვია); ჰიტეი-ქუ „ქვემო უბანი“, ჰეცა-ქუ „ზემო უბანი“, სარულ'ი ბაგანე (ზედმიწ. „მელიას ბუნავი“. ბაგან-ე I სერიის ადგილ. ბრ.) ადგილია ბოთლიხის ახლოს, ტაურუ-ტეი (პრდ. „კლდის ქვეშ“) ადგილია და სხვ. მრ.

4. ზოგი სიტყვა ლოკატიურ სერიებში ფუძეს იცვლის. მხედველობაში გვაქვს გამოვლინება ისეთი ფუძისა, რომელიც არ ენთხევა არც სახელობითის, არც ირიბ ბრუნვათა ფუძეს. ამ ახალ ფუძეთაგან ზოგი სრულებით ახალია და წინეთ, ალბათ, სხვა სიტყვის ფუძე იყო, რომელიც შემდგომში სხვა სიტყვასთან აღმოჩნდა პარადიგმატულად დაკავშირებული, ზოგი კი ძირითადი ბრუნვებიდან უკვე ცნობილი ფუძის ფონეტიკური მოდიფიკაციის შედეგია (მიზეზი ამ ცვლილებისა უცნობია).

ღვანი „თავი“ ლოკატიურ ბრუნვებში წარმოდგენილია, როგორც მიყ-ა (მიმართ.), ღელი „პირი“ — ხეყ-ა (მიმართ.), აქ წარმოშობით სხვადასხვა ფუძეთა მონაცვლეობაა.

ფონეტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული ფუძეების ნონაცვლეობა შეინიშნება სიტყვებში: ხვაბუ „წისქვილი“ -- ხვაყ-ა (მიმართ.), მიჰი „მზე“ — მიჰა „მზიზე“ („არა ჩრდილში“), ხ'უმუ „საფლავი“ — ხ'უდ-.

5. ლოკატიურ სერიათა ნიშნების ისტორიიდან. ბოთლიხურში ექვსი სერიაა, ერთი უნიშნოა, ხუთს კი თავისი ნიშანი აქვს (ჰ, ზ, ჯ, ლ'ჲ, ტჲ). ხუნძურ სერიულ ნიშანთა ანლიურ ენებთან მიმართების შესწავლა რიგ საინტერესო საკითხს აღძრავს, რასაც აქ, ცხადია, ვერ შევხებით. მოკლედ მივუთითებთ რამდენსამე მომენტზე.

¹ ბოთლიხის ოფიციალური სახელწოდება ხუნძურიდან მოდის (ხუნძ. ბოლ'იჯ, რუს. БѢЛЫХ). ხუნძური ბოლ'იჯ აგრევე ე სერიის ადგილობით ბრუნვას წარმოადგენს. ამრიგად, ამ აულის სახელწოდების ფუძეა ბოლ'- ხუნძურში და ბუჲ- ბოთლიხურში. ეს ერთი და იგივე ფუძეა, ოღონდ ბოთლიხურში ისტორიული ლ' — ჰ და მერე დაკარგულა.

ბოთლიხურის უნიშნო სერია წარმოშობით ტ' ნიშნიანია. ისტორიული ტ' ბოთლიხურში ც-ში გადავიდა და ინლაუტში თანხმოვნის მომდევნოდ დაიკარგა (ამ ტ'-ს კორელატია ხუნძ. სერია ტ-ზე: დი-ტა „ჩემზე“, უკეთ „ჩემს ზევით“, შდრ. სულ სხვა წარმოშობის დი-და, რომელიც მნიშვნელობით გაუთანაბრდა დი-ტა-ს. ტ- სერია ხუნძურში ამჟამად დიალექტების კუთვნილებაა). ზოგანდიურ ენას ტ- ლოკატივი აქამდე შემორჩა, სხვაგან კანონზომიერად ტ' შეიცვალა ლ-თი, ლც-თი და სხვა. ამრიგად, ბოთლიხურის რომელიმე მიყ-ა „გზისკენ“ ← *მიყ-ცა ← *მიყ-ტა. აშბურ-უ „სახურავზე“ *ამბურ-ც-უ ← *ამბურ-ტ-უ და სხვ. ჳ- სეროის ზესატყყისი (მასალობრივ) ხუნძურს არა აქვს. წინეთ შეიძლება ხუნძურს ეს სერია ჰქონოდა, რაც თითქოს გეოგრაფიულ სახელებში ჩანს შემონახული (ხარაი-ქი, ბოტაი-ქი, ჭახალ-ქი, ჭორკა-ქი...).

ეს სერია ანდიურ ენებში ხშირად აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს, მაგ., ბაგვალურად აულ კვანადა-ს კვან-ქ აქვია, თლონდოდას (ხუნძ. ლ'ონდიდა) ჰინდუ-ჳ და სხვ.

არა აქვს ხუნძურს III (ხ-იანი) სერიის მატერიალური ზესატყყისიც. ფუნქციურად ამ სერიას ხუნძურში ჳ სერია ფარავს (მაგ., ინსაუ ჳ „მამასთან“), რაც ბოთლიხურის IV (ჯ-იანი) სერიის მატერიალური ფარდია. გარჩევა III და IV სერიებს (ჯ და ხ სერიებს) შორის არქაული მოვლენა ჩანს. დროთა ვითარებაში ეს ორი სერია ერთმანეთში აირია (ისევე, როგორც ხუნძურში ერთმანეთს დაემთხვა „სერია ტ“ და „სერია დ“. დიდა და დიტა — გაბატონდა დიდა). თავიდანვე მათ, როგორც ჩანს, ერთმანეთის მსგავსი (მაგრამ არა იდენტური) ლოკატიური შინაარსი ჰქონდათ. ხუნძურში „ხ სერია“ გაქრა (ის შთანთქა ჳ-სერიაში), ანდიურ ენებში, პირიქით, ჳ- სერია ნაშთის სახითაა მოლწეული (მაგრამ მაინც მოლწეული როგორც მოქმედი ფორმანტი)¹. ხუნძურში ხ- სერიის კვალი თითქოს დასტურდება. ისტორიული *ხ ხუნძურში ჳ-ს იძლევა, ანდიურ ენებში კი ხ-დვე რჩება. ამის მიხედვით „*ხ- სერია“ ხუნძურში უნდა გექნოდა როგორც „ჳ სერია“, ამისი კვალი ჩანს რამდენსამე სიტყვაში: ჰაბი-ჰან „მეწისქვილე“, ბეტერ-ჰან „პატრონი“, ბოგო-ჰან „მზარეული“, ალბათ, აგრეთვე მადოჰან „მეზობელი“, შდრ. ბოთლ. მადუხალ. აქ-ჰან ისეთივე სუფიქსია (ამჟამად არაპროდუქტიული) „ჳ სერიიდან“ მომდინარე, როგორიცაა ჳ- სე-

¹ განსაკუთრებით ხშირია და მყარი ჳ-ს ხმარება ასეთს კონტექსტში „ხარი გავცვალე ციენზე“.

რიდან მომდინარე პროდუქტიული -ვან (ახი-ვან „მებალე“, ჰაალ-ტუ-ვან „მუშა“, ჰაქი-ვან „მეურმე“). გარჩევა ორ ისტორიულ სერიას ხ-სა და ჯ-ს (= *ჟ) შორის აირეკლება დიდოურ ენებშიც ფონეტიკურად შესატყვისი მასალით. ამის შესახებ სპეციალურად ცალკე¹.

ინფინიტივი და მასდარი

1. წინასწარი შენიშვნები. აქამდე საუბარი გვექონდა სახელისა და ზმნისთვის საერთო (კლასი, რიცხვი), ან მხოლოდ სახელისათვის დამახასიათებელი (ბრუნვა) მორფოლოგიური კატეგორიების შესახებ, ახლა ზმნისთვის დამახასიათებელ მოვლენებზე შევჩერდებით.

ბოთლიხურში ზმნის მორფოლოგიური კატეგორიებია: დ რ ო, კ ი ლ ო, უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ფ ო რ მ ა; ზმნას აქვს აგრეთვე კ ა უ ზ ა ტ ი ვ ი, ი ნ ფ ი ნ ი ტ ი ვ ი, მ ა ს დ ა რ ი, მ ი მ ლ ე ო ბ ა².

თავისებურება, რასაც ზმნათა ესა თუ ის ჯგუფი იჩენს ზმნურ ფორმათა (მაგ. დრო-კილოთა) წარმოებისას, დამოკიდებულია ორ გარემოებაზე: ზმნის შინაარსზე და ფუძის დაბოლოებაზე³. ბოთლიხურში საკმაოდ მარტივი მდგომარეობაა⁴. ზმნის შინაარსეული

¹ საუბრებელია, რომ ხუნძურა ისტორიულად რამდენიმე სერია დაუქარგავს „ტ“ (აქა-იქ დიალექტებში შემორჩენილი ტ-ს, ლ-ს, ც-ს სახით), *ჟ და *ხ.

² ბოთლიხურში თავიებურად დგას აბსოლუტივის საკითხი (იხ. ქვემოთ), პირის კატეგორია უცხოა. ხუნძურა-ანდიურ ენებში ცალკე მორფოლოგიურ კატეგორიად გამოყოფენ კითხვით ფორმებს. ბოთლიხურში (ასევე ხუნძურში) „კითხვითი ფორმა“ ცალკე მორფოლოგიური კატეგორია არაა. კითხვითობა ნაწილაკით გადმოიცემა (იხ. ქვევით ნაწილაკების შესახებ).

³ ანდიურ ენებში (მნიშვნელოვანწილად ხუნძურშიც) უღვლილების ტიპების ჯანაყაყუად საკირო ჩანს შემდეგი მომენტების გათვალისწინება: შინაარსეულისა — გარდანავალია თუ გარდაუვალი ზენა (resp. რა მნიშვნელობითაა ის ნაზმარი). ფონეტიკურისა — იმოვნფუძიანია ზენა თუ თანამოვანფუძიანი, ლაბიალიზებულ თანამოვანაჟა ფუძე დაბოლოებული თუ არალაბიალურზე. სონორ თანხმოვანზე თუ არასონორზე, „დ თემიანია“ ზენა თუ „ნ თემიანი“. ნეტად მნიშვნელოვანია ყველა ანდიური ენისათვის ნამყო დროში ორი ჯგუფის გამოყოფა (პირობით „ი ჯგუფი“ და „ა ჯგუფი“). ეს ორი ჯგუფი მხოლოდ ტრანდერშია გაერთიანებული. დაწვრილებით ანდიურ ენათა უღვლილების საკლასიფიკაციო ნიშნების შესახებ — სხვაგან.

⁴ უკეთ: მდგომარეობა გამარტივებულია.

მხარიდან უმნიშვნელოვანესია იმის გათვალისწინება, გარდამავალი შინაარსისაა ზმნა თუ გარდაუვალისა (ამას მნიშვნელობა აქვს ბრძანებითის წარმოებაში, სინტაქსში კი ამაზეა დამოკიდებული კლასის ნიშნების შეთანხმება რეალურ სუბიექტთან და ობიექტთან, ამასვე უკავშირდება *verba sentiendi*-ს ტიპის ზმნათა სინტაქსური კონსტრუქციის საკითხი). ზმნის ფუძის ფონეტიკური მხარიდან ბოთლიხურისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, ხმოვანფუძიანია ზმნა თუ თანხმოვანფუძიანი. მისი მნიშვნელობაც ძლიერ შეზღუდულია, რადგან ხმოვანფუძიანი ზმნები ბოთლიხურში ძალზე ცოტაა (არსებითად კაუზატივები)¹.

არ ხერხდება აეხსნათ ზმნის ფონეტიკური ან შინაარსეული მხარიდან ამოსვლით ზმნათა დაყოფა ორ დიდ ჯგუფად ნამყოს წარმოებისას. ბოთლიხურში ეს ჯგუფებია „უ ჯგუფი“ და „ა ჯგუფი“ (იმ აფიქსის მიხედვით, რაც ნამყოს აწარმოებს).

2. ინფინიტივის წარმოება. ინფინიტივის ნიშანია ი სუფიქსი, რომელიც ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეთა მომდევნოდ ჯ-დ იქცევა. ინფინიტივის ნიშანი ზმნის ფუძეს დაერთვის უმეშვეოდ¹. ინფინიტივი აქვს ნასახელარ ზმნასაც.

ბეტ-ი	„ხენა“,	ბუკ-ი	„ყოფნა“
იპ-ი	„ქმნა“, „კეთება“	აჰ-ი	„გაგონება“
ბეთ-ი	„დატოვება“	ბუყ-ი	„ქრა“
ბახარ-ი	„დაბერება“ (ზედს. ბახარა „წველი“)	ვეარდა-ჲ	„დაწერივნება“
იბხ-ი	„აღება“, „ყიდვა“	გიგინ-ი	„აყვავება“ (შდრ. გიგინა „ყვავილი“)
იშხ-ი	„დაკეტვა“	იქჷ-ი	„მიცემა“
მიჰ-ი	„ხარბვა“	შანშ-ი	„თესვა“
წათ-ი	„წვა“	ბუყა-ჲ	„გაჭრევენება“
ბაკარა-ჲ	„შეგროვება“	ანსაა-ჲ	„გათბობა“ (ანსაა — „თბილი“)
ბეხაილ ი	„გაგრძელება“ (ზედს. ბეხაილა „გრძელი“)	ბეტუ-ჲ	„ბრძოლა“
რიქუ-ჲ	„ანთება“		

ღიჲ ბელე მაქვა იპი „მე ვიცი საკმლის გაკეთება“... იშიი ბუჲხა ნაჲი იღა ცებ ჰატჲიდი რუკი, ეხაა ღი იღა რესჲუხა „ჩვენ ბოთლიხში წავალთ ერთი კვირით საცხოვრებლად (სამყოფლად), შემ-

¹ გარკვეულ ფორმებში (მაგ., ინფინიტივში) ისტორიული ლაბიალურ-ფუძიანი ზნნები უ ხმოვანფუძიანებად იქცევიან (ვ — უ-ს გამო).

დღე უკან მოვალთ... გოშოუე იღე ხაუნხაულ მუხი სააყი ლ'ენიდი
 „მას უყვარს პირის დაბანა ცივი წყლით“... დენლა სანდუ ჩა ჰანი
 ჰალი, ბეჯალ^ეი ახი-ხურილა ჰალი! „მეც თან წამიყვანე სოფლის სა-
 ნახავად, ხილის ბალ-ბოსტნების სანახავად“.

პ. მასდარის წარმოება. მასდარი ინტენიტივისაგან იწარმოება
 -რ სუფიქსის დართვით. მასდარის-რ ნიშანი (ჩვეულებრივ ინტენ-
 ნიტივის **ი-თურთ**) სახელებსაც დაერთვის ხოლმე და აბსტრაქტულ
 სახელებს აწარმოებს. მასდარი იბრუნვის.

ბუკი-რ	„ყოფნა“, „ცხოვრება“	ბიჩი-რ	„გაყიდვა“
ბეტაი-რ	„ხენა“	ბუყი-რ	„ქრა“
იპი-რ	„კეთება“, „ქმნა“	გიგინი-რ	„აყვავება“
ილი-რ	„სიყვარული“	ნაკუჟ-რ	„დაჯდომა“
კუჰალი-რ	„ავადმყოფობა“	გულათი-რ	„საუბარი“

გოშოუქუ მიჰილალი^ე კუჰალირ ბუქაუ „მას ციება (ზედმიწ.
 მზის ავადმყოფობა, ხუნძ. ბაყულ უნთი) გაუჩნდა“... ბერქუე ხ^ეუყა-
 ბირ იპი ბეჰეუქი „გველს სიკეთე რომ უყო (გაკეთება) არ შეიძლე-
 ბა“ ბაზარა ღალ'ალ'ალ ბალალუე აჰა ილა მალა ნასრუდინიბ
 გულათირ ვა გოშოუდი ტაათა ბუკირ ინშოუდი ხი გუჰა ბუკირ კე-
 და შაჰი ქამოულა, კედა შაჰი ეკულა „ბაზარში მიმავალმა ხალხმა
 გაიგონა მოლა ნასრედინის ლაპარაკი და მისი ნათქვამი (მან ამ-
 ბობს-ყოფნა, ე. ი. რომ ამბობს), რომ (თვითონ) არ აიღებს (არ
 აღებად ყოფნა) ორი შაური თუ დააკლდა, ან ორი შაური ზედმე-
 ტი თუ იქნა“... ხინკალ იშთა^ე ღამდალალა, დიე ჟინდირ ბელეუქი
 „ხინკალი რამდენიც არ უნდა ვქამო, მე გაძლომა არ ვიცი“.

დ რ ო

1. ძირითადი დროები. ბოთლიხური დროის ნაკვთებით ღა-
 რიბია. ღარიბია იგი დროის ფორმათა ორგანული წარმოებით,
 მაგრამ აღწერითი ფორმებითა და სხვადასხვაგვარი ნაწილაკების
 გამოყენებით მრავალი ნიუანსის გადმოცემას ახერხებს, როგორც
 დროის, ისე კილოს (აგრეთვე საგარემოებო ფორმების) შინაარსისა.

მარტივი, ორგანული წარმოება აქვს სამ დროს: აწმყოს, ნამ-
 ყოსა და მყოფადს (ეს უკანასკნელი წარმოშობით აღწერითი ფორ-
 მა ჩანს. ასე რომ, ორგანული წარმოება მხოლოდ აწმყოსა და ნამ-
 ყოს უნდა ჰქონოდა).

2. აწმყო. ბოთლიხურის ორგანული წარმოების აწმყო ფაქტობრივ აწმყო-ზოგადს წარმოადგენს, რომელიც უპირისპირდება აღწერით ნაწარმოებ აწმყო-კონკრეტულს. აწმყო-ზოგადი გადმოსცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც საერთოდ ხდება. მუდამ ხდება, საგნის დამახასიათებელი მოქმედებაა. საუბრის მომენტისა და აღსანიშნი მოქმედების ერთდროულობა აუცილებელი არაა; აწმყო-კონკრეტული კი სწორედ საუბრის მომენტში მიმდინარე მოქმედებას გადმოსცემს.

აღნიშნული თავისებურების გამო ზოგად აწმყოს მყოფადის გადმოცემაც შეუძლია.

აწმყოს აწარმოებს ე სუფიქსი, რომელიც ზმნის ფუძეს¹ დაერთვის უშუალოდ:

ღამდ-ე „ქამს“, გვარდ-ე „წერს“, ბუყ-ე „ქრის“, ჩუჰ-ე „რბის“, ბიყ-ე „კედება“, იქა-ე „აძლევს“, წათ-ე „წვევს“, შანშ-ე „თესავს“, განდ-ე „ეწევა“, ჰალ-ე „უყურებს“, ბეჰე-ე „იბრძვის“, ბელ-ე „იცის“, ბუქ-ე „არის (ხალმე)“.

მაგალითები: გედუ იდე რიტაილა შიიჟულა „კატას უყვარს ხორცი და რძე“... ილუდი მაქვა იჰე, იმუდი ხური ბეტე „დედა საქმელს აკეთებს, მამა ყანას ხნავს“... ჰიბ-ჰიბ ზამანადი ღვანი მუჩიქალა, ჰუბ ჰუჟე „თავ-თავის დროზე თავი თუ არ დაიბანე, ის ქუჭყიანდება“ ბარანლ'ისაუბ ავალე რუჰა-ზიუ ბეყენე, ეხაა ზიუ ბეჩეჟე „შემოდგომის დასაწყისში დღე-ღამე (ზედმიწ. ღამე-დღე) სწორდება. შემდეგ დღე მოკლდება“... ციბურულ'ი ჰაეა საყე, ანზი ბაჰე, ლ'ენე ზარჩე, ადამალუდი ანსაა რაყალ'ი ბაყე „ზამთარში ჰაეა ცივდება. თოვლი მოდის, წყლები იყინება, ადამიანები თბილ ტანსაცმელს იცვამენ“ ხეაი შაი გვანზო კჟვანდე ეა ჰარჰუუ ხე-ხოლ აჰე „ძალღმა სუნი ძალიან იცის (ე. ი. ალლო აქვს) და ხმას სწრაფად იგებს“... რიტაჰუ ბიტი ბაჟანე რუჰედი ქჰარდე, ამმა რუხ'ულ'ი ქჰარდი ბილ'ჟეუქი, ჰულარდუ რუხ'ულ'ი ჰუბ ბაწუდი ბეყა ბიქეჟე „ირემი სწორ მინდორზე ძალიან გარბის, მაგრამ ტყეში სირბილი არ შეუძლია, ამიტომ ტყეში მას მგელი მალე იჭერს“... დია ბელე ბუჟახადალი მიწი „მე ვიცი ბოთლიხური ენა“.

3. ნამყო. ნამყო დროის საწარმოებლად ბოთლიხურში ორი სუფიქსია -უ და -ა. ზმნათა ერთი ჯგუფი -უ სუფიქსს იღებს, მეო-

¹ ზმნის ფუძე შეიძლება მივიღოთ ასე: ინფინიტივის ფორმას ჩამოვაშორათ ინფინიტივი ნიშანი o (თუ ამ ნიშნის წინ უ აღმოჩნდა. ის ვ-დ იქნება წარმოდგენილი სხვა ფორმად). ზმნის ფუძე ბოთლიხურში, ცხადია, შეიძლება მივიღოთ სხვა ფორმისაგანაც სუფიქსის ჩამოშორებით.

რე ჯგუფი კი (უფრო მცირერიცხოვანი) - ა სუფიქსს¹. ორივე ნიშანი დაერთვის უშუალოდ ზმნის ფუძეს.

ა) -უ სუფიქსიანი ნამყო: ლამდ-უ „შეკამა“, ჰიტა-უ „თქვა“, ბიქა-უ „დაიჭრა“, იქა-უ „მისცა“, ჯვარდ-უ „დაწერა“, ბუყ-უ „გაჭრა“, იბხ-უ „აიღო“, განდ-უ „მოსწია“, ბეტა-უ „მოხნა“, ბილ-უ „დადგა“, „გაჩერდა“, კვანდ-უ „მოკლა“, ბაყ-უ „წაიკითხა“, „ჩაიცივა“, ბაჰ-უ „დაცვივდა“, ბუტ-უ „დაკლა“, ჰირჰა-უ „ადგა“, ბერახა-უ „დაწვა“, კანწ-უ „გადახტა“.

ჰულუდი საეყ(ა) ნაყილა ჰიბდუ, ჰაუქმუ იჰუ, გალ'ა ცებ ბექუბა რუშალა ეთუ ლუნდუ რაჰი „მათ წინ წასვლისა შეეშინდათ რა, გადაწყვიტეს ერთ დიდ ხეზე ასულიყვენენ დასაძინებლად“... ნართალუდი, ცებლუდი ცელუხი იზანლა იჰუ, ჰიტაუ აზნაჲ-ბაჰადურხი: მინ ვიხაბასი! „ნართებმა ერთმანეთს ნიშანი უყვეს და უთხრეს აზნაი-ბაჰადურს: შენ არ გაბრაზდე!“... გოვ ჰაბდილილა ლ'უდადუ ჰალა ჰირჰაუ „ის თვალების ფშვნეკით ზე წამოადგა“... მიყუ მისაბ რუშა ბიქაუ გაშაუდი კათუ მიხაჲ-ლალუ, ჰურიუდილა ბილიქა, რუშა ბუშაუ „გზაზე ნანახ ხეს მოეჭიდა იგი ცხენის გასაჩერებლად, მაშინაც ვერ გააჩერა რა, ხე მოთხარა“... ჰიბდილა ჰიბდუ, ბიტივ ლუნდულ'აბ აზდაჰაჰუ ჰეყა ვუქაუ აზნაჲ-ბაჰადურ „შიშითაც შეეშინდა რა, სწორედ მძინარე ურჩხულზე დაეცა (მოხვედა) აზნაი-ბაჰადური“... ილუდი ყილა მაკაუ დიჲ „დედამ კაბა შემიკერა მე“... ინულა იბხუ მინ ჰაბ კათუ? „სად იყიდე (აიღე) შენ ეს ცხენი?“... გოლ'იდი შააჲბაჲ კედა იმჩუ იქაუ „მან შეიხს ორი ვაშლი მისცა“... მაკილუდი ტირი ბეხაუჲჰადა ტორგუდა გუნი ლამდუ „ბაეშებმა წვეთის დაუტოვებლად (ე. ი. ნამცეციც კი არ დაუტოვებით) ყველა ქუმელი შეჰამეს“.

ბ) -ა სუფიქსიანი ნამყო: ამგვარ ზმნათა დიდი ნაწილი სუბი-

¹ განსაზღვრა იმისა, თუ რის მიხედვითაა ამ ორი სუფიქსის გამოყენების არე განიჯხელი, არ ხერხდება (ზოგი რამ ამის შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ). შეიძინევა, რომ ზმნათა ანალოგიური ორი ჯგუფი საერთოდაა ანდიური ენებისთვის (და ხუნძური დიალექტებისთვის) დამახასიათებელი. თითოეულ ჯგუფში შემავალ ზმნათა კონტინგენტიც ამ ენებში არსებითად ერთნაირია. ა სუფიქსი ყველა ამ ენაში ა-დვეა დარჩენილი (ოღონდ საკ. ანდიურში ა აღ-ო). ა-ბოთლიზურის უ-ს კი სხვა ანდიურ ენებში ცვლის ი (რომელიც კამალალურში დაკარგულია). ტინდიურში (საკ. ტინდ. კილოკ.) ორ ჯგუფს შორია სხვაობა მოშლილია (გაბატონდა-ო სუფიქსი, ბოთლიზურის უ-ს ფარდი). საინტერესოა, რომ კახუბატონებმა ყველა ანდიურ ენაში უ/ი ჯგუფში შედის.

ექტური გარდაუვალი ზმნებია¹: ბიყ-ა „მოკედა“, მაყ-ა „წავიდა“, მის-ა „ნახა“, ბაწ-ა „ზილწია“, ჰიბღე-ა „მოვიდა“, ბუკ-ა „იყო“, ბიე-ა „გაიზარდა“, ბით-ა „დაიკარგა“, ბელ-ა „იცოდა“, იბჩ-ა „წაიყვანა“, ბიშ-ა „დაბრუნდა“, ბახ-ა „მოხვდა“, ბორჭ-ა „გაიღვიძა“, რიქე-ა „აინთო“, ბუე-ა „ირწმუნა“, ჰალ-ა „ნახა“, წათ-ა „დაიწვა“, ინქე-ა „შექამა“ (გარდაუვალია), ურღ-ა „იფიქრა“, ჩუჰა „გაიქცა“, აჰა-ა „გაიგონა“, მას-ა „უამბო“, ბეთ-ა „დატოვა“, მაშ-ა „შეკრა“, მუჩ-ა „გარეცხა“, მახ-ა „შვა“, შანშ-ა „დათესა“, ბიჩ-ა „გაყიდა“.

იშიი ჰანლ'ა რიშა „ჩვენ სოფელში დავბრუნდით“... წაჰლა მიშაუ ლ'ენი ხი ჯაჰა გაჰ „ცეცხლი ჩააქრო რა, წყლის მოსატანად წავიდა იგი (ქალი)“... ჰუშაუჰ მისა ცებ ნიკისი ჰანყუ, ჰულ'აქუ ჰალა ასარ ქვანარ „მან ნახა ერთი პატარა სახლი, იქიდან დაინახა ცოტაოდენი სინათლე“... ინულა ვუჰა მინ სუნი: „სად იყავი შენ გუშინ?“... ჰაბ ტაარიული კათუ დინა ჩუჰა „ეს ჯრომ ვთქვი, ცხენი ჩემკენ გამოიქცა“... გოშაუბ წეგრი აჰა ხანიჰ „მისი სახელი ესმა ხანს“... ლე, ვოკუხა ჰეკვა, მინ დენ ბეშთა დიბდა რეჰალ'ა ჰინა! ხადუ ჰვაიდი „ჰეი, მოხუცო (დიდი კაცო), შენ მე გამიწვი ჩემთვის ზღვაში! — თხოვა თევზმა“.

ნამყოს წარმოებასთან დაკავშირებით რიგი საკითხი ისმის.

მიარსული კილოკავი აულ ბოთლიხის მეტყველებებისაგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს: ნამყო დროის ნიშნად პირველი ჯგუფის ზმნებში, ე. ი. იმ ზმნებში, რომელთაც უ-სუფიქსი მოულის (ჰიტეჰ „თქვა“, იჰ-უ „გააკეთა“ და სხვ.), მიარსულში-ი გვაქვს სისტემატურად (ჰიტე-ი „თქვა“, იჰ-ი „გააკეთა“, ბიღ-ი „გაჩერდა“, „დადგა“, ბეტე-ი „მოხნა“ და ა. შ.)². მეორე ჯგუფის ზმნები (ნამყოში -ა სუფიქსიანები) მიარსულშიცა და ბოთლიხურშიც განსხვავებას არ გვიჩვენებს.

აულ ბოთლიხის მეტყველებაში ნამყო დროის აბსოლუტის საკუთარი ფორმა არა აქვს, ის ყოველთვის ნამყო დროის ფორმას ემთხვევა. სხვაგვარად: ნამყო დროის აბსოლუტისა და ნამყო დროის გადმოსაცემად ერთი და იგივე ფორმაა გამოყენებული:

¹ ისტორიულად ნ-თემიანები. ნ-თემიანი ზმნები თითო-ოროლადა თუ გვხვდება ნამყოს წარმოებისას „უ ჯგუფში“ (ასეთი მდგომარეობაა საერთოდ ანდიურ ენებში).

² ამ ჯგუფის ზმნებს ნამყოში -ი აქვს ლოდობერიულშიც, ბავალალურშიც, კამალალურშიც (იხ. ზემოთ შწმ).

პიტ-უ ნიშნავს როგორც „თქვა“, ასევე „თქვა-რა“, იპ-უ „გააკეთა“
|| „გააკეთა-რა“, მის-ა „ნახა“ || „ნახა-რა“.

მიუხედავად იმისა, რომ ნამყო დროსა და ამავე დროის აბსო-
ლუტივს საზიარო ფორმები აქვს, ეს ორი კატეგორია ერთმანეთისა-
გან შინაარსეულად კარგადაა გარჩეული. ამას ხელს უწყობს კონ-
ტექსტი (წინადადება), აგრეთვე ზოგი ფორმალური მხარეც
(-ლა ნაწილაკის დართვა აბსოლუტივად გაგებული სიტყვის წინ.
იშვიათად ინვერსიული წყობაც დასტურდება: -ლა დართული სიტყ-
ვა დაშორებულია ან მოსდევს აბსოლუტივად გაგებულ ფორმას)¹.

აბსოლუტივი ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ხმარებული ფორმაა
ბოთლიხურში და სათანადო მაგალითებს წინამდებარე ნარკვევის
თითქმის ყოველ გვერდზე შევხვდებით. ორიოდ მაგალითი:

ჭუბ ტყეტირა იბჩა, დენ მილილ'ა ვაყა „ის ბატკანი წავეყ-
ვანე-რა, მე ყანაში წავედი“ (იბჩა ნამყოს აბსოლუტივია, ვაყა —
ნამყო)... კედალა ვაცაი ხ'უყაბივ ლანაჲ სანდუ ჰუნწილა ლამდუ,
იდახოზ გალ'ასხოუბ ჰუნწილა ბურალ'აბახა ტინდუ, გაბლა ბარლ'ა,
იშვა რელ'უ იდა „ორივე ძმა[შ], კარგად პურთან ერთად თაფლი კა-
მეს-რა, რაც კი იქ თაფლი იყო თუნგებში ჩაასხეს-რა, ისიც წამო-
იღეს-რა, შინ წამოვიდნენ“ (ლამდუ, ტინდუ, ბარლ'ა აქ აბსოლუ-
ტივებია).

განსხვავებული მდგომარეობაა მთარსულ კილოყავში. ის ზმნე-
ბი, რომელთაც ნამყო დრო ა- სუფიქსით აქვთ ნაწარმოები, აქაც
არ განარჩევენ გარეგნულად ნამყოს დროულსა და აბსოლუტივის
ფორმებს, მაგრამ ის ზმნები კი, რომლებიც ნამყოს -ი სუფიქსით
აწარმოებენ, ნამყოს აბსოლუტივისათვის ხმარობენ -უ სუფიქსს².
მთარსულისთვის პიტე-უ ნამყოს აბსოლუტივია „თქვა-რა“, პიტე-ი
კი — ნამყო „თქვა“ (ბოთლიხის მეტყველებაში ორივეგან პიტე-უ
გვაქვს). მთარსული მაგალითები:

ბაზარლა ბულ'უ (აბსოლუტივია), ნაყა (ნამყო) იშვილ იშვა
„ბაზარი გათავდა-რა, წავედი ჩვენ შინ“... ახატეუსაჲ ჰალალა
პირჰუ (აბსოლუტივია), პიტეი (ნამყო) ჰოგოშეუდი იმუტი „დილით

¹ -ლა ნაწილაკის შესახებ იხ. ქვემოთ „ნაწილაკები“.

² ასეთივე მდგომარეობაა ლოდობერიულშიც: ილ'ე იჰი (ნამყო) ბეჰუხა
ბერთინ უსალა ბეჰუ (აბსოლუტივია), ბელუდა აგ'არლ'ილა ბალუ (აბსოლუტი-
ვია) ჩვენ გავაკეთეთ დიდი ქორწილი, ხარი დავკალით-რა, ბევრ მახლობელს
დაეუძახეთ-რა“. მალა რასადადი ბეტეი (ნამყო) ხური აღაჰაშეულ'ილა ინშეუ-
თალა ბატეჲ „მოლა ნასრჯდინმა მოხნა ყანა ღმერთსა და თავის თავს მორის
(საზიაროდ)“.

ზე ადგა-რა, უთხრა მან მამას¹... ჰუმეუე მისა (აბსოლუტივია) იდა ცებ სურაბ მიეი „მან ნახა ერთი ცუდი გზა“... ჰუმლა იხუ (აბსოლუტივია), ცებ ჰანლ'ალა ვაყა (აბსოლუტივია), ჰინკვა ბიკა-ჯაბ დარუ-თალულა ჰიტეუ (აბსოლუტივია), ბიჩა იდა ჰუმეუდი ჰუმ შოლ'ან „ეს წაილო-რა, ერთი სოფლისაკენ წაეიდა-რა, თაგვის მოსაკლავი წამალიო თქვა-რა, გაყიდა მან ის თიხის ჰურკელი“ (იგულისხმება მისი ფხენილი)².

ნამყოს აბსოლუტივისა და ნამყოს სუფიქსების ურთიერთობა ბოთლიხურში სქემატურად ასეთ სახეს იღებს:

	ნამყო		აბსოლუტივი	
	„ა ჯგუფი“	„უ ჯგუფი“	„ა ჯგუფი“	„უ ჯგუფი“
ბოთლივი		უ		უ
მიარსუ				უ

წეიძლება ვიფიქროთ, რომ ბოთლიხურის ვითარება მიარსულთან შედარებით მეორეულია³.

¹ ცაადია, აბსოლუტივის ეგვეე ფორმებია გამოყენებული მიარსულში ერთი რიგის აღწერით დროთა წარმოებისას.

² შდრ. აგრეთვე ლოდობერიული ხმების ა-ხე დაბოლოებული ნამყოს ფორმები, რომლებიც ნამყოს აბსოლუტივის ერთგვევიან: ბეჰუხა ინხილა ბაჟა (აბსოლუტივი). რუნა (ნამყო) ინხიდი ლაჰე „დიდი წიაღური მოეიდა-რა, წაილო წიაღურმა ძმები“. ჰარდულ'ი ბიანდა ბაწედილა ბუჰვალუ ჰამახილა, ეჰეილა ვუჰა (აბსოლუტივია) ჰევალა „მთ ნაეს მგლის მიერ მოკლული ვირი და მკვდარი („სიკვდილითაც მოკვდა-რა“) კაცი“.

³ ნამყო დროსა და აბსოლუტივის ერთმანეთთან დამთავვევა, როგორც ჰგავს, ჯარ „ა ჯგუფის“ ხმებშია დაწყებული (ასეთი მდგომარეობაა მიარსულში) შედგე კი „უ ჯგუფის“ ხმებშიც (ბოთლიხურში, სადაც ეს ორი ფორმა ყველგან დამთავ ერთმანეთს). თუ ასეთი ვარაუდი სწორია, შეიძლება გვეფიქრა, რომ თავდაპირველად უ აბსოლუტივის ფორმას აწარმოებდა და ნამყოსთვის შემდგომ იქნა გამოყენებული (წინათ ნამყოს ბოთლიხურშიც აწარმოებდა). ამ მონაცემებისათვის შესაძლებელია ხელი შეეწყოს აბსოლუტივის ფორმათა ხშირ იმარებას აღწერით ფორმებში (მაგ. ჰიტეუ იდა წინათ სტრუქტურულად უდრიდა ხუნძურ აბუნ ბუჟა-ს „თქვა“ პრდ. „თქვა-რა არის“). შემდგომ კი იდა-ს („არის“) გარეშეც ეა ფორმა (ჰიტეუ) დროის ფორმად იქნა გაგებული. ასეთი რამ იდა-ს გარეშე აღწერითი ფორმის გაგება ისეთადვე, როგორც იდა-ს თანხლებით არის) სხვაგანაც შეინიშნება (მაგ. კვარდათა იდა „წერს“ | კვარდათა).

4. მყოფადი. მყოფადის გადმოსაცემად გამოყენებულია -იკაბ სუფიქსი, რომელიც ზმნის ფუძეს დაერთვის. ზ კლასის ნიშანია: გვარდ-იკაბ „დაწერს“, ლამდ-იკაბ „შექამს“, ბუყ-იკაბ „გაქროს“, იქა-იკაბ „მისცეს“, განდ-იკაბ „მოსწევს“, ჰალ-იკაბ „ნახავს“, ბეტა-იკაბ „მოხნავს“, ჰიტა-იკაბ „იტყვის“, მაყ-იკაბ „წავა“, იჰ-იკაბ „გააკეთებს“, ბუკ-იკაბ „იქნება“ და სხვ.

-იკაბ სუფიქსი, როგორც ვთქვით, კლასნიშნინანია. გრამატიკული კლასის ნიშანი უთანხმდება სუბიექტს, თუ ზმნა გარდაუვალია, ობიექტს, თუ ზმნა გარდამავალია:

ვაცოი ჩუჰიკო¹ „ძმა გაიქცევა“... აცოი ჩუჰიკაჲ „და გაიქცევა“... კათუ ჩუჰიკა-ბ „ცხენი გაიქცევა“... ვაცოილ, აცოილ, კათე ჩუჰიკა-ლ „ძმები, დები, ცხენები გაიქცევიან“, ბაწუდი ლამდიკო ვაშა „მგელი შექამს ბიქს“, ბაწუდი ლამდიკა-ბ ჰამახი „მგელი შექამს ვირს“, ბაწუდი ლამდიკალ ვაშალ, აეშილ, ჰამახე „მგელი შექამს ბიჭებს, გოგობს, ვირებს“. დენ ვაყიკო ბუჲახა „მე წავალ ბოთლიში“... ვალლაჰ, დენ დუქუ სანდუ ლიკაჲ მინ ვაყაბ მუსიბახა „ღმერთმანი, მე შენთან წამოვალ, სადაც შენ წახვალ იქითკენ (შენ წასული მხარეებისკენ)“... ჰაჲ, ჰენა ებლა 'ილ'ი იჰიკაბ, ბელეუჰი, ვალლაჰ! „ჰა, ახლა რაღა ვქნათ ჩვენ, არ ვიცო, ღმერთმანი!“... დუჲ ჰუბ დარუ ჰაბ მიყიდილა ბაწაჲ ბილ'იქალა, იშქურ დუბ ღვანი ბუყიკაბ „შენ იმ წამლის მოტანა ამჯერაც თუ ვერ შესძელი, თავს მოგჭირი“... დიბ ჰედირალ'ი ბულ'აბ ნა იშგურ დუჲლა მასიკაბ „ჩემი ხბოს თავგადასავალს მე შენც გეტყვი“... ჰენა-ლ'აბუ მისარუჰუდი, ხანჯარ ბატარალ'ი მაშიკაბ-თალუ „ეხლა რომ ვიპოვი, ხანჯალს წელზე შემოვირტყამო“.

-იკაბ სუფიქსი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ბუკი ყოფნა ზმნის მიმღეობას გვაგონებს (ლოდობერიულში ეს სუფიქსი არაჩანს, არც სხვა ანდიურ ენებში გვაქვს იგი), მთარსული კილოკავი ავლენს -იგო სუფიქსს („ანდიგო“ შექამს, იჰიგო „გააკეთებს“...), რომელიც კლასების მიხედვით არ იცვლება. ბოთლიხური -იკაბ და მთარსული -იგო საერთო წარმომავლობისა ჩანს, ოღონდ მთარსულს კლასის ნიშანი დაუკარგავს (ან ო-შია გაუჩინარებული: -იგო < *იგა-ჲ და სხვ.). გ და კ ორივე „ყოფნა“ ზმნის ძირი ჩანს, ან შესაძლოა კ-ს გამჟღერება მთარსულისავე ნიადაგზე იყოს მომხდარი. -ა-ბ მიმღეობის დაბოლოებაა, ამიტომ იჰიკაბ შეიძლება ასე განიმარტოს — „გაკეთებად მყოფი“ (ხუნძ. ჰაბიზე ბუგებ): იშქურ იჰიკაბ — „მე გა-

¹ ო ყველგან ა + ე-საგანაა მიღებული.

კეთებად მყოფი ვარ“ (ე. ი. „მე გავაკეთებ“).

ასეთი დაშვების შემდეგ -იკაბ-ის თავიკიდური ო ინფინიტინი-სეულად უნდა მივიჩნიოთ, მაშინ მყოფადის წარმოება ასე წარმოგვესახება: მყოფადი იწარმოება ინფინიტინგან -კაბ სუფიქსის დართვით.

თავიკიდური ბ-უ (კლასის ნიშანი და მისი თანმხლები ხზოვანი), რომელიც -იკაბ-ს აკლია, დაბრკოლებას არა ქმნის, რადგან ბოთლიხურს ახასიათებს ზოგ ზმნურ ფორმათა (მათ შორის მიმღობათა) წარმოებისას ძირის წინამავალი მარცვლეს მოკვეთა. -კაბ „მყოფის“ მნიშვნელობით ბოთლიხურისათვის მოსალოდნელი ფორმაა. ესეც არ იყოს, -კაბ ამავე მნიშვნელობით, ოღონდ ნეტწილად ოღნავ სახეცვლილი (-კობ); ხშირად გვხვდება:

მალა ნასრუდინ ვაჟა იდა გობ არსიკობ მუსა. ჰუბ დონგიკობ მუსე ჰუშაუ მისა იდა კედა ნართავ „მოლა ნასრედენი წავიდა იქ, სადაც ის ფული იყო (ფული მყოფ-ადგილას); ის ორმო სადაც იყო (ორმო მყოფ-ადგილას) მან ნახა ორი ნართი“.

ასევე იხმარება ჯუჩაკობ „სადაც წიგნია“, აზბარკობ „სადაც ეზოა“ და ა. შ.¹

5. დრო-კილოთა აღწერითი წარმოება. აღწერითი ფორმები ბოთლიხურში საკმაოდ გავრცელებულია. აღწერით შეიძლება იყოს ნაწარმოები თვითონ ზმნა (მაგ., თამაშა იპი „გაკვირვება“ და მისთ. იბ. ქვემოთ), ზმნის კატეგორია (მაგ., კაუზატივი) და სხვ. ნწყობრსისტემას ქმნის აღწერითი ფორმებით დროთა და კილოთა წარმოება.

აღწერითი ფორმა (მხედველობაში გვაქვს დრო-კილოთა წარმოება) შედგენილია ძირითადი და მეშველი ზმნისაგან. ძირითადი ზმნა (ზმნა, რომელიც განსაზღვრავს მთელი აღწერითი კომპლექსის შინაარსს) შეიძლება შეგვხვდეს რამდენსამე ფორმაში: ინფინიტინგში, -ათა სუფიქსით ნაწარმოებ ფორმაში, -ა სუფიქსით ნაწარმოებ ფორმაში. ნამყოფს აბსოლუტივიჰი (რომელიც ბოთლიხის მეტყველებაში მუდამ ნამყოფ დროის ფორმას ემთხვევა)².

¹ საერთოდ მყოფადის წარმოების მხრივ ანდიურ ვნებში კრელი სურათი გვაქვს. ეს დრო აწმყო ზოგადასა და განსაკუთრებით ნამყოფთან შედარებით ახალია.

² შესაძლებელია სხვა ფორმათა (მაგ., მიწლეობების) გამოყენებაც. მაგრამ ასეთი ანალიზური ფორმა უბრალოდ შემადგენელ ელემენტთა ჯანს წარმოადგენს და ახალ პარადიგმატულ ნაკეთა არ ქმნის. ერთია მხოლოდ. აწმყო

მეშველ ზმნად გამოიყენება „ყოფნა“ (იდა „არის“ და მისი სხვადასხვა დრო-კილოს ფორმები)¹. მეშველი ზმნის ფორმა განსაზღვრავს მთელი კომპლექსის გრამატიკულ ფორმას. უმთავრესი მეშველი ფორმებია იდა „არის“, ბუკა „იყო“ (იცვლება კლასების მიხედვით) და ბუკა+იდა (ნამყოს აბსოლუტივი+„არის“).

ამგვარად აგებული აღწერითი ფორმით შეიძლება ვაწარმოოთ ყოველგვარი ნაკვითი (დროები, კილოები, უარყოფითი ფორმები, კაუზატივები და სხვ.), ამისათვის საკმარისია მეშველი ზმნა ჩავსვათ სათანადო ფორმაში (სათანადო დროისა, კილოს და სხვ. აფიქსების დართვით). ცხადია, გასათვალისწინებელია, სათანადო ზოგადი შანაარსი ანალიზური ფორმისა იგუებს თუ არა ამა თუ იმ დროს, კილოს და სხვ.

იმის შესაბამისად, რაც ზემოთ ითქვა, აღწერით ფორმათა ასეთი სქემა შეიძლება წარმოვადგინოთ (სანიმუშოდ ვიღებთ გვარდი -წერა“ ზმნას):

I	II
გვარდი იდა	გვარდათა იდა
გვარდი ბუკა	გვარდათა ბუკა
გვარდი ბუკა იდა	გვარდათა ბუკა იდა
III	IV
გვარდა იდა	გვარდუ იდა
გვარდა ბუკა	გვარდუ ბუკა
გვარდა ბუკა იდა	გვარდუ ბუკა იდა

იმის მიხედვით, თუ რა ფორმაშია დასმული ძირითადი ზმნა, მთლიანად აღწერითი კომპლექსი ამა თუ იმ შინაარსობლივ ელფერს იძენს.

მიმღ. — მეშველი ზმნა ხშირად ცალკე ნაკვთად გაიგება (მაგ. გვარდიხოზ ბუკა „წერდა“, მაგრამ ამისი თქმა გაკვირდება გვარდიხოზ იდა და გვარდიხოზ ბუკა იდა ფორმებზე. სუბიექტური თვალსაზრისის გამორიცხვა ასეთ ფორმათა შეფასების დროს გაძნელებულია).

¹ იდა „არის“ უცვლელია კლასისა და რიცხვის მიხედვით. იდა-საგან დრო-კილოები არ იწარმოება. ყველგან მას ბ-უკი „ყოფნა“ ზმნა ენაცვლება. უარყოფით ფორმებში იდა-ს ცვლის ბუკი (არაცოცხალთა ჯგუფისათვის) ლ'იკი (ცოცხალთა ჯგუფისათვის) ან გუკი (განუარჩევლად კლასისა).

ამ წარმოებათა მნიშვნელობა იხ. ქვემოთ.

აღწერითი ფორმები, რომელთაც ძირითადი ზმნა ინფინიტივე-ში აქვთ, მყოფადის, აუცილებლობის ელფერს ატარებს: ჯვარდი იღა „უნდა დაწეროს, უსათუოდ უნდა დაწეროს, უსათუოდ დაწერს“ (სიტყვა-სიტყვით „წერად არის“), ამ ნაკვეთს აწმყო-მყოფადი შეიძლება ვუწოდოთ ან კიდევ აწმყო-აუცილებლობითი(!)¹. ხშირად ამ ფორმით გადმოიცემა მყოფადი დრო (აუცილებლობითობის მეტი ან ნაკლები ნიუანსით).

ჯვარდი ბუკა (ინფინიტივი + მეშველი ზმნა ნამყო დროში) „უნდა დაეწერა, უსათუოდ უნდა დაეწერა“ (ნამყო-აუცილებლობითი): ძირითადი ზმნით გამოხატული მოქმედება — „წერა“ — უნდა მომხდარიყო წარსულში, რაზედაც ბუკა მიუთითებს (სიტყვა-სიტყვით „წერად იყო“).

ჯვარდი ბუკა იღა „თურმე უნდა დაეწერა“ (თურმეობითი-აუცილებლობითი) ძირითადი ზმნით გამოხატული მოქმედება თურმე აუცილებელი იყო მომხდარიყო წარსულში. იმქურ ჯვარდი ბუკა იღა იმუხა ქალათ „თურმე მამისთვის უნდა მიმეწერა წერილი“ (აუცილებელი ყოფილა მიმეწერა, მოვალე ვყოფილვარ მიმეწერა-და მისთ.).

II

აღწერითი ფორმები, რომელთაც ძირითადი ზმნა ათა აფიქსით აქვთ ნაწარმოები², ზოგადად გადმოსცემს ორი მოქმედების თანადროულობას, რაც შეიძლება გავიანზროთ, როგორც ე. წ. „კონკრეტული“ დროები (იხ. ზემოთ აწმყოს წარმოებასთან დაკავშირებით).

¹ აქ და ქვემოთ ყველა რუმინი პირობითია და მხოლოდ იმას ისახავს მიხნად, რომ ფაქტის გაგებას შეუწყოს ხელი და ტექნიკურად დასახელებისათვის გამოდგეს.

² ათა დაეროვის ზმნია ფქქა (იპ-ი „კეთება“ — იპ-ათა, ჯვარდი „წერა“ — ჯვარდ-ათა, ვიყ-ი „კვდომა“ ვიყ-ათა... (კახუხტიურ ზმნებში კახუხტივისეული ა და აფიქსისეული ა (-ათა) ერთმანეთს ერწყმის, ამასთან ბოლოკიდური ა (-ათა) შეიძლება დაიკარგოს: ჯვარდ-ა-ა „დაწერინება“ — ჯვარდა-ათა — ჯვარდათა). ათა სუფიქსით ნაწარმოები ფორმა ცალკე აღებული ბოთლიხელებს აწმყო დროში მიმღობად ესმით, მდრ. ბოთლ. იპათა, ხუნჟ. ჰაბულებ „მცეთებელი“... წარმოშობით ეს შეიძლება იყოს აბსოლუტივი, თანაც რთული აფიქსით -ა-თა).

ჯვარდათა იდა „ვწერ ახლა, ამ წუთას, საუბრის მომენტში“ აწმყო კონკრეტულია: მოქმედება (აქ „წერა“) და მის შესახებ საუბარი სინქრონულია (სიტყვა-სიტყვით: „მწერალი ვარ“).

ჯვარდათა ბუკა „ეწერდი“ (სიტყვა-სიტყვით „მწერალი ვიყავი“), აქაც იგულისხმება, რომ წერა და რაღაც სხვა მოქმედება ერთდროულად ხდებოდა (მაგ. მინ იშა ვაწა — რიუდი იშქურ ქალათ ჯვარდათა ბუკა „შენ რომ შინ მოხვედი, მე წერილს ვწერდი“). ამ ფორმას ნამყო კონკრეტული შეიძლება ვუწოდოთ.

ამისდაკვალად გვექნება „თურმეობითი კონკრეტული“ — ჯვარდათა ბუკა იდა „თურმე ვწერდი“.

III

როცა ძირითადი ზმნა ნაწარმოებია ზმნის ფუძეზე ა ხმოვნის დართვით (ჯვარდ-ა, იპ-ა და მისთ.), აღწერითი ფორმის მნიშვნელობა ზემოთ განხილული (იხ. -ათა სუფიქსიანი წარმოება) შემთხვევის მსგავსია¹. ოღონდ ორი მოქმედების სინქრონულობას ხაზი არ ესმის. შდრ. ფატიმათი ჯადა იდა, ანდა ფატიმათი იდა ჯადა „ფატიმათი ტირის“².

ამრიგად გვაქვს: ჯვარდა იდა „ვწერ“, ჯვარდა ბუკა „ვწერდი“, ჯვარდა ბუკა იდა „ვწერდი, თურმე ვწერდი“.

მაგალითები სხვა ზმნებზე: ტეიბდა იდა „ცეკვავს“ (შდრ. ტეიბდათა იდა), ვეკა იდა „იცივის“, ვეტა იდა „ხნავს“, ილა იდა ჰიტათა „ღედა ამბობს“ (ხუნძ. ებელ ღიგო აბულე... ხალხური ლექსია). საყურადღებოა, რომ ასეთ ფორმებში გარდამავალ ზმნას ქვემდებარე სახელობითში შეიძლება შეეწყოს (იმა ვეტა იდა „მამა ხნავს“, მაგრამ იმული ბეტა იდა ხური „მამა ხნავს ყანას“)³.

¹ ზმნის ფუძე+ა არ უნდა ავირიოთ გარდამავალ ზმნათა ბრძანებითის ფორმაში (სხვათა შორის განსხვავებდა მახვილმოც: ბრძანებითის ა მახვილიანია) ან „ა ჯგუფის“ ზმნათა ნამყოში. ცალკე ფორმა ჯვარდა, იპა, ვიკა არ იმპარება მეშველი ზმნის ან სუფიქსის გარეშე (მეშველი ზმნა შეიძლება დაშორებული იყოს ძირითად ზმნას, წინ უსწრებდეს მას და სხვ., მაგრამ ამას არსებითად სტოლისტიკური მნიშვნელობა აქვს აქაც და სხვა აღწერით ფორმებთანაც).

² ბოთლიხელებს ჯვარდა, ჯადა და სხვა ანალოგიური ფორმები აწმყოს მიმღობად ესმით და ხუნძურად ასე თარგმნიან კიდევ. ზუსტი ეს არ არის, მაგრამ ჯერჯერობით მათი შინაარსის უკეთესად გადმოცემა ძნელდება.

³ შდრ. ბაპი-მეშველი ზმნით ნაწარმოები ფორმები (იხ. „სიტყვაწარმოება“).

ძალიან ხშირია აღწერითი ფორმები, რომელთაც ძირითადი ზმნა ნამყო დროის აბსოლუტივში აქვთ, ამგვარ აღწერით ფორმათა ზოგადი მნიშვნელობაა შედეგობითობის გადმოცემა.

გვარდუ იღა „დაწერილია“ ან „დაწერე“ აწმყო შედეგობითია: მოქმედება შესრულდა წარსულში, მაგრამ მისი შედეგი გვაქვს აწმყოში (შდრ. ხუნძ. ჰვან ბუგო იმავე მნიშვნ.). ამიტომ ამ ფორმას „აწმყოს“ მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს და ნამყოს მნიშვნელობაც (პილღვა იღა „მოსულია“, „მოვიღა“, კვანდღუ იღა „მოქლულია“, „მოკლა“, ვიღუ იღა „დგას“, „დამდგარია“, „დადგა“). გასაგებია, რომ ზოგჯერ ეს ფორმები თითქოს თურმეობითის გაგებასაც ატარებს (მოქმედება მომხდარია წარსულში, შედეგი ჩანს აწმყოში. აწმყოდან ამოსვლით დასკვნა კეთდება, რომ „თურმე მომხდარა ეს და ეს“). გვარდუ იღა სიტყვა-სიტყვით „დაწერა რა, არის“.

გვარდუ ბუკა „დაწერა, დაწერილი იყო, დაწერილი ჰქონდა“. ნამყო შედეგობითია: ძირითადი ზმნით გამოხატული მოქმედება („წერა“) წარსულში მოხდა, მისი შედეგიც წარსულში ჩანდა. ამ ფორმასაც თურმეობითის მნიშვნელობა შეიძლება მიეცეს, თუმცა მისი ძირითადი მნიშვნელობა ეს არაა (შდრ. ხუნძ. ჰვან ბუკანა იმავე მნიშვნ.): იშქურ გვარდუ ბუკა ქალათ. „მე დაწერე წერილი“.

გვარდუ ბუკა სიტყვა-სიტყვით „დაწერა რა, იყო“.

გვარდუ ბუკა იღა „თურმე დაწერილი იყო, თურმე დაუწერია“ — თურმეობითი შედეგობითია (ხუნძ. ჰვან ბუკუნ ბუგო), სიტყვა-სიტყვით „დაწერა რა, იყო რა, არის“.

კ ი ლ ო

ყველაფერი, რაც აქამდე ზმნის შესახებ ითქვა, თხრობით კილოს შეეხება. ქვემოთ ბრძანებითი, პირობითი და ნატვრითი კილოების წარმოებაზე შევჩერდებით.

1. **ბრძანებითი კილო.** ბრძანებითი კილო (წართქმითი ბრძანებითი) იწარმოება ზმნის ფუძეზე -ი ან -ა სუფიქსის დართვით: გარდაუვალი ზმნები ი ფორმანტს იღებენ, გარდამავლები კი ა-ს. ბრძანებითის სუფიქსი მუდამ მახვილიანია.

ხმოვანფუძიან გარდაუვალ ზმნებში -ი-ს ნაცვლად -ა გვაქვს (ი → ა). ასეთივე მდგომარეობაა ვ-თი დაბოლოებულ ფუძეებთან (ვ-ი → უ-ა; შდრ. „ფონეტიკა“, გვ. 18).

კაუზატიურ ზმნებს, როგორც გარდამავლებს, ბრძანებითი, ცხადია, მულამ-ა აქეთ. ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა სუფიქსით გაფორმებული სხვადასხვაგვარია გარდამავლობის მიხედვით (მაგ., საარდ-ი! „იტრიალე!“ გარდაუვალა, მაგრამ საარდ-ა! „ატრიალე!“ გარდამავალია). როგორც ჩანს, ბოთლიხურში გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების გარჩევა ამ 'ნემთხვევაში მორფოლოგიურად ხერხდება'.

გარდაუვალი ზმნები		გარდამავალი ზმნები	
ბილ-ი!	„დადექ!“	ვანდ-ა!	„მოსწიე!“
ქაარდ-ი!	„გაიქეც!“	კვარდ-ა!	„წირე!“
ბიყ-ი!	„მოკვდი!“	ბით-ა!	„დაკარგე!“
ბით-ი!	„დაიკარგე!“	მას-ა!	„უამბე!“
ბერახხ-ი!	„დაწექ!“	ბერახხ-ა!	„დააწვინე!“
ველ'-ი!	„წადი!“	იქაა ქა!	„მიეცი!“
ბაპ-ი!	„დაცვივდი!“	ჰიტა-ა! ტა!	„თქვი!“
ტიდ-ი!	„უყურე!“	ხაუდ-ა!	„სვი!“
ინქუ-ა!	„ქაჰე!“ (გრდუფ.)	ლამ-და!	„ქამე!“

ხაუდა შიიჟუ, მიწაა ხუქიმა? „დალიე რბე, ტკბილი არ არის?“
 ჰაჯი-მაჰამა ინალ'ილა ვაჟა, მაწაა ჰუმაჟუ ჰარკაუხი! „ჰაჯი-
 მაჰამა სად წავიდა, ჰკითხე მის ცოლს!“

მასა, ებხულა დუჟ ყორო? „მითხარი, რა გინდა შენ?“
 ლე, სარი, სარი, ბილი! დუტი მაწი ნალარ იდა! „ეი, მელია,
 მელია, გაჩერდი! შენ რაღაც უნდა გკითხო!“

არა ტიდი, ჰაბ ებხულა, ბოლ'ონ! „აქეთ მოიხედე, ეს რა არ-
 ის, ლორო!“

ჩუჟანი, არა ხვა? მუწიე! „გაიქეცი, აქ მომიტანე თუნგი!“ დუჟ
 ჰიჟჟუჟ ყორეუქიმა? მიდილ'ა რელ'ი! „შენ მსხალი არ გინდა? ბალ-
 ში წავიდეთ!“

ასაალამ-ალეიქუმ! რეშქუჟ კათუქუ ჰეყარუ! „გამარჯობა! ჩამო-
 დი ცხენიდან!“.

¹ ანალოგიური რამ შეინიშნება ხუნძურშიც (ე გარდამავალ ზმნათა ბრძანებითშია ჩვეულებრივიდ, ა კი გარდაუვალ ზმნათა ბრძანებითში, მაგრამ გამო-
 ნაკლისიც გვაქვს). გარდამავალი და გარდაუვალი ალ ზმნები ბრძანებითში უნდა
 გაირჩეს. სხვა ანდიურ ენაშიც (ტინდიურში, ბავვალალურში, კამალალურში...).

² ხ „აღება, ყიდვა“ ბრძანებითში ხვ-ს გვიჩვენებს.

არის რამდენიმე ზმნა (ბუკი „ყოფნა“, ვაფი „წასვლა“, და ჰინ-
ლვი „მოსვლა“), რომლებსაც ბრძანებითის მაწარმოებლად -ბა
ბოლოსართი აქვთ: ბუკუ-ბა! „იყავ!“ ვა-მა! (←*ვააბა) „წადი!“ ლო-
ბა! (←*ღე-ა-ბა!) „მოდი!“ სამივე ზმნა ერთპირიანია და მასთან
კლასის ნიშნის მქონე. აი მათი ფორმები ყველა კლასში:

I	II	III	მრ. რიცხვი!
ვეკუ-ბა!	აკუ-ბა!	ბუკუ-ბა!	რუკუ-ბა!
ვა-მა!	აა-მა!	მა-მა!	ნა-მა!
ლო-ბა!←ღეაბა!	ლა-ბა!	[ლა-ბა!]	ლა-ბა!

-ბა ნიშნის წინ ყველგან ხმოვანია (ვეკუბა! და ზემდ). იგი ცი-
რისეული არაა, ვაბა! და ლობა!-ში კი მისი არაძირეულად მიჩნევა
ჭირს, თუმცა შეუძლებელი არაა¹. ვაპა, ააპა, მაპა, ნაპა-ში ყველ-
გან ფონეტიკური ცვლილებაა მომხდარი ფუძისეული ნაზალური
ხმოვნის წყალობით.

ჰილელე „მოსვლა“-ზმნის ბრძანებითში ჰი-ნაწილი არ მონაწი-
ლეობს. როგორც ვიცით, მისი ჩამოკლება უჩვეულო არაა. ამ
ზმნის ბრძანებითი ერთადერთი გამონაკლისია, როცა ჰი-ელემენტის
მოკვეცა არათავსებელია. რაკი ნაზალური ხმოვანი ფორმიდან
გამოირიცხა, ცხადია, -ბა ნიშანს ფონეტიკური ცვლილება არ გა-
ნუცდია. ლობა! (I კლასი) „მოდი!“ მიღებულია ღეაბა-საგან, სს-
დაც ვ კლასის ნიშანია. ღაბა-ში დეკარგულია II კლასის ნიშანი.
III კლასის ფორმა არ იხმარება (მის ნაცვლად ბელ'-ი-ა გამოყე-
ნებული: არა ბელ'ი! „აქ მოდი!“ პირუტყვს ეტყვიან. ბელ'ი წასვ-
ლასაც ნიშნავს: ბელ'ი უდაქუ! „წადი აქედან!“ მრავლობით რიცხვ-
ში კვლავ ღაბა იხმარება.

ღაბა, ილ'ი ჰავ ჰირქილდარა ბეყადა ჰირქუ ჰანი ბეთი „მო-
დი, ჩვენ ამის ადგომამდე სასწრაფოდ ავდგეთ რა, სოფელი დავ-
ტოვოთ“.

არა ღობა! არა ღობა-თალუ, ბებელუ ჰუშუხი ჯართილი „აქ
მოდი! აქ მოდი-ო, დაუძახა მას როკაპმა“.

გვა, ჰაბ ღანილა დუა-და, ვაბა ბატა! დილ'იქუ სანდუ ჰი-
ლვი ბეჭექუი! „აპა, ეს პური შენ, მომშორდი (წადი ცალკე)! ჩემთან
წამოსვლა არ შეიძლება!“

¹ ე. ი. ბა — ა-ბა: ღობა! — ღე-ა-ბა! ვუკუბა! — *უუკუ-ა-ბა! ანა — *აფე-
ა-ბა და მისთ.

პაჭკაახი ვუკუბა! მასა დიჭი, ებლა ბულუ! „დაჯექი (ძირს აყავ!) მითხარი, რა მოხდა!“¹

2. პირობითი კილო. პირობითი კილოს საწარმოებლად ბოთლიხურს ორი სუფიქსი აქვს: -ლა და-ხვალა. მათი ფუნქცია ერთნაირი არაა: -ლა-თი ნაწარმოები ფორმები აწმყო-მყოფადის შინაარსს ატარებს (ქართულადაც აწმყოს ან მყოფადის კავშირებითი ითარგმნება), -ხვალა-თი ნაწარმოები კი ნამყოს გადმოსცემს (ქართულად რომ თურმეობითი II-ით ითარგმნება).

იმ წინადადებას, რომელსაც შემასმენელი პირობით კილოში აქვს. შეიძლება ნაგაპ („თუ“, „იმ შემთხვევაში, თუ“...) სიტყვა უძლოდეს წინ. მისი ხმარება არაა აუცილებელი.

-ლა ფორმანტი დაერთვის ფორმას, რომელიც აგებულია ასე: ზმნის ფურე + ა:

ბუკა-ლა „თუ არის; თუ იქმნება; რომ იყოს, რომ იქნებოდეს“.

იქა-ლა „თუ აძლევს; თუ მისცემს, რომ აძლევდეს, რომ მისცემდეს“.

ღვა-ლა „თუ მოდის, თუ მოვა, რომ მოდიოდეს, რომ მოვიდოდეს“.

მაგალითები წინადადებებში: ნაგაპ მინ ღვალა, არს-ი ქიკაბ „თუ შენ მოხვალ, ფულს მოგცემ“.

ახარა დიკუ არსი ბუკალა, ღენ ბაზარა ჰაყიკაა „ხვალ თუ ფული მექნა, მე ბაზარში წავალ“.

მინ ჰუბ ხაბარ ღილა მასალა, ღენ ვეცაიხაე „შენ ამ ამბავს მეც თუ მეტყვი, გამიხარდება“.

იშქურ ხური ბეტალა, ღიხ ზიუ ბაწე „მე თუ ყანას მოვხნავ, (შრომა) ღდეს გამოვიმუშავებ“.

ღუვ ვაშა ინალა ვაყა-თალუ, მაწალა, ჩანა ვაყა თალუ, ჰიტა! „შენი ძმა სად წავიდაო თუ გკითხოს, სანადიროდ წავიდა-თქო, უთხარი!“

ილიე იმამ შამილ ვახარათა იდა; ნაგაპ ჰუვ ვიყალა, ეველი-ლახი იმაძლუნ ვუქიკო „ჩენი იმამი შამილი ბერდება; თუ ის მოკვდა, ვინ უნდა იქნეს იმამი?“

ხუყაბ ხეადი იშთა ჰიბ შაქვასა ბაჰალა-ლა ყვარილი-ტიფი ჩანჩალა-ლა, ღვანეკვაშაუბ ყაბ ბილო ბეთუეჟი „ქარგი ძალლი,

¹ თუ ბრძანებითის ფორმას დავერთავთ რთულ სუფიქსს -ლა-ხა-ს,—თხოვნით ბრძანებითს ვიღებთ: კვარდალახა! „დაწერე რა!“ ვუკუბალახა! „ჩყავ რა!“ და ა. შ.

რამდენიც უნდა მოშივდეს, გაკირვებაშიაც რომ შეინახო, პატრონის ფარებს არ დატოვებს“.

მისალა (ინფ. I კლ. ვისი „ნახვა“), რომელიც ნიშნავს: „თუ რომ ნახო || იპოვო“, ხშირად პირობითი კილოს მაწარმოებელ აფექსამდვა ჩამოქვეითებული, საკუთარი ზმნური სემანტიკა დაკარგული აქვს:

ჰულა მისალა, ჰაბ მიყიდი მისაბ ბეჟუნ ჟილალი ყინდააკაბ თალუ „თუ ასეა (თუ ასე ვნახო) ამგზის ნაპოვნ ნემსს ხალათზე მივიბნეე“.

რელ'ი დიქუ სანდუ, ამმა ბეხუტუ ვიყირკურუ ჰიბდი ვუკი ვისალა, ლილა ღვაბასი! „წამოდი ჩემთან, მაგრამ შემდეგ სიკვდილისა თუ შეგეშინდება (სიკვდილისაგან შეშინებდა ყოფნა თუ ვნახე), წამოსვლითაც ნუ წამოხვალ!“

ფრაზები, რომლებიც ჩვენ თუ კავშირის შემწეობით ვთარგმნეთ, შეიძლება კავშირებითითაც იქნას თაოგმნილი, მაგ., ღუვ ვაშანალა ვაფყა-თალუ მაწალა... „შენი ცმა სად წავიდაო, რომ გკითხოს (თუ გკითხა)“... ნაგაპ ჰუვ ვიყალა... „ის რომ მოკვდეს, თუ ის მოკვდა“ და ა. შ.

-ხვალა სუფიქსი ნამყო დროის ფორმას ერთვის: გვარღუხვალა „რომ დაეწერა“, ბაჟუ-ხვალა „რომ წაეკითხა“ ბეტაუ-ხვალა „რომ მოეხნა“, ბუკა-ხვალა „რომ ყოფილიყო“ და ა. შ. უფრო ჩვეულებრივია აღწერითი წარმოება: გვარღუ ბუკა-ხვალა „რომ დაეწერა, ბაჟუ ბუკა-ხვალა „რომ წაეკითხა“, მაწაუ ბუკა-ხვალა „რომ შეჰკითხებოდა“, ბუკა ბუკა-ხვალა „რომ ყოფილიყო“ და მისთ., ე. ი. ნამყო დრო (აბსოლუტივი ამ დროისა) + ბუკა-ხვალა: დიბ არსი ბუკახვალა, იშქურ ხი ბუკა ბურთინა „მე ფული რომ მქონოდა, ნაბადს ვიყიდდი“.

იშქურ ქალათ გვარღუ ბუკახვალა, ღუჭი მასი ბუკა „მე წერილი რომ დამეწერა, შენ გეტყობი“.

სუნი მინ დიხა ჰილღვა ვუკახვალა, იშქურ ღუჟ არსი ქაი ბუკა „გუშინ შენ ჩემთან რომ მოსულიყავ, ფულს მოგცემდი“.

ჰაბ რეყა ბუყიჰადა ბეხაუ ბუკახვალა, დენ ჰალ'აა ურუსალუ-დი ვიქაი ვუკიჰა „ეს ხელი მოუჭრელი რომ შემრჩენოდა, მე აქ რუსები ვერ დამიჭერდნენ“ (შამილი ამბობს ჰაჯი-მურადის შესახებ).

გურეიაშაუბ მუსარე დენ ვუკახვალა, იშქურლა ჰუბლა იპი ბუკ-ათალუ, რაკეარა ბუქაუ ჰაშაუქუ „ქართველის ადგილას მე რომ ვყოფილიყავი, მეც ასე ვიზამდიო, გულში გაივლო მან“.

ეს სუფიქსი მარტივი არ უნდა იყოს. გამოიყოფა პირობითობის მაწარმოებელი -ლა (ხვა-ლა), ხვა ნაწილი კი აუხსნელია. შეიძლება -ხვა დამოუკიდებლად არსებული ი-ბ-ხ-ი „ალება“ („ყიდვა“) ზმნის ძირიდან იყოს: ნაწარმოები. ხ, როგორც ენახეთ, ბრძანებითში ხვ-ს სახით გვხვდება¹.

მეორე მხრივ ხვა-ლა შეიძლება ხვ ნაწილაკს შეიცავდეს (იბ. ქვემოთ ნაწილაკები).

-ხვალა-თი ნაწარმოები ზმნები ნამყოფს შინაარსს ატარებს, რადგან ეს სუფიქსი მუდამ ნამყოფს დროს (თუ ნამყოფს დროის აბსოლუტივს, სულ ერთია) ერთვის.

სისრულისათვის შევნიშნავთ, რომ -ხვალა სახელებშიც გვხვდება და ნიშნავს „ან“, „მაინც-ლა“.

ვაცოიხვალა ძაცოიხვალა ბედა! „ნმას ან დას დაუძახე!“

დივ ვაშაშაუბ თომონგი-ხვალა იბხუმა მინი? „ჩემი ვაჟის თოფი მაინც ჩამომიტანე? (თოფი-ლა მაინც)“.

ასეთი ფუნქცია არც ზმნასთანაა გამორიცხული:

ილა ინქვა-ხვალა, ბეყა ჩადი! „დედამწჰამოს მაინცა, რომ ჩქარა მომჯობინდეს!“

3. ნატვრითი კილო. ორი ბოლოსართია ამ კილოს გადმოსაცემად -ბუ- და -ბე. პირველი მათგანი ზმნის ფუძე + ა-ს დაერთვის, მეორე კი ინფინიტივს (-ა-ბუ, -ი-ბე). ამ ნიშანთა შორის ნიუანსური სხვაობაა: -ბუ ისეთ ნატვრას გამოხატავს, რომელიც ახლავე უნდა შესრულდეს, -ბე კი უფრო შორეულ მომავალს განეკუთვნება (და ნაკლებად კონკრეტულია).

	-ბუ	-ბე
გვარდ-ა-ბუ!	„გეწეროს!“	გვარდ-ი-ბე!
იქა-ა-ბუ!	„მოგეცეს!“	იქა-ი-ბე!
ვიც-ა-ბუ!	„მომკვდარიყო!“	ვიც-ი-ბე!
მის-ა-ბუ!	„გეპოვნოს!“	მის-ი-ბე!

დუბ თალეჰ ბიჰაბუ, ეფილა მინ ჯადა ვაჰათა? „ბედნიმც გაგიქრა (შენი ბედი დაიშრიტოს), რად ტირი?“

აჰამად, დუჰ თალეჰ ჰაბუ, დენლა სანდუ ჩა! „აჰამად, აგრემც გაიხარე (პრდ. ბედნიმც მოგეცა), მეც თან წამიყვანე!“

¹ სხვა ფორმებშიც გვხვდება ხ ხვ-ს სახით (ინფინიტივში, ნამყოფში), მაგრამ სპორადულად.

ვამ, დღე ნაცვანა მისაბუ! „ეაი, შენ, წყეულიმცა ხარ“ (ზედმიწ. „წყეველა გეპოვოს“).

მიყი ბიტიბე, მიყი ბიტიბე, დადი! „კეთილი გზა, კეთილი გზა, მამილო!“ ზედმიწ. გზა სწორი(|| წრფელი) გქონდეს! (ასე ლოცავენ მიმავალს).

ლეღი ყაბულა მისიბე! „პირის დასტური გენახოს!“ (ასე მიმართავენ მორწმუნენი მარხვის¹ დასრულების შემდეგ, ბაირამის დღეს, ერთმანეთს. შინაარსი ესა ჭაქეს: შენი მარხულობა მიეღოს ღმერთსაო).

ბარაქალა, დივ ვაშა, ვეჭუხა ვუელიბე! „გმადლობ, ჩემო ბიჭო, დიდი გაზრდილიყო!“

რაზი ხურბიბე (← რეჰა-ზიუ ხურყაბირიბე) „ღღე-ღამე („ღამე-ღღე“) კარგი გქონდეს!“ (გამოთხოვებისას იტყვიან).

ვაშა ბარქალ'ი ვისიბე! ასე მიმართავენ იმას, ვისაც ვაჟი შეეძინა (ხუნძ. ვას ბარაქათ ბუგვე ვათაგი!) „ვაჟი ბარაქიანი, საკეთილო, ყოფილიყო, გვენახოს“, მსგავსადვე შეიძლება მიმაოთონ ვინაც ძროხა იყიდა: ზინი ბარქალ'ი მისიბე! და სხვ.

კ ა უ ზ ა ტ ი ვ ი

ბოთლიხურ ენას კაუზატივი კარგადა აქვს გამოხატული. კაუზატივი იმაზე მიუთითებს, რომ მოქმედება სხვისი შეწევობით სრულდება.

კაუზატივში დასმული ზმნა ბოთლიხურში მუდამ გარდამავალია. კაუზატიური ფორმა ხშირად გამოყენებულია არა საკუთრივ კაუზატიური შინაარსის გადმოსაცემად, არამედ გარდაწვევალ ზმნად².

ბოთლიხურში გარდამავალი ზმნის მორფოლოგიურ-სინტაქსური ნიშნებია სუბიექტის დასმა-ერგატივში და - ა სუფიქსი ბრძანებითში. რაც შეეხება გვარს; იგი გადმოცემულია არა რაიმე აფიქსით ზმნაში, არამედ მთელი კონსტრუქციით (რაც ქვემდებარე-დამატებას აღნიშნავს, ერთი მხრით, და მათს ბრუნვებს, მეორე მხრით, გულისხმობს). ამდენად ბოთლიხურში გვარის საკითხი — შესიტყვების საგანია.

¹ მარხვას ღელი რიჰაი, ე. ი. „პირის კერა“ ჰქვია (ხუნძ. კალ ქავეზე — იგივეა).

² გარდაუვალი ზმნური ფუძის გააქტიურება კაკაუზატიურების გზით ხდება, მაგ., ბიტი „გაწყვეტა“ („გაწაღა“), ბიტა „გაწყვეტა“ („გაწყვიტა“) და სხვ.

კაუზატივის ფუნქცია გარდაუვალ ზმნებთან ბოთლიხურში ისაა, რომ ასეთი ზმნები გარდამავლად აქციოს (მაგ., ასე: კვდება — მოაკვდინა, წევს — აწვენს, ხედავს — უჩვენებს და მისთ.).

კაუზატივის -ა სუფიქსი აწარმოებს¹. იგი უშუალოდ დაერთვის ზმნის ფუძეს და ყველა სუფიქსს წინ უსწრებს.

კაუზატივის წარმოება შეიძლება ორგანულად და აღწერით. ამ უკანასკნელს ორი სახეობა აქვს:

ა) ინფინიტივი (კაუზატივში) + ამაღ იპი, მაგ., ჯვარდაჲ ამაღ იპი „წერინება“. ჯვარდაჲ ინფინიტივია („წერიდება“), ყამალ იპი შესიტყვებაჲ და ნიშნავს „ცდილობა“, „იძულება“. ამაღ არაბული عمل („ის მუშაობდა, შრომობდა, მოქმედებდა“)-დან მოდის. იპი კი ინფინიტივია „კეთება“, „ქმნა“ ზმნისა. ამგვარად, ჯვარდაჲ ამაღ იპი სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება: „წერინებად იძულებულ ყოფნა“.

ბ) მეორე სახეობა ბილაჲ-მეშველი ზმნის დახმარებით იწარმოება. იგი დაერთვის ზმნის ფუძე — ა ფორმას, მაგ. ჯვარდა ბილაჲ „წერინება“, ბილაჲ ინჟინიტივია (კაუზატივში!) ბილი „დგომა“ ზმნისა და „დაყენება“-ს ნიშნავს. ჯვარდა ბილაჲ ასეა აგებული „წერა დაყენება“.

ღრო-კილოთა წარმოებისას იცვლება ამ წრთულ ფორმათა ბოლო წევრი იპი და ბილაჲ. მათი სათანადო ფორმა განსაზღვრავს მთელი კონსტრუქციის მორფოლოგიურ რაობას.

კაუზატივის ბოთლიხურში აქამდე განხილული ყველა ფორმა აქვს. ინფინიტივის ნიანად მუდამ -ჲ-ა, რადგან იგი კაუზატივის ა ხმოვნის შემდეგ ხვდება (აი → აჲ), მასდარის -რ კი ამ -ჲ-ს დაერთვის:

ინფინიტივი	მასდარი
ჯვარდ-ა-ჲ	ჯვარდ-ა-ჲ-რ „წერინება“
ბელ-ა-ჲ	ბელ-ა-ჲ-რ „ცოდნინება“
ბუკ-ა-ჲ	ბუკ-ა-ჲ-რ „დადება“ ²
ნაკვ-ა-ჲ	ნაკვ-ა-ჲ-რ „დასმა“ (მაგ. ცხენზე და მისთ.)

კაუზატიურ ზმნებთან ირიბი დამატება -ჟუ-იან ლოკატივში დაისმის, იშვიათად -ხი-ანშიც.

¹ ლოდობერიულში (და რიგ სხვა ანდიურ ენაში) -ალ გვაქვს.

² ბუკაჲ კაუზატივია ზმნისა ბუკი „ყოფნა“. სემანტიკური გადასვლა! „ყოფინება“ — „დადება“ თავისთავად ცხადია.

აწმყო ზოგადი ორგანულ წარმოებაში არა გვაქვს, არა ჩანს იგი ბილაჲ-ით ნაწარმოებ კაუზატეებშიც. ამ დროში კაუზატეი მუდამ ამაღ იჭი-ან წარმოებას იყენებს, რადგან მხოლოდ ამას აქვს ზოგადი აწმყო (თუ რატომ, ეს ადვილი ასახსნელია: ცვალებადი ნაწილი იჭი უშუალო გზის ფორმაა და, ცხადია, აწმყო ზოგადი ეწარმოება). ამრიგად გვექნება:

გვარდაჲ ამაღ იჭე „ვაწერინებ“, ბელაჲ ამაღ იჭე „ვასწავლი“, ჰირქაჲ ამაღ იჭე „ვაყენებ“, ხეუდაჲ ამაღ იჭე „ვასმევ“ და მისთ.

ნამყო დრო იწარმოება ზმნის ფუძეზე -თ სუფიქსის დართ-ვით. -თ მიღებული უნდა იყოს კაუზატეის ა ნიშნისა და ნამყო დროის უ-ს შერწყმით (ა-უ → ავ → ო; შდრ. მსგავსი მოვლენები [კლასის ნიშან -ე-სთან: ბ-უცა-ვ → ბ-უც-ო „ქარგი“ და მრავალი სხვა).

გვარდ-ო (← გვარდ-ა-ე) „დავაწერინე“, მაკავ-ო „შევაკერინე“, იშა-ო „დავაკეტინე“, ლამდ-ო „ვაქამე“. ჰირქა-ო „ავაყენე“, ბიყ-ო „მოვაკვდინე“, ბით-ო „დაეკარგე“ და მისთ.

მყოფადი მიიღება ინფინიტივზე (კაუზატეისა) -კაბ მყოფადი დროის ნიშნის დართვით.

გვარდაჲ-კაბ „დავაწერინებ“, კევანდაჲ-კაბ „მოვაკვლევინებ“, ბეტაჲ-კაბ „მოვახვენეინებ“, ჰირქაჲ-კაბ „ავაყენებ“. ლამდაჲ-კაბ „ვაქმევ“, ბითაჲ-კაბ „დაეკარგავ“ და მისთ.

იშუურ ჰანაუქუ ჰინგურ იშაათ იდა „მე ამას თანჯარას ვაკეტ-ინებ“... დოშეჲდი თაძაქუ შუნდა ამაღ იჭე დიქუ „ის თამბაქოს მასუნებინებს ხოლმე მე“... დოლ'იდი ლაზირათიქუ მაკავო ჟილა მან ლაზირათს შეაკერინა კაბა“... ბიშთიდა ჰიდი ყვარალ ბალა-ლუხი ბელაჲ ამაღ იჭა ლი! „თქვენი ნახვის მსურველ ხალხს აცნობეთ (აცოდინეთ), საყურებლად მოვიდნენ!“... დიე იმა ლუნდუ ვა-ჰუ, ამმა მინ ვილი, იშქურ ჰასაათი ჰირქაჲკო! „მამაჩემმა დაიძინა, მაგრამ შენ მოიცადე, მე ახლავე ავაყენებ!“... ხახაბაყუ ჰინწა-ქუ ჰეყა ღვანილა ბუკო ლუნდუ ვაჰუ „მათხოვარმა ქვაზე თავი მის-

¹ აქედან ჩანს, რომ კაუზატეში (უფრო ზოგადად: გარდამავალ ზმნებში) ნამყო დროის ნიშანი მუდამ უ-ა (და არა ა!), რომელიც კაუზატეის -ა-სთან შეხვედრისას თ-ს ქნის. შდრ. ნამყო:

უშუალო გზა	კაუზატეი
გვარდ-უ „დაწერა“	გვარდ-ო (← გვარდ-ა-უ) „დააწერინა“
ბ-იყ-ბ „მოკვდა“	ბ-იყ-ო (← ბ-იყ-ა-უ) „მოაკვდინა“

დო-რა, დაიძინა“... ჰულ'იდი საარდათ(ა) ილა ჰატეულა მუჩულა-
ლ'ი ხეაბუ „ის ატრიალებს შვიდ ქარის წისქვილს“... იშქურ ბა-
წაჟაბ ჰუბ ვინო დუქუ ბეტარა იშთულა მინუთალ'ი ჰინუ „მე მო-
ვატანინებ იმ ღვინოს შენთან ხუთ წუთში“... მუჩუ ფუდიხო ჰეკ-
ვაშაუდი ცალაბ მიყარალ'ი ყალალ'აუქუ ფუდაბ მუჩულადი ტორ-
გულა გამა ბესეუხა საარდო! „ქარის მბერაჟმა კაცმა ცალი ცხვირის
ნესტოდან დაბერილი ქარით ყველა გემი უკან გააბრუნა!“

უარყოფითი ფორმები

ბოთლიხურს სხვა ენათა მსგავსად (ხუნძური; ანდიური, ტინ-
დიური...) შეუძლია ზმნური შინაარსის უარყოფითი ფორმა ცალკე
ნაკვეთით გადმოსცეს, ე. ი. „ვაკეთებ“, „გავაკეთე“-ს გვერდით არ-
სებობს ორგვანულად ნაწარმოები „არ ვაკეთებ“, „არ გავაკეთე“
და მისთ. სათანადო უარყოფითი კორელატი ყოველგვარ დადებით
ფორმას აქვს და, ამგვარად, უარყოფითი უღვლილებაც კარგად
ჩამოყალიბებულ სისტემას ქმნის.

უარყოფითობის მაწარმოებელ სუფიქსად ჩვეულებრივ ჰ თან-
ხმოვანი გვევლინება ი ხმოვნითურთ (-ჰი). პირველ ყოვლისა ილა
„არის“ ზმნის უარყოფით ფორმებს უნდა გავეცნოთ, რადგან სხვა
ზმნათა ამდაგვარივე ფორმის მისაღებად ისაა გამოყენებული. „არ
არის“ (აწმყო დრო) ბოთლიხურად საშინაირად გადმოიცემა: ხუქი,
ლ'იქი და გუქი. ხუქი არაცოცხალთა უარყოფისას იხმარება, ლ'ი-
ქი ცოცხალთა უარყოფისას, ხოლო გუქი — ორივეგან.

დიჭურუ გვანზი ხეარჩამულ'ი ენკეალა ლ'იქი-თალუ, ჰიტეუ
ჰააჯი-მურადიდი „ჩემზე უკეთესი ხმლოსანი არავინააო, თქვა ჰაჯი-
მურადმა“... ლაბა, ლაბა, ჰიბდაბააი! დივ ვაცოი იშტე ლ'იქი „მო-
დი, მოდი, ნუ გეშინია! ჩემი ძმა შინ არაა“... ჰუბ ადამალუბ მი-
წაელ'ი ილ'იბ ურლალ ხუქი „ამ ადამიანთა ჰოროებს ჩვენ ყურად-
ლება არ მივაქციოთ (ჩვენი ღარდი არაა)“... ჰაბთუბ გვანზი
თამაქუ ინუკეალა დუნელე ხუქი „ასეთი კარგი თამბაქო არსად
ქვეყანაზე არაა“... ჰენა შამილიბ ზამან ხუქი (გუქი) „ეხლა შამილის
დრო არაა“... ჰუბ მუსე ტიონიხი ყაჩაღალ რუკა, ამმა ჰენა ცეგ-
დალა გუქი „იმ მხარეს ბევრი ყაჩაღები იყვენენ, მაგრამ ახლა ერ-
თოც არაა“.

უარყოფით ფორმას თავისი მასდარი აქვს: ბეტეიქირ „არ
ხენა“, კვარდიქირ „არ წერა“, ბიციქირ „არ კვდომა“ და მისთ.

დარც ბელიტირ სულალ'ი ბაჰიხაბ ნა იდა „გაკვეთილის არ ცოდნა სირცხვილია (სირცხვილი რამ არის)“.

ფორმა ნაწარმოებია ასე: ინფინიტივი დადებითი ფორმისა + ჰე უარყოფის სუჟიქსი + რ მასდარის ნიშანი. ამ რ-ს გარეშე (ბეტე-იტი, ჯვარდიტი და სხვ.) ფორმას ინფინიტივის გაგება უნდა ჰქონოდა და აქვს კიდევ, მაგრამ იშვიათად იხმარება.

აწმყო-კონკრეტულის უარყოფითი ფორმა იწარმოება აღწე-რით: ამავე დროის დადებით ფორმაზე ხუტი ან ლ'იტი სიტყვების დართვით. თუ ზმნა გარდაუვალია, -ხუტი || ლ'იტი სუბიექტს (ქვემ-დებარეს) ეფარდება, ხოლო თუ გარდამავალია — ობიექტს (დამატებას):

რიტაჟუ ბიჟათა ლ'იტი „ირემი არ კვდება“... დიხ ილა მა-კავათა ლ'იტი „დედაჩემი არ კერავს“... ანზი (წაა) ბაჰათა ხუტი „თოვლი (წვიმა) არ მოდის (ცვივა)“.

ზმნა, რომელსაც სუბიექტი მიცემით ბრუნვაში აქვს, გარდამავალ ზმნისებურ სურათს გვიჩვენებს, ე. ი. უარყოფითობის გად-მომცემი სიტყვა ხუტი || ლ'იტი სახელობითს უთანხმდება¹. ამიტომ ასეთ ზმნებს გარდამავალ ზმნებთან ერთად ვათავსებთ:

დიხ ჰალათა ხუტი რუხუ	„მე არ ვხედავ ტყეს“
დიხ ჰალათა ლ'იტი თაჰი	„მე არ ვხედავ კვიცს“
სიდი ლამდათა ხუტი ჰუნჰა	„დათვი არ ჰამს ბალახს“
სიდი ლამდათა ლ'იტი აღამ	„დათვი არ ჰამს ადამიანს“

აწმყო-ზოგადის უარყოფითი ფორმა იწარმოება აწმყო-ზოგადის დადებით ფორმაზე -უიჰ სუჟიქსის დართვით.

დადებითი	უარყოფითი
ჯვარდე „წერს“	ჯვარდეუჰი „არ წერს“
ლამდე „ჰამს“	ლამდეუჰი „არ ჰამს“
აჰე „ესმის“	აჰეუჰი „არ ესმის“
მაშე „კრავს“	მაშეუჰი „არ კრავს“
ბეჰე „მეიძლება“	ბეჰეუჰი „არ მეიძლება“
ვაჰე „მოდის“	ვაჰეუჰი „არ მოდის“

იშვი ბოლომალ'ი რიტეი ლამდეუჰი „ჩვენ ღორის ხორცს არა გჰამთ“... დენ იმუჰურულა ჰიბდეუჰი, ალლაჰაშაუჰურულა ჰიბდეუჰი

¹ სხვაგვარად: ხუტი || ლ'იტი უთანხმდება იმ სახელს, რომლის კლასიც ზმნაში აისახება ხოლმე.

„მე მამისაც არ მეშინია, ლეთისაც არ მეშინია“... ჰენა ჯადა დაჰი-
 რლი ებკვალა ფაჰდა ბუქაეუქი „ახლა ტირილით არაფერი გამო-
 ვა (სარგებლობა არაფერი იქნება)“... წაერუჲ ბელი ბეჭეუქი ჰაბ
 ნა „სტუმარმა არ შეიძლება იცოდეს ეს (რამ)“... იშქურ ნა-
 ციბლ'ი იპეუქი, ფინათლა ბუქაეუქი „მე არ მინდა ნაიბობა (ნაიბო-
 ბას არ ვიზამ), არც ბეჭედი მინდა, ბეჭედიც არა მხამს“ (ჰაჯი-მუ-
 რადს უთქვამს)... ბაწული ბაწულ'ი ამალ ბეთეუქი „მგელი მგლო-
 ბას არ მოიშლის (მგლის ხასიათს არ მიატოვებს)“.

ნამყო დროის უარყოფითი ფორმა იწარმოება ზმნის ფუძეზე
 -იჰა სუფიქსის დართვით.

დადებითი

უარყოფითი

ტინდუ „დაასხა“	ტინდიჰა „არ დაასხა“
ბუყუ „გაჰრა“	ბუყიჰა „არ სგაჰრა“
არეუ „დასველდა“	არეიჰა „არ დასველდა“
ხადუ „თხოვა“	ხადიჰა „არ სთხოვა“
ბიყა „მოკვდა“	ბიყიჰა „არ მოკვდა“

იშიი ჰუბ მუსა რაწარიუდი ებკვალა მიყი მისიჰა „ჩვენ იმ
 ადგილას რომ მოვედით, (ვერავეითარი) გზა ვერ ვნახეთ“... ჰუბ რე-
 ჰადი ებკვალა ნა ღიჰა „იმ ღამეს არაფერი არ მოსულა“... ვალ-
 ჰაჰ, იბხიჰა დუბ ჟილა, ბეჩა ბეხაუ იდა „ღმერთმანი, არ წამომი-
 ღია შენი ხალათი, დამავიწყდა“... ადამალუსი ჰანტუჰალა რიქი-
 ჰა, ჰალ ნაყა იდა გურეილ'ა „ხალხს ყური არ უგდეს-რა, ისინი
 წავიდნენ საქართველოში“... ჰაშთუბ მიწაჰა ჰიჰჰუჲ დიჰ ინდაკვალა
 ჰალიჰა „ასეთი გემრიელი მსხალი მე არასდროს მინახავს“... ინ-
 შიულდა მაკილლა რუჰიჰა, ჰუშაუდი ჰუჲ ვაშა ინშაუჰ დაჰ ვაშალ'უნ
 ვეთა იდა „თვითონ ბავშვები არ ჰყავდა (რა), მან ის ბიჭი იშვილა
 (თავის ვაჟად დატოვა)“... ასლანი გოშაუბ ჰარჰჰუჲ აჰიჰა „ასლან-
 მა მისი ხმა ვერ გაიგონა“.

სუფიქსი -იჰა, ასე იშლება: ი-ჰ-ა, ოლონდ, მწელია მიეუთი-
 თოთ, რაა ი- და -ა. ი- შეიძლება ინფინიტივისა იყოს (გარდამავალ
 ზმნათა ნამყო ლოდობერიულსა და მთარსულში ინფინიტივის ემთხ-
 ვევა), -ა-ს შესახებ კი ასეთი სავარაუდო ახსნაც არა ჩანს.

მყოფადის უარყოფითი ფორმა იწარმოება ინფინიტივის ფორ-
 მაზე -უჰაბ, -ჰაბ სუფიქსის დართვით (-ჰაბ იშვიათია):

ინფინიტევი

მყოფადის უარყოფითი

იქიი „მიცემა“

იქიი-უქაბ || იქიიქაბ „არ მისცემს“

ვაფეი „წასვლა“

ვაფეი-უქო || ვაფეი-ქო¹ „არ წავა“

იჭი „კეთება“

იჭი-უქაბ || იჭი-ქაბ „არ გააკეთებს“

გაოშუდი ცებ ღურუშლა ქიიუქაბ დუა „ის ერთ მანეთსაც არ მოგცემს შენ“... დენ იშვა დაფეიუქაბ, სანდუ ჩა-თალუ, ხადუ ხანია აფშიდი ხახაბაყუხი „მე სახლში არ წავალ, შენტან წამიყვანეო, თხოვა ხანის ასულმა მათხოვარს“... რეშუქუა! — ბეედუ ჰაჩა-ლალუდი მალა ნასრუდინიხი, რეშუქუაქო! — სიმილა ყორო ჯავაბ იქაუ ქაშაუდი ჩამოდი (ცხენიდან)! — დაუყვირეს ყაჩაღებზე მოლა ნასრედინს. არ ჩამოვალ! გულმოსულად (გული მოიყვანა-რა) პასუხი მისცა ამან“... იშიი რელ'იუქალ, ჰუე იშიიე ბაჰადურ, იშიიბ ჰანლ'ი ვიეო, იშიიბ ჰანლ'ი ვახო, იშვა ჩიქადა! ჩეენ არ წავალთ, ის ჩეენი გმირი, ჩეენს სოფელში დაბადებული, ჩეენს სოჯელში გაზრდილი შინ თუ არ წაიყვანეთ!“

ქაბ-, -უქაბ ამოსავალ სახედ ჰუქაბ-ს გულისხმობს, რაც ხუქაბის სახით დღესაც გვხვდება და „არ-ყოფ“ -ს უდრის (ნიმლეობაა). ამრიგად, მყოფადის, როგორც დადებითი (იხ. ზევით), ისე უარყოფითი ფორმის ნიშანი ბოთლიხურში მიმლეობიდან მომდინარედ გვესახება.

უარყოფით ფორმას, ბუნებრივია, კილოებიც გააჩნია. უარყოფითი ბრძანებითი (ანუ უკუთქმითი ბრძანებითი) იწარმოება ზმნის ფუძეზე -ა-ბასიი სუფიქსის დართვით. ამასთან, თუ ზმნის ფუძე ნაზალურ ხმოვანს შეიცავს, იგი სუფიქსისეულ ბ-ს მ-დ აქცევს (ასიმილაციის ძალით), ნაზალობა კი იკარგება.

ქვარდაბასიი! „არ წერო!“; ჰიტეაბასიი! „არ თქვა!“; ხაუდაბასიი! „არ დალიო!“; ვამასიი! „არ წახვიდე!“

ვიცოქურუ ჰიბდი ვუკი ვიხალა, ლვაბასი! „სიკვდილისა თუ შეგეშინდება (ზედმიწ.: სიკვდილისაგან შეშინებით ყოფნა თუ ნახო) ნუ წამოხვალ!“... ვორე, მინ ჰიბდაბასიი! ჰელუა ჯავაბ იშქურ იქიი-ქაბ! „ჰეი, შენ ნუ შეგეშინდება! მათ პასუხს მე გავცემ!“... მინ იშ-გა ვამასიი, ჰალ'ა ვილი „შენ შინ არ წახვიდე, აქ გაჩერდი“... კავანდაბასიი ჰუე, ანშიი ეოლ'ალა ვილიდერა „არ მოკლა იგი, ჯერ გავიგოთ ვინაა (პირველად ვინცაა გაგებამდე)“.

¹ ქო — ქუ-ვ.

ამრიგად, განურჩევლად ზმნის გარდამავლობისა, ბასიი ფორ-
მანტს წინ პუდამ ა უძღვის.

-ბასიი რთული სუფიქსია, ბრძანებითის ნიშანი -ბა-ა, რომე-
ლიც წართქნითშიაც გვხვდება რამდენიმეგან (ვუკუ-ბა! „იყავ!“
ვა-მა! (← ვაჰ-ბა!) წადი! ღო-ბა! (← ღვა-ბა!) „მოდი!“ სი- კი უარ-
ყოფითობის მაწარმოებელი ჩანს.

პირობითი კილოს უარყოფით ფორმაში იგივე -ლა და
-ხვალა სუფიქსები გვხვდება, ორივე მათგანი ნამყო დროის უარ-
ყოფით ფორმას ერთვის:

ლიქალა „თუ არ მოვა“, „რომ არ მოვიდოდეს“... ბუკიქალა
„თუ არ არის“ || „არ იქნება“, „რომ არ იყოს“ || „არ იქნებოდეს“...
გვარდიქალა „თუ არ დაწერს“, „რომ არ დაწერდეს“... ღიქახვა-
ლა „რომ არ მოსულიყო“ ბაყიქახვალა „რომ არ წაეკითხა“...
ბუკიქახვალა „რომ არ ყოფილიყო“.

ერხადალ მინ ქაბ ქანი ბეთიქალა, ახარა ახატჷუსაუ მინ შამი-
ლიდი კავანდე „ან სალამოს შენ ამ სოფელს თუ არ დატოვებ,
ხვალ დილით შამილი მოგკლავს“... ნაგაპ დიღლა ქიქალა არსი,
იშქურ ბიშიი ორსაა ზაპირ იპიკალ „თუ მეც არ მომცემთ ფულს, მე
თქვენ გაგამხელთ“ (ზედმიწ.: „გარეთ ცხადს გყოფთ“)... დუჷ ქაბლა
ბილიქალა, იშქურ დუბ ღვანი ბუყი ილა „შენ ესეც თუ ვერ შეს-
ძელი, მე შენ თავს მოგჭრი“... ჰურტა ღამიდი, ბელალა — მიწა ბე-
ლიქალა—ბუტა ბუკე „ქაკალი საჭმელად თუ მწიფეა,—ტკბილია, თუ
არაა მწიფე — მწარე არის ხოლმე“... აჰამად ქალა ვუკიქალა,
ღენლა ღი ვუქა დუქუ სანდუ „აჰამადი აქ რომ არ იყოს, მეც წამო-
ვიდოდი შენთან ერთად“... დოშაუბ ქაშთუბ გვანზი ქათუ ბუკიქა
ბუქახვალა, ჰურჰი ვუკიქა „მას ასეთი კარგი ცხენი რომ არ ჰყო-
ლოდა, არ იამაყებდა“... სუნი მინ რიტაჰულა შიჷ იბხიქახვალა,
იღივ იმა ვიყი ვუქა „გუმინ შენ ირმის რეე რომ არ მოგეტანა,
ჩენი მამა მოკვდებოდა“.

ნატვრითი კილოს უარყოფითი ფორმები იშვიათად იხ-
ნარება, იწარმოება იგი ამგვარად: ნამყო დროის უარყოფით ფორ-
მას -ბუ სუფიქსი ერთვის:

გვარდიქაბუ „არ გეწეროს“... ბიყიქაბუ „არ მომკვდარიყო“...
ბეტეიქაბუ „არ გეხნას“... მისიქაბუ „არ გენახოს“.

ლაჷენილალუ კადალა ი ბეჰემა, მინ ინდაკვალა ლაჷენი ხაუდი-
ქაბუ „წყლის გულისათვის ტირილი შეიძლება? არასოდეს არ გეს-
ვას წყალი!“... დუჷ ჰუმრუ მისიქაბუ, გუჷ ბეთა! „სიცოცხლე არ
გენახოს, დაწყნარდი!“ (ზედმიწ.: „ხმაურობა მიატოვე, ნუ ხმაურობ“).

ბოთლახური ენა მიმღეობებით მდიდარია: ყველა ძირითად დროს, აგრეთვე აღწერით ნაწარმოებ დროებს, აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიმღეობა. მიმღეობა მუდამ გრამატიკული კლასის ნიშნითაა დაბოლოებული. კლასის ნიშნის წინ (გარდა ნამყო დროის მიმღეობებისა) ჩაირთვის -ხა, -ხო ან -ლ'ა ნაწილაკი¹, რომლებიც წარმოშობით არააცოცხალთა და ცოცხალთა კლასის გადმოძღვები უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამჟამად მათი ეს ფუნქცია მიმღეობებში დაჩრდილულია.

უარყოფით ფორმათა მიმღეობებში უარყოფითობა გადმოიცემა ჰ ელემენტით.

მიმღეობის ყველა ფორმა (გარდა ნამყო დროის მიმღეობისა) აღწერითია წარმოშობით (ძირითად ფორმას ემატება „მყოფი“ და მისთ.). ორგანულად ნაწარმოებ მიმღეობებთან ერთად განვიხილავთ „აწმყო-კონკრეტულის“ მიმღეობას (კვარდათა-ხობ და მისთ.), რამდენადაც ეს ფორმა იხზარება მეშველი ზმნის გარეშეც (შდრ. კვარდათა იდახობ „რაც იწერება“, წარმოადგენს მიმღეობას აღწერითი აწმყო-კონკრეტულის კვარდათა იდა ფორმისა).

-ხა, -ხო, -ლ'ა ნაწილაკთა მნიშვნელობა არ არის მუდამ ცხადი, გავეცნოთ რამდენიმე მაგალითს (თარგმანი მიახლოებითია).

კვარდათა-ხო-ბ (აწმყო-კონკრეტულის მიმღეობა) „ის, რაც ამ წუთას იწერება“.

კვარდათა-ლ'ა-ჲ² (აწმყო-კონკრეტულის მიმღეობა) „ის (ქალი), ვინც ამ წუთას წერს“.

კვარდი-ხა-ბ (აწმყო, resp. აწმყო-ზოგადის მიმღეობა) „ის, რაც იწერება (საერთოდ)“, კვარდი-ხა-ჲ „ის (ქალი), ვინც საერთოდ წერს, მწერალი“, კვარდი-ხო „ის (კაცი), ვინც საერთოდ წერს, მწერალი“, კვარდი-ლ'ა-ჲ (აწმყო, resp. აწმყო ზოგადის მიმღეობა) „ის (ქალი). ვინც მზადაა დაიწყოს წერა“.

როგორც ვხედავთ, აქ -ლ' და -ხ ელემენტები უკვე არ მიუთითებენ ცოცხალთა და არააცოცხალთა კლასებზე.

კვარდი ხო-ბ (მყოფადის მიმღეობა) „დასაწერი, რაც დაიწერება“, კვარდი-ლ'ა-ჲ „ვინც (ქალი) დაწერს“ (იხ. ზემოთ ეგვევ ფორმა).

¹ შდრ. აგრეთვე „სიტყვაწარმოება“ და -ხა, -ლ'ა, კ- ნაწილაკების შესახებ

² სიტყვაწარმოების მოგვყავს II გრამატიკული კლასის ფორმა, რადგანაც I კლასში ა + ვ მუდამ ო-ს იძლევა.

1. მიმღეობათა წარმოება. აწმყო-კონკრეტულის მიმღეობა იწარმოება აწმყო-კონკრეტულის ფორმისაგან (ილა-ს გარეშე) -ხო-ბ და -ლ'აბ სუფიქსების დართვით: ბეტათა-ხობ „ის, რაც იხვენება“, ვეტათა-ლ'ო (← ვეტათალ'ავ) „მხენელი“ (I კლასი), ეტათალ'აჲ „მხენელი“ (II კლ.), განდათა-ხობ „რაც იწვევა“, განდათა-ლ'ო „რაც წვეს, მწვეელი“ (I კლ.), განდათა-ლ'აჲ „მწვეელი“ (II კლ.), იპათა-ხობ „მკეთებელი“, „რაც კეთდება“.

ებხულა მინ იპათახობ „რას აკეთებ შენ“? (ზედმიწ.: „რას, შენ (რომ) მკეთებელი“)... გოშაუდი ჰიტეუ: ჰაბ მინ მასათახობ ნა ბი-ტი ილა-თალუ „მან თქვა: ეს შენი ნათქვამი („რასაც ახლა ამბობ“), ამბავი სწორიაო“... მინ დენ ვიჟათახობ მუსეკუე ხვასარ იპუ „შენ მე სასიკვდილო ადგილისაგან გადამარჩინე“... ვაჰი! ჰაბ ბელ'ათახობ ნა ებხულა! „ბიკოს, ეს მომავალი (რაც მოდის) რა არის?“... მაქ-ვა იპათალ'აჲ ჯეში დუჲ აცუი ლ'იკიმა? „საქმლის მკეთებელი (ვინც ამ წუთას საქმელს აკეთებს) ქალი შენი და არ არის?“

უარყოფითი ფორმები იწარმოება ხუჰაბ, ლ'იჰაბ „არ-მყოფი“ სიტყვების დართვით: ჯვარდათა ხუჰაბ „რაც არ იწერება, დაუწერელი“, ბეტათა ხუჰაბ „რაც არ იხვენება, მოუხვენელი“, იპათა ხუ-ჰაბ „რაც არ კეთდება, გაუკეთებელი“, ჯვარდათა ლ'იჰაჲ „ვინც არ წერს (ქალი)“, ჯვარდათა ლ'იჰო „ვინც არ წერს (მამაკაცი)“.

ხუჰაბ და ლ'იჰაბ დამოუკიდებელი სიტყვებია (მიმღეობები) და ნიშნავს „არ არსებული“, „არ მყოფი“ (ხუჰაბ — არაცოცხალ-თათვის გვაქვს, ხოლო გუჰაბ — ორივე კლასისათვის). ბეტათა ხუჰაბ ხურიდი დუჲ ებკვალა ხაირ ქაეუჰი „ყანა, რომელიც ახლა არ იხვენება, არავითარ სარგებლობას არ მოგცემს“.

აწმყო ს (აწმყო ზოგადის) მიმღეობა იწარმოება ინფინიტივ-ზე -ხაბ, -ლ'აბ სუფიქსების დართვით.

ჯვარდ-ი-ხაბ „რაც იწერება“, „საწერი“
 ლამდ-ი-ხაბ „რაც იკმება“, „საქმელი“
 ხაუდ-ი-ხაბ „რაც ისმება“, „სასმელი“
 ბეტ-ი-ხაბ „რაც იხვენება“, „სახენელი“
 არჟ-ი-ხაბ „რაც სველდება“

სხვა კლასები: ჯვარდიხო „ვინც წერს“ (I კლ.), ჯვარდიხაჲ „ვინც წერს“ (II კლ.), ლამდიხო „ვინც კამს“ (I კლ.), ლამიხაჲ „ვინც კამს“ (II კლ.), ხაუდიხო „ვინც სვამს“ (I კლ.) და ა. შ. არ-ეიხო „ვინც სველდება“ (I კლ.), არჟაჲ-ხაბ „ვინც, რაც ასველებს“ (კაუხ.).

ასევე გვაქვს: ჯვარდილ'აა „ვინც საწერად ემზადება“ (II კლ.), ხაუდილ'აა „ვინც სასმელად ემზადება“ (II კლ.)... ლ'ა-იან ფორმებს, როგორც ვხედავთ, განსხვავებული ნიუანსი აქვთ („წერად მყოფი“, „სმად მყოფი“).

მაგალითები წინადადებებში:

ჭუბ ხ'აგილ'აუ ჰინუ ბუკა იდა ხაუდიხაბ ლ'ენი „იმ ქვაბში იყო სასმელი წყალი“.

ჭურიუდი ჰიტაუ გოვ ჰიტაა დუნელა ჰანტუკა რიქ'იხო, ჰიტაი დუნელექუ ებჭალა ნალარ აჰიხო ვა ბელიხო ჰეკვაშაუდი „მაშინ თქვა ქვედა სამყაროს ყურის მგდებელმა, ქვედა ქვეყნიდან (ე. ი. ქვესკნელიდან) ყველაფრის გამგონე და მცოდნე კაცმა“.

დენ იდა ქუთაქალდა (ასეა! ხუნცურია) ჩუჰიხო ჰეკვა „მე ვარ სწრაფად (ძლიერ) მორბენალი კაცი“.

გოვ ხვაბუ სხარდახხო ჰეკვა ვაჟა „ის წისქვილის მატრიალებელი კაცი წავიდა“.

ჰიბ-ჰიბ რეჰადი ჰულ'აა რუშერუ ცე-ცებ იმჟუ ქამივ მისიხაბ ბუკა „ყოველ ღამე იქ ხეს თითო-თითო ვაშლი რომ აკლია, ხედავდა თურმე (მნახველი ყოფილა)“.

დოვ ჰეკვა იდა დია ქალათ ჯვარდილ'ო „ეს კაცი დამიწერს მე წერილს (ეს კაცია ის, რომელიც ეს-ესაა წერილს დამიწერს)“.

მაკი ჰაბდილ'აა ილუხი ჰიდი „ბავშვის საცემრად მომზადებულ დედას შეხედე! (შეხედე დედას, რომელიც ეს-ესაა ბავშვის სცემს)“.

აწმყო-ზოგადის მიმდგობათა უარყოფითი ფორმები იწარმოება ინფინიტივზე -ხი-ჰ-ა-ბ, -ლ'ი-ჰ-ა-ბ სუფიქსების (სიტყვების) დართვით:

ბეტეიხიჰაბ „რაც არ იხენება (საერთოდ), უბუნელი“, ჯვარდიხიჰაბ „რაც არ იწერება (საერთოდ), უწერელი“, ბაჟიხიჰაბ „რაც არ იკითხება (საერთოდ), წაუკითხველი“, ბეტაილ'იჰაა „ვინც მალე არ მოხნავს“, ჯვარდილ'იჰაა „ვინც მალე არ დაწერს“, მაჟილ'იჰაა „ვინც მალე არ წაიკითხავს“.

ეჭელ ჰალალა, ახარა ჰალიხიჰო ჰეკვა იდა ჰავ „დღეს თუ ვნახე, ხვალ ვერ ვნახავ, ისეთი კაცია ეს“ (ე. ი. ეს ისეთი კაცია, რომ, ალბათ, დღეიდან არსად შემხვდება)... ჰულ ცელუჟ-ცელ ბუჟიხიჰალ რუკა იდა „მათ ერთმანეთისა არ სჯეროდათ თურმე (ისინი ერთმანეთის არ დამჯერნი ყოფილან)“... დენ ველიხიჰომა ვუკა გოშაუჟ „ის განა არ მიცნობდა მე? (ჩემი არ-მცნობი იყო თვითონ?)“... ტორგუ ზამანდი ილა-იმა, ჰანი-უნმაი ჰაშაუჰუ რაკ-

ვარკურუ მაყიხიკაბ ბუკა იდა „დიღხანს დედ-მამა და სამშობლო მხარე გულიდან არ შორდებოდა თურმე“ („დიღხანს დედ-მამა სოფელ-მიწა მისი გულიდან არ-წამსვლელი ყოფილა“)... ეფელ'ილა იდა ჰალ'ა თარუზ განდილ'იკო ჰეკვა „ვინ არის აქ პაპიროსის არ-მწვეელი კაცი? (ვინაა ისეთი, რომელიც სულ ახლახან არ მოსწევს პაპიროსს?“).

მყოფადი დროის დადებითი ფორმის მიწლეობა იწარმოება ინტინიტივზე -ზო-ბ, ლ'ა-ბ სუფიქსის დართვით.

ჯვარდისო-ბ „საწერი, რაც დაიწერება“, ბეტისხოზ „სახნავი, რაც მოიხვნება“, ნალამდიხოზ „საქმელი, რაც შეიქმმება“, ჰალიხოზ „სანახავი, რაც დაინახება“.

-ლ'ა-ბ სუფიქსიანი მიმლეობები გარეგნულადაც და შინაარსითაც სრულიად ემთხვევა აწმყო-ზოგადის -ლ'ა-ბ-იან მიმლეობებს (ასეა უარყოფით ფორმებშიც), ამიტომ მათზე არას ვიტყვი.

გოვ რუჰედი იპავაჰიხო ჰეკვა იდა, გომშუდი ბეტისხოზ ხურილა გვანზი ბუკიკაბ „ის ღალიან მუშა კაცია, მის მიერ მოხნული ყანაც (რომელსაც ის მოხნავს) კარგი (ღალიანი) იქნება“.

ჰენა წუღღურივ ეუკუბა! ჰალიხოზ ჯართიხი ცებლა რაშა მას-აბასი! „ახლა ფრთხილად იყავ! როკაპს, რომელსაც ნახავ, ერთი სიტყვაც არ უთხრა!“

საინტერესოა, რომ რიგით რიცხვით სახელებში (გარდა „პირველისა“) ეგევე -ზოზ, -ლ'აზ სუფიქსები გვხვდება:

კეახოზ	კეალ'აზ	„მეორე“	(კედა „ორი“)
ჰაბუახოზ	ჰაბუალ'აზ	„მესამე“	(ჰაბუდა „სამი“)
ბულუახოზ	ბულუალ'აზ	„მეოთხე“	(ბულუდა „ოთხი“)
იშთუახოზ	იშთუალ'აზ	„მეხუთე“	(იშთუდა „ხუთი“)

განსხვავება ამ ორ სუფიქსს შორის არ ჩანს, თუმცა საეკვოა ზუსტად ერთნაირი იყოს.

მყოფადი დროის მიმლეობათა უარყოფითი ფორმა -ხუ-ჰ-ა-ბ, -ლ'ი-ჰ-ა-ბ სუფიქსებით გადმოიცემა. ორივე ინტინიტივს ერთვის (-ლ'იჰაბ-იან მიმლეობაზე იხ. ზემოთ).

- ბეტისხუჰაბ „არ-სახენელი“, „რაც არ იხვნება“
- ჰიტისხუჰაბ „არ-სათქმელი“, „რაც არ ითქმის“
- განდიხუჰაბ „არ-საწვეი“, „რაც არ მოიწვევა“
- ბაყიხუჰაბ „არ-საკითხავი“, „რაც არ წაიკითხება“
- ხაუღიხუჰაბ „არ-სასმელი“, „რაც არ ისმება“

ხუცაბ(+ || ივ) ბეტახუტაბ ხური ებკვალა ფაჲდა ქიეუქი „კარგად მოუხვნელი (რომელიც არ მოიხვნება) ყანა არავითარ სარგებლობას არ მოგვცემს“.

ნამყო დროის მიმღობათა დადებითი ფორმები იწარმოება ზმნის ფუძეზე -ა-ბ (ხმოვანი + კლასის ნიშანი) სუფიქსის დართვით:

ბეტაბ „მოხნული“, „ვინც მოხნა; მხვნელი“, ხაუდაბ „შესმული“, „ვინც შესვა; მსმელი“, ჯვარდაბ „დაწერილი“, „ვინც დაწერა; დამწერი“, ჰიტაბ „ნათქვამი“, „ვინც თქვა; მთქმელი“, ჰალაბ „ნანახი“, „ვინც ნახა; მნახველი“.

ზაგალითები წინადადებებში: ლაბა გოჲ დჲჲ ჰალაჲ ადამ დჲჲ ჩი! „მოლი, ის შენი ნანახი ქალი შენ შეირთე!“... ინშუჲდი კჲვანდო ჰეკვა ინშუჲდა ვაციჲ ვუკა -მის მიერ მოკლული კაცი თავისივე ძმა იყო“... ჰურიჲდი ბეხუტუ ღვაბ კათუ ბილუ „ამ დროს უკან მომავალი ცხენი გაჩერდა“... ღიბირიღი მასაბ ხაბარ ბიტი იდა ხუმი? „მოლას მიერ ნათქვამი ამბავი მართალია?“... ჰენა გამილ'ი ქანდოხთურღი მაწაჲ იდა გო კეწალილ'ი იშთუდა რეშიღი გოლ'აჲ ვუკო ჰეკვაშაუხი „ახლა გემიან კაპიტანმა (კონდუქტორმა) ჰკითხა იმ ოცდახუთ წელიწადს მანდ ნამყოფ კაცს“¹.

ნამყო დროის მიმღობათა უარყოფითი ფორმები იწარმოება ზმნის ფუძეზე ი-ჰ-ა-ბ სუფიქსის დართვით².

ჯვარდიჰაბ „დაუწერელი, ვინც არ დაწერა“... ბეტაჰაბ „მოუხვნელი, ვინც არ მოხნა“... ლამდიჰაბ „შეუქმელი, ვინც არ შექმამა“... ბიციჰაბ „ვინც არ მოკვდა“... მაყიჰაბ „ვინც არ მოვიდა“.

შამილიჲ ყორო იდა ბელი ჰაჲჯი-მურადიღი შურესაჲ ინირა-ლიჭურუ ქუმოქ ხადაბ, ხადიჰაბ „შამილს უნდოდა გაეგო, ჰაჯი-მურადმა თემირ-ხან-შურელ გენერალს დახმარება სთხოვა თუ არა (ნათხოვნი არ ნათხოვნი)“.

ღიჲ ეჰელ ინდაკვალა ჰალიჰაბ ჯვაიჲ ჰალა „მე ღღეს ისეთი თევზი ვნახე, როგორიც არასდროს მინახავს (არასდროს არ ნახული თევზი ვნახე)“.

¹ როგორც ვთქვით, ამ დროს ლ' || ხ-იანი მიმღობა იშვიათად აქვა. მაგალითები: ჰინჰულ'ი რუშიტეი ვარახულ'ო ჰეკვა ჰალა ჰირჰაჲ „მსხლის ქვეშ მწოლარე კაცი ზე წამოდგა“... ღენ იდა ჰიტაჲ დუნელა ჰანტუკა რიჰაულ'ო ჰეკვა „მე ვარ კვედა სამყაროს ყურის მგდებელი კაცი“. აქ -ლ'აბ, საფიქრებელია, ნამყოს კი არა, აბსოლუტურს ერთვოდეს.

² ანუ სხვაგვარად: ნამყო დროის უარყოფითს ფორმას კლასის ნიშანი ემატება.

ჰაბ ბეტეიკაბ ხური ლ'ებბხულა? „ეს მოუხენელი ყანა ვისია?“

2. შენიშვნები მიმღეობათა შესახებ. მხოლოდ ნამყო დროის მიმღეობაა მარტივად ნაწარმოები. ყველა სხვა მიმღეობა ისტორიულად აღწერით ფორმას წარმოადგენს (ძირითადი ზმნა + მეშველი ზმნის მიმღეობა: -ხაბ, -ხობ, -ლ'აბ; უარყოფით ფორმათათვის ხუქაბ, ლ'იქაბ და მისთ.)... ეს გარემოება ახლაც კი საგრძნობია ბოთლიხურად მეტყველისათვის¹.

მიმღეობა იბრუნვის ისევე, როგორც კლასის ნიშანზე დაბოლოებული ზედსართავი სახელი: თუ მიმღეობას სუფიქსად I კლასის ნიშანი მოუდის, — შაჟ ელემენტს ჩაირთავს, II და III კლასის ნიშანთან კი — ლ'აჰ-ს. მრავლობით რიცხვში დაბოლოება არის ლ და, ამრიგად, აქაც ზედსართავ სახელებს მიჰყვება:

I კლ.	II კლ.	III კლ.	მრ. რ.
სახ. ვიცო. „მკვდარი“	დიცაჲ	ბიცაბ	რიცალ
ერგ. ვიცო-შაჟ-დი	დიცა-ლ'ი-დი	ბიც-ა-ბ-ლ'ი დი	რიცალ-უ-დი

მიმღეობა იხმარება მსაზღვრელად (ჩვეულებრივად წინ უსწრებს საზღვრულს). ის იბრუნვის მაშინ, როცა დამოუკიდებლადაა ნახმარი (როგორც არსებითი სახელი). მიმღეობა გამოყენებულია რთულ დამოკიდებულ წინადადებათა საწარმოებლად.

მიმღეობას მუდამ აქვს კლასის ნიშანი და იგი მუდამ სუფიქსია, ხოლო თუ ზმნას თვითონაც ჰქონდა იგი (პრეფიქსი), მაშინ მიმღეობაში ორი კლასის ნიშანი აღმოგვაჩნდება — ერთი თავში, ერთიც — ბოლოში (შდრ. ჰვარდაბ „დაწერილი“ და ბიცაბ „მკვდარი“). რას აღნიშნავს თითოეული მათგანი? ამის გარკვევა მჭიდროდაა დაკავშირებული გარდამავლობისა და გვარის საკითხებთან. სუფიქსისეული კლასის ნიშანი თითქოს სუბიექტს უთანხმდება, განურჩევლად იმისა, ზმნა გარდამავალი თუ გარდაუვალი შინაარსისაა. პრეფიქსისეული ნიშანი რეალურ ობიექტს უთანხმდება, თუ ზმნა გარდამავალია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი — სუბიექტს. აქედან ჩანს, რომ გარდაუვალ ზმნას მხოლოდ სუბიექტის (ქვემდებარის) აღნიშვნა ეალუძს, თუნდაც მიმღეობას ორი კლასის ნიშანი ჰქონდეს (ორივე ერთსა და იმავე სახელს შეეწყობა — ნიშნები ერთგვარი იქნება), გარდაწავალს თითქოს სუბიექტის აღნიშვნაც შეუძ-

¹ მაგ., იდალ'აჲ „საყვარელი“ (II კლ.) ნიშნავს არა ხუნდ. მოტყუღე-ს, არამედ მოტყიხე დიგჲ-ს („ყვარებად იყოფი“) და მისთ.

ლია და ობიექტისაც (კლასის ნიშნები ერთგვარნი იქნებიან — თუ სუბიექტი და ობიექტი ერთი და იმავე გრამატიკული კლასის სიტყვებია, ან სხვადასხვაგვარნი — თუ სუბიექტი და ობიექტი სხვადასხვა გრამატიკული კლასის სიტყვებია).

ზმნა გარდაუვალია, ორივე კლასის ნიშანი სუბიექტისაა:

ვიცო „მკვდარი“ (I კლ.), დიჯა „მკვდარი“ (II კლ.), ბიჯაბ „მკვდარი“ (III კლ.), რიჯალ „მკვდრები“ (სულიერნი).

ზმნა გარდამავალია, პრეფიქსი ობიექტისაა, სუფიქსი—სუბიექტისა:

ა-ეთ-ო „კაცი, რომელმაც დატოვა ქალი“... ბ-ეთა-ა „ქალი, რომელმაც დატოვა რალაც (ან ცხოველი)“... ვ-ეთა-ა „ქალი, რომელმაც დატოვა მამაკაცი“.

საკმარისია გარდამავალი ზმნის მიმღეობას კლასის ნიშნები ერთნაირი აღმოაჩნდეს, რომ მან გარდაუვალი მიმღეობის ხასიათიც შეიძინოს:

ბეთაბ 1. „ცხოველი (ან ნიეთი), რომელმაც დატოვა ცხოველი (ან ნიეთი“, 2. „დატოვებული (ცხოველი ან ნიეთი)“.

აეთაა 1. „ქალი, რომელმაც დატოვა ქალი“, 2. „დატოვებული (ქალი)“.

ვეთო 1. „კაცი, რომელმაც დატოვა კაცი“, 2. „დატოვებული (კაცი)“¹.

ასე რომ, იმის გასაგებად, მოქმედებითი თუ ვნებითი გვარის შინაარსისაა მიმღეობა, ცალცალკე არც კლასის ნიშანთა ანალიზი და არც ზმნის სემანტიკა საიმედო საყრდენს არ იძლევა². მით უმე-

¹ დენ კვანდიკვა ვეთოშეჲ ცუბალა ბარქალა ხუქი! „ვინც მე არ მომკლა, მადლობას არ ვეტყვი!“ („ჩემს მოუკვლელად დამტოვებელს ერთი მადლობაც არა“)... გოლ'ა ვეთო ჰეკვა ვიჯა „მანდ დატოვებული კაცი მოკვდა“.

² განსხვავებული კლასის ნიშნების ხმარება პრეფიქსსა და სუფიქსში მუდამ მოქმედებითი გვარის მიმღეობაზე როდი მიუთითებს. მაგ. „ერთპირიანი“ ზნეები ბუქი „ყოფნა“, ბაწი „მიღწევა“, ბიჯი „კვდომა“ და სხვ. აწარმოებენ ააეთ ფორმებს: ვუკაბ, ვიჯაბ, ვაწაბ... და არც ერთი მათგანი მოქმედებითი გვარის არაა... ფარჩაჰ ვუკაბ რიჰუდი „მეფის დროს“ („მეფე მეფე დროს“)... მინ ვიჯაბ მუსე რიჯი იშვი სანდუ ღი იდა „რათა იქ მოკვდეთ, სადაც შენ მოკვდები, ჩვენ თან წამოგყვებით“ („შენ მოკვლულ ადგილას სასიკვდილოდ ჩვენ თან წამოვალთ“)... ჰულ'ა ვაწაბ ზამანადი მისა დია ცუბ რუშა „იქ რაჲმ შივედი, ერთი ხე ვნახე“ („იქ მისულ დროს ვნახე მე ერთი ხე“).

ტეს, ეს ითქმის მაშინ, როცა მიმღეობას მხოლოდ სუფიქსად აქვს კლასის ნიშანი და მოცემული ზმნა-იგუებს როგორც მოქმედებით, ისე ვნებით შინაარსსაც. მაგ. ჰალო — შეიძლება ნიშნავდეს „ნანახი“ (კაცი) ან კაცი, რომელმაც ნახა (რა ნახა, ეს არა ჩანს), მაგრამ ჰვარდაბ მხოლოდ „დაწერილს“ ნიშნავს, ჰვარდაბ მხოლოდ „დამწერს“ (ვინაც დაწერა), რადგან ამ ზმნის შინაარსი გამოორიცხავს მოქმედ სუბიექტად III კლასს და ობიექტად I—II კლასებს. ეს უკანასკნელი შემთხვევა გვიჩვენებს, რომ გარდამავალი ზმნის ერთკლასიანი მიმღეობები, თუმცა ერთადერთი კლასი აქვს აღნიშნული, შეიძლება მოქმედებით გვარადაც გავიგოთ და ვნებითადაც. საკითხს კონტექსტი სწყვეტს.

მიმღეობის სუფიქსური კლასის ნიშანი სავსებით ისევე, როგორც ზედსართავი სახელისა, უთანხმდება მომდევნო სიტყვას (ქვემდებარისა თუ დამატების აღნიშვნა მისი ფუნქცია არაა), პრეფიქსული კლასის ნიშანი კი ისევე ასახავს რეალური სუბიექტისა თუ ობიექტის კლასს, როგორც ის ზმნა, საიდანაც სათანადო მიმღეობაა ნაწარმოები. ეს გასაგებია: მიმღეობა ხომ ნაზმნარი ზედსართავია და მისი ორბუნებიანობა აქ კარგად ჩანს.

სიტყვაწარმოების შესახებ

ბოთლიხურში სიტყვაწარმოების საშუალებანი რაოდენობის მიხედვით არც თუ ცოტაა, მაგრამ მათი გამოყენება ვიწროდაა შემოფარგლული.

-ლაბ (III კლ., I კლ. ლო, II კლ. ლაბ და ა. შ.), მიერთვის სიტყვას (ჩვეულებრივად ზედსართავ სახელს) და აძლევს მნიშვნელობას „ერთი (ან რამდენიმე)-თავანი“. მაგ., ვეკუხა ვაცაი „დიდი ძმა“, ე. ი. „უფროსი ძმა“ — ვეკუხა-ლო ვაცაი „უფროსთავანი ძმა“, ე. ი. „ის ძმა, რომელიც სხვა ძმებთან შედარებით უფროსია“... ავეკუხაღაბ ავეში „უფროსი ქალიშვილთავანი“ („უფროსთავანი ქალიშვილი“)... ცელო (II კლ. ცელაბ, III კლ. ცელაბ) „ერთი იმათავანი“. ამგვარად ნაწარმოები სიტყვა იბრუნვის შაჟ და ლ'ჟი

სამივე ზმნა გარდაუვალია, სუბიექტი ყველგან I კლასშია და კანონზომიერადაა პრეფიქსად ვ. მაგრამ ბოლოშიც ხომ ვ უნდა ყოფილიყო? როგორც ჩანს არა. მართლაც, თუ ამ მიმღეობებს ზედსართავებად გავიგებთ, ცხადია, მისი დაბოლოება საზღვრულს უნდა შეუთანხმდეს და უთანხმდება კიდევ!

ელემენტების „ჩართვით“: სახ. ცელო (II კლ. ცელაჲ), ერგ. ცელო-შეული (II კლ. ცელაჲლ'იიდი), ნათ. ცელოშეუბ (II კლ. ცელაჲლ'ილი), მიც. ცელოშეუჲ (II კლ. ცელაჲლ'იიჲ) და ა. შ.¹

-სეუბ (ბ კლასის ცვლადი ნიშანია. ხშირად ეკვეცება). აწარმოებს ზედსართავ სახელებს (ჩვეულებრივად არსებითი სახელებისა და ზმნისართებისაგან. არსებითი სახელი ირიბ — ლოკატიურ — ბრუნვებში დგას ხოლმე). მაგ., იმუ-ჭუ-სეუბ „მამისეული ის, რაც მამას აქვს“ (იმუჭუსეუბ არსი „ის ფული, რომელიც მამას აქვს, მამისეული ფული“). სეუბ აქ დაერთო -ჭუ ლოკატივში დასმულ ფორმას. ბეება-ხი-სეუბ „მთიელი“, „მთისეული“, „მთიდანია“, „რაც მთისაა“. სეუბ დაერთო მრ. რიცხვში -ხი ლოკატივით გაფორმებულ ფუძეს (ბეელ „მთა“, ბეებალ'ი „მთები“, ბეებახი „მთებთან“, „მთებში“).

ასევე: ჰეცა „ზევით“ — ჰეცა-სეუბ „ზედა“, „ზევითა“ („ზემოური“), ჰიტჷი „ქვეშ“ — ჰიტჷი-სეუბ „ქვედა“, „ქვევითა“ („ქვემოური“). სეცა „წინ“ — სეცა-სეუბ „ზედა“, „ზევითა“ („ზემოური“)². აქედანვეა ჰეჷისეცასეუბ || ჰეჷისეცესეუბ || ჰეჷისეცესეუბ „პირველი“ (ზედმიწ.: „ყველაზე წინა“)³.

-ლ'ი ზოგადობის სუფიქსია, აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს: ცებ-ლ'ი „ერთობა, ერთიანობა“ (ცებ „ერთი“), ქუნტეკვა-ლ'ი „ვაგეაკობა, სიმამაცე“ (ქუნტეკვა — „მამაკაცი“, „ვაგეაკი“). სახელებისაგან -ლ'ი სუფიქსით აბსტრაქტულ სახელთა წარმოება გავრცელებული არაა⁴. აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად ბოთლიხური მასდარს იყენებს (მაგ. ხ'უცაბ-ირ „სიკეთე“, წიომღ-

¹ ბოთლ. -ლა-ბ სუფიქსის ფუნქციით ხუნძური იყენებს კლასის ნიშნის გაორმაგებას: კუდი-აჲ „დიდი, უფროსი“, კუდი-აჲ-აჲ „დიდთაგანი“, „ის, რომელიც სხვებთან შედარებით დიდია“. შდრ. ცო „ერთი“. ცოჲ-აჲ „ერთი მათგანი“ (ამ უკანასკნელ მაგალითში კლასის ნიშანი პირდაპირ დაერთვის ცო „ერთი“ ფუძეს, რომელსაც თავისი კლასის ნიშანი არა აქვს. როგორც ჩანს, ამგვარი წარმოების დროს ხაზგასასმელია არა გაორმაგება კლასის ნიშნებისა, არამედ მისი დართვა).

² ჰეცასეუბ და სეცასეუბ ფორმებში ყ ხშირად ჩაეარდნილია: ჰეცასეუბ — ჰეასეუბ — ჰეცასეუბ; სეცასეუბ — სეასეუბ — სეცასეუბ და მისთ.

³ ხუნძურში ბოთლ. სეუბ სუფიქსის ფუნქციური და მატერიალური ფარდია -სეებ: ეაჷა-სეებ „დღევანდელი“, ცაებე-სეებ „წინა“ (აქედან: ტო-ცაებესეებ „პირველი“, „ყველაზე წინა“. შდრ. ტოლ-გო „ყველა“ და ცაებესეებ „წინა“), ნაჷა-სეებ „უკანა“. ჭანდი-სეებ „ანდიელი, ანდიური“. ეგევე სე უნდა იყოს ხუნძ. სიტყვაში სონ-სეი-ე-აბ „გუშინდელი“ (შდრ. სონ „გუშინ“).

⁴ შდრ. ამ მხრივ ხუნძური, სადაც -ლ'ი სუფიქსით აბსტრაქტულ სახელთა წარმოება ძალიან ხშირია. ბოთლიხურში -ლ'ი ხუნძურიდან ჩანს შემოსული.

ირ „სისუფთავე“, აცვირ „დობა“ სიტყვისაგან აცვი „და“ (იხმა-რება ორმაგი სუფიქსითაც: აცვა-ირ-ლ'ი „დობა“ და სხვ. მრ. იხ. მასლარის წარმოება)¹.

შედარებით ხშირია ლ'ი ნაზმნარ სახელებში: გულათალ'ი „საუბარი, ბაასი“, ვაყა-ლ'ი „სწაელა“, რაყა-ლ'ი „ტანსაცმელი“ (← ზმნისაგან ბ-აყ-ი „ჩაცმა“), ჯადა-ლ'ი || ჯადა-ბ-აპა-ლ'ი „ტირი-ლი“²... ასეთ შემთხვევებში -ლ'ი დაერთვის აბსოლუტივად საგულ-ვებელ ფორმებს (გულათა, ვაყა და მისთ.)³.

-წი, -რწი რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან აწარმოებს ჯგრობას. წი, რწი დაერთვის წმინდა ფუძეს (რიცხვით სახელს -და ნაწილაკის გარეშე წარმოდგენილს). მაგ. ბულუ-და „ოთხი“ — ბულუ-რწი „ოთხჯერ“. ასევე: იშთუ-რწი „ხუთჯერ“, ინლ'ი-რწი „ექვსჯერ“... ჰაწა-რწი „ათჯერ“... ბეშუნუ-რწი „ასჯერ“... რიცხ-ვითი სახელებისაგან კე-და „ორი“ და ჰაბუ-და „სამი“ ამგვარი ფორმები -წი სუფიქსითაა ნაწარმოები, ამასთან ფუძე ფონეტიკურად განსხვავებული სახით წარმოგვიდგება: კამ-წი „ორჯერ“, ჰაბ-წი „სამჯერ“ (იშვიათად აგრეთვე ჰაბუ-რწი „სამჯერ“)⁴.

„ერთხელ“, „პირველად“ გადმოიცემა სიტყვით ანშაელ || ან-შაილ.

-ჰეკუ. რაკი რიცხვით სახელებს შეეხო საუბარი, აქვე მივუ-თითებთ -ჰეკუ „სუფიქსზე“, რომელიც აწარმოებს რთულ რიცხვით სახელებს ასეულებისა და ათასეულების სახელებისაგან. მაგ., ბეშუნუჰეკუ იშთუდა „105“, კებეშუნუჰეკუ ჰაწალ'ი ბულუდა „214“, ჰაჰაბეშუნუჰეკუ ინლ'იწალილ'ი ჰაბუდა „963“, აზარუჰეკუ ჰაწადა „1010“, ჰაბაზარუჰეკუ ბიტაწალილ'ი კედა „3082“, ჰა-წალ'ი ჰაბუაღ'აბ ავეგუსთალ'ი აზარუჰეკუ ჰაჰაბეშუნუჰეკუ ბულ-უწალილ'ი ჰატუაღ'აბ რეშიდი დენ ვუკა მილ'არახი ზამანადი დიბდა ჰაეულ'ი კარტე ჰარჰაახი „13 ავეისტოს 1947 წელს სალამო ხანს მე ვიჯექი ჩემი ალაყაფის კარებთან“.

¹ ამრიგად, აბსტრაქტული სახელი ბოთლიხურშიც და ხუნძურშიც მას-დარია.

² -ლ'ი-ს ამგვარი გამოყენება უნდა მიუთითებდეს ამ სუფიქსის სიძველეზე (resp. ძველ ნასესობაზე) ბოთლიხურში.

³ გვევე -ლ'ი უნდა იყოს მრ. რიცხვის ნიშანთა დაბოლოებაში რომ გვაქვს (-ბალ'ი, -ბდალ'ი და მისთ.). მისი გამოვლინება აქ უნდა აიხსნებოდეს კრები-თობა-ხოგადობისათვის ხახის გასმის სუოვილით.

⁴ ბოთლიხ. -წი, -რწი ხუნძური -წულ (ლ'აბ-წულ „სამჯერ“) სუფიქსის ტოლფარდია.

-ჰეკუ წარმოშობით ცალკე სუფიქსი კი არაა, არამედ ლოკატივის კუ ნიშანზე ეკუ „მეტი, ზედმეტი“ სიტყვის დართვითაა მიღებული (-ჰეკუ-ეკუ → ჰეკუ)¹. არაიშვიათად ყველა მოყვანილ მაგალითში ჰეკუ-ს ნაცვლად ჰუეკუ-ც შეიძლება შეგვხვდეს.

რიცხვითი სახელები 11-დან 99-მდე, როცა ისინი შედგებიან ათეულებისა და ერთეულებისაგან, ათეულის აღმნიშვნელ სახელზე დაირთავენ-ლი-ს, ხოლო მას მოსდევს ერთეულის აღმნიშვნელი სახელი: ჰაწალი ცებ „11“, ჰაწალი კედა „12“, ჰაწალი ჰაბუდა „13“... ჰაწალი ჰაჰადა „19“ (შდრ. ჰაწადა „10“), კეწალილი იშთუდა „25“, ჰაბუწალილი ბულუდა „34“, ბიტაწალილი ბიტა-იდა „88“, ჰაჰაწალილი ინლიდა „96“...

20-დან ზევით, როდესაც ათეულის სახელს დაერთვის ერთეულის სახელი, „ათის“ (ჰაწა-და) აღმნიშვნელი ფუძე გვევლინება როგორც -წალ-. ჰაწა-და „10“, ჰაწა-ლი კედა „12“, მაგრამ ჰაწა-ლი-ლი ჰაბუდა „23“, ინლი-წალ-ლი-ლი კედა „62“...

-რ-ტა (მიარს.-ტა) რიცხვით სახელთა ფუძეებთან გვხვდება: კე-რტა „ორად, ორ ნაწილად“, ჰაბუ-რტა „სამად, სამ ნაწილად“, ბულუ-რტა „ოთხად, ოთხ ნაწილად“ და ა. შ.

-ერხი ზმნურ ფუძეს დაერთვის და გადმოსცემს შინაარსს „ისე ო სწორედ ისე, როგორც (ზმნით გადმოცემული მოქმედება მოითხოვს)“: იჰ-ერხი „სწორედ ისე, როგორც გააკეთა“, მას-ერხი „სწორედ ისე, როგორც უამბო“, -ერხი-ს შეიძლება დაერთოს ადგილობრით ბრუნვათა ნიშნები (გამოსვლითი, გავლითი): იმუდი მასერხიქუ ჰეარდა ქალათ „დაწერე წერილი სწორედ ისე, როგორც მამამ გითხრა“².

-ი აწარმოებს ნასახელარ გარდაუვალ ზნებს, ოღონდ ნაკლებად პროდუქტიულია და ამგვარად ნაწარმოები ფუძე მხოლოდ ნამყო დროში შეგვხვდა (სხვა დროებში აღწერთი წარმოება ცვლის — ბაჰი მეშველზმნიანი). რაკი ნამყო დროისა და აბსოლუტივის ფორმები ერთმანეთისაგან ბოთლიხურში არ სხვაობს, ამნაირ

¹ შდრ. ჭართ. თერთ-მეტი და მისთ. ეკუ ცალკე სიტყვაა ამჟამადაც ხმა-რებული (შეფარდება ხუნძ. ტოკ-აბ — *ტ'ოკ-აბ სიტყვას „მეტი, ზედმეტი“).

² ბოთლიხურის ამგვარ ფორმათა შესაბამისია ხუნძურში — ჯ-ე (ბუჟ-უ-ჯ-ე „სწორედ ისე, როგორც იყო“), რომელიც ლოკატივის ჩვეულებრივი ნიშანია (ჯ — სერის ნიშანი, ე — ადგილობრითი ბრუნვისა). ბოთლიხურის -ერხი, ექვს გარეშეა, იშლება ერ და ხი ნაწილებად. ხი ხ-იანი სერის ადგილობრითი ბრუნვის ფორმაა (შდრ. მაგ., რჟუ-ხი „მამას, მამასთან“), მაგრამ ჰირს ერ სუფიქსის გააზრება (თუ ის არ არის დაკავშირებული მასდარის -ორ სუფიქსთან).

ფორმებს ხშირად ვითარებითი ზმნისართის ფუნქციაც აქვს (აბსოლუტივი || ვითარებითი ზმნისართი). მაგ. ხ^რუყაბ „ქარგი“ აქედან ფუძე ხ^რუყაბ-ი-, ნამყო ი(ე. ი. ნამყოს აბსოლუტივი) ხ^რუყაბი-ვ (← ხ^რუყაბ-ი-უ) „გაკარგდა, ქარგი გახდა“, ზმნისართული გაგებით — „ქარგად“: ხ^რუყაბივ ინქეო „ქარგად აქამა“. ასევეა სურაბ „ცუდი“ — სურაბ-ი-ვ „ცუდად გახდა“, „ცუდად“: გოვ სურაბივ კვაჰაღ ვაჰუ „ის მძიმე (ზედმიწ.: ცუდად) ავად გახდა“, გოვ სურაბივ „ის ცუდი (აღამიანი) გახდა“, „გაფუჭდა“... ადალ „სულელი“: ადალივ „გასულელდა“.

რიგითი რიცხვითი სახელები (გარდა „პირველისა“ — ჰეკისი-ეყასიუბ „ყველაზე წინ მყოფი“) იწარმოება რაოდენობით რიცხვით სახელთა ფუძეებისაგან (-და ნაწილაკის გარეშე) -ხობ და ილ'აბ სუფიქსების დართვით — (ბ კლასის ნიშანია). ი → ჯ ხმოვნის მომდევნოდ: კე-ახობ კე-აღ'აბ „მეორე“ და ა. შ. (იხ. გვ. 134).

ასეთი ფორმა იბრუნვის როგორც ზედსართავი სახელი.

წარმოების ორ რიგს შორის (-ხობ და -ლ'აბ) ამჟამად მკაცრი შინაარსობლივი განსხვავების დამყარება გაძნელებულია (ისტორიულად კი აქ იგივე ელემენტებია, რაც მიმღეობებში გვაქვს ხოლმე და ხშირად ცოცხალთა და არაცოცხალთა კლასების გასარჩევად იხმარება. რიგითი რიცხვითი სახელი მყოფადი დროის მიმღეობის ფორმას წარმოადგენს)¹. მაგალითები:

კეახობ კამუ პირწარიუდი გურტიაშაუდი ჰიტჷუ „მეორე ყან-წი („რქა“) რომ აავსო, ქართველმა თქვა“... ბულუახობ ზიუდი გოვ იშჷა ვაჷა „მეოთხე დღეს ის შინ წავიდა“... სუნი, ჰაწალ'ი ჰაბუახობ ავგუსთალ'ი დენ ვუკა ბუახე „გუშინ ცამეტ აგვისტოს მე ბოთლიხში ვიყავი“... იშუდი ჰუშაუღლა იქაუ ბულუახობ ბეგუნ „მამამ მასაც მისცა მეოთხედი (მეოთხე ნაწილი)“... ბულუაღ'ობ ზიუდი დენ ვაჷი იღა „მეოთხე დღეს მე მივდივარ“.

ბოთლიხურში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კ(უ), ხ(უ) და ლ' ელემენტები, რომლებიც სხვადასხვა ვარიანტითა და მეტ-ნაკლებად ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქციით გვხვდება.

¹ შდრ. ხუნძ. კი-აბილემ „მეორე“ (პრფ. „ორ-სათქმელი“), წარმოება განსხვავებულია ბოთლიხურისაგან, მაგრამ აქაც ნიშნობა გვაქვს მყოფადი დროისა.

კ გვხვდება, ნაწილაკებში, მაგ., -კვალა (იხ.), გვხვდება აგრეთვე, როგორც სიტყვაწარმოების ელემენტი -კობ || -კო-ს სახით (←კვაბ:) და დაერთვის, როგორც სახელურ, ისე ზმნურ. მზა ფორმებს (ე. ი. ნაწილაკისებურ თვისებას იჩენს). მნიშვნელობა დაახლოებით ასეთია: „მყოფი“, „არსებული“: არსი-კობ მუსა ვაყა „ფული მყოფ ადგილისკენ წავიდა“ (ე. ი. წავიდა იქ, სადაც ფული იყო), აქ-კობ დაერთო სახელობითის ფორმას, ჯვარდათა-კო(ბ) რიპული „როცა წერდა“ (ზედმიწ.: „წერს რა მყოფ დროს“). აქ -კო ზმნურ ფორმებს ერთვის. ზმნისართის რიპული (რიული, რუული...) წინ-კო-ს ხმარება იმდენად ჩვეულებრივია, ხოლო ის სიტყვა, რომელსაც -კო დაერთვის, იმდენად თავისთავადია ფორმითაც და მნიშვნელობითაც, რომ კო-რიპული ხშირად ერთ სიტყვად ესმით (ჯვარდათა კორიული!).

ეგვე ელემენტი გვაქვს -კობუ სუფიქსში, რომელიც მიხეზობრიობას გადმოსცემს („რადგანაც“: ბეტე-კობუ „რადგან ხნავს“, იდე-კობუ „რადგან უყვარს“, ლეუჭი-კობუ „რადგან არ მოდის“).

ი-კაბ, რომელიც მყოფადის საწარმოებელია (ჯვარდიკაბ „დავწერ“), საფიქრებელია, რომ განხილულ ელემენტთა წყებაში შემოდის და ყველა მათგანი „ყოფნა“ ზმნის ფუძეს კ-ს (←კვ) უკავშირდება (ბუკი ← *ბი-კვ-ი „ყოფნა“).

მიარსული კილოკავი ყველა ამ სუფიქსსა და ნაწილაკში კ-ს ცვლის გ-თი (მაგ. იპა-გო რიული — საკ. ბოთლ. იპა-კო რიული, ჯვარდი-გო — საკ. ბოთლ. ჯვარდიკაბ, არსი-გო(ბ) — საკ. ბოთლ. არსი-კობ)...

ანალოგიურ პირობებში გვხვდება ხ და ლ' ელემენტები:

-კვალა-ს მსგავსადევა ნაწარმოები ნაწილაკი -ხვალა (იხ.). -ხა(ბ), -ი-ხა(ბ) გვხვდება მიმლეობებში (მაგ. ბეტეიხობ, ბეტეთა-ხ-ობ, იდახობ(ბ) და სხვ.¹). იქვე გვხვდება -ხაბ, -ი-ხაბ (შდრ. -კო(ბ), ი-კა(ბ)...)...

მიხეზობრიობის გადმოცემები -კობუ-ს მსგავსად გვაქვს აგრეთვე -ხობუ (ბეტეუ-ხობუ, ბეტეი-ხობუ „რადგან მოხნა“).

შესაძლებელია ხვალა-ს ვარიანტი იყოს -ხულა (ებ-ხულა „რა (არის)“, ჩამუ-ხულა „რამდენი (არის)“, რომელიც არაუცხალთა კლასში იხმარება და ამ მხრივ უპირისპირდება ლ'ილა-ს. ხულა

¹ შდრ. აგრეთვე რიგი რიცხვით სახელებში (ემაზ „ჰეორე“).

რთულია: ლა ნაწილაკს წარმოადგენს. -ხუ რომ ცალკე ელემენტი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ გვაქვს ხუ-მა? „არის?“ (არაცოცხალი), შდრ. ლ'ი-მა? „არის?“ (ცოცხალი). ასევე — ხუ-ჰი „არ არის“ (არაცოცხ.) შდრ. ლ'ი-ჰი „არ არის“ (ცოცხ.).

ბ-ს შემცველ აფიქსთა და ნაწილაკთა ძირითადი მნიშვნელობა დაახლოებით ისევე გაიგება, როგორც კ-ს შემცველი მორფემებისა: „მყოფი“, „არსებული“, „არის“, მაგ., ებ-ხულა „რა არის“, ბეტაი-ხოზ „ხენა-მყოფი“, იდახო(ბ) „მყოფი არის, ყოფილი არის, მყოფი“. -ხოზუ (ასევე -კოზუ, -ლ'აბუ) შეიძლება გავიაზროთ, როგორც -ხოზ-უ (ბეტაუხოზ-უ), ე.ი. მიმლეობისნაირი ფორმა პლუს უ.

ასევე დგას ლ'-ს შემცველ მორფემათა საკითხი.

მიმლეობებში გვაქვს -ლ'აბ (-ი-ლ'აბ): ჯვარდილ'აბ „დამწერი“ და მისთ.

აქა-იქ -ლ'ა(ბ) გვხვდება სხვაგანაც: ჯიდილ'ა რიჰუა „როცა შევხედე“, ლილ'ა რიჰუა „როცა მოდიოდა“.

ქვაჰილ'აბ რიჰუა „როცა გათენდა“. იდილ'ა, ლილ'ა: ქუაჰილ'აბ მიმლეობებს წარმოადგენს.

მიზეზობრიობის გადმოსაცემად ვხვდებით -ლ'აბუ-ს (დაყუ-ლ'აბუ „რადგან დაზავებულია (ქალი), შეთანხმებულად ცხოვრობს (მაგ. ქმართან)“¹).

როგორც აღვნიშნეთ, გვაქვს აგრეთვე ლ'ი (ლ'ი-მა? „არის?“ ლ'ი-ჰი „არ არის“) შდრ. აგრეთვე დენ-ლ'ი მუსე „ის ადგილი, სადაც მე ვარ“.

ლ'-ს შემცველი ფორმები მეტწილ შემთხვევაში უპირისპირდებიან ბ-ს შემცველებს, როგორც ცოცხალთა ჯგუფისათვის გამოყენებულნი (ლ') არაცოცხალთა ჯგუფისათვის განკუთვნილს (ბ).

აღვნიშნავთ, რომ უარყოფის აღმნიშვნელი სიტყვები („ნაწილაკები“) ბოთლიხურში სამია: ლ'იჰი „არ არის (ცოცხალი), ხუჰი „არ არის“ (არაცოცხალი) და გუჰი „არ არის“ (იხმარება ორსავე შემთხვევაში)². აქ იგივე ელემენტებია (ლ', ბ) გამოყენებული, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ (ჰი უარყოფას გადმოსცემს). ცალ-

¹ შდრ. აგრეთვე ჰენა-ლ'აბუ „ახლა“ (ჰენა „ახლა“) ჰაბ მიყიდი-ლ'აბუ „ამ ჯერზე“. აქ ლ'აბუ ნაწილაკი „დამოუკიდებელია“, ფუნქცია კი ძნელი დასადგენი.

² აქედან კითხვითი ფორმები: ლ'ი-მა? ხუ-მა? „არის?“ ლ'იჰი-მა? ხუჰი-მა? „არ არის?“ — მაგრამ არა გვაქვს გუ-მა? „არის?“ გვაქვს გუჰი-მა? „არ არის?“.

კე დგას გუ-ქი, რომელიც შესაძლებელია ზემოთ აღნიშნული კ-ს რიგში მოხედეს არა მხოლოდ ფონეტიკური მსგავსების გამო. არამედ უფრო იმიტომ, რომ კ (ასევე გუ-ქი) ცოცხალთა და არაცოცხალთა ჯგუფების გარჩევის მიმართ ინდიფერენტულია.

კ, ლ¹, ზ-სათვის ამჟამად არსებული ვითარების მიხედვით „ყოფნა“ შინაარსის გადმოცემაა სავარაუდებელი. მეტწილად ამ ელემენტთა შემცველი სიტყვები ადვილად გაიაზრება როგორც აღწერითი ფორმები (ცირითადი სიტყვა — ზნა, სახელი... -- პლუს „მყოფი“, „ნამყოფი“, „არის“...).

სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებით გაკერით შევსებებიც თხზვას (კომპოზიციას) და სიტყვათა აღწერით წარმოებას.

კომპოზიტები ბოთლიხურში არაა გავრცელებული: რეჰა-ზიუ „დღე-ღამე“ (ზედმიწ.: რეჰა „ღამე“, ზიუ „დღე“), ქუნტეჰვა „მამაკაცი“, „ქმარი“ (ზედმიწ.: ქუნტა „ქმარი“¹, ჰეჰვა „კაცი, ადამიანი“), ჟეშიჰვა „ქალი“, „ქალიშვილი“ (ზედმიწ.: ჟეში „ქალი, ქალიშვილი“, ჰეჰვა „კაცი, ადამიანი“)², ღვანეჰვა „უფროსი“, „მეთაური“, „პატრონი“, „ქმარი“ (ღვანი „თავი“ და ჰეჰვა).

კომპოზიტური აგებულებისაა ათეულთა და ასეულთა აღმნიშვნელი სახელები (სხვა რიცხვით სახელთა შესახებ იხ. ზემოთ): კა(ა)-წადა „20“ (კედა „ორი“, ჰაწადა „ათი“), ჰაბაწადა „30“ (ჰაბუდა „3“), ბულუწადა „40“ (ბულუდა „4“), იწთუწადა „50“ (იწთუდა „5“), ინლ'იწადა „60“ (ინლ'იდა „6“), ჰატეუწადა „70“ (ჰატეუდა „7“), ბიტეიწადა „80“ (ბიტეიდა „8“), ჰაჰაწადა „90“ (ჰაჰადა „9“). ასევე: კებეშუნუდა „200“ (კედა „ორი“, ბეშუნუდა „ასი“), ჰაბუბეშუნუდა „300“, ბულუბეშუნუდა „400“ და ა. შ.

თელის სისტემა ბოთლიხურში, როგორც ვხედავთ, ათეულობითია.

